

114
10x9-95

1.3
33
5-6
საქართველოს
ბიბლიოთეკის

მეცნიერება



5-6

1995

გნათობი



წელიწადი 71-0

№ 5-6

1995 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზიზლია, ქველი აღთქმა. გაგრძელება 3

პროზა, პოეზია

ვახტანგ ჯაფარიძე — ლექსები	17
ჯემალ შირია — კიბე იაკობისი. რომანი	22
თამაზ ჩხენკელი — ლექსები	56
არჩილ სულააკაური — თბილისური ჩანახაბები	61
ოზარ უამათაძე — ლექსები	82
თეიმურ ჩხატინი — ლექსები	86
ნოდარ ბაქრაძე — ლექსები	90
ლალო სულაბერიძე — ცხადმწერარინა. ნაწილი მეორე. გაგრძელება	92

კრიტიკა, კულტიციტიკა

აკაკი ხინთიბიძე — „ვას ზახელილი დარბა თბალები“	117
ზაბა ნინიძე — „ვეტრები და ვებრები სულ ერთ ვარსკვლავსა“	130
ლევინა ვიკიძე — „მე მტკიცე უანი დაღუფილი სხეული...“	140
დარაჯან მგებელიძე — კებრი კურცხალისა	146
ზაბა ზარიძე — ბორბობისი ზიიში ხანმოკლეა	156

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რუსო ამაშუკელი, მერაბ ბერკენიშვილი, გურამ
გვერდთელი, ალექსანდრე გოვიანთი, გურამ
დონაიაშვილი, ვანო კალანდია, მურმან ლეგანიძე,
ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრეღაშვილი, ბიორგი
ნატროშვილი, რამაზ აბთარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი,
ვაჟა ნორდელი (პ/მე მდივანი), ნოდარ წულუბისკირი,
ოთარ ჭილაძე, ბესიკ სარანაული (მთავარი რედაქტორის
შოადგილე), რეჰვან ჯაფარიძე.

ბ ი ბ ლ ი ა

პოეზია იერემიასი

თავი პირველი

2055

1. როგორ მარტო დარჩა ქალაქი, ოღესღაც ხალხმრავალი, ზის ქვრივი ქალივით; ხალხთა ქალბატონი და მხარეთა დედოფალი მოხარკე შეიქმნა 2. ტირის ღამ-ღამობით, ღაწვებზე ცრემლი სდის, არაეინა ჰყავს ნუგეშისმცემელი, ყველამ უღალატა, მტრად გადაკვიდნენ მეგობრები. 3. გადაიხვეწა იუდა, დაბეჩავებული და დამონებული; დასახლდა უცხოთა შორის, ვერ უპოვნია მოხვეწება; ვიწროებში დაეწივნენ მისი მღვერები. 4. მოთქვამდნენ სიონის გზები; დღესასწაულზე არაეინ დადის, დატარიელდნენ მისი ჭიშკრები; ობრავენ მღვდლები, დანალვლიანდნენ მისი ქაღალწულები; თავადაც გამწარებულია სიონი. 5. მისი მეტოქენი თავში მოექცნენ, ზეიმობენ მტრები, რადგან უფალმა დასაჯა იგი ბევრი ცოდვისათვის; მის პატარებს ტყვეებად მიურკვევენ მტრები. 6. გაეიდა სიონის ასულისგან მოული დიდება; მისი მთავრები ქურციკებს გვანან, სამოვრისთვის რომ ვერ მიუგნიათ; და მღვერის წინ მიდიან ღონემიზღილინი. 7. გაიხსენა იერუსალიმმა თავისი ტანჯვისა და დაცემის დღეებში თავისი განძი, ძველად

ნაქონი; რომ დაეცა მისი ხალხი მტრის ხელით და არაეინ არის მისი მშველელი; შექუვრებენ მას მტრები და დასცინიან მის შაბათებს. 8. მიძიმედ შესცოდა იერუსალიმმა, ამიტომაც შესაზიზლი შეიქნა; შეიძულა იგი ყოველმა მისმა მადიდებელმა, რადგან დაინახეს მისი სიშიშველე; თავადაც ობრავს და უკან იხვეს. 9. კალთაწაბილწულმა არ იფიქრა, რა ბოლო ექნებოდა, და დაეცა საარაკოდ, არა ჰყავს ნუგეშისმცემელი; მოჰხედვ ჩემს ტანჯვას, უფალო, რადგან განდიდდა მტერი. 10. მის საგანბურზე მტერმა გაიწოდა თავისი ხელი, რადგან ხედავს, რომ შესულიყვნენ შენს კრებულში. 11. ობრავს შენი ვრი, ჰერის მიძებნელი; საჭმელში ცვლიან ძვირფასეულობას, რომ სული მოითქვან; მოიხედენ, უფალო, და დაინახენ, როგორ დაემცირდი. 12. ნუმც დაგემართოთ ამგვარი რამ, გზად ჩამუღელნო! მოიხედეთ, შეხედეთ, თუ ყოფილა სატკივარი ჩემი სატკივრის მსგავსი, მე რომ მჭირს, უფალმა რომ შემყარა თავისი რისხვით! 13. მადლიდან ცეცხლა მოავლინა ჩემს ძელებში; ფერხთა წინ ბაღე გამიშალა, წამაქცია, დამავლო ოხრად და სხეულად სამუდამოდ. 14. შეკრულია მისი ხელით ჩემი ცოდვე-

ბის უღელი, შეკაზმულია და ქედზე მადგას, ძალა წამართვა; მათ ხელში მიმცა უფალმა, ვისგანაც ვეღარ წამოვლექი. 15. უფალმა გათელა ჩემს წიაღში ჩემი ფაღაენები; მომისია ურდო, რომ შეემუსრა ჩემი მოყმენი; უფალმა გათელა, როგორც ხაწახელში, იუდას ქალწულა ასულები. 16. ამას დავტირი, ცრემლად იღვრება ჩემი თვალები, რადგან გამშორდა ნუგეშისმცემელი, ჩემი სულის მომაბრუნებელი; ობლად დარჩნენ ჩემი შვილები, რადგან გამძლავრდა მტერი. 17. სიონი ხელებს იწვიდის, არაჟინა ნუგეშისმცემელი; უფალმა ბრძანა, გარშემოღვომოდნენ იაკობს მტრები; სიბილწედ შეირაცხა იერუსალიმი მათ თვალში. 18. მართალია უფალი, რადგან ვურჩიე მის ბავეს; ვაიგონეთ, ხალხებო, და შეხედეთ ჩემს სატანჯველს; ჩემი ქალწულები და მოყმენი ტყვეობაში წაიღვნენ. 19. ვუბნე ჩემს მოყვარულთ, მაგრამ მომატყვეს; ჩემი ძმელები და უზუცესები იხოცებთან ქალაქში, რადგან ეძებენ პურს სულის მომაბრუნებლად. 20. მომხედ, უფალო, რადგან მიჭირს მე, მეწვიის ნაწლავები; გული გადამბრუნდა მკერდში, რადგან აჯჯანდი შენს წინააღმდეგ გარეთ მახვილისგან შეიღმკვდარი შევიქენი, შინაც სიკვდილია. 21. ვაიგვს, როგორ ვკენესი, და არაჟინა მყავს ნუგეშისმცემელი; ვაიგვს ჩემმა მტრებმა ჩემი უბედურება და ხარობენ, რომ შენგან არის მიწვეული. ოჰ, ერთი მოაწვედე დღეს, შენ დათქმულს, რომ ჩემსავით გახდნენ ისინი! 22. ოჰ, ერთი მოაწვედეს შენამდე მათი სიბოროტის ამბავი, რომ ისევე მოექცე მათ, როგორც მე მომიქციე ჩემი ცოდვებისათვის, რადგან გამრავლდა ჩემი ოხვრა-კენესა და შემოიღონდა გული.

თავი მორვა

1. როგორ დანიხლა უფალმა სიონის ასული თავისი რისხვით! ციდან მიწაზე გადმოამხო ისრაელის მშენება და

არ გახსენებია თავის კვარცხლბეკი თავისი რისხვის დღეს. 2. ეჭუტუტუ ლაქრ დაინდო უფალმა იაკობს მტრებზე ბელნი, დააქცია თავისი წყრომით იუდას ხსულის ციხე-სიმაგრენი, მიწასთან გაასწორა; უპატიოყო სამეფო და მისი მთავრები. 3. მოსტება რქა ისრაელს მძვინვარე რისხვით; მტერს მოარიდა თავისი მარჯვენა და ავიზვიზდა იაკობში, როგორც ცეცხლი, წოლის მჭამელი. 4. როგორც მტერმა, მოზიდა მშვილდი, აღმართა მარჯვენა ღუშმანით და მოაქლა მისი ბავლის სიხარული; ცეცხლივით დაანთობა თავისი რისხვა სიონის ასულის კარავში. 5. მტერივით გახდა უფალი, შემუსრა ისრაელი, შემუსრა მისი პალატები, დაუქცია ციხე-სიმაგრენი და მოაწია იუდას ასულზე ოხვრა და კენესა. 6. დაანგრია მისი ბაღი და კარავი, დააქცია მისი სადღესასწაულო ადგილი; დაავიწყებინა უფალმა სიონში დღესასწაული და შაბათი; შეიძულა თავის მძვინვარე რისხვაში მეფე და ძმელები. 7. შერიხხა უფალმა თავისი ხამსხვერპლო, შეაწვენა თავისი ხაწმადარი, მტერს ჩაუგდო ხელში მისი პალატების კედლები; ხმა გაისმა უფლის სახლში, როგორც დღესასწაულზე. 8. გადაწყვიტა უფალმა, დაენგრია სიონის ასულის კედლები; გაჭიმა ძაფი, ხელი არ აიღო განადგურებაზე; დააქცია ზღუდე და კედელი, ერთად არიან დაქცეულნი. 9. მიწაში ჩაუფლო მისი კარიბჭენი, მან დაღუნა და შემუსრა მისი ურდულები; მისი მეფე და მთავრები წარმართთა შორის არიან; აღარ არის რჯული და მის წინასწარმეტყველებსაც შეუწყდათ უფლისგან ხილვები. 10. მღუმარედ სხედან მიწაზე სიონის ასულის უზუცესნი, თავზე ნაცარი აყრიათ და ჯვალთი არიან შემოხილნი; მიწამდე დაუხრიათ თავი იერუსალიმის ქალწულებს. 11. ცრემლებმა დაიშრიტეს თვალისწინი, მეწვიის გულ-ღვიძლი, მიწაზე დაიდვარა ჩემი ნაღველი ჩემი ერის ასულის დაღუპვის გამო, რადგან ღირემიხდილნი ვრიან ვმანწილები და ძუძუთა ბავ-

ცვ. 24. ჩემი ხედრია უფალი, ამბობს ჩემი სული, ამიტომაც იმედი მაქვს მისი; 25. კეთილია უფალი მისი მოსაქვისათვის, მისი მძებნელი სულისათვის; 26. კარგია, როცა კაცი მღვდარედ მოელის ხსნას უფლისაგან; 27. კარგია, როცა კაცი უღელს ატარებს სიკბაუკეში; 28. ზის სიმარტოვეში და ღუმს, რადგან უფალმა დაადო ტვირთი; 29. მტკვრითაც რომ აუვსო პირი; მაინც ექნება უფლის იმედი; 30. თუნდაც მიუშვიროს ღოფა მის მცემელს, გაძღეს გინებით, 31. არ გასწირავს საუკუნოდ უფალი; 32. კიდევ დასტანჯავს და კიდევ შეიბრალებს დიდი წყალობით; 33. რადგან გულით როდი სტანჯავს და აწვალებს კაცისშვილებს. 34. როცა ფეხქვეშ თელავენ ქვეყნის პატიმრებს; 35. როცა სამართალს უმრუდებენ კაცს უხენაესის წინაშე; 36. როცა ჩაგრავენ ადამიანს მის სამართალში, განა ამას ვერ ხედავს უფალი? 37. ვის თქმაზე ასრულდება რამე, თუ უფალმა არ ბრძანა? 38. განა უხენაესის პირიდან არ გამოდის ბოროტება და სიკეთე? 39. რატომ ჩივის ცოცხალი კაცი, ვაჟაკი თავის ცოდვებზე? 40. გაუჩხრიკოთ ჩვენი საქციელი, გაუარკვიოთ და უფალს დაუბრუნდეთ; 41. ხელებით აღმართოთ ჩვენი გული ცაში უფლისადმი; 42. ჩვენ შევეცოდეთ და განვუღებთ, შენ არ გვაპატიე; 43. რისხვით მოიბურღე და გვღვენი, გვხოცე შეუბრალეულად; 44. დრუბლით მოიბურღე, რომ აირიდო ჩვენი ღოცვები; 45. ნაკვად და სიბინძურედ გვაქციე ხალხთა შორის; 46. ხაზა დააღეს ჩვენს ჩახანთქმულად ჩვენმა მტრებმა; 47. შიში და ხაფრთხე გვხვდა წილად, ნგრევა და დაღუპვა; 48. ცრემლის ნაკადულები სდის ჩემს თვალებს ჩემი ერის ასულის დაღუპვის გამო; 49. იღვრება ჩემი თვალი განუწყვეტლივ, არ არის შეება; 50. ვიდრე არ მოახვდავს და არ იხილავს უფალი ციდან; 51. ჩემი თვალები სულს მიმწუხარებენ ჩემი ქალაქის ასულთა გამო. 52. მომინადირებს ჩემმა მტრებმა, როგორც ჩიტი რამ, უმიზე-

ზოდ; 53. ცოცხლად ნამკვდეს ორმოში და ქვები დამაყარეს; 54. გადამაყარა წყალმა, ვიქვი, დაუფლავლავდივე; 55. ვუხმე შენს სახელს, უფალი, ორმოს სიღრმიდან; 56. ზომ მოგვსმა ჩემი ხმა, ნუ წაუერუებ ჩემს ზვეწნა-მუღარას; 57. შენ ახლოს ხარ, როცა ვიხ მობ; ამბობ: ნუ გეშინის! 58. შენ ესარჩლებოდი ჩემს სულს, უფალი, შენ გამოიხეიდე ჩემი ხიცოცხლე; 59. შენ დაინახე ჩემი ჩაგვრა, უფალი, მაშ, გაიკითხე ჩემი სამართალი! 60. შენ დაინახე მათი შური ჩემს მიმართ, მათი ზრახვები ჩემს წინააღმდეგ; 61. შენ ნახე მათი შური ჩემს მიმართ, მათი ზრახვები ჩემს წინააღმდეგ; 62. ჩემს მოზღურთა ბაგეები და ფიქრები ჩემს წინააღმდეგ არის მთელი დღე; 63. სხედან თუ დგანან, შეხედე, მათი სამღერალი შევიქენი; 64. მიაგე მათ საზღაური, მათ ხელთა საქმეთამებრ; 65. მოუვლინე მათ გულის სიბნელე, უფალი, და წყველა შენი; 66. რისხვით დაღვევნი მათ და მუსრი გაავლე უფლის ცათა ქვეშ.

თავი მეოთხე

1. როგორ დაიბინდა ოქრო, ფერი იცვალა ბაჯადლომ; გაფანტულია სწმინდრის ქვები ყოველ გზაჯვარედინზე; 2. ოქროს სწორნი, სიონის ძვირფასი ძენი, როგორ შეიარაცხენ მქეოთნის ნახელ თიხის ნამტვრევებად! 3. ტურებიც კი აწედიან ძუძუს და აწოვებენ თავიანთ ღეკვებს; ჩემი ერის ასული კი გულქვა გახდა, როგორც ხირაქლემა უდაბნოში. 4. მწოველის ენა ხასას მიეკვრა წყურვილისაგან; ბავშვები პურს ითხოვენ, მაგრამ არ არის მომწოდებელი 5. ნუგბართა მკამელნი ქუჩებში სულს დაფავენ; ძოწეულში ნახვევნი ნაკელში ყრიან. 6. ჩემი ერის ასულის ბრალი აღემატა სოდომის ცოდვას, წამში რომ დაიქცა და ვერა ხელმა ვერ დაიხსნა. 7. მათი მთავრები თოვლის უსებტაკებს იყვანენ, რძის უთეთრესნი,



მათი ტანი ბადახშის უწითლესი, მათი გამობედა — საფრონი. 8. ახლა კი ნახშირის უმავენია მათი სახე, ვერავინ იცნობს მათ ქუჩაში; ძელებს ეკვრის მათი კანი, ზესავით არის გამოშრალი. 9. ხმლით გაწვეტილი უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე შიმშილით გაწვეტილი, რომ დიდივინ მინდვრის საკვებს მოკლებულნი. 10. გულმონყვალე ქალები საკუთარი ხელით ხარშავდნენ თავიანთ შეილებს, საზრდოდ რომ ჰქონოდათ ჩემი ერის ასულის დაღუპვის ეამს. 11. გადმოსცალა უფალმა თავისი რისხვა, გადმოაფრქვია თავისი წყრომის ალი, ცეცხლი წაუკიდა სიონს და შეაჭმევინა მისი საძირკველნი. 12. არ სჯეროდათ ქვეყნის მეფეებს ან მკვიდრებს ამა სოფლისა, თუ მტერი და მომხდური შევიდოდა იერუსალიმის კარბჭეხებში; 13. ეს მოხდა მის წინასწარმეტყველთა ცოდვების და მის მღვდელთა შეცოდებების გამო, მართალთა სისხლს რომ დერიდნენ მის წიაღში. 14. ქუჩებში დაძრწოდნენ, როგორც ბრძეხი, სისხლში გასერიდნი, და ვერაფერს ეკარებოდნენ სამოსელით. 15. შორს უწმინდურნი! უფიროდნენ, შორს, შორს, არ მოგვეკარო! ასე გარბოდნენ და დაწანწალებდნენ, ხალხში ამბობდნენ: მეტს აღარ ვაცხოვრებთო აქ. 16. თავად უფალმა გაფანტა ისინი, მეტად აღარ მოხედავს მათ; მღვდლებს პატევს არ ხეშენ, მოხუცებულთ არ იბრალევენ. 17. და კიდევ: დაგვეხო თვალები შემწეობის ამოი მოლოდინში; სათვალთვლო კოშკიდან ვუმზერდით ხალხს, რომელსაც ჩვენი შველა არ შეეძლო. 18. ზურავდნენ ჩვენს ნაბიჯებს, ჩვენს ქუჩებში რომ არ გვევლო. მთაწია ჩვენმა, ბოლომ, გასრულდა ჩვენი დღეები, დაღვა ჩვენი ბოლო, 19. ციხე არწივთა უსწრაფესნი იყვნენ ჩვენი მღვერება, მთებზე მოკვდნენ, უდაბნოში გვისაფრდებოდნენ. 20. ხუნთქვა ჩვენს ნესტოთა — უფლის ცხებულთ მათ ორმოშია გამოძწვედულო; ჩვენ კი ვფიქრობდით, მის ჩრდილქვეშ ვიცოცხლებდით ხალ-

ხთა შორის. 21. იხარე და იმხარულე, ელომის ასულო, ვუცის ქვეყნის ქვეყნებო! შენთანაც ნამსტყლს დათერები და გაშიშვლები! 22. გათვლა შენი სასჯელი, სიონის ასულო; მეტს აღარ დაგტოვებს დევნილებში. შენ კი მოგკითხავს დანაშაულს, ელომის ასულო, და გაამჟღავნებს შენს ცოდვებს.

თავი მესამე

1. გაიხსენე, უფალო, რაც დაგვემართა; მოგვხედე და დაინახე ჩვენი შევივნება. 2. ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები — გადამთიულმა 3. ობლები ვავხდით: მამა არა გვეავს დაქერიდნენ ჩვენი დედეები; 4. ჩვენსაკვე წვალს ვერცხლის ფასად ვხვამთ, შესას ვვიდულობთ; 5. კისრით მიგვათრევენ, ქანცი ვაგვიწვდა, არა გვაქვს მოხეხენება; 6. ევეიბტეს ვუშვერთ ხელს, ამურს, რომ გავძლეთ პურიით; 7. ჩვენმა მამებმა შეხცოდეს და აღარ არიან, ჩვენ კი მათ სახველს ვიხდით; 8. მონები ხელმწიფობენ ჩვენზე, არა ჩანს მხსნელი მათი ხელიდან; 9. სიცოცხლის ფასად ვშოვლობთ პურს, უდაბნოში — მახვილის შიშით; 10. თინესავით გვიხურს კანი შიმშილის ზეატისავან; 11. ქალებს ნამუხს ზდიან სიონში, ქალწულებს — იუდას ქალაქებში; 12. ხელებით კვიდებენ მთაერებს, შურაცყოფენ მოხუცებულთ; 13. მოყმენი დოლაბებს ეზიდებიან, ბიჭები ფორხილებენ შემის ტვირთის ქვეშ; 14. მოხუცებულნი კარიბჭესთან აღარ სხდებიან, მოყმენი აღარ მღვრიან; 15. შემწვდარია ჩვენი გულის სიხარული, გლოვად გადაიქცა ჩვენი ფერხულები; 16. თავზემით გვირგვინი მოგვეხადა; ვაი ჩვენ, რადგან შეეცოდეთ! 17. ამიტომ შელონებული გვაქვს გული, ამიტომაც დავვიბნელდა თვალისწინი; 18. ვაკაკარივლდა სიონის მთა და ტურები დარბიან იქ; 19. შენ კი ხაუკუნოდ მყოფობ, უფა-

ლო, შენი ტახტი ჰკიეს უკუნითი უკუნისამდე! 20. საბოლოოდ რისთვის დაგვიყვანე, ასე ხანგრძლივად რისთვის მიგვატოვე? 21. შენსკენ მოგვაქციე,

უფალო, და მოვიქცევით; განგვიხლებ დღეები, როგორც ტყეში ნაპირზე! 22. ნუთუ შეძლებით შეგვამწყვდინებთ? ტისმეტად განრისხდი ჩვენზე?

უხეიანი წინასწარმეტყველი, თავი პირველი

1. ოცდამათე წელს, მეოთხე თვის მეხუთე დღეს, როცა ტვეთა შორის ვიმყოფებოდი მდინარე ქებარის პირას, გაიხსნა ცა და ვიხილე ღვთიური ხილვები. 2. თვის მეხუთე დღეს — ეს იყო მეხუთე წელი მეფე იოაქიმის ტვეობისა. 3. გამოეცხადა უფლის სიტყვა ეზეკიელს, ბუზის ძეს, მღვდელს, ქალღვევლთა ქვეყანაში, მდინარე ქებარის პირას, და იყო იქ მასზე უფლის ხელი. 4. და ვიხილე: ამა, მოდის მშენებარე ქარი ჩრდილოეთიდან, დიდი ღრუბელი და ცეცხლის კონა, და ელვარება მის გარშემო, მის შუაში კი რაღაც კაშკაშა ლითონით, ცეცხლის გულიდან ამომავალი. 5. მის შიგნით იყო სახე ოთხი ცხოველისა, რომელთაც ადამიანის შესახედლობა ჰქონდათ; 6. თითოულს ოთხ-ოთხი პირი სახე და ოთხ-ოთხი ფრთა ჰქონდა; 7. ფეხები სწორი ჰქონდათ და ფეხის ტერფები ხბოს ჩლიქებით, და კაშკაშებდნენ გაკრიალებული სპილენძით; 8. ადამიანის ხელები უნანდათ ფრთებიდან ოთხივე მხარეს; ოთხივეს პირისახე და ფრთები ჰქონდა. 9. მათი ფრთები ერთმანეთზე იყო გადაჭდობილი, მოძრაობისას არ ტრიალდებოდნენ, თითოეული თავისი პირისახის მიმართულებით მოძრაობდა; 10. მათი სახეები კი ასეთი იყო: ადამიანის და ლომის სახე ჰქონდა ოთხ მათგანს მარჯვენა მხარეს; ხარის სახე ოთხ მათგანს მარცხენა მხარეს და არწივის სახე ოთხივე მათგანს. 11. მათა

პირისახე და ფრთები ზემოთკენ იყო გაშლილი; ორ-ორი ფრთა ერთმანეთზე ჰქონდათ გადაჭდობილი, ორ-ორი ფრთით ტანი ჰქონდათ დაფარული. 12. თითოეული თავისი პირისახის მიმართულებით მოძრაობდა; საითაც მიჰყავდა სულს, იქით მიდიოდნენ, არ ტრიალდებოდნენ სიარულისას. 13. ეს ცხოველები შესახედლობით გაეარაგებულ მუგუზებს ჰგვანდნენ; რაღაც ალევით მიმოდიოდა ცხოველებს შორის, ნათება იყო ცეცხლის ირგვლივ და ელვა გამოდიოდა ცეცხლიდან. 14. ცხოველები ელვასავით მიმოდიოდნენ წინ და უკან. 15. ეფურობ ცხოველებს და, ამა, თითო ბორბალია მიწაზე ცხოველთა გვერდით, ოთხსავე მხარეს. 16. იაგუნდს ჰგავდნენ შესახედლობით და ნაკეთობით ეს ბორბლები და ერთი სახე ჰქონდა ოთხივეს. ეს იყო ნაკეთები, თითქოს ბორბალი ბორბალში იყო ჩასმული. 17. მოძრაობისას ოთხივე მხრისკენ მოძრაობდნენ, მოძრაობისას არ ტრიალდებოდნენ. 18. ფერსოები მათი მალალი და საშინელი იყო, ოთხივე ფერსო ირგვლივ თვალებით იყო სავსე. 19. ცხოველთა მოძრაობისას ბორბლებიც მოძრაობდნენ მათ გვერდით, როცა ცხოველები მიწიდან აიწვევდნენ, ბორბლებიც იწვევდნენ. 20. საითკენაც სული გასწევდა, იქით მიდიოდნენ. სული გასწევდა და ბორბლებიც აიწვიდნენ მათთან ერთად, რადგან ცოცხალი სული ელვა ბორბლებს. 21. მათი მოძრაობისას ესენიც მოძრაობდნენ, მათი გარეუბისას ესენიც



წერდებოდნენ. მათი მიწიდან აწვევისას ბორბლებიც იწვოდნენ მათ სისწორეზე, რადგან ცხოველი სული ედგა ბორბლებს. 22. ცხოველთა თავებს ზემოთ თითქოს ბროლისცა იყო, საშინელი მათ თავებს ზემოთ გადაჭიმული, მაღალზე 23. ცამყარს ქვემოთ მათი ფრთები უსწორდებოდნენ ერთმანეთს. თითოეულს ორ-ორი ფრთა ჰქონდა, რომელიც უფარავდა მათ სხეულს ერთ მხარეს და მეორე მხარეს. 24. როცა მოძრაობდნენ, შესმოდა მათი ფრთების ხმა, როგორც დიდი ნიაღვრების ხმა, როგორც ხმა ფოვლადძლიერისა, როგორც ხმა ამბოხისა, ხმა საბრძოლო ბანაკისა. როცა დადგებოდნენ, ეშვებოდა მათი ფრთებიც. 25. გამოდიოდა ხმა ცამყარიდან, მათ თავზე რომ იყო გადაჭიმული. როცა დადგებოდნენ, ეშვებოდა მათი ფრთებიც. 26. ცამყარს ზემოთ, მათ თავზე რომ იყო გადაჭიმული, რაღაც ტახტის მკვეარი რამ იდგა, თითქოს საფირონისგან ნაკეთები, ზოლო ამ ტახტისმკვეარის ზემოთ სახით აღამიანი-სმკვეარი რამ იყო. 27. ვიხილე რაღაც გაკაშკაშებული ლითონით, თითქოს ცეცხლი იყო მის შიგნით და მის ირგვლივ მის წელს ზემოთ, ზოლო მის წელს ქვემოთ დაინახე რაღაც ცეცხლი და ნათება იყო მის ირგვლივ. 28. როგორც ცისარტყელა ჩანს ღრუბლებში წვიმიან დღეს, ასე ჩანდა ეს ნათება ირგვლივ, უფლის დიდების მსგავსი იყო ეს ხილვა. ვიხილე და პირქვე დავემხე, და მომესმა ხმა მეტყველისა.

თავი მეორე

1. მიიხრა: ადამის ძე! დადექ ფეხზე, უნდა გელაპარაკო! 2. შემოვიდა ჩემში სული, როცა მელაპარაკებოდა, და ფეხზე დამაყენა, და შესმოდა მისი, ვინც მელაპარაკებოდა, 3. მიიხრა: ადამის ძე! მიგავლინებ ისრაელიანებთან, მოჯანყე ხალხთან, რომლებიც მიჯანყდებიან მე. მცოდვენი ისინი და მათი მამა-პაპა დღევანდლამდე. 4. ურცხვი და ჯი-

უტი შეილება არიან, მათთან ვაძინებ, რომ უთხრა: ასე ამბობს უფალი ღმერთი. 5. გინდ მოვიხმინდეს ვინც არ მიგავისმინონ, რადგან ურნი ნახლია ისინი, ეცოდინებათ მაინც, რომ წინასწარმეტყველი იყო მათ შორის. 6. შენ კი, ადამის ძე, ნუ გეშინია მათი და მათი სიტყვები ნუ შეგაშინებს, თუმცა ეკლად და ძეძვად გეცევიან და მორიელებზე იჯდები, მათი სიტყვები ნუ შეგაშინებს და მათი სახე ნუ დაგაფრთხოებს, რადგან ურნი მოდგმაა. 7. უთხარა ჩემი სიტყვები, გინდ მოიხმინონ, გინდ ნუ მოიხმენენ, რადგან ურნნი არიან. 8. შენ კი, ადამის ძე, ისმინე, რასაც ვუვხებები, ნუ იქნება ურნი, როგორც ეს ურნი სახლია. გააღე პირი და შეუქამე, რასაც მოვცემ. 9. და მე ვიხილე, ამა ხელია გამოწვდილი ჩემსკენ და, ამა, წიგნის გრავნილია მასში. 10. გაშალა ჩემს წინ და, ამა, დაწერილია ორივე მხარეს, სწერია: ვოლება, მოთქმა და ვაი.

თავი მესამე

1. მიიხრა: ადამის ძე! შეუქამე, რასაც ხედავ, შეუქამე ეს გრავნილი და წადი და ელაპარაკე ისრაელის სახლს. 2. გააღე პირი და შეუქამე ეს გრავნილი. 3. მიიხრა: ადამის ძე! აჭამე შენს მუცელს და აივხე ნაწლავები ამ გრავნილით, რომელსაც მე გაძლევ. მეც შეუქამე და თაფლივით მეტკბილა პირში. 4. მიიხრა: ადამის ძე! მიდი ისრაელის სახლთან და უთხარა ჩემი სიტყვები; 5. რადგან ბნელმეტყველ და გაუგებარი ენის ხალხთან როდი იგზავნები, არამედ ისრაელის სახლთან; 6. არა ჭრელ, ბნელმეტყველ და გაუგებარი ენის ხალხთან, რომელთა სიტყვებს შენ ვერ გაიგებდი. მათთან რომ მიმეკვლინებინე, ისინიც კი მოვიხმენდნენ. 7. ისრაელის სახლი არ ისურვებს შენს მოსმენას, რადგან ჩემი მოსმენა არ სურთ მათ, რადგან შუბლმკვეარი და ჯიუტი ხალხია ისრაელის მოული სახლი. 8. ამა, ვაჟ-სასტიკე შენი სახე მათ სახესავით და

გავამაგრე შენი შუბლი მათი შუბლივით. 9. კაცზე მაგარი აღმასივით გავხადე შენი შუბლი. ნუ გეშინია მათი და ნუ შეგაშინებს მათი სახე, რადგან მოჯანყე სახლია ისინი. 10. მითხრა: ადამის ძე! ვეწლა სიტყვა, რასაც გეტყვი, გულში ჩაიღე და ყურით მოისმინე. 11. წადი და მიდი ტყვეებთან, შენი ერის შვილებთან, და ელაპარაკე მათ, უთხარი, ასე ამბობს - თქო უფალი ღმერთი: ვინღ მოისმინონ, ვინღ ნუ მოისმენენ, 12. ამიტაკა სულმა და მომესმა ჩემს უკან დიდი ზანზარის ხმა, - კურთხეულია უფლის დიდება თავისი ადგილიდან! 13. ცხოველთა ფრთების ერთმანეთზე ცემის ხმა, ბოროტების ტრიალი მათ გვერდით და დიდი ზანზარის ხმა. 14. სულმა ამიტაკა და წამილა, მიუღიოდი გამწარებული, რისხვით ანთებული, და უფლის მაგარი ხელი იყო ჩემზე. 15. მივედი თელაბიბში გადასახლებულებთან, რომლებიც მდინარე ქებარის პირას ცხოვრობენ, და დავეცი იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ, და ვიჯექი იქ მათ შორის შეიდ დღეს, გაოგნებული. 16. შეიდი დღის ბოლოს უფლის სიტყვა იყო ჩემს მიმართ: 17. ადამის ძე! ისრაელის სახლის დარაჯად დამიდგენიხარ. გაიგონებ სიტყვას ჩემი პირიდან და ჩემი სახელით გააფრთხილებ მათ. 18. როცა ბოროტეულს ვეტყვი: სიკვდილით მოკვდები-მეთქი, შენ კი არ გააფრთხილებ მას და არაფერს ეტყვი ბოროტეულის ბოროტი გზიდან ჩამოსაშორებლად, რომ ვადარჩეს, მოკვდება ბოროტეული თავის უკეთურებაში და მის სისხლს შენ მოგკითხავ. 19. თუ შენ გააფრთხილებ ბოროტეულს, მაგრამ არ მოიქცევა თავისი ბოროტებიდან და ბოროტი გზიდან, ის მოკვდება, თავის უკეთურებაში შენ კი ვადარწმინდი ვყავს შენი თავი. 20. როცა მართალი თავისი სიმართლისაგან მიიქცევა და უკეთურობას ჩაიდებს, საბრძეს დაეუღებ წინ და მოკვდება. თუ შენ არ გააფრთხილებ მას, თავის ცოდვაში მოკვდება, არაეინ ვაიხსენებს მის სიკეთეს, რომელიც გაკეთებული აქვს, და მის სისხლს შენ მოგკითხავ. 21. თუ

შენ გააფრთხილებ მართალს, რომ არ სცოდოს მართალმა და ეტყვი უმჯობესად, ვადარწმუნებ, რადგან ვადარწმუნებ შენ კი ვადარწმინდი ვყავს შენი თავი. 22. იყო ჩემზე იქ უფლის ხელი და მითხრა: ადექი, გადი ევლზე და იქ დაგვლამარაკები. 23. ადექი და გავედი ევლზე, და ამა, დგას იქ უფლის დიდება იმ დიდების შესაგუსი, რომელიც მდინარე ქებარის პირას ეხილევ. და პირქვე დავემხე. 24. შემოვიდა ჩემში სული და ფეხზე დამაყენა, მელაპარაკა და მითხრა: შედი, ჩაიკეტე შენს სახლში. 25. ადამის ძე, ამა, დაგაღებენ ბორკილებს და შეგკრავენ, რომ ვეღარ იარო მათ შორის. 26. სასას ავაკრავ შენს ენას, რომ დამუნჯდე და ვეღარ ამხილებდე მათ, რადგან ურჩი სახლია ისინი. 27. მაგრამ, როცა დაგვლაპარაკები, გავიხსნი ბაგებს და ეტყვი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი, გამგონემ ვაიგოს, გაუგონარი ნუ გაიგებს რადგან ურჩი სახლია ისინი.

თავი მეოთხე

1. შენ, ადამის ძე, აიღე ალიზი და წინ დაიდევ, დახაზე ზედ ქალაქი, იერუსალიმი. 2. გამოსახე მისი აღფა, მოაწვეე ხანგრები, აღმართე მიწაყრილები, განაწვეე ბანაკები და ტარანები დააფენე ირგვლივ. 3. აიღე რეინის ტაფა და დადე რეინის კედლად შენსა და ქალაქს შორის, პირი მაქციე მისკენ და აღყაში იქნება, და შემოარტყვი აღყა. ეს არის ისრაელის სახლის ნიშანი. 4. დაწექი მარცხენა გვერდზე და დაიდევ ისრაელის სახლის უკეთურება რამდენ დღესაც იქნები წამოწოლილი, იმდენხანს ატარებ მათ უკეთურობას. 5. შე მივითვალე მათი უკეთურების წლებს დღეთა რიცხვის მიხედვით-სამას ოთხმოცდაათ დღეს - და ატარებ ისრაელის სახლის უკეთურობას. 6. ამას დაასრულებ და დაწვები მეორედ მარჯვენა გვერდზე, და ატარებ იუდას სახლის უკეთურებას ორმოც დღეს. თითო წე-



ლზე თითო დღეს მივითვალავ. 7. იერუსალიმის აღმოსკენ მიაქციე პირი და მიშეული მკლავი და იწინასწარმეტყველე მის წინააღმდეგ. 8. ამა, დაგაღე ბორკილები და გვერდს ვერ შეიცივლი, ვიდრე არ შეასრულებ შენი აღმოს დღეებს. 9. აილე ხორბალი, ქერი, ცერცივი, ოსპი, ფეტვი და ასლი, ჩაყარე იხინი ერთ ჭურჭელში და გქონდეს საჭმელად იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც გვერდზე იქნები დაწოდილი. სამას ოთხმოცდაათ დღეს უნდა ჭამო იხინი. 10. შენი საჭმელი, რასაც შეჭამ, ოცი შეკელი უნდა იყოს დღეში. ფამიდან ფამზე უნდა ჭამდე. 11. წყალი ზომაზე უნდა სვა, პინის შექვესელი უნდა სვა ფამიდან ფამზე. 12. ქერის ნამცხვრებად უნდა ჭამო ის და ადამიანის განავალზე უნდა იყოს გამოამცხვარი მათ თვალწინ. 13. თქვა უფალმა: ასე შეჭამენ ისრაელიანები თავიანთ უწმიდურ პურს იმ ხალხთა შორის, რომლებთანაც განედევნი მათ. 14. ეთქვა: ამა, უფალი ღმერთო! აი, არ არის ჩემი ხული გაუწმიდურებული, მძორი და ნამხუცავი არ მიჭამია სიყმაწვილიდან დღემდე და უსურმაგის ხორცი არ ჩამსვლია პირში. 15. მითხრა: კარგი, ძროხის ნებეს გამოვე ადამიანის განავლის ნაცელად, მოამზადე მასზე შენი პური. 16. მითხრა: ადამის ძვე! ამა, გავტეხავ პურის კვერთხს იერუსალიმში, რომ წონით და სიმწრით ჭამდნენ პურს, და წყალს გამოზომით და შიშით სეამდნენ. 17. რადგან მოაკლდებათ პური და წყალი, შიშით დაუწევბენ ერთმანეთს ცქერას და დაილევიან თავიანთი უკეთურების გამო.

თავი მესამე

1. ადამის ძვე! აილე გაღესილი მახვილი და დალაქთა სამართებელივით გადაიტარე თავზე და წვერზე. აილე სასწორი და გაჰყავი თმა. 2. მესამედი ცეცხლში დასწვი ქალაქის შუაგულში, როცა აღმოს დღეები შესრულდება, აილე მესამედი და აქუცმაცე ქალაქის ირ-

გვლივ. მესამედი ქარში გაფანტე და მე მახვილს ვიშიშელებ მის წინააღმდეგ აქედან მცირეოდენი კლავით გამოიკარი. 4. კიდევ აილე მთვან, ჩაყარე ცეცხლში და დასწვი ცეცხლში მისგან მოედება ცეცხლი ისრაელის მიულ ხალხს. 5. ასე ამბობს ღმერთი: ეს არის იერუსალიმი- ხალხების შუაგულში დაეხვი იგი და ქვეყნებია მის გარშემო. 6. ეურნა ჩემს წესებს წარმართებზე უფრო ბორიკად და ჩემს მცნებებს - გარშემო ქვეყნებზე უარესად, რადგან შეიძულეს ჩემი წესები და არ გაკვენენ ჩემს მცნებებს. 7. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი თქვენს გარშემო ხალხებზე უფრო ბოლოქრობთ, არ მიჰყევბით ჩემს მცნებებს და ჩემს წესებს არ ასრულებთ, არ ასრულებთ თქვენს გარშემო ხალხების წესებსაც კი, 8. ამიტომ, ასე ამბობს უფალი ღმერთი: ამა, მე თავად წამოვალ შენზე და აღვასრულებ შენს წიადში სამართალს ხალხების თვალწინ. 9. ისეთ რამეს ვაგიკეთებ შენს სისამაგელითა გამო, რაც არასოდეს გამოიკეთებია და რის მსგავსსაც არასოდეს ვაგიკეთებ. 10. ამიტომ მამები შეილებს დაუწევბენ ჭამას თქვენ შორის და შეილები მამებს შეჭამენ. აღვასრულებ სამართალს თქვენზე და ვველა ქარის მიმართ ვაფანტავ თქვენს ნატამალს. 11. ამიტომ, ცოცხალი ვარ! აცხადებს უფალი: იმის გამო, რომ გაუწმინდურეთ ჩემი ხსენი-დარი ვოველი თქვენი სისამაგელით და ვოველი თქვენი სიბილწით, მეც ვაგწვევტ შენ, არ შეგიბრალებს ჩემი თვალი და მეც არ დაგინდობ. 12. შენი მესამედი ჭირისგან დაიხოცება და შიშითილთ ვაწყდება შენ შორის, მესამედი მახვილით დაეცემა შენს გარშემო, მესამედს ვველა ქარის მიმართ ვაფანტავ და მახვილს ვიშიშელებ მათ კვალზე. 13. ამოიწურება ჩემი რისხვა და დაეხრება ჩემი წყრომა მათდამი, და დაეშვიდდება. მამის მიხედვბიან, რომ მე უფალი ვლასარაკობდი შურით, როცა ამოწურავ ჩემს წყრომას მათდამი. 14. მიგეცე ვასაოხრებლად და შესარცხვე-

ნად ხალხებში, შენს გარშემო რომ არიან და ყოველი გამეღვლის თვალში. 15. იქნები შესარცხვენად და საციცხველად, საარაკოდ და საფრთხობელად ხალხებისთვის, შენს გარშემო რომ არიან, აღვასრულებ შენზე სამართალს რიხებით, წყრომით და სასტიკი შვილებებით. მე, უფალი, ვლაპარაკობ ამას. 16. როცა მოვაღვლენ თქვენზე შიმშილის ბორცვ ისრუებს, რომლებიც დამღუპველი იქნება, რადგან თქვენს დასაღუპად მოვაღვლენ მათ, გაეასსტიკებ თქვენზე შიმშილს და პურის კერძებს გადაგიმტერეთ. 17. მოგივლენთ შიმშილს და სასტიკ მხეცებს შეიღმკვდარნი იქნებით. ჭირი და სიხზლი ჩაივლის შენში და მახვილს მოვიღებ შენზე. მე, უფალი, ვლაპარაკობ ამას.

თავი მესამე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძე! პირი მიატყე ისრაელის მოთბისკენ და უწინასწარმეტყველე მათ, 3. უთხარა: ისრაელის მოთბო, ისმინეთ უფალი ღმერთის სიტყვა: ასე ეუბნება უფალი ღმერთი მოთბა და ბორცვებს, ხრამებს და ხეობებს: აჰა, მოვაღვლენ თქვენზე მახვილს და გაეანადგურებ თქვენს გორაკებს. 4. გაუდაბურდება თქვენი სამსხვერპლოები და შეიმუხრება თქვენი შხის სვეტები. დაყრი თქვენს დახოცილებს თქვენი კრებების წინ. 5. მიუყური ისრაელიანთა გვამებს მათსავე კრებებს და თქვენს სამსხვერპლოთა ირგვლივ მიმოვფანტავ თქვენს ძალებს. 6. ყველა თქვენს საცხოვრებელში აოხრებული იქნება ქალაქები და გაუდაბურდება საყრბოები, რადგან უნდა მოიხრდნენ და გაუდაბურდნენ თქვენი შხის სვეტები და აღიგავოს თქვენი ნამოქმედარნი. 7. დაეცემა თქვენს შორის დახოცილნი და მიხვდებით, რომ მე უფალი ვარ. 8. დაგიტოვებთ ნატამალს, რომ ვკავდეთ ხალხებში მახვილს გადარჩენილნი, როცა სხვადასხვა ქვეყნებში ვაიფანტებით. 9.

გამიხსენებენ გადარჩენილნი იმ ხალხებში სადაც ტყვედ იქნებოდნენ. მუსრავ მათ ვარყენად და განღვთილ გულებს და თვალებს, რომლებიც ირყეუბოდნენ მათი კრებების კვლზე, საკუთარი თავი შესმაგვებათ იმ უკეთურებათა და სიბიღუნეთა გამო, რასაც სწავლიოდნენ. 10. მიხვდებიან, რომ მე უფალი ვარ, რომ ამოდ არ მოთქვამს მათთვის, რომ დავატეხდი ამ უბედურებას, 11. ასე ამბობს უფალი ღმერთი: ხელი ხელს შემოკარი და ფეხი ურტვი მიწას, თქვი: ვაგლახ! ისრაელის სახლის უკეთურ სიბიღუნეთა გამო მახვილით, შიმშილით და შავი ჭირით დაეცემა! 12. შორსმოფივი ჭირისგან მოკვდება და ახლოსმოფივი მახვილით დაეცემა. დარჩენილი და აღფაშქორტყმული შიმშილით მოკვდება. ასე ამოეწურავ მათზე ჩემს რიხვას. 13. და მიხვდებიან, რომ მე უფალი ვარ, როცა მათი მკვდრები ვერებიან მათ კრებებს შორის, მათ სამსხვერპლოთა შორის, ყოველ მაღალ ბორცვზე, მათთა ყოველ მწვერვალზე, ყოველი ხემხვიანის ქვეშ, ყოველი რტომრავალი მუხის ქვეშ, ადგილებში, სადაც უკმევდნენ თავიანთ კრებებს. 14. ხელს მოუღვრებ მათ ყველგან, სადაც კი ცხოვრობენ, და დაბლას უდაბნოზე შეტად გაეუკაცურებ და გავატიანებ ქვეყანას. მაშინ მიხვდებიან, რომ მე უფალი ვარ.

თავი მეოთხე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. შენ, ადამის ძე! ასე ეუბნება უფალი ღმერთი ისრაელის მიწას: აჰა, აღსასრული! შოადგა აღსასრული ამ ქვეყნის ოთხივე კუთხეს! 3. ახლა აღსასრულია შენზე და მოგივლენ ჩემს რიხვას, განგხვი შენს საქმეთაებრ და მივლს შენს სიბიღუნებს თავზე დაგათევ. 4. არ შეგებრალეებს ჩემი თვალი და არ დავინდობ, რადგან შენს წინააღმდეგ მოვაქციე შენს საქმეებს და შენი სიბიღუნები შენთან იქნება, და მიხვე-



ბით, რომ მე უფალი ვარ. 5. ასე ამბობს უფალი ღმერთი: უბედურება, ერთი უბედურება, აჰა, მოდის! 6. აღსასრული ღვება, ღვება აღსასრული, თავზე გატყდება, აჰა, მოვიდა! 7. მოვიდა შენი ჯერი, ამ ქვეყნის მკვიდრო! დაღვა ვამი, ახლა დღე შესფოთებისა, არა მთებზე ვრამბულის. 8. ახლა მალე გადმოვალვრით ჩემს რისხვას და შენზე მოვიკლავ ჩემს წყრომას, განგჯი შენს საქმეთაებრ და მთელს შენს სიბილწეებს თავზე დაგათვე! 9. არ შევიბრალვებს ჩემი თვალი და არ დავინდობ, რადგან შენს წინააღმდეგ მოვაქციე შენს საქმეებს და შენი სიბილწენი შენთანვე იქნება, და მიხვდებით, რომ უფალი ვარ, შემშუსვრელი 10. აჰა, დღე! აჰა, დაღვა! მოაწია ჯერმა! კვრთხი აუვაულა, აუპარტავნობა გაიფურქნა! 11. ძალადობა აღიმართა ბოროტეულის კვრთხად. აღარ იქნებიან ისინი, არც მათი სიმრავლე, არც მათი ღოვლათი, არც მათზე წუხილი 12. დაღვა ვამი, მოაწია დღემ. მყიდველს ნუ გაუზარდება, გამყიდველი ნუ იწუხებს, რადგან მთელი სიმრავლე მათი შერისხულია 13. რადგან გამყიდველი ვეღარ მიუბრუნდება გაყიდულს, ცოცხლებიც რომ დარჩნენ, რადგან ხილვა მთელს მათ სიმრავლეზე არ გაბრუნდება უკან და ვერაკაცი თავისი უმთურებით სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებს. 14. დააფვირებენ საყვირს და ყველაფერი მზად იქნება, მაგრამ საომრად არავინ წაუა, რადგან მთელი სიმრავლე მათი შერისხულია ჩემგან. 15. გარეთ მახვილია, შინ — ჭირი და შიმშილი! ველზე მყოფი მახვილით მოკვდება, ქალაქში მყოფს შიმშილი და ჭირი შეჰპას. 16. თავს უშველიან მათი დანარჩონი და იქნებიან მთებში ველის მტრელებით, ყველა თავის უკეთურებაზე აკენებსება. 17. ყველა ხელი დაუძღურდება და ყველა მუხლი გაწყოლდება. 18. ჯვალის შემოისარტყლავენ და შიში მოიცავს მათ ფოველი სახემურცხვენილი იქნება და ფოველი თავი გაქარღდება. 19. თავიანთ ვერცხლს გარეთ გადაყრიან და ოქრო სიბინძურედ იქცევა.

ოქრო-ვერცხლი ვერ იხსნის მთ უფლის რისხვის დღეს, თავს ვერ გაქარღვენ და შივანს ვერ მოივსებენ, რადგან მათი უკეთურების საბრზე იყო. 20. შედიღურობდნენ თავიანთ სამკაულთა მშვენებით და თავიანთ სიბილწეთა და სისამაგლეთა ხატები შექმნეს, ამიტომ სიბინძურედ გაუხდი მას მათთვის. 21. უცხოთა ხელში მივცემ მას დასატაცებლად და ნადავლად — ქვეყნის ბოროტეულთ, რომ უპატიოჰყონ. 22. პირს აუარიღებ მათ და უპატიო ჰყოფენ ჩემს სიღულლო აღვილს, შიგ შევლენ მმარცველები და უპატიოჰყოფენ. 23. გააკეთე ჯაჭვი, რადგან ქვეყანა სავსება სისხლიანი დანაშაულებით და ქალაქი სავსება ძალადობით. 24. მოვასხამ უბოროტეს ხალხს და დაეპატრონებიან მათ სახლებს, გავაცამტვერებ მძღაღრთა ხიამაყეს და გავუპატიურებ მათი სიწმინდენი. 25. მოვა და ქცევა და მშვიდობას დაუნწებენ ძებნას და არ იქნება. 26. ჭირი ჭირს დაერთვის, ავი ხმები ავი ხმებს მოკვეება, წინასწარმეტყველის ხილვას დაუნწებენ ძებნას, რჯული დაეკარგება ღვთის მსახურს და რწევა-უხუცეებს. 27. მეფე გლოვას მოკვეება, დიდებული ძრწოლით შეიმოსება და ქვეყნის ერს ხელი აუცახცახდება, მათ საქმეთაებრ მოვექცევი და მათი სამართლისაებრ განგჯი მათ, და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ.

თავი მერვე

1. შევექვე წელს, შევექვე თვის მეხუთე დღეს ვიჯექი ჩემს სახლში და იუდას უხუცეებმა იხხდნენ ჩემს წინ. მაშინ დამეცა იქ უფლის, ღვთის ხელი. 2. ვიხილე, აჰა, რაღაც ცეცხლის მსგავსი, წელთან და მის ქვემოთ ცეცხლი იყო, წელს ზემოთ კი რაღაც ნათების მსგავსი, როგორც კამკამა ლითონი. 3. გამოიწოდა რაღაც ხელისმაგვარი, ქენოში ჩამავლო და ამწია სულმა ცასა და მიწას შორის, და მიმიყვანა ღვთიურ ხილვებში, იერუსალიმს, შიდა კარიბ-

კის შესასვლელთან, ჩრდილოეთისაკენ რომ არის მიმართული, ხადაც დგას შურის ხატი, შურის აღმძვრელი. 4. ამა, იყო იქ ისრაელის ღმერთის დიდება, მსგავსი იმისა, რაც ხეობაში ვიხილევ. 5. მიიხრა: ადამის ძეგ! მიმართე შურა ჩრდილოეთის გზას. მიმართე შურა ჩრდილოეთის გზას და, ამა, სამსხვერპლის კარიბჭის ჩრდილოეთით ეს შურის ხატი იყო, შესასვლელთან. 6. მიიხრა: ადამის ძეგ! თუ ხედავ, რასაც იხინი სწადიან? თუ ხედავ ამ დიდ სისაძაგლეებს, რომლებსაც ისრაელის სახლი სწადის, რათა მე განვეშორო ჩემს სანძღვარს? კიდევ იხილავ დიდ სისაძაგლეებს. 7. მიმიყვანა ეზოს შესასვლელთან და დავინახე, ამა, ერთი ზურვლია კედელში. 8. მიიხრა: ადამის ძეგ! გათხარე კედელი და, ამა, გასასვლელია ერთი. 9. მიიხრა: შედი და იხილე ბოროტი სისაძაგლეები, რასაც აქ სწადიან. 10. შევედი და, ვიხილე, ამა, ყოველნაირ ქვეწარმავალთა და უწმინდურ ცხოველთა გამოსახულებანი და ისრაელის სახლის ყოველნაირი კრამი გამოსახუვლი ირგვლივ, მიუღს კედელზე. 11. სამოცდაათი კაცი ისრაელის სახლის უხუცესთაგან დგას მათ წინ და იაზნაია შაფანის ძეგ დგას მათ შორის თითოეულს სასაქველუ უჭირავს ხელში და საქველუს ზრქელი ღრუბელი ადის მალა. 12. მიიხრა: თუ ხედავ, ადამის ძეგ, რას სწადიან ისრაელის სახლის უხუცესები ბნელში, თითოეული თავის მოხატულ ოთახში? რადგან ამბობენ, უფალი ვერ ხედავს ჩვენ, მიატოვაო უფალმა ეს ქვეყანა. 13. მიიხრა: კიდევ იხილავ დიდ სისაძაგლეებს, რომლებსაც ესენი სწადიან. 14. მიმიყვანა უფლის სახლის კარიბჭის შესასვლელთან, ჩდილოეთისაკენ რომ არის, და, ამა, სხედან იქ დედაკაცები და გლეოვბენ თამუხს. 15. მიიხრა: თუ ხედავ, ადამის ძეგ? კიდევ იხილავ ამაზე უარესს სისაძაგლეებს. 16. მიმიყვანა უფლის სახლის შიდა ეზოში, და ამა, უფლის ტაძრის შესასვლელთან, კარბჭესა და სამსხვერპლო შორის, დამდვარა ოცდახუთიოდე კაცი

ზურვით უფლის ტაძრისკენ და პირით აღმოსავლეთისაკენ და მათგან უხუცესები მუხს აღმოსავლეთით. 17. მიიხრა: თუ ხედავ, ადამის ძეგ? ნუთუ არ ეყო იუდას სახლს იმ სისაძაგლეთა ჩადენა, აქ რომ აუვსია ქვეყანა ძალადობით და უფროდაუფრო მარიხებეს? ამა, ცხვირთანა აქეთ მიტანილი რტოები. 18. მაშინ მეც რისხვით მოვიქცევი, არ ექნება შებრალება ჩემს თვალს და არ დავინდობ, თუნდაც მაღალი ხმით ჩამძახონ ვერძი, არ მოუვსენ მათ.

თავი მესხრა

1. ჩამძახა ვერძი მაღალი ხმით და მიიხრა: ახლოს მოდექით, ქალაქის დამსჯელნი, თითოეული თავისი დამლუპველი იარაღით ხელში! 2. ამა, ექვსი კაცი მოდის ზემო კარიბჭის გზით, ჩრდილოეთისკენ რომ არის მიქცეული, და თითოეულს ხელში თავისი შემშუსვრელი იარაღი უჭირავს, ერთი მათგანი სელით არის შემოსილი და მწერლის სამელნე აქვს წელზე. მოვიდნენ და დადგნენ რვალის სამსხვერპლოსთან. 3. ისრაელის ღვთის დიდება ასცილდა ქერუბიმს, რომელზეც იყო ის, და გაემართა ტაძრის ზღურბლისაკენ, მოუწოდა სელით შემოსილ კაცს, რომელსაც მწერლის სამელნე ჰქონდა წელზე 4. უთხრა მას უფალმა: ჩაიარე ქალაქში, იერუსალიმში, და ნიშანი დაადე მუხლზე იმ ხალხს, რომელიც კენესის და მოთქვამს იქ ჩადენილ სისაძაგლეთა გამო. 5. სხვებს უთხრა ჩემს გასაგონად: მოიარეთ ქალაქი მათ კვალზე და მუსრეთ, ნუ შეიბრალებს თქვენი თვალი და ნუ დაინდობთ. 6. მოხუცი და ჭაბუკი, ქალწული, ბავშვები და ქალები სრულიად ამოხოცეთ. ვისაც ნიშანი ადევს, ხელი არ ახლოთ. ჩემი ხაწმიდარიდან დაიწყეთ. მათაც დაიწყეს სახლის წინ მყოფი უხუცესებიდან. 7. უთხრა მათ. გააუწმინდურეთ სახლი და აავსეთ ეზოები დახოცილებით და გადით. ისინიც გავიდნენ და ქალაქში დაიწყეს მუსვრა.



8. როცა მათ გააუღეს მუსრი, მე კი ვაღაერნი, პირქვე დავემზე, შევღალადე ვუთხარი: ვაკლახ, უფალ ღმერთო! ნუთუ გასწყვეტ ისრაელის მოელს ნატამალს შენი რისხვის გადმოღვრით იერუსალიმზე? 9. უთხრა: დიდია ისრაელის და იუდას სახლის უკეთურება. სისხლით აივხო ქვეყანა და ქალაქი უწმინდურებით არის სავსე, რადგან ამჟამებენ, მიატოვაო უფალმა ეს ქვეყანა და ვერაფერს ზედავხო უფალი. 10. მეც ასე მოვიქცევი: არ შეიბრალებს ჩემი თვალი და არ დავინდობ. მათ თავზევე მოვაქცევ მათსავე საქმეებს. 11. ამა, კაცმა, სელით შემოხილმა, რომელსაც მწერლის სამელნე ჰქონდა წელზე, მოიტანა პახუზად სიტყვა: შევასრულე, როგორც მიბრძანე.

თავი მეთხუთსი

1. ვიხილე და, ამა, ცამყარზე, რომელიც ქერუბიმების თავს ზემოთ არის, გამონნდა რაღაც საფირონის ქვისმაგვარი, რაღაც ტახტისმაგვარი, მათ ზემოთ. 2. უთხრა მან სელით შემოხილ კაცს, უთხრა, შემოდი ბორბლებს შორის ქერუბიმთა ქვეშ და აივსე ჰემვი ქერუბიმთა შორის აღებული ცეცხლის შეგუზლებით და ვადაყარე ქალაქს. და შევიდა ჩემს თვალწინ. 3. ქერუბიმები სახლის მარჯვენა მხარეს იდგნენ, როცა შევიდა კაცი და ღრუბელმა აავხო შიდა ეხო. 4. ასცილდა უფლის დიდება ქერუბიმებს და გაემართა სახლის ზღურბლისაკენ, და აივხო სახლი ღრუბლით, ეხო კი სავსე იყო უფლის დიდების ნათებით. 5. ხმა ქერუბიმთა ფრთებისა ვარეთა ეხომდე აღწევდა, როგორც ხმა ფულადმღიერისა, როცა ლაპარაკობს იგი. 6. როცა უბრძანა სელით შემოხილ კაცს და უთხრა: აილე ცეცხლი ბორბლებს შორის, ქერუბიმთა შორისო, და ისიც შევიდა ბორბალთან დადგა,

7. მაშინ გაიწოდა ხელი მათი ქერუბიმთა ქერუბიმთა შორის იყო, აღლო, და ჩაუღო ჰემვი სელით შემოხილს. მანაც აიღო და გავიდა. 8. აღამიანის ხელისმაგვარი რამე უნანდათ ქერუბიმებს ფრთებქვეშ. 9. ვიხილე და, ამა, ოთხი ბორბალი ქერუბიმთა გვერდით: ერთი ბორბალი ერთი ქერუბიმის გვერდით და ერთი ბორბალი ერთი ქერუბიმის გვერდით; თარშიმის ქვის მსგავსია ბორბლები. 10. შესახედაობით ერთმანეთის მსგავსია ოთხივე ბორბალი, თითქოს ბორბალი ბორბალში იყოს ჩასმული. 11. სელისას ოთხივე მხარეს მიდიოდნენ, სელისას არ ტრიალდებოდნენ, რადგან იმ მიმართულებით მიდიოდნენ, საითყენაც თავები ჰქონდათ მიქცეული. სელისას არ ტრიალდებოდნენ. 12. მოელი მათი ტანი, მოელი მათი ზურგი, ვველა მათი ფრთა და ბორბლები ირგვლივ სავსე იყო თვალებით, ბორბლები ოთხივე მთიანისა. 13. როგორც ჩამესმა, ქუხილი ერქვათ ამ ბორბლებს. 14. თითოეულს ოთხი სახე ჰქონდა: ერთის სახე ქერუბიმის სახე იყო, მეორის სახე აღამიანის სახე იყო, მესამის სახე ლომის სახე იყო, მეოთხის სახე არწივის სახე იყო. 15. აღმართნენ ქერუბიმები. ესენი ცოცხალი არსებები იყვნენ, რომლებიც მდინარე ქებარის პირას ვიხილე. 16. როცა დაიმრუბოდნენ ქერუბიმები, ბორბლები მოძრაობდნენ მათ გვერდით. როცა ფრთებს გაშლიდნენ ქერუბიმები მიწიდან ასაწევად, არ ტრიალდებოდნენ ბორბლები მათ გვერდით. 17. დაღვომისას ისინიც იდგნენ, აწევისას ისინიც აიწეოდნენ მათთან ერთად, რადგან ცოცხალი ხული იყო მათში. 18. გასცილდა უფლის დიდება სახლის ზღურბლს და ზედ დაადგა ქერუბიმებს; 19. გასვლისას გაშალეს ფრთები ჩემს თვალწინ ქერუბიმებმა და აღმართნენ მიწიდან ბორბლებითურთ მათ გვერდით. შედგნენ უფლას

სახლის აღმოსავლეთ კარიბჭეში შესასულელთან და ისრაელის ღმერთის დიდება იყო მაღლა, მათ ზემოთ. 20. ეს ის ცოცხალი არსებანი იყვნენ, რომლებიც ვიხილე ისრაელის ღმერთის ქვეშ მდინარე ქებარის პირას, და მიუხედი, რომ ქერუბიმები იყვნენ. 21. თი-

თოეულს ოთხ-ოთხი სარეკინი და ოთხ-ოთხი ფრთა თიხისაგან, მანის ხელისმაგვარი რამ ფრთებქვეშ. 22. მათი სახეები იმათი სახეების მსგავსი იყო, რომლებიც ვიხილე მდინარე ქებარის პირას, შესახედაობაც და თავად ისინიც. თითოეული თავისი პირისახის მიმართულებით ამოდიოდა.



20555

მანტანებ ჯანსაღად

ინგრევა კაცობრიობის საერთო საცხოვრებელი,
 ბევრი აცხონა უფალმა, ბევრია საცხონებელი.
 კოსმოსის ოკეანეში – ნაფოტი ოკეანეთა –
 ირწყევა უკიდურესად გადატვირთული პლანეტა.
 მენავეს ვდავებთან, ვდავებთან კაპიტანს,
 ქალღმერთი სილამაზისა ველარ გაღმოდის ქაფიდან.
 სჯობდა კი წვენი მკლავები ნინებზე გამოგვეცადა,
 არადა, უკვე ვემბანზე ვირთავვა გამოგვეცხადა.
 არადა, ცა არ ყოფილა ამნაირი და ამდარი,
 არადა, კარზე მოგვადგა თერმობირთული ზამთარი...
 და რაკი არ შემიძლია უკანვე გაუატრიალო,
 ლამის აედგე და შეექაზო:

– მშვიდობით, გალაკტიონო!

პოეტები

გალაკტიონ ტაბიძე

თავს გვაწონებს ზოგი რითმით, ზოგი ძველი ქართულითაც,
 მაგრამ ვერვინ გაღმოვებდა ჯერ მეოთხე ხართულიდან.
 ისე ვერვინ გაიარა, უკან რომ არ მოუხედა,
 ველარაინ გაგვაძხნევა ჯერჯერობით მეოთხედან.
 ეზო გადაჭედლია, ყველას თვალში ვენხირებით,
 მეორე და მესამეზეც არავინ ჩანს ჯერჯერობით.
 ზოგი სიკვდილს მოერიდა, ზოგი სირცხვილს მოერიდა,
 იმ მეორეს ველოდებით, ვინც გაბელავს მეორედან.



წუთისოფლის ნახევარი კითხვის ნიშნებს დავახარჯე:
 ალაგ-ალაგ ვახტანგი ვარ, ალაგ-ალაგ — ჯავახაძე.
 მაფხიზლებდა, მადეიძებდა პაპა პირლიშილიანი:
 — სულ ვართ ორი მილიონი! სულ ვართ ორი მილიონი!
 უღმიღლო პაპის პაპამ ანდერძით მომადევნა:
 — დროზე შაში თუ არ მოვა, რა ქნას კარგმა მონარდემა?
 — შაში უნდა მოიყვანოს! — იქით შევეკამათები,
 ბულბულების ყეფა მიყვარს, მღერა მიყვარს კამათლების...
 პირი თუ არ მოვარიდე სახიფათო სამართლებელს,
 ქიშ არ გამომიცხადებენ, ისე დამამათებენ.

დღეს სამოცი გაზაფხული შემისრულდა:
 სამოცივეს მწვანე სამოსელი სურდა,
 და მეც მწვანე ავირჩიე სამოსელი.
 დღეის შემდეგ მეც შერქმევა სამოციელი.
 რაც დრო გავა, დაეწევა მამას ღედა
 და წარსული უფრო გამოვამახდება.

მეტ ხესა და მუქვიდრეს ანკი როგორ გავზრდიდი:
 მე ამ წუთისოფელში გავლითა ვარ, ტრანზიტით.
 ხელს ამოდ მიქნევენ დიდი მავსტროები:
 ხად მცალია: ამქვეყნად გავლითა ვარ, დროებით.
 როგორ გავყვე სოფლისკენ სუროებს და ზვიარებს:
 რას მოვასწრებ: გზადა ვარ, ისე შემოვიარე.
 მელიმება, ღიმილი აღმართს გამიადვილებს,
 ვესალმები გზადაგზა სოსოიას ქართველებს.
 დავესიზმრეთ ერთმანეთს და სიზმრების კასეტა
 წაითაყდა, გავდივარ ისევ შარავნაზე და...

ისევ და ისევ მგზავრი ვარ, თანამგზავრი ვარ ბებერი —
 პოეტის მოვალეობის დროებით შემსრულებელი.

0 3 0

ვინ უხმობდა ლატაკებს, როგორც კონდაიკი?
 მე არა და შენ არა, ესე იგი — იგი!
 როცა ესიზმრებოდა ხაუნჯე და შიკი,
 ოქროს ხინით მთართვა ივამ ივის ივი.
 თავს ივიებს ხანდახან ბრწვინვალება ჩვენი,

მანც არ ემეტება ივის ივიენი.
 ივიც გაივივეს, გაივივებული
 გაივიკადა, გაბრწყინდა გაივიკებული.
 და როდესაც რჩეულთა გამოჩნდება რივი,
 წინ მოუძღვის ბელადებს — ის კი არა — ივი!

საკუთარ სახოს

როდემდის ვიყო, როდემდის, შენი მონა და მორჩილი,
 რამდენხანს უნდა გელოდო, ან რამდენი მაქვს მოხჯილი?!
 აჩქარდი. იქნებ ნეტარი წამები მომიტრიალო,
 შენ, ჩემო თორმეტიახო და კიდევ თორმეტიახო.
 კვლავ ნულარ დაწერილმანდები, გვიყურებს მთელი დუნია,
 შენ მხოლოდ ის დამიზუსტე, რომელი საუკუნეა.



მშობლები და ახლობლები თვალს ამაოდ აცეკვებდნენ:
 ბიჭმა გოგო დაიჭირა, აკოცა და ასე შემდეგ...
 და გამრავლდა ეს ქვეყანა ალგირიდან ა-შე-შემდე,
 კუბამდე და ჩილემდე და კონგომდე და ასე შემდეგ...
 იმ ამბორის ბანგი ათრობს, აცეკვებს და აცერცატებს
 შვილის-შვილის-შვილის-შვილის-შვილებსა და ასე შემდეგ...



გახსნეს კომერციული სასაფლაო მთაწმინდის,
 გაიფუტა ცხოვრება, ახლა მთახთან მთაც მიდის.
 არაფერი გამოვა თხოვნითა და დაკითხვა:
 ფული უნდა ვიშოვნო და უკვდავება დავირტყა.



— რუსეთს თავის მიწაც ჰყოფნის! — ბრძანა ერთმა რუსმა
 და ბიჭვინთის რესტორანში მშვიდად ისაუბრა.
 კვადრეს: რუსეთს არ აკლია სახნავ-სათესავი:
 შავი მიწა ჰყოფნის, მაგრამ ზღვა არ ჰყოფნის შავი!

რეჰიონი



უფროსი ძმა გვეზარალა, ძმა და შერე რა ძმა, ნაქები და საქები და მარად საოცნებო, ღამე თუთრად გაათენა თეთრმა ბუმბერაზმა, ვაი, რა ძმა გვეზარალა, ვაი, რა ძმა, ძმებო! ორი პარასკევი დარჩა, დათვლილი აქვს დღენი, არ დასცალდა, ცალი ფეხი სამარეში უდგას, ვაი, რა ძმა გვეზარალა, ძმა ჩვენი და თქვენი, ვაი, ვინდა გააშველებს კრაზანას და ფუტკარს?! გადაეგო, სააქაო პირი აღარ უჩანს, აღარ უჩანს დახასრული ჭირისუფლის ქეითინს, მიდის მიქელ-გაბრიელი, მიჰყავს ქურა-ქურა, იქ წერილი წაიღო და აქ მოკითხვას გვითვლის. შუაგზაზე დაეწია, ძმებო, ფათერაკი, რვალის დანა ვერ უხსნიდა ანდამატის კბილებს, ყალიონი მიაყუდა, ხოლო რაკეტა კი — უკაცრავად პასუხია! — მიაყუდებინეს. გაემგზავრა მარილზე და გაჰყვა ქვეყნის კიდე, და ვარსკვლავებს ხუთქიმიანს ველარ აკიაფებს, ვინდა ჩამოგვირიგებს და ვინდა დაგვიკიდებს ნეილონის ნაძვის ხეზე ნეიტრონის ბამბებს?! ვინდა გაიზაფხულოს და ვინდა დაიზამთროს. ენა შებმის: ხიტყვა სიტყვას ქროგორ მივაწებო? შავმა მიწამ პირი უყო და ნაბარდა პატრონს, თქვენი ჭირი წაიღო და ჩვენი ჭირიც, ძმებო! სატკივარმა მოგვიძებნა გულის გულის გული, სარკოფაგს და მეზოლეუმს აფრიალებს ტანში, მჭუხარე და ხანგრძლივი და ოვაცირებული — აქეითინდა და ტირილში გადაივიდა — ტანში. დაფრთხენ ძმები: ერთი — ალთას და მეორე — ბალთას! შინ მოვფარე გვაგინებს და მტერი ვაჰქებს გარეთ, ვაი, ვინდა განიკითხავს მტყუნასა და მართალს, ვაი, რა ძმა გვეზარალა!.. ვაის ვაყვარეთ...

ღამის ბარიკადები ქალაქს დაეპატრონონ: ქუჩას ვინდა დაეძებს, — სახლშიც, ჩემო ბატონო! ცოლს ვერ მოიშველიებს, შეიღს ვერ შეეშველები, აშენებენ ბაბილონს მამები და შვილები. მამა დავიწყებიათ... ზოგის ბამბაც ნხრიალებს, გაღმა ედავებიან — ცხრა მთას იქით — ცხრიანებს. ხოლო ზოგიერთები, როცა მწარედ ვიციანთ, (გვარს არ დავასახელებ) გვარზე ხტიან კვიცივით. ცალკე ხტიან, ცალ-ცალკე ეძალებათ სკეფსისი, ვისაც ბერი სკა უდგას, ცალკე ხილავს სკებს იხიც.



თუმცა საეგებიო რასშე არ იკადრებენ,
 მირჩვენია უხილავს — ნაღდი ბარიკადები.
 მიებრუნდები სარკისკენ: საკნისკენ და სარკმლისკენ,
 და გალიის ჩიტივით ზეცას მოვისაკლისებ.

●

თუ ნაგაზმა არ იყეფა,
 ალაფაფი არ იღება,
 მოდის შეიარაღება:
 მიდის შეიარაღება!
 ინფარქტმა და იშუმამ
 ლამის გული გადაზნიჭოს,
 ჩვენი ცოდვა მისცემია
 მაკაროვს და კალაშნიკოვს.
 მოგვანატრეს იალალი:
 ია, ღვია, დიფი, ღუკა, —
 იფიდება იარალი:
 საქართველო იფიდება!
 გადარაზეს ხარაზავი,
 აუთანდილობს აუთო მათი:
 ელექტროგიტარასავით
 ჩაუბლუჯავს აუტომატი.
 მცხეთას უნდა მიავლინო:
 სამთა სამთა ნახოს,
 ისაკაძის ვიოლინომ
 უნდა განაიარალოს.
 დააღწიოს თავი სოროს,
 დააწიოს ბანი ხოლოს,
 კი არ უნდა გაისროლოს:
 მოისროლოს!..
 თუ მღებავმა არა ღება,
 თუ ნაგაზი არ იყეფა, —
 მოვა შეიარაღება:
 წავა შეიარაღება!

კიბე იაკობისი

ესიზმრა ყრმას მართალი თოდუას:
იღგა იგი უდაბნოსა ადგილს, არა
უწყოდა გზაი არსაით, არცა აღმოსავა-
ლით, არცა დასავალით, არცა ჩრდი-
ლოით და არცა სამხრით... წყუროდა და
წყალი არა დიოდა წყაროისა... არცა
პური აქუნდა მშვიერსა და მაშურალსა...
ვერღარა ებოვა სიბრძნეი იგი ცხორე-
ბისაი, რამეთუ სიციცხლე უფროის
ძნელ არს, ვიდრე სიკუდილი...

„უფალო, მასწავე მე გზანი ქეშმარი-
ტნი!“ — ლაღადყო ყრმამან მან მართა-
ლი თოდუამ.

„ჰე, ძეო, აღახილნე თუალნი შენნი!“
— ხმაი მამისაი განივრცო ზეცასა ში-
ნა.

აღახილნა თუალნი ყრმამან მან.
ნახა კიბე იგი საოცარი, მიწითგან
ვიდრე ზეცად აღმართული.

ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს
და გარდამოვიდოდეს კიბესა ზედა.

თაყუანისცა სასწაულსა მას ყრმამან
მართალი თოდუამ. განაგდო ბიწი და
კუჭუცი მიწისაი და აღვიდა ცასა ეთერ-
ოვანსა, რამეთუ სული მისი სუბუქი
ივლტოდეს ზევით.

იხილა ყრმამან ტახტი იგი ოჭროისი,
მუნ ჯდეს მამაი ჩუენი და ხელთ უპურის
სასწორი სამართალისა... მუნ ქერუბიმნი
შემოკვრიდეს ბუქსა და ნალარასა, მუ-
სიკობდის და მღეროდის...

ძნელ არს მოსმენაი ხმათა ლეტაებ-
რიეთა მართალთა...

ძნელ არს ხილვაი სინათლისა ქეშმა-
რიტისა...

და განიღვიძა მართალი თოდუა ძი-
ლისაგან... ვერღარა ხედვიდეს ნათელსა
და არღარა ესმოდის ხმანი...

წიგნი I. აღმასწავლებელი, 1947

შვეით ნოემბერქ მე მოღენი,
ვაგაჭუორღე მოხანდეს,
არწივიში მანგიორო
ჩაქუჩ-შავანა ღოხანტეს...*

I

შემდგომ, არაერთგზის, შეკირვების
ეამს, მართალი თოდუა ცდილობდა ჩა-
ელწვია მებსიერების შორეთში, უფრო
მიღმაც კ, სიზმრისა და ცხადის გასა-
ყარში, ნისლსა და ბუნდოვანებაში

ჰერეტდა იგი სინათლის სუსტ ანარეკლს,
მკრთალი ციალი უბნევედა გონებას და
ერთმანეთისაგან ვერ გაერკვია ნამდვი-

* რაც შეიძლება ნოემბერმა მოიტანა, არ დავე-
წუღება მშრომელს, არწივის ნაცულად ჩაქუჩი
და ნამგალი დახატეს...



ლი და წარმოსახული, კეშმარიტი და მოგონილი... პირუკუ ჩაქვევბოდა დროის სათვალავს, ეწადა უხილავი ზღვარი-სათვის მიღწეა, არარისსაგან მეს რომ გამოჰყოფდა, მაგრამ გასცდებოდა ზოლზე დანიშნულების საღვურს — ეამს სულის შთაბერვისა და იქვეწუღად კოთხულობდა: ნუთუ მარად ვარსებობდი? ვერ მოვაზრებინა, თუ რა იყო ეს არსებობა, რა ფორმით მოერგო მის ლტოლვილ სულს, საით მიდიოდა გზა, რომელზეც უსასრულოდ უნდა ევლო, ვერ მიმხვდარიყო მიზეზსა და მიზანს, სწყუროდა ამოსსნა არსებობის ქარაგმისა, თუმცა კარგად უწყოდა, მიუწვდომელს რომ გამოჰკიდებოდა, წინასწარმეტყველურად გრძნობდა, კეშმარიტების კარიბჭესთან რომ გასრულებოდა ეს სრბოლა, იქ, კიბის პირველ საფეხურთან მოვიდოდა უსასრულო და უკიდევანო სიმშვიდე...

მკრთალად ასკოვდა: ოდესღაც კვა იყო, უკუნიდან მოვლენილი. მიწა იძრა და მოულოდნელად მოწყდა იგი მაცხოვრისგორის ფერდობს, მოწყდა და დაგორდა... სინათლისა და სისწრაფისაგან თავბრუდახვეულმა ჩამოლეწა ბუჩქნარი, მოსრისა მწვანე, ლორთქო ბალახი, ჩააღწია ჩხერიის ჰალაში, ნაპირზე, სხვა, ადრე ჩაგორებულ ლოდებში ჩაიჭედა, გაუჩნდა, წინ კი გამკვირვალე ჩქერალს მოჰქონდა მსუბუქი ტალღები... ნეტავ ვინ ჩადო მესხიერებაში ეს გაელვება — მაცხოვრისგორიდან დაგორებული ქვის განცდა... ან რანაირად არსებობდა შემდგომ და შემდგომ სამყაროს ეს უსულო ნატები, ჩხერიისპირას რომ მიეჩინა ბინა... ხან მწველი მზე დაჰნათოდა, ხან კოკისპირული ჩამოთქრიადებოდა ციდან, სინათლეს ბნელი ცვლიდა, ბნელს კვლავ სინათლე... ზოგჯერ ადიდებული და მღვრიე ჩხერია გადაფულიდა, წახსაგებს ჩაურეცხავდა, ადგილიდან კი ველარა ძრავდა... მერე მოვიდა ვიღაცა, დაკოყრილი ხელისგულები შემოაკლდო, ღონივრად მოზიდა, ძლივძლივობით მოწყვიტა რიყეს, ციმციმ წაიღო და მაცხო-

ვრისგორის ფუძესთან, მალაღობ კიბის პირველ საფეხურში ჩაჭრა. მწველები კირით შემოულესა — მწველები მწველებურიდან მწვანე ფერდობი არბოდა ზევით, ცის გუმბათამდე...

როდის მოხდა ყოველივე ეს? ან მოხდა კი?.. ეკვის ბინდი ეფინა ამ გახსენებას, რადგან სხვა ხატიც ტიტიეებდა მართალი თოდუას წარმოსახვაში და ვერ გაეგო, სიზმრის კვალი იყო თუ ცხადისა... უკან მაცხოვრისგორა აზიდულა, წინ გამკვირვალე ჩქერალი მოაგორებს მსუბუქ ტალღებს. კუს ბაქნისათვის შეუფარებია თავისი ჭერაც შეუცნობელი, ეული სული. სამყარო საშიშროებითაა საესე. ხანდახან თავს გამოყოფს ბაქნიდან, ფრთხილად მიმოიხედავს, წყლის მოუსვენარ ტრიალს დააკვირდება — წყლის ლუკლუკს ერთვის ლოდებში ქარის სისინი, ფოთლების შრიალი... ჩუ, უცხო ხმებიც ისმის! მიწა იძვრის თითქოს!.. ადამიანები მოაბიჯებენ!.. სადღაც ზარი რეკავს — ძინ-ძინ-ძინ! კუ ბაკანში იმალება, თავის გამოყოფისა ეშინია... მიწა ირყევა, უთვალავი ფეხისხმა ერთმანეთს უერთდება... ადამიანთა უსასრულო ნაკადი მოედინება ჩხერიის ჰალაში, ზოგნი საურამე გზას მოჰყვებიან, ზოგნი რიყეზე გადმოდიან, ქვებს აჩხრიალებენ, სხვები წყალში დგაფუნით გადიან, ამღვრევენ... მოდის ლაშქარი და პაერში კედლია შეგუბებული, მრისხანე დვრინი — „უტუში ჯარიში გოლუაფირო,“ ვო-პო-პოიიო-დო!..“ ზარი კი სადღაც გამაფრთხილებლად რეკავს — ძინ-ძინ-ძინ!

უცებ ვიღაცა ჩერდება. პაწაწინტე-ლა კუს გაუჩინარება სწადია, ვატრუნულა, თავს იმკვდარუნებს... „უტუ, დახე, მდინარის კუ!“ ბაკანი რიყეს მოსწყდა, პაერში გადაყირავდა, მზემ შემოანათა და მზესთან ერთად — ორმა ლურჯმა, დაღლილმა და დაფიქრე-

* „უტუს ჯარს ენაცვალ“. — იგულისხმება უტუ მიქიას ლაშქარი. უტუ თოდუა, „მართალიად“ წოდებული აჭაყუბის ერთ-ერთი ბელადი იყო.

ბულმა თვალმა... „ნუ გეშინია, საბრალოვ, შენც ღვთის შექმნილი ხარ!“ — თქვა დიდმა უტუმ, მართალიად წოდებულმა, და კუ რიყეზე დასვა...

ღიახ, ახსოვდა მართალი თოდუას, თვალეზში როგორ ჩახედა დიდმა უტუმ თოდუამ, მართალიად წოდებულმა, ჩახედა ლურჯი, ფიჭვანი, აუმღვრეველი მზერით, სადაც ამოივითხებოდა: ვინა ხარ?... ნუთუ შენც უფალმა გაგაჩინა?... გონიერება თუ მოგანიჭა?... მესხიერებით თუ დაგაჯილდოვა?... ალბათ იმიტომ სდუმხარ, ჩემზე მეტი იცი და უკვე ამოხსენი მარადისობის საიდუმლოება!.. იქნებ საცნაურია შენთვის, თუ საიდან მოედევართ ჩვენ, კაცნი, ქართლოსიანთა მოდგმისა, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიაროთ სისხლის ამ წვიმებში, წინ რა მოგველის?... გაიტრუნა მდინარის კუ, თავი მოიკვედარუნა. მის სიზმარულ და ბინდომფენილ ზმანებებში ქურუში ღრუბლები ჩანდა, საიდანაც სისხლის წვიმები მოშხაბუნებდა და ჩხერიის ტალღებს წითლად აფერადებდა... დიდმა უტუმ თოდუამ კი, მართალიად წოდებულმა, ამოიოხრა და გამხმნევა: „შენც ღვთის შექმნილი ხარ!“ ზმანებიდან გამოვიდა მდინარის კუ, შეხედა კაცს. ამ ლომობიერი პირისახის მიღმა, თვალაწიერზე ჩანდა სხვა დალლილი სახეები წვეროსანი მამაკაცებისა, თავზევით ფრიალებდა უტუმს ლაშქრის წითელი შილა, უფრო შორს, ზევით აზიდულიყო მწვანე ფერდობი და იქ, ცის გუმბათზე ოჭროს ჯაჭვებით ეკიდა უფლის მაღალი ტახტი... ყოველი მხრიდან სხივმოფენილი, იგი იწვოდა თითქოს, სამყარო ნათელს აევსო და მაცხოვრისგორიდან ჩრდილი არსებით ეფინებოდა... არც უტუმ თოდუას ჰქონდა ჩრდილი, მართალიად წოდებულს, მზის სხივებს განემსკვეალა იგი და პაერის ამ გამკვირვალემაში ქრებოდა მესხიერების ფოფინა ხატი...

ვინ განსაზღვრა შესაძლებლისა და შეუძლებლის ზღვარი?... ვანა შეუძლებლის შესაძლებლობა არაა, რომ მიწამ დაგებადა და მარადიულ გზაზე სა-

ბეტილოდ გაგვიშვა! — ასე თქვობდა მართალი თოდუა მკვლევარ სიზმრების ანარეკლი სქელ უფროსიკებდა.

— ბეა ღია რე ჩქიმი, თუთა მუა ჩქიმი*... — ზუმრობით ჩაუღეკსა ერთხელ ეფრო და ცაცანა ბებიებს.

ეფრომ პირჯვარი გადაიწერა, რატომღაც ხმა გაებზარა:

— მაცხოვრის შეილო!

ამ სიტყვების შინაარსი ვერ ამოხსნა მართალიმ. დედაბერს ალბათ უნდოდა ეთქვა, მზესა და მთვარეს შეეშვი, ყველანი ღვთისშვილები ვართო, ან იმას გულისხმობდა, ხორციელი დედ-მამა აღარა გვაეს და ღმერთს მიენდეთო, ანდა იმასაც ფიქრობდა, მიწამ დაჰბადა აღამიანი და ამჯერად მაცხოვრისგორამაო... ეფროს სჯეროდა სასწაულისა, — მაცხოვრისგორას უბედურების მოტანაც შეეძლო და ბედნიერებისაც... მაცხოვრისგორამ გერა მოინელა, მერე კი ნესტორიც, მაგრამ მაცხოვრისგორამ მის შვილიშვილს სული შთაბერა და ამით არ გასწირა თოდუების გვარი.

— მაცხოვარს შეეშვი! — მკაცრად ჩაურთო ცაცანამ, მუხლზე გადაშლილი სქელტანიანი წიგნი შეიმავრა, სათვალადან გამოხედა ეფროს: — ბავშვს ტენის ნუ უმღერე!.. იცის ბიჭმა, ვისი შვილიცაა!

მართლის „ბეა“ მართა იყო, „თუთა“ — ტატანი.

— აღრე ამ გორას სახელი არ ჰქონდა, — თქვა ცაცანამ. — მაცხოვრისგორა უტუმს დროს დაერქვა. სოფელს ერქვა მანცხვარკარი, იმისი სახელი გადაასხვადერეს და ის დაანათელს... უტუმ თოდუამ, მართალიად წოდებულმა ზედსაყდარი ააშენაო, გერა იტყოდა... მერე მოვიდა ნესტორი და დაანგრია...

ახლა ტაძარი აღარ იყო მაცხოვრისგორის თავზე. მწვანე ხეთა ვარჯებში ნანგრევები თუ გამოკრთებოდა რუხად, მაგრამ ეფრო იქითენ როცა გაიხედავდა, წინანდებურად მაღლა აზი-

* მუ დედა ჩემი, მთვარე მამაჩემი...



დულ ტაძარს ხედავდა, ცის გუმბათზე ოქროს ჭაჭვებით ჩამოკიდებულს, და პირჯვარს გადაიწერდა: „ღმერთო, შენი სახელის კირიმე!“ შეხედავდა შეილი-შეილს და კვლავ პირჯვარს გადაიწერდა: „ღვთისმშობელო ქალწულო, სასწაულმოქმედო!“

ერთხელ იყო და ეფრო ბებიას დასცდა: იქ, მაკხოვრისგორაზე მუხლის ჩოქვით ავიდა ქალწული მართა, ღვთისმშობელს ევედრა, ბერწად ნუ დამტოვებ, ძე მომივლინე... შეისმინა ღვთისმშობელმა!

ურწმუნოდ გააჭნია თავი ცაცანამ, ცხვირი წოგნში ჩარგო, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— და სული ჩემი ჩასახლდა ჩემსავე გუამში! — იანგლა მართალიმ, რადგან არა სჭეროდა სასწაულებსა. ადრევე, სკოლის კარიბჭეშივე შთააგონეს, რომ ღმერთი არსადაა ცათა შინა, რომ არის უკიდვანო სივრცე და ჩვენ მტვერნი ვართ, ამ სივრცეში გაბნეული, უსულო მატერიის ცვალებადობათა შედეგი, შემთხვევითობათა ჭამი, არსაიდან და არსაითენ მავალნი...

2

თავისი ოთხთვლიანი ოდა აგურის მაღალ სვეტებზე შემოდგა ტატაჩი თოდუამ, სახლი უცხო რამ ფრინველს დამსგავსა, ისე მსუბუქად აწეულიყო, საცაა გაფრინდებო, ანდა ქარი დაებერავს და წაიღებსო. ალბათ ასეც მოხდებოდა, მტკიცედ ნაგები ბუხარი რომ არა, შუაში რომ ამოიყვანეს, ოთხივ ოთახისაკენ პირი გაუხსნეს, მებუთე კერია ქვემო, ღია სართულზე დაუტოვეს. იფიქრა, ალბათ, ტატაჩიმ, ვინძლო ბედმა გამიღიმოს, საშუალება მომეცეს — კედლებს ამოვუშენებ და ესეც პირველი სართული იქნებაო. თურმე დიდხანს არ ეწერა საკუთარ სახლში ცხოვრება და ეს იმედი, სხვა იმედებთან ერთად, საითენაც წავიდა, იქ გაიყოლია... მოხერხებული რამ აღმოჩნდა ღია სართული, ზამთრისათვის შეშას შეინახავდა კაცი, ან ძროხას მიუჩენდა

ადგილს, ზაფხულობით კი ხსენებდა რიდი სიო უბერავდა, პაპანაქებზე წყნარად ადგმევინებდა აღამიანს. ბიძა...

ეს დაუმთავრებელი სახლი დარჩა ტატაჩის. ჭერაც რამდენი რამ იყო გასაკეთებელი! სხენის თავი ლამფის პერიდან იჭყიტებოდა და მტვერს ჩამოყრიდა ხოლმე... იატაკის ღრიკოები თანდათან ჭუჭუით ამოიგლისა და გაქრა. კედლის ჭუჭრუტანებში ადრე უბერავდა. ერთი პირი ძველი ვახუთი აკარეს, ზედ შპალერი დააწებეს. მოგვიანებით, შპალერს თუ ცოტათი აახვედო, „უაზაყიში ვახუთის“ ყვითელი ფურცელი გამოჩნდებოდა და მეგრულად დაწერილი კომუნისტური ლოზუნგები სასაცილოდ იკითხებოდა... ერთხელ ანახვევიდან ტატაჩის სურათაც გამოიხედა. დახეთ, მამას იმოდენა წონა ჰქონია, მის სურათს ვახუთში ბეჭდავდნენ.

— ისაკის საქმეს გააყოლეს ჩემი შეილი, ევანიასი! — თქვა ერთხელ ეფრომ, ამის მეტი არაფერი წამოსცდენია.

ზუსტად ათი წლის წინ გავიდა შინიდან ტატაჩი. მაშინაც საოქტომბრო დღესასწაული იდგა. მართალიმ არაფერი იცოდა ამებებისა, იწვა აკვანში, კმაყოფილი ღუღუნებდა და ხან თავის „ბგას“ ახედავდა, ხან „თუთას“. მახსოვსო, თავს იტყუებდა მართალი, აკვანში ვიყავიო ჩაქრული, სატყუარას ვწუწნიდი, ვღუღუნებდი და მართას და ტატაჩის ვათვალეირებდიო. ალბათ ეფროსა და ცაცანას მრავალგზისი მონაყოლი ეფინებოდა ერთიმეორეს და იგი მართალის მეხსიერების ნაწილი გახდა. ორი წლისა კვლავ აკვანს ითხოვდიო, ამატებდა ცაცანა, და თითქოს ყველაფერი თავის ადგილს ლაგდებოდა.

დაიხარა ტატაჩი აკვანზე. ლოყა გაპარსული ჰქონდა, უღვაშები ჩაპავეფერი და პატარას ამ უღვაშებით დაბაბზე მიუხახუნა. მეგრე წამოიშართა, შეხედა გამტკნარებულ მართას, ჩახლჩილი ხმით თქვა: „ამაღამ, ალბათ, მოვლენი!“ სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა,

ქიშკართან გაჩერებული მანქანის თუხ-
თუხი გაისმა. ტატაჩის ხელში რევოლ-
ვერი ეჭირა. კარი გამოალო. ისინი სამ-
ნი იყვნენ და უკვე კიბეზე ამოდიდ-
ნენ. ტატაჩი გაეგება, რევოლვერი შე-
მართა და უბრძანა: „შეჩერდით! იცო-
დეთ, არ დაგინდობთ!“ სამეული გაჩე-
რდა. ტანზე ტყავის ქულაყები ეცვათ,
სარტყელზე მაუზერები ეთღაოთ, მაგრამ
სამიდან ერთი ვერ დაასწრებდა ტატა-
ჩის და უკანდახევა ამჯობინეს, ეზოდან
ხელემაწეულნი გავიდნენ. ტატაჩი ტრი-
ფოლიატის დაბალ ღობეს გადაველო
და მეზობელი ეზოებით მოუსვია... სამე-
ული ცოტა ხანს იდგა თოდუების ქიშ-
კართან, ჰოკმანობდნენ. მერე ერთმა-
ნეთს რალაც გადაულაბარაკეს, მოპირ-
დაპირე სასლს მიადგნენ და იქ რომ იზ-
ორიები ცხოვრობდნენ, იმათი მამაკა-
ცები წაასხეს, მანქანით ნელი-ნელ მი-
ჰყვენენ...

ის იზორიები უკან ველარ დაბრუნდ-
ნენ... ვერც ტატაჩი დაბრუნდა უკან,
მიწამ პირი უყო თითქოს...

ცოცხალი მამის ხატება არ შერჩა მარ-
თალის მეხსიერებას. უღვაშის ცაცუ-
ნილა ეზმანებოდა და ეღუტუნებოდა.
ტატაჩი მხოლოდ სურათებში არსებობ-
და. კედლის ფოტოზე ვიწროსახიანი,
დამფრთხალი ახალგაზრდა ჩანს. გა-
ზეთის ფურცლიდან სულ სხვა, თავდა-
ჭერებული კაცი იყურება, უღვაშები
უოჩაღად აუწევართია... ტატაჩის ფოტოს
გვერდით, კედელზე, სხვა სურათიც
ჰკიდია, ათიოდე წლის გოგონასი. ბე-
შეური, გაცრეცილი პირისაზე, დიდრო-
ნი თვალები, წმინდად დავარცხნილი,
შუაზე გაყოფილი თმა და მკერდზე გა-
დმოგდებული ორი ნაწნავი, გოგონა ნა-
წნავის ბოლოს მორცხვად აწვალებს.
ესაა და ეს! მართამ ვერასოდეს მოიცა-
ლა სხვა სურათის გადასაღებად... მარ-
თა აღარაა, კედელს კი ათი წლის გო-
გონას სურათი შერჩა და მართალი
ცდილობს ამ ბავშვში ამოიკითხოს დე-
დის ხატი...

ერთი დიდი სურათიც ამშვენებს სა-
სტუმრო ოთახს — მუყაოზე დასტამ-

ბული, ზედ ოთხი ბელადის თევია გამო-
სახული, თითქოს კისრებზე უწამურ-
თო. ადრე ამ ადგილზე მტრის მხარეს
ხატი ეკოდა. ცაცანამ ჩამოახსენებინა და
სამაგიეროდ ეს სურათი გამოჰკიმა. ბე-
ლადები ამომავალ მზეს გაჰყურებენ,
სამს სერიოზული, ოცნებანარევი მზერა
აქვს, მეოთხე უღვაშებში ილიმება და
მართალის ვერ ამოუცნია ეს ღიმილი.

სურათებქვეშ, კედელთან მომცრო
მაგიდაა. ზედ წიგნები აწყვია, ტატაჩის
ნაყიდი წითელუდიანი, ოქროსვარაყი-
ანი ტომები, ოთხი ბელადის ბრძნული
აზრებია შიგ ჩაწიქვილებული. ტატაჩის
თურმე ოცნებად ჰქონდა გადაჰყეული,
ოდესმე მოვიცილო, ჩაუჯდები და სიბრ-
ძნის პირველწყაროს ვეზიარებო. ვერა
და ვერ მოიცალა... ახლა ცაცანა დასა-
კუთრებია ამ წიგნებს. სასოებით აიღებს
მორიგ ტომს, არ გავაჰუჰყუიანოვო, გა-
ზეთს შემოახვევს, ცხვირზე სათვალეს
წამოიცივებს და ტუჩების ცმაკუნით მარ-
ცვალ-მარცვალ კითხულობს. ეფრო
ამ დროს შორიახლო ჩამოჯდება, წინ-
დას ქსოვს, ზანდაზან გახედავს ცაცანას,
თავს უქმყოფილოდ გააჩიციენებს, აღ-
ბათ მიაჩნია, ამოდენა წიგნის წამკითხ-
ველი მთლად ჰქუაზე ვერ იქნებო... გა-
ვა დრო, მართალიც გადაშლის ამ ტო-
მებს, ჰეშმარიტების ამოკითხვას მოინ-
დომებს — პასუხს კითხვებზე, აზრის
პირველი გაელვებიდან რომ დაჰყვა: სა-
იდან მოვდივართ? სად მივდივართ? რი-
სთვის?.. გვიან მიხვდება — პასუხის გა-
საცემად მსოფლიო ბიბლიოთეკის ყვე-
ლა წიგნიც არ კმარა... ჯერჯერობით
კი პატარა მართალი ფრთხილად შეა-
ხებს თითის წითელ, ოქროსვარაყიან
უუას და მადლიერია მამისა, ანდერძად
რომ ასეთი სიმდიდრე დაუტოვა...

სასტუმროს უკან სასადილო ოთახია.
ასე ჰქვია, თორემ ორი დედაბერი და
ბიჭი სადაც როგორ მოუხერხდებათ,
ისე სადილობენ. ფანჯარასთან დედოქოს
საწოლი დგას. მართალის ლამაზი და
სევდიანი დედა უკვე აღარაა და ამ სა-
წოლში არავინ იძინებს, ზანდაზან მოეჩ-
ვენება მართალის, რომ დაღლილი მარ-



თა საწოლზე ჩამოშვდა, ხელები მუხლებზე ჩამოუწყვია. ზის ჩუმად, სივრცეში იყურება... რა ტკიოდა დედას? რა აწუხებდა? ცაცანა იტყოდა, ჩემი გოგო ადრე სულ სხვანაირი იყო. ცერზე აიწვევდა თერმე, მკლავებს გაშლიდა, კი არ ცეკვავდა, დაფრინავდაო... ფანდურზე რომ დაამღერებდა, ისეთი სირინოზის ხმა ჰქონდა, ცრემლს ვერ შეიკავებდიო... გაიცინებდა და პირიდან ვარდი და მარგალიტი ცვიოდაო... ჩემი ლამაზი გოგოო! — დახმენდა ცაცანა... როდის იყო ეს? რომელი სიზმრიდან შერჩა ცაცანას ქალიშვილის ძველი ხატი?.. მართალის არასოდეს სმენია დედის სიმღერა, ფანდური კი მუდამ დუმდა კარადაში — იმ დღიდან, როცა ტატაჩი გავიდა შინიდან და აღარ დაბრუნდა... ხმაჩანლეჩილი პატეფონი თუ აქლერდებოდა თოდუების ოჯახში ხანდახან, ადრე ტატაჩის რომ აჩუქეს სანიმუშო სამსახურის წილ... პატეფონის ხმა ბანგივით მოქმედებდა მართაზე, კუთხეში მიჯდებოდა, გაიღურსებოდა, უჩუმრად ცრემლს შეიწმენდდა... მერე ის ბნელი ღამე დადგა, მართა და მართალი შინიდან რომ გავიდნენ... უკან დახურული კუბოთი მოასვენეს მართა, გახსნა აქრძალეს... დედაბრებმა ცივ ფიკარს ახალეს თავი, ისე დამარხეს ერთის შვილი და მეორის რძალი, თითქოს ბატონებს წაეყვანათ...

დიდი ხნის შემდეგაც, ძილის წინ ცაცანა მოულოდნელად გაყურდებოდა და ხმადაბლა იკითხავდა:

— იქნებ შიგ მართა არ იყო, პა?

ეფრო თავს ასწევდა, ისიც ჩაფიქრებული იტყოდა:

— ვინ იცის, იქნებ ჩემი ტატაჩიც ცოცხალია!

დედაბრები შეთქმულებივით ერთმანეთს შეხედავდნენ და თავთავიანთ ოთახებში წაუცუნულდებოდნენ...

უკანა, მომცრო ოთახი, საყუქნაოს რომ ჰგავდა, ეფრო ბებიაის იყო. თვითონაც მოცუქნულსა და გაღეულს, ეს ოთახიც ებევრებოდა. უამრავ პატარა-პატარა ბალიშებსა და მუთაქებში ისე

ჩაიკარგებოდა, არცა ჩანდა. ბუნაის თავზე ღეთისმშობლის მარჯვენა-მარჯვნივ იდგა, ცაცანამ „ზღაპრის“ მოაბრძანა. ეფრო შინწეულად, ჩემ-ჩემად უნთებდა სანთელს. ფანჯრიდან გახედავდა მაცხოვრისგორას და პირვეარს გადაიწერდა, მერე შეხედავდა ხატს და კვლავ გადაიწერდა: „ღეთისმშობელო, შენ გადააფარე მწყალობელი კალთა ჩემს მართალის!“

ცაცანა წინა ოთახში იძინებდა, ფუმფულა ლეიბებსა და საბნებში იწვა. ესეც პატარა ქალი იყო, ოღონდ თვითონაც ფუმფულა და ქათქათა. უზარმაზარ ბალიშებს შემოიწყობდა, ცხვირზე სათვალეს წამოიცივამდა და ტუჩების ცმაცუნით, მარცვალ-მარცვალ კითხულობდა. ხანდახან ამოიოხრებდა და გაოცებით წამოიძახებდა: „ვინ ყოფილა, ძა, ეს ბუხარინი!“ „ვინ ყოფილა, ძა, ეს ტროციკი!“

აი, ამ სახლში დაიბადა და ფეხი აიდგა მართალი თოდუამ. ფეხი აიდგა და ფართო აივანზე გავიდა... გავიდა და გაიჩინდა, თვალი გაუშტერდა. სახლი არც ისე მაღლა იდგა, მაგრამ ჩხერიისპირა ველი მსუბუქად იტალღებოდა და ტალღის ზურგს ამოეწია თოდუების უბანი, რომელსაც ადრე კოსიორის ქუჩა ერქვა, მერე კომუნარებისა, დაბოლოს — ტალახაძისა... პირველხილული სურათი მანცხვარკარისა სამუდამოდ შერჩა მართალის: ზაფხულის მცხუნვარე დღე იყო ის დღე. სივრცეს თვლემისმომგვრელი სიწყნარე ეფინა. ლორთქო მწვანეში ჩაფლული ყაერიანი ოდები ერთიმეორის გასწვრივ ჩამორიგებულიყო. ქალაქი აუჩქარებლად ეშვებოდა ჩხერიის კალისაკენ. გაღმა ნაპირი კვლავ აღმა იბურცებოდა და იქ თეთრად მოქათქათე რამდენიმე შენობა ამპარტანულად დაპყურებდა გარემოს. შენობებს მიღმა მწვანე კედლად იდგა ქალაქის ბუღეარი და ბოტანიკური ბაღი, რომელსაც თავის წიადში მიელო მთავრის სასახლე. დაბოლოს, მაცხოვრისგორა წამომართულიყო ქალაქის თავზე, ცას მიეღტეოდა... უფრო შორს

კავკასიონის ლურჯი ქედი იგრავებოდა; მარადი კავკასიონი თითქოს მცირდებოდა მაკხოვრისგორის უჩვეულო ზესწრაფვასთან...

3

ზარის დარეკვის ცოტალი აკლდა, როცა მართალის წინ დაკმუქნილი ქალაღი დაეცა. ბიჭები უკვე მოუთმენლად ცმუკავდნენ. გეოგრაფიის მასწავლებელი გრიშა ყოლბაია აუჩქარებლად აგროვებდა მაგიდაზე გაშლილ ქალაღებს. ბოლოს ეურნალიც დაეცა. საჩვენებელი ჯოხი შიგ ჩადო და ილიაში ამოიჩარა. იმავე ხელით გლობუსიც ჩაიხუტა. თავისუფალი მარჯვენით ყავარჯენს დაეყრდნო და ბის ფეხი კარისაკენ ბრაგუნით გადადგა. სწორედ ამ დროს დაირეკა, მაგრამ სანამ გრიშა მასწავლებელი კარს არ გაიხურა, ადგილიდან წამოხტომა ვერავის გაეხედა.

მართალიმ ქალაღი გახსნა და სახე აუხურდა. შიგ ერთადერთი სიტყვა ეწერა: „მეზიზღები!“ ვინ უნდა ყოფილიყო? მართალიმ მზერა ფრთხილად გააპარა. ბიჭები სტარტზე იდგნენ, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მასწავლებლის ნელ. მტანჯველ სვლას კარისაკენ. ლესტამბე თოლორაიამ პირი მიაბრუნა, წიგნებს საქმიანად ჩრიდა ნაკრის ჩანთაში. „რა უნდა? — გაიფიქრა მართალიმ. — რას ვაღამეკიდა?“

ლესტამბე შეექვესკლასელებში ყველაზე მაღალი იყო, ოწინარივით ზევიდან დაჰყურებდა თანატოლებს. სიგამხდრისაგან ზომ სინათლე ვასდიოდა. პატარა პირისახეზე პაჭუა ცხვირი აჩნდა. „თავი მოაქვს. — ბრაზით სჯიდა მართალი. — ალბათ გრძელია და იმიტომ, ანდა მამიყოსი ეშინიათ, ბიენტისი, და იმიტომ... ან სახელის გამო... ისეთი სახელი ჰქვია!.. ტყუილად კი არ იხუმრა არიქა ძაძუამ, ვინც ლესტამბეს ჰიტლასს ამოჰკრავს, კომკავშირში არ მიიღებენო!“

გრიშა ყოლბაიამ ფეხი ზღურბლს მიღმა გადაგა და ბიჭების მოთმინებაც

დაილია. მთელმა კლასმა კარისაკენ იხუტა.

— ჰა, რას ელოდნენ? — არიქას მართალის მუჭლევდუნი ჰკრა.

— შენ ხომ არ იცი, ვის ვეზიზღები?

— გააფრინე?

მართალი უცებ ადგილიდან წამოვარდა, ლესტამბეს მიეწია, საკინძეთი ჩაბლუჯა და კედელს ზურგიით მიაკეკვა.

— ვა, რა გინდა? — გაიოცა ლესტამბემ.

— მე კი არა, შენ რა გინდა? — მუქარით ჰკითხა მართალიმ, თავით ყანურატომდე თუ წვდებოდა, მაგრამ ლონიერად ეჭირა.

ღურუ გეგია მოვარდა, შუაში ჩაეკვება.

— ჩხუბობთ?

გასვლა ვინც ვერ მოასწრო, ირგვლივ შექუჩდნენ.

— ჩხუბობენ?

— ჩხუბობენ!

— მე რა მინდა? — გაწეღა ლესტამბემ, თან ისე მიმოიხედა, თითქოს მშველელს ეძებო.

მშველელმაც არ დააყოვნა.

აქლემა-პარმენმა შემოყო გრძელ კოსერზე წამოცმული თავი.

— შენ! — თითი მიუშვირა მართალის, — შენ! — არიქას, — შენ! — ღურუს. — და შენც! — ლესტამბეს, — დირექტორთან!

დერეფანი უნდა გაეველოთ. წინ აქლემა-პარმენი მიდიოდა და ლესტამბეს გული მიეცა.

— რა მინდა და... — ჩურჩულით ამოღერდა. — ჩხუბი მინდა!

— დაეარტყათ?

— დაეარტყათ!

— ბოტანიკურში! — ბეჭედი დაასვა მართალიმ.

აქლემა-პარმენმა ეჭვით მოიხედა, ეტყობა, ვერაფერი გაიგო და გზა განაგრძო.

დირექტორი მარტო არ ბრძანდებოდა. სხვა დროს ამპარტავანი, ქედმაღლი და მკაცრი, მუდამ საჩხუბრად მომართული თამარა-დირექტორი, ახლა



პირმოთნეობის განსახიერება იყო, ბაგზე ნაძალადევი ღიმილი აღებეჭდა და სტუმარს თვალბში შესცივინებდა. სტუმარი კი, ბიკენტი თოლორაიას მოადგილე ვაჟა ზარქუა, შინაურულად მიყრდნობოდა სკამის ზურგს, ფეხი ფეხზე შემოედო, ხელში საყვავილედან ამოღებული ვარდი ეჭირა და აწვალებდა.

ბიკეები კედლის გასწვრივ ჩამოწკრივდნენ მორიდებულად. არავინ იცოდა საკუთარი დანაშაულის სიმძიმე, მაგრამ თავდაბრილები ელოდნენ მსჯავრს. ხანდახან შიშინადა შეხედავდნენ ვაჟა ზარქუას და მის თითებში მომწყვედეულ ვარდს, რომელსაც ალბათ ეზარებოდა კაცის თეთრად გაცრეცილი თითები და ზიზღისაგან კვდებოდა.

მართალისაც ეზარებოდა ეს კაცი. ვაჟა ზარქუას მელოტზე ღერი თმა არ შერჩენოდა და თავზე ძარღვების ლურჯი ქსელი აწნდა. მეჩხერი, ჟღალი წარბების ქვეშ უფერული, უწამწამო თვალები თითქოს ჩამრეტოდა და მიცვალებულის თვალებს უფრო მიუგავდა. მართალის გააყრეოლა კიდევ, კაცმა კი სწორედ მას მიაცივა მზერა, კარგა ხანს ათვალიერა, მერე სხვა ბიკეებსაც შეხედა და ვითომც გაიღიმა.

— კარგი ბიკეები ჩანან!

— დიხ, დიხ, კარგად სწავლობენ, მოწინავე პიონერებია! — შევბით მიუსწრაფა დირექტორმა.

— რა გქვია? — გეგიას შეეკითხა ვაჟა ზარქუა.

— დურუ!

— გვარი არა გაქვს?

— დურუ გეგია!

— შენა?

— არიქა ძაძუა!

— შენა? — ყასიდად ჰკითხა ლესტამბესაც.

— ლესტამბე თოლორაია!

— შენა, ყმაწვილო?

— მართალი თოდუა!

— ბიკოს, რა სახელი შეურჩევიათ!

— მეჩხერი კბილები მტაცებელივით დაკრიჭა ვაჟა ზარქუამ. — მამაშენს რა ჰქვია?

— ტატაჩი!

— სად მუშაობს მამაშენი? — უკუჩვენა გადმოიხარა ვაჟა ზარქუამ და მიხვდა, ამ კაცმა ყველაფერი იცოდა და განგებ კითხულობდა.

— მოკვდა! — მხრები აიჩჩია მართალიმ.

— პო! — ვაჟა ზარქუამ ვარდი მოკმეჭნა და სანაგვე კალთაში გადაუძახა. — კარგი ბიკეები ჩანხართ! — კრუტუნით ალაპარაკდა. — პიონერული ფიცი ხომ დადეთ? ყეოსახვევები რატომ არ გიკეთიათ?... ეს არაა კარგი, მაგრამ არა უშავს... მაინც კარგები ხართ!.. თქვენმა დირექტორმა მითხრა, სანდო ყმაწვილები არიანო!.. ხომ იცით, მე ვინცა ვარ? — იკითხა უცებ.

— ეს ამხანაგი ვაჟაა! — სულსწრაფად ჩაურთო დირექტორმა.

— ახლა მე თქვენ ერთი საიდუმლო უნდა გაგანდოთ! — ხმას დაუწია ვაჟამ და ბიკეებშიც კისრები წაიგრძელეს. როგორია, ბიკენტის მოადგილე მათ საიდუმლოს ანდობდა. — იცოდეთ, არსად ერთი სიტყვაც არ წამოგცდეთ, თორემ დაისჯებით!.. ყმაწვილებო, ალბათ მასწავლებლებიც გასწავლიდნენ, რომ ჩვენს დიად სამშობლოს უამრავი მტერი ჰყავს... დღე და ღამე არ გვძინავს, ვებრძვით! ამით თქვენს მომავალს გქვდავთ, ყმაწვილებო, მაგრამ მტერი ძლიერია და ბოლომდე ვერ დაგვიმარცხებია! — ვაჟა ზარქუა შეყოვნდა, თითი ასწია და მთლად ჩურჩულზე გადავიდა: — ჩვენს ქალაქში შემოპარულა მეტად საშიში დივერსანტი, არ ვიცით, რას აპირებს, იქნებ რამე ააფეთქოს, ანდა ქები დაგვიწამლოს... ჩვენ დიდი მონღომებით ვეძებთ, მაგრამ...

აქ ვაჟა ზარქუა კვლავ შეყოვნდა, ბიკებს სათითაოდ შეხედა, ისინი კი პირდაღებულნი, გაუაღიციებთ უსმენდნენ.

— მაგრამ კვალს ჭერ ვერ მივაგენით... გადაეწყვიტეთ პიონერებსა და კომკავშირლებს მიემართოთ დახმარებისათვის. ყველას, ცხადია, ვერ ვენდობით... უნდა შევქმნათ სადაზვერვო სა-

მეუღლები... აგერ თქვენ სამნი — გეგია, ძაძუა და თოდუა ერთად იქნებით, თოდუა იყოს მეთაური... თოლორაიასაც ორ ბიჭს მოვუტებნით... უნდა იაროთ ქალაქსა და შემოგარენში. რაიმე საეკვოს თუ შეამჩნევთ, ანდა ყურს მოკრავთ, უმაღლესი შეგვატყობინეთ... გასაგებია?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ბოტანიკურით დავიწყებთ! — ყოყმანით თქვა მართალიმ. — „ჯერ ლესტამბე უნდა გავლაზო!“ — ფიქრში დასძინა.

— ჰო, — თვალი გაუსწორა ვაეა ზარქუამ და მართალის გაახსენდა ანტიკური ქანდაკების თვალები სახელმძღვანელოდან. — ჰო! — გაიმეორა ვაეამ. — ბოტანიკური და მიღმა უბნები, ჩხერიის სათავეს მიმართულებით. ოლონდ არაფერი შეგამჩნიონ, ვითომ თამაშობთ და ვგაა...

დღე იყო შაბათი, თვე ნოემბერი, რიცხვი პირველი, წელი 1947.

* * *

მერე მრავალჯერ იხსენებდა მართალი თოდუა დღეს, როცა დამთავრდა ბავშვერი თამაშობანი და დაიწყო სხვა ცხოვრება. ლესტამბეს ვალაზვა ჯერ კიდევ ბავშვერი გულფიცხობა იყო, დივერსანტის კვალზე სირბილი უკვე „კლასობრივი ბრძოლა“.

არიქა, დურუ და მართალი ადრე მოვიდნენ, ბუჩქებში ჩასხდნენ.

წინათ აქ უღრანი ყოფილა თურმე. მთავარმა შემოაღობინა. ფრანგი მებადე ჩამოაყვანიდა, სულ ცინცხალი ოქროთი უხდიდა. ფრანგმა ზედმეტი გააკაფვინა, მეტი სინათლეაო საჭირო; სადაც მეჩხრად იყო, ახალი ჩაარგვევინა... ჩხერიის პირას ჩამოსახლდა აქამდე უცნობი არისტოკრატები — თბილი მზარელების ხე და ბუჩქი, მარადმწვანენი, ბრქუვილა ფოთლებით, ფანტასტიკურად ჰრელი, ხელისგულისოდენა ყვავი-

ლებით, ჰაობის გამოუცდელ მწერებს რომ ატყუებს და აბრუნებს...!

აგერ, ბალის სიღრმეში შექცეულ კონხს ნანგრევებია... მკვიდრად ნაგები აგურის კედლები, სეროთი და ველური ვაზით გადახლართულნი... იქით მცირე გორაკია, დეკორატიული ყვავილებით მოჩითული... წითელ ფონზე თეთრად იკითხება: „ოქტომბერი, 30 წელი“, „დიდება დიდ სტალინს!“ უფრო იქით მომცრო ტბის კრიალა ზედაპირია, შუაში პატარა ნახევარკუნძულია შემოკრილი, ზედ ნეკერჩხლები დგას. ტოტებში წითლად დვივის ტრანსპარანტი: „ოქტომბერი, 30 წელი“, „დიდება დიდ სტალინს!“

დურუ ხანდახან თავს ამოყოფს, მიდამოს დაზვერავს, ისევ ჩაიმალება.

სხედან და თათბირობენ, ხან დივერსანტზე საუბრობენ, ხან ლესტამბეზე. ეამაყებათ მაღალი დეალება, თავს კაცებად გრძნობენ.

ჩაიარეს ქალთა სკოლის გოგონებმა. წინ სათვალისანი მასწავლებელი მიუძღვება. ცხვირი ზევით აუპრეხია, აქაოდა, სათვალე არ ჩამომივარდესო. გოგონები ორ-ორად, ხელიხელჩაკიდებულნი მიჰყვებიან. უზარმაზარი თეთრი ბაბთები თმებში ჩამჯდარი პეპლებივითაა.

— ჯერ ლესტამბე უნდა გავლაზო. — ჯიუტობს მართალი. — დივერსანტს მერე მოვებნით!

— არ მომწონს მე ეს ამბავი! — წუწუნებს არიქა. — მამბეზარაა, დაიხსომე ჩემი ნათქვამი, ბიკენტის ჩაუკვლავს და ცხეში ჩაგვაყუდებენ!

— როგორ უნდა ვალაზო, ასეთი სახელი ჰქვია! — ყოყმანობს დურუც.

— დავაშავე რამე? — ფიცხობს მართალი. — მეზიზღებიაო! იქნებ არც მე მეხატება გულზე...

ბილიკზე მილიციელი გამოჩნდა. ბიჭები სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალს, იქნებ მთლად ბიკენტის გამოგზავნილია, ამათ ეძებს. მადლობა ღმერთს, ისე დაიკარგა, აქეთკენ არ მოუხედავს.



— მოდი, თავი დაეანებოთ... ისევ იწყებს არიქა.

— ვცემ და მერე დაეანებები! — იქა-დნება მართალი. — მერე მივალ და ბიკენტის ვეტყვი, ძია ბიკენტი, დღეს შენი ბიჭი გავლახე-მეთქი...

— უკ, გაბედავ? — თვალი გადმო-კარკლა დურუმ.

— ეტყვი და თავზე ხელს გადაგის-ვამს. — დაეჭლანა არიქა. — დამრჩები უყურებოდ!

— თან მოვახსენებ, დივერსანტი და-კერილია-მეთქი და ყურებიც შემრჩება! ბიჭები ჩემად ხითხითებენ.

ირგვლივ სიწყნარეა, თბილა, ნიავე ტოტებს ატოკებს და კენტად მოწყვე-ტილი ყვირთელი ფოთოლი ფარფატით ეშვება.

— იქნებ არც მოვიდეს! — ამბობს არიქა და საპასუხოდ, თავზევით, ხის კენწეროზე ჩიტი აქახუჭახდა, აგერ, აგერ, მიმალულანო.

ბილიკზე ლესტამზე გამოჩნდა. მარ-ტო არ იყო, „თავისი“ ბიჭებიც წამოე-ჩვენა, ერთით მეტნი იყვნენ.

— მოერევი? — ხმა მთლად ჩაუვარ-და არიქას.

— უნდა ვცემო! — ჭიუტად გაიმე-ორა მართალიმ.

— სცემ და ციხეში ჩაგაყუდებენ! — ნალვლიანად გააფრთხილა დურუმ და სამალაიდან გამოძვრნენ.

ლესტამზე გაჩერდა, ის ბიჭებიც, ნელ-ნელა მიუახლოვდნენ ერთმანეთს. წრე თავისთავად შეიკრა, უთქმელად. შუაში მოჩხუბრები იღვნენ, ერთიმეო-რეს მაძლავინწყბივით მისჩერებოდნენ.

— გაბედე და თითი დამაკარე! — დაქადნებით თქვა ლესტამზემ, ხმა უკა-ნკალბდა.

— შენ თვითონ გაბედე და დამაკა-რე!

— გაბედე და თითის წვერით შემე-ხე!

— თუ ისეთი მაგარი ხარ, შენ შემე-ხე!

ლესტამზემ ჰაერში ხელით მოხაზა, თითით კი არ შეხებია.

— იქნებ არ გეჩხუბად, ჯა... იკი-თხა არიქამ.

— მოდი, შევარიგებ... ლესტამზემ ჩაურთო ბიჭმა, ლესტამზეს რომ ახლდა.

— შერიგება ჯობია! — თქვა დურუ-მაც.

— მაშინ მითხრას, რა დამიშავებია!

— იკითხა მართალიმ. — მეზიზღებო. ლესტამზე წამოწითლდა, ფეხებს ანა-ცვლებდა, ვერ ისვენებდა, ვნას იჩლე-ქდა:

— იმიტომ რომ... მამაშენი ნაძირა-ლაა და დედაშენიც ნაძირალაა!

მომთავრებულციც არ ჰქონდა, მართა-ლი გაქანდა და თავური მკერდში აძგე-რა. ლესტამზე ზურგით გადაავარდა, მდე-ლოზე გრძლად გაიშლართა. მართალი მკერდზე დააჭდა, ხელები გაუკავა და მოემზადა, რათა შუბლით პირდაპირ ცხვირში ეთავაზებინა, მაგრამ რალაც მოხდა. ირგვლივ მდგომი ბიჭები დაფ-რთხნენ, ჩიტებივით შეიფრთხილეს და მიმოიფანტნენ.

მართალის ვილაყამ იღლიებში ჩააე-ლო ხელი და აქაჩა:

— დაწყნარდი, დაწყნარდი-მეთქი, ყმაწვილო!

მართალი იმ ხელს აჰყვა, განზე გაიწია, მაგრამ ვერ დაუძვრა.

მუზეუმის დირექტორი ბერი ზაქა-რაია ჩასკიდებოდა, მეორე ხელით კი ლესტამზეს ადგომაში ეხმარებოდა.

ძლივს აიზღაზნა ლესტამზე, წელში ძლივს გაიმართა, თვალი აკრემლებოდა.

— დაწყნარდით, ყმაწვილებო! — ბე-რი ზაქარაიას რბილი, მშვიდი ხმა ჰქო-ნდა. — ძალადობა ბოროტებაა, ყმაწ-ვილებო!.. თქვენც აქეთ მოდი, ნუ გე-შინიათ! — სხვებს გასძახა: — მეგობ-რების მარტო დატოვება სირცხვილია!.. აქეთ მობრძანდით, აქეთ!

ბიჭები ნელ-ნელა მოგროვდნენ, გან-გან იყურებოდნენ გასაქცევად მომზა-ლებულნი.

— მოდი, წყენა დავივიწყოთ! — მოფერებით თქვა კაცმა. — გულიდან ბოროტება ამოვირეცხოთ და სიკეთე შემოვეუსვათ!.. წამობრძანდით, მე თქვენ

დღეს მუზეუმს უფასოდ შემოვატარებთ!

4

- თოდუა რომელია?
- მე!
- რა გქვია, ვაჟკაცო?
- მართალი!
- შენ ტატაჩის შვილი ხარ?
- დიახ!
- ბაბუას რა ერქვა, თუ იცი?
- ნესტორი!
- ნესტორის მამას?
- გუდუ!
- გუდუს მამას?
- უტუ, მეტსახელად მართალია!
- მე მიცნობ?

მართალი — ყოყმანით:

— დიახ, ძია ბერი!

ბერი ზაქარაია თვითონაც სამუზეუმო ექსპონატსა ჰგავს. ქერა, სამკუთხედად შეკვეცილი მოკლე წვერი და კობჩა უღვაშებით გასული საუკუნის მემამულეს ამსგავსებენ. შეხუტუბუბული, თავისი ასაკისათვის საკმაოდ მდიდარი ქორორი მალა აუვარცხნია, ფართო შუბლი მის გონიერებას ცხადყოფს, წვრილი მაჯა და გრძელი თითები — ინტელიგენტურობას. სქელღონეზებიანი სათვალღიდან მომზირალი ბეცი თვალეზები კი უცილოდ ქალღღის ჰიას ავლენს.

ყოველივე ეს მართალის გონებაში ჩაიხატა. შეცბუნებული პასუხობს, რადგან ბიჭებში გამოარჩიეს... წუთის წინ ჩხუბის მონაწილენი ახლა უხერხულად იშმუშენებინ, ერთმანეთის უკან იშალეზიან. ლესტამზე მზრებში იხრება, ცდილობს, რაც სიმაღლე აქვს, იმაზე ნაკლები გამოჩნდეს, მორიდებით ჩახველა და ამოდერდა:

— მუზეუმი ლამაზია!

მართლაც რომ! მუზეუმის თეთრი შენობა (რა თქმა უნდა, თავის დროზე მთავრის აშენებული) იზიდავს მანცხვარკარელებს. ამყობენ, ჩვენს პატარა, პროვინციულ ქალაქში ისტორიამ როგორღა შემოიტოვა ასეთი უცხო, რომანტიული ნიბლით შემოსილი სრა-სა-

სახლო. ორსართულიან შენობა ისე ამყოდ აწეულა, ბევრჯერ უმეტესად ზანს. ვიწრო, აზიკტული სივრცეებში, კონკურებს, ფერად ვიტრაციებს, მოჩუქურთმებულ სვეტებს და ღია აივანს, მაგნოლიებით დაჩრდილულ ეზოს სულ სხვა მერიდიანებზე გადააყავს მანცხვარკარელები.

ბერი ზაქარაია აქ ყველაფერია — დირექტორი, მეცნიერმუშაკი, ექსკურსიამძღოლი... იგი მთელ მანცხვარკარში გამორჩეული პიროვნებაა, დიდპატარა ბატონობით მიმართავს. ერთმანეთში კი ჩუმ-ჩუმად, ცხადია, სიყვარულით — შერეკილიაო, ირწმუნებიან. ეს უწყინარი ქილიკი ოდნავადაც არ ამცირებს, პირიქით, კიდევ უფრო გამორჩეულსა ხდის, რადგან მთელ მანცხვარკარში იქნებ ჰკვიანიც საკმარისია, გიციც, მაგრამ ცოდნით შერეკილი მართლაცდა სხვა არავინ მოიძიება.

ბიჭები შიშნარევი ცნობისმოყვარეობით უსმენენ ბერის, უხერხულობა ავიწყლებათ, წინ მიძვრებიან. აგერ არიქა ძაძუა სერიოზულად აყვლიბინებს თვალეზს... დურუ გეგია მოზვერივით ქშინავს, თითქოს ყველაფრის კბილებით გასინჯვას ამირებდეს... ლესტამზე თოლორაიას კისერი წაუგრძელებია, სხვეებს ფირაფივით ზევიდან დაკუერებს... იმ სამ ბიჭსაც, ლესტამებს რომ წამოყვინენ, ალბათ დაავიწყდათ, აქ როგორ მოხვდნენ...

— აქედან, ბავშვებო, აი, აქედან! — ბერი გრძელ ჯოხს დირიკორივით მალლა ასწევს, მეორე ხელით პაერს შემოხაზავს.

ექსპოზიციკია გეოლოგიური ეპოქებით იწყება...

— დააკვირდით, მეგობრებო, ეს ხერხელის ძვალია, ალბათ კაპიტოზავრისა, აგერ ეშვიც, ვფიქრობ პარეიხავრისა, — ბერის კილო საზეიმო ელფერს იძენს, თუმცა უმაღლე ჰმას დაბლა წევს და მორცხვად დასძენს: — ამის სპეციალისტი მე არ გახლავართ, ჩვენს მუზეუმს, სამწუხაროდ, ამის მცოდნე ჯერ არ სწევია...



ოცი წლის წინ, მანცხვარკარიდან ათ კილომეტრზე, ჩხერიის ქვედა წელში აღმოაჩინეს ნამარხი ცხოველების სასაფლაო. სწორედ იქ იპოვეს ეს ძვალი. იგი ალბათ ხერხემალია აი იმ კაპიტოზურისა. პარეიაზური თავისი ეშვებით ჩაფრენია კაპიტოზურს, ის კი აუტანელი ტკივილებისაგან საშინელი ხმით ღრიალებს... აგერ ადგილობრივი მხატვრის ჩიჩუას ნახატშიც ასეა. მხატვარს ტილოზე იმდენი სისხლი დაუტყვევია, თუ ახლოს არ მიხვალ, წითელი დროშების ფრიალი გეგონება.

დარბაზი დარბაზს მისდევს, ექსპოზიცია იცვლება... პირველყოფილი ადამიანები ქვის იარაღს აკეთებენ, მამონტებზე ნადირობენ, გამოქვამულში, ცეცხლისპირას თბებიან.

ცოტა აქვთ ადრე შუასაუკუნეებისა და ეთნოგრაფიის კუთხეებია... ტაძრები, ციხეები, გალავნები, ფრესკები, მოზაიკა... „ყაზაყიში ჯარგვალი“ — შუაეცხლი, ლარქაზე ჩამოკიდებული შავი კარდალი, ღომის შესახელი სუთით... გამურული ძელის კედლები, რომელთა გასწვრივ გრძელი სკამლოგინებია... შუაეცხლის ერთ მხარეს „მეგრელი“ ზის, პაჭიქები, ძიქვა და ბლუზა აცვია, თავზე ყაბალახი შემოუხვევია, გრძელი ყალიონი პირში გაუჩრია, მეორე მხარეს ჩითისკაბიანი დედაკაცი აკვანას არწევს, მუხლებზე ორიოდე წლის მოკლებლუზიანი ბავშვი ეპოტინება და პატარას ვარდისფერი ტაყენები მოუქანას... „ტინოსქუაში დარბაზი“ — გრძელფარდავიან ტახტზე ფეხმორთხმული ღიბიანი კაცი ჩიბუხს ექაჩება, ჩიტკოპიანი კნენია იქვე ჩამომჭდარა და ქსოვით ერთობა... ბოლოს თავადები — ლუარსაბი და დარეჯანი, სხვანაირი თავადები ბავშვებს საერთოდ ვერ წარმოუდგენიათ...

— დააკვირდით, ყმაწვილებო! — ბერის ბმა უფრო ძვლადი ხდება. — აქ ჩვენ ვხედავთ ბუნების საოცრებას! რას იტყვით, ყმაწვილებო, ვანა ეს საოცრება, — კაცი თვითონაც გაკვირვებული

ჩანს, — ვანა ეს საოცრება სამყაროში სიკოცხლის ჩასახვისა და მისი კვანძოთარების შეუცნობელ გზებზე სანაკუროდ არ განგვაწყობს?

ბიჭები პირდაღებულნი მისჩერებიან მუზეუმის ღირსშესანიშნაობას — ორთავიან ხბოს. მთელი ქალაქი ხომ ამ საოცარ ხბოზე მსჯელობს. მის სანახავად შორეული სოფლებიდანაც მოდიან. მოხუცი ქალები პირჯვარს იწერენ, ფუი ეშმაკსო, მიაყოლებენ.

— ძია ბერი, — თქვა უცებ მართალიმ, — ერთ სხეულში მარტო ერთი სული უნდა ჩასახლდეს! როცა მარტო ხარ, მაშინა ხარ თავისუფალი. ამაში კი ორი სული ჩასახლდა...

ბერიმ ბიჭი გაოცებით შეათვალიერა. კარგა ხანს აზრი ვერ მოიკრიბა. მეორე სართულის კიბეს რომ აყენენ, ფიქრი აეკვიტა, ეს ბავშვი ასაკზე მეტიაო. წუთის წინ ბავშვურად ჩხუბობდა, ახლა კი სულზე მსჯელობსო. რა იცის ამ ბავშვმა სულზე, ღმერთზე, სამყაროს ალტერნატიულ მოდელზეო.

— აჰ, ჩემო მართალი, ადამიანი პალიმფსესტს მაგონებს.

ვერც მართალიმ, ვერც სხვა ბიჭებმა შერეილის ქარაგმა ვერ ამოხსნეს, ბერი ზაქარაიამ კი სევდით გაიფიქრა:

„თვითონ მე ვარ პალიმფსესტი, რომლის ადრეული ტექსტი უფლისადმი ლოცვაა. ხოლო შემდგომი, გადაშლილზე ხელახლა დაწერილი — ღვთის უარყოფა... ეს ბავშვიც პალიმფსესტია. მასში ჩაწერილი კოდი სულს ეძიებს, სასკოლო ქრესტომათია კი იმას ჩასჩინებს, შენა ხარ ხორცი და მეტი არაფერიო...“

— მარტობაშიც არაა თავისუფლება! მარტო თუ ხარ, შენს არსებობას ვერაფერს შეადარებ. თავისუფლება ადამიანებში უნდა მოიპოვო... — უცებ გაწვიტა, თითქოს ზედმეტი რამ წამოცდაო, ენაზე კლიტე დაიდო.

ფართო კიბე აღის მუზეუმის მეორე სართულზე. ორთავ მხარეს მანცხვარკარელ მხატვართა ფერწერული ტილოები. ადგილობრივი მხატვრები ოპტი-

მისტები და რეალისტები არიან. ვინც ისტორიის წიაღში თემას ეძებს, აუცილებლად ერთსა და იმავეს უტრიალებს — „მკედელი უტუ მიქაეა მიუძღვის გლებთა მრისხანე ტალღას!“ დანარჩენების პური, პეიზაჟია — უმთავრესად ჩაის ზურმუხტოვანი პლანტაციებისა, რომელსაც ლოყებდაბრაწული, უბესავსე ქალები შესევნიან და პირზე ისეთი განცხრომა აწერიათ, იოლი მისახვედრია — ჩაის კრეფაზე სასიამოვნო საქმიანობას დედამიწის ზურგზე ვერავენ მოიგონებს...

კიბე ჯერ ბაქანს ებჯინება, მერე ორად იყოფა და მეორე სართულიც აგვრია. ბაქნის თავზე სამი ბელადის უზარმაზარი პორტრეტებია: „ლენინი რაზლივში“ — ვლადიმერ ილიას ძე ჯორჯოზე ჩამომჯდარა, შავი პალტო შინაურულად მხრებზე მოუსხამს და მუხლზე დადებულ ქაღალდზე გაფაციცებით წერს, იოსებ სტალინი კრემლის ფონზე — ქირიზს ჩექმები აცვია, ჯარისკაცის უბრალო შინელი და კოზიროკიანი ქედი. ხელში ტრადიციული ჩიბუხი უჭირავს. დიდი სტალინი მეტად უბრალო და შინაურული ჩანს; ლავრენტი ბერია კი თითქოს სიღრმეში დგას, ლურჯი სამოქალაქო კოსტუმში აცვია, მის უკან მხოლოდ და მხოლოდ ცის თეთრი ფონია.

ბიჭები მორიდებით აუვლიან ამ სურათებს, თვალს არიდებენ. ლენინს არა სცალია. ორი ბელადის მზერა კი, საითკენაც შებრუნდები, იქით გაგყვება.

ორად გაყოფილი კიბე კვლავ ერთდება და მის თავზე ისევ სამი პორტრეტია: აგერ მკედელი უტუ მიქა — გრდემლზე უზარმაზარი ურო დაუდვია და ტარზე მსხვილი, დაკუნთული მკლავით ეყრდნობა... აგერ კოჩი თოდუა ზის კუნძზე, დატყვევებულ თავადიშვილებს ასამართლებს... აგერ უტუ თოდუა, მართალიად წოდებული... კარგი აღნაგობის პირხმელ ვაჟკაცს ხელში საყდრის მაკეტი უჭირავს.

— აი, შენი წინაპარი! — ბერიმ კვლავ გამოარჩია ბიჭი.

მართალიმ თვალი მოქუტია ისე ახედა პორტრეტს. ერქუენულ!

— უტუ თოდუა, ზუზუქაჩხუჩხუჭხუჭე არ იყო, რუსეთიდან რომ დაბრუნდა, ჩებოტკიანსა პავადა.

კვლავ გაოცდა ბერი ზაქარაია, როგორც ტოლს, ისე შეეპასუხა:

— ამ სურათზე უტუ ჯერაც ახალგაზრდაა. საყდარიც ასეთი კი არა, ხისაა ააშენა!

— ჩვენი სახლის ფიცრები უტუ თოდუას გამოთლილია! — თქვა მართალიმ.

ღიბ, უტუ თოდუამ, მართალიად წოდებულმა, ქონების მოსახვეჭად ვერ მოიკალა. წარსულს ჩაბარდა ნგრევა-პარტახის ბოროტი წლები. ოფლიც საკმარისი ღვარა და სისხლიც, უპოვარიც იყო და ურდუს კეისარიც, მაგრამ ჰარმეგობის ვამს მანათი ფარა აღარ შერჩა, რუსეთის თოვლ-ყინულოვანი მხარეებიდან სული ძლივს ჩამოიტანა და ჩხერიისპირას, მაცხოვრისგორასთან დასახლდა... სახლის შენება რომ დაიწყო, საყდრის შენებაც წამოიწყო გორის თავზე. წაბლის ერთ მორს თავისთვის რომ გათლიდა, ორს — საყდრისთვის. საყდარი უფრო ადრე აშენდა. უტუ თოდუამ ებისკოპოსი მოიწვია, აკურთხებინა, სანთელი აანთო, ღვთისმშობლის სახელზე ლოცვა აღავლინა, თავისთვის მკირედი იკმარა, ორთველიანი ჩარგვალი შეკრა, ზევიდან ისლით გადახურა, იატაკი დატყვინა, შეაეცხლი გამართა და ღომის კარდალი ჩამოკვიდა.

უტუს ძემ გუდუმ ორ თვალს ორიც სხვა დაამატა, ვიწრო სარკმლების მაგიერ განიერი ფანჯრები გამოკრა. ვაქარი კაცი იყო გუდუ თოდუა, ფარაც საკმარისი უჩხრიალებდა კიბეში, მაგრამ თავისი მამის შვილს ღვთის მსახურება მიაჩნდა კაცთა უპირველეს ვალად. შეუჩნდა მეზობლებს, არც თავისი დაზოგა, სხვანიც დაიყოლია და მაცხოვრისგორის თავზე ძელური საყდრის ნაცვლად ქეთიკირის თეთრი ტაძარი ააყელყელავა, სამრეკლოს ზარები

ააწკრიალა, გუმბათზე ოქროს ჭვარი აღმართა.

— სულელი ხარ, ბაბაია, შენი — სიკვდილის სარეცელზე შწოლიარე გუდუს ჰადრა ერთადერთმა ძემ ნესტორმა. — არ იცი, ღმერთი რომ არ არის? გერჩინა ტრაქტირი აგეშენებინა, ანდა აბანო!

კოჭებში ეტყობოდა ნესტორ თოდუას, რა ეშმაკის ნაგრამიც იზრდებოდა. ტაძარს იგი რას შესძენდა, ტყვიის სამიზნედ გამოდგებო, ასე ბრძანა. არც მამის ჭონებისათვის წაუმატებია ბევრი რამ, მიწის ტყეხნა მობეზრდა და ძირს წაბლის ფიცრები დააგო...

ბევრი იცოდა ბერი ზაქარაიამ, მაგრამ ბავშვის სმენისათვის ყოველივე როდი იყო განკუთვნილი. ბავშვებს არ შეეძლოთ პალიმფესტის პირველი ტექსტის წაკითხვა, მათთვის მხოლოდ გვიანდელი, გადაშლილზე დაწერილი, მრავალგზის შემოწმებული და გაწონასწორებული ტექსტი არსებობდა.

მუზეუმის ფართო დარბაზებში გამოფენილია მანცხვარკარის წარსული, აწმყო და ბედნიერი მომავალი.

ბერი გაიჩრდა, საჩვენებელი ჭოხი გაიშვირა. კედელზე კვლავ სამი სურათი ეკიდა, რევოლუციის სამი მანცხვარკარელი არწივისა — ნესტორ თოდუასი, ძღვიბი თოლორაიასი და გერა კვარაცხელიას სურათები.

სიწყნარეს არღვევს ბავშვების მორიდებული ჩურჩული, ხელებმა, პარკეტის ჭრიალი. აქ დრო გაჩერებულა, მანცხვარკარის მატთანე ამ სურათებსა და წარწერებშია, მანცხვარკარი იმ ეამს დაიბადა, როცა დიდმა მართალიამ პირველი ხე წააქცია, მატთანის ბოლო ფურცელი კი ის წამია, როცა პატარა მართალი მუზეუმის კედელთან თავის დიდ წინაპარს შეხვდა.

— შეხედეთ, შეხედეთ, ყმაწვილებო, რიტმი, თუ იგრძენით, დროს თავისი რიტმი აქვს, მდინარების რიტმი... — ძია ბერი პერში ხელს ისე მოხდენილად არხევს, თითქოს დროის ორკესტრს დირიჟორობდეს. — წარმოიდგინეთ,

ყმაწვილებო, თავდაპირველად ტყეში მიკარგული, პატარა სოფელში წინა-ზინა არსებობდა... აჩქარებას ტყეში წამბაქმის შეუმჩნეველია, მაგრამ იგი არის... ეამთავლის ბორბალი ნელა ტრიალებს, მაგრამ ხომ ტრიალებს!... დღიას, ის აჩქარდება... თანდათან, თანდათან... ჯერ ჰრაკუნით, ძლივძლივობით... მერე და მერე აგუგუნდება, აგუგუნდება და ადამიანთა ბედ-იღბალს ფქვავს და ფქვავს... სისხლი და ოფლი, დაბადება და სიკვდილი... ასე წვალებამი აშენდა მანცხვარკარი, გაიზარდა, გაიშალა, გადაეფოფრა მიდამოებს, ორლობეებით დაქსელა ჩხერიის გაღმა-გამოღმა ჭალები... მერე ჯარგვლები ლში მოუვიდა, ბინა აქ მიიჩინა, ეს თელში მოუვიდა, ბინა აქ მიიჩნია, ეს თეთრი სასახლე წამომართა, ევროპული ბალი გააშენა, ჰადრის ხეივანი... სავაქრო ფარდულები ჩამომწყრივდა ხეივნის გასწვრივ... აყაყანდა ბაზარი, ქრიაშული დასცა მარულამ... ყველაფერი პირველით იწყება, ყმაწვილებო: პირველმა ბოქელმა ბილა უღვაშები დაიყენა... პირველი მშეთუნახავი მოიტაცა პირველმა შეყვარებულმა... გაჩნდა სასაფლაო, სკოლა, ღვინის სარდაფი, ციხე, დილივანი, ეტლი, რკინიგზა, ღია თეატრი, სინემა... მერე იყო პირველი გაფიცვა, დემონსტრაცია, აჯანყება, პირველი სისხლისღვრა...

მოულოდნელად სიტყვა გაუწყდა ბერის, დაცხრა, თვლებში ჩაუქრა ფანატიური ცეცხლი.

— ნახვამდის, ძია ბერი! კარამდე ჩააცილა ბიჭები. მართლის მხარზე ხელი დაადო, მოაბრუნა.

— ქალბატონი ეფრო და ქალბატონი ცაცანა მომიკითხე, მოჩხუბარიძე!

— დიას!

— გადაეცი, ხვალ-ზეგ ძია ბერი ვინახულებთ-თქო!

— დიას!

მუზეუმის გრილი დარბაზებიდან სინათლეზე გამოსული ბიჭები ერთმანეთს უხერხულად შეჰყურებენ.

— შერეულია რაი — განაცხადა
ლესტამზე თოლორაიამ.

მართალიმ ზურგი შეაქცია, წაიღია,
არიქა და ღურუ გამოედევნენ...

5

„მე, ბერი ზაქარაია, ძე სოლომონ
ზაქარაიასი, ღმერთის, მთავრობისა და
საკუთარი სინდისის წინაშე ფიცსა
ედებ, რომ არავითარი დანაშაული
ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყნის წინაშე
არც საქმით, არც სიტყვით არ მიმი-
ძღვის... არასოდეს მიენია პროლეტარია-
ტის დიადი საქმისათვის, მუდამ ვცდი-
ლობდი ერთგულად შემსრულებინა
პარტიის ბრძნული განაწესებები... ერთ-
ხელ მაცდუნა ვშამაკმა. რა თქმა უნდა,
ეს ბოროტი განზრახვით არ ჩამიდენია,
შემეშინდა, არაფერი დამბრალდეს-
მეთქი და გავჩუმდი...“

პალიმფსესტი დაეარქვი იმ ქალა-
ღებს, შემთხვევით, მუზეუმის აღწერის
დროს რომ წაეაწყდი. საარქივო საცავ-
ში, ძველი სეკრეტერის უკრა გამოეწიე
და შეკრა აღმოვაჩინე. ჩვეულებრივი
თაბახის ქალაღი მეგონა. იტვე გაზეთში
გახვეული საწერკალამი და მელანიც
იღო. რაკი გაზეთი რევოლუციამდელი
აღმოჩნდა, ძღვენიც უთფოდ იმდროინ-
დელი იქნებოდა. ყველაფერი ეს საწერ
მაგიდაზე დავალაგე. ავიღე ფურცელი
და ყოველგვარი წინასწარგანზრახვის
გარეშე ჭერაც 1918 წელს შეთხულო
ხალხური ლექსის ორი ბჭკარი დაეწერე
— „შქვით ნოემბერქ მუ მილუნი, ვაგა-
ქუორდუ მოხანდეს...“ კალიგრაფია კარ-
გი მიქეს, თავდაპირველად ამ კალიგრა-
ფიის გამო მიმიღეს მუზეუმის უმტატო
თანამშრომლად. ფურცელი ავწიე და
მზის შექვე ვავხედე ლამაზად ჩაწიქვი-
კებულ ქართულ ასოებს... ვავხედე და
ვერაფერი დავინახე... თვალეზი მოვი-
ფშენიტე, ქალაღი სუფთა იყო. ხე-
ლაზლა დაეწერე ლექსის ის ბჭკარი,
წუთიც და წარწერა ისევ ვაქრა... მივ-
ხედი, რომ ქალაღიც და მელანიც საი-
დუმლო ჩანაწერებისათვის ყოფილა
გადამალული. ეს კარადა რევოლუციის

შემდეგ ალბათ არავის გავხსნიდი და
გვიანი იყო ამისი პატრუქვე მუზეუმა...
ცხადია, შეეცდი, რომ ჩემს წინაშე
თოლორაიას არ ვაცნობე ყველაფერი,
მაგრამ იქნებ არ დამიჭერონ-მეთქი, ვი-
ფიქრე. როგორც, — მეთხავდნენ, —
ნახევარი საუკუნე ეს სეკრეტერი კუთ-
ხეში იდგა და მისი გახსნა არავის მოგა-
ვონდათო?..“

ბერი ზაქარაიამ საწერკალამი გადა-
დო, ხელისგულეზი პირისხეზე ჩამოის-
ვა. კაბინეტში მარტო იჭდა და შიშიამ
ფიქრებს უტრიალებდა. ცხადია, თავი
საფრთხეში ჩაიგდო, ნაღმზე იჭდა და
არ იცოდა ეს ნაღმი როდის აფეთქდუ-
ბოდა. იოლზე იოლი იყო ამ ქალაღდუ-
ბის ცეცხლისთვის მიცემა, მაგრამ დანა-
შაულის სიტყბოება აიძულებდა, გადა-
ეშალა იგი.

მაშინ ნაპოვნი შეკრა უკანვე შეინა-
ხა, ვითომ არც მიპოვნიაო. ამ რამდენიმე
ღლის წინ კი ბიკენტი თოლორაიამ დაი-
ბარა. გიწვევენო, რომ გადასცეს, მუხ-
ლებში სისუსტე იგრძნო. იფიქრა, რა-
დაცნაირად გაიგო ბიკენტიმ ჩემი საი-
დუმლო და შეიძლება უცხო ქვეყნის
აგენტობა დამბრალდესო. ძღვის მიაღ-
წია შინსაკომამდე. ბიკენტის კაბინეტი
მეორე სართულზე ჰქონდა და ბერიმ
ბარე ორჯერ შეისვენა სულის მოსათქ-
მელად.

მდივანი ქალი ბეჯითად აკაკუნებდა
შვე მანქანაზე, თვალი არც აუწევია,
თავის მოძრაობით მიუთითა, შედი, გე-
ლოდებო.

— მობრძანდი, მობრძანდი, ამხანაგო
ბერი! — ბიკენტი ფეხზე იდგა, ხელით
მაგიდასთან დადგმულ სკამზე ანიშნა.

— დამიბარეთ? — დამნეულად იყო-
თხა ბერიმ. არ იცოდა, რას უქადდა ეს
საუბარი. წინასწარ მოიფიქრა, თუ სეკ-
რეტერი უხსენეს, თავი ემართლებინა,
ჩვეულებრივი ქალაღი მეგონა და
არაფრად ჩამიგდაო.

— ჰო, საქმე მქონდა შენთან! —
ბიკენტიმ დაუცადა, სანამ ბერი დაჯდუ-
ბოდა და თვითონაც სკამზე დაეშვა,
ფიქრიანი თვალეზით მიაშტერდა.

საშუალოზე ცოტა მაღალი კაცი იყო ბიკენტი თოლორაია. ადრე უფრო ხმელი, დაწურული ვეკაკი ასოვდა ბერის. ასაკმა საგრძნობლად შეცვალა, პირისაზე დაუმრგვალდა, ტანზე ხორცი შეესხა, მიმოხვრა შეურბილდა, დაეხვეწა, კეთილშობილი, ჰუმანური ნიღაბი, მიიჩვიო, თუმცა თვალები არ ეცვლება თურმე ადამიანს. ბიკენტის მოციხვრო, მშვენიერი მოყვანილობის თვალები რატომღაც ნაკლებად მოსწონდა ბერის, ჯალღრად ღამაზე ეთქმოდა და ეს სიღამაზე ზიზღსა და შიშს უმძაფრებდა.

— როგორაა მუხუხუმის საქმეები? — სასხეათაშორისოდ იკითხა ბიკენტი.

ბერი შეეცადა, თავი ყოჩაღად დაეჭირა, სამეგრელოს გულეთა აქანყების თაბაზე ახალი ექსპოზიცია გავაკეთეთო, აუხსნა.

— კარგი ბიბლიოთეკა გაქვთ, მგონია! — ჩაურთო ბიკენტი, ბერიმ კი გულის ფანცქალით გაიფიქრა, კატა რომ თავს ეპარება, ისე ნელი-ნელ მუპარებო.

— დიახ, შესანიშნავი! — ხმა ძლივს დაიმორჩილა. — შესანიშნავი... მარტო ხელნაწერების ფონდი რად ღირს!.. ვუფხისტყაოსნის ხელნაწერი, მგალითად, ხომ იცით, ფასი არა აქვს... რამდენიმე ძვირფასი ბიბლია... პალიმფსესტი...

ქონდათ მართლაც ერთი პალიმფსესტი, მაგრამ ეს სიტყვა რომ ასხენა, ბერიმ თითქოს ზედ წაიბორძიკაო.

ბიკენტი ყურადღებით უსმენდა, თავს უკანტურებდა, თან ისეთი ინტერესით ათვალიერებდა, ბერის სიტყვებში ჩადებული ქარაგმის ამოხსნას ცდილობსო, ანდა უარესი — ფარული ფიქრების ამოკითხვას აპირებსო.

— შენზე ამბობენ, დისერტაციას წერსო! — თქვა ბიკენტი. — საიდუმლო თუ არ არის, რაზე მუშაობ?

— სწორედ იმ პალიმფსესტზე... ძველი აღთქმის ფრაგმენტია, იაკობს რომ კიბე დაესიზმრა და ზედ ანგელოზებში მიმოდიოდნენ... ვფიქრობ, ძველი ნაწერი მეშვიდე საუკუნეზე გვიანდელი არაა, ახალი კი აგერ მეცამეტე-მეთოთხმეტესი...

— ჰო! — ბიკენტიმ ხელიგული გაიდას გადაუსვა, წამოდგარკვეთხაქარაია. — საინტერესოა, ვერაფრით გავგო ბერის, რისთვის ინტერესებდა შინსახუმის უფროსს ეს ამბავი. თვითონ მხოლოდ იმიტომ მოაკიდა ხელი, იფიქრა, შორეულ საუკუნეებს შევაფარებ თავს, იქ მაინც კარზე ვერაფერ მომიკაუნებსო... ბიკენტიმ კი მოუკაუნა და ეგაა! მიდი-მოდის კაბინეტში, ბოლთასა სცემს, ფიქრობს, ბერი ჩუმად ზის, დრო მიეცა და კაბინეტს ათვალიერებს.

ხალვათი კაბინეტი ქქონია ბიკენტი თოლორაიას; ფუნქციონერის სამკუთხა მავიდა და მკაცრი წესრიგით ჩამწყობებული მაღალზურგიანი სკამები... კუთხეშიც დგას ერთი უბრალო სკამი, განაგონი ქქონდა ბერის, ეს სკამი იატაკზეა მიმაგრებული და პტიმრები-სათვისაა განკუთვნილიო. მადლობა ღმერთს, არავის უთქვამს, აბრძანდი აბლა ბერი-მამამადლო და გადაგქი იმ სკამზეო.

— ახალი ტექსტი რა შინაარსისაა? — იკითხა ბიკენტი.

— ნივთების ნუსხაა, — აუხსნა ბერი, — ან მზითევია ჩამოთვლილი, ან ვაჭარი ვინმე ინიშნავდა.

ველავ დაღუმდნენ. ბიკენტი ისევ ფიქრს მიეცა, ან იქნება ამ დღემილოთ აგრძნობინებდა ბერის, ხედავ რა მძიმე სამსახური მაქვს, რამდენი საფიქრალი მიგროვდებო.

ბერიმ თავი მოაბრუნა, კედლის სურათიდან სტალინმა შემოქლიმა. ორმოციოდე წლის სტალინს შავი უღვაშები ქქონდა. წუთის წინ ალბათ იცინოდა და თვალების კუთხეებში ნაოქები ჭერაც არ გაქრობოდა... რაზე იცინოდა დიდი ბელადი?.. თითქოს ხედება, რომ ბერის სულში შიშია ჩაბუდებული... უსაფუძვლო შიში... მეორე სურათიც გადმოკუყრებდა ბერის ყურადღებით. ლავრენტი ჰავლეს ძის სათვალეს თეთრი ანარეკლი აბრკვეიალებდა. მის თვალებში ვერც განაჩენს ამოკითხავდა კაცი, ვერც თანაგრძნობას... კუთხის

სეიფზე ლენინის თაბაშირის სკულპტურა იდგა, ორი მტკაველის ზომისა, ბელადს მხრებზე პალტო მოგდო, გადაშლილ „პრავდას“ ჩაღრმავებოდა და მელოტი ვაჟა ზარქუასაგით თეთრად! ულაპლაპებდა... ლენინს არ ეცალა ბერი ზაქარაიას მფრთხალი ფიჭვებისათვის...

სამაგიეროდ ბიკენტა თოლორაიას ეცალა მისთვის. ბოლოს ცემა შეწყვიტა, ენერგიულად დაუბრუნდა თავის სკამს.

— ამხანაგო ბერი... მმ, უცნაურია მეტად, დიდი ხანია გიციობ, ვიცი, ჩვენი კაცი ხარ, პარტია შენ გენდობა...

— მადლობელი ვარ! — მღელვარებისგან პირი გაუშრა ბერის, ბიკენტიმ კი მის სიტყვებს ყური არც ათხოვა, ისე განავრძო:

— დალაზგროს ეშმაკმა, ახალა მივაქციე ყურადღება... სახელად გქვია ბერი, მამაშენი სოლომონი მღვდელი იყო, მერე ეს პალიმფსესტი, ბიბლია და მისთანანი...

— თქვენ, მებრძოლმა ათეისტმა, ამ წუთას ახსენეთ ეშმაკი, თემცა ეშმაკისა არაფერი გწამთ! — ნაძალადევი ღიმილი შეაგება ბერის. — თქვენ იცით, ჭერ კიდევ როდის მიმიღეს კომკავშირში, ბერობასთან და ეკლესიასთან არაფერი მაკავშირებს, მუდამ პარტიის მთავარ გეზს მივყვებოდი და არსაითყენ გადამიხვევია!

— ჰო, — თვალი აუცამიძდა ბიკენტის, — ვიცი, მამაშენი საყუთარი ხელით რომ გაკრიკე!

ბერის პირზე სიწითლე მოასკდა... დიხ, მოხდა ესეც!.. ყმაწვილი იყო, მოტყუებული და რეგვენი... მთელი სიცოცხლე უნდა ეზოდა ცოდვის სიმძიმე, თან ამის გაცხადება არ შეეძლო. უთქმელად მონანიება ვერ შედგებოდა, მოუნანიებლად კი უფალი არასოდეს ამატიებდა! არსებობდა კი უფალი?.. ესმოდა ბერი ზაქარაიას მწუხარე სულის ძახილი?.. სურვილი წვაგდა, ვინმეს მინდობოდა, გული გადაეშალა, ოღონდ, ვის უნდა მინდობოდა ამ დაუნდობელ

ვამს?.. სწორედ აქ, ბიკენტის თოლორაიას მჭრქალად განათებულ კაბინეტში გაუკრთა აზრი, ქალაღის მტკაველის მწიქნდო საიდუმლო, სეკრეტებში დამალული ქალაღისათვის. ამ ფურცლებზე დაწერს იგი მისთვის მისაწვდომ სიმართლეს, ზედ კი — ჩვეულებრივი მეღნით, — საყოველთაო სიცრუეს, ფარად რომ აუფარებია თანაბრად ყველას... ვაჟა დრო, შეიცვლება ეამი და პალიმფსესტი გაცხადდება, სიცრუის ქვეშ შენიღბული სიმართლე წაიკითხება...

— კარგად მახსოვს ის დღე... რამდენი ვიციენთ!.. უპ, რამდენი... — ახლაც კრიკება ბიკენტი, ჯანსაღი კბილები მოუჩანს. მართლაც ლამაზი კაცია, თავიც მოსწონს და სხვასაც აწონებს. მაგრამ ბერის ის სძულს საშინელი სიძულვილით... ოღონდაც, სიმართლის გამჟღავნებას ვერ ბედავს, მამის გამწირავი კაცი გმირი ვერ გახდება!

აგერ, ბიკენტისაც ნათლად ხსოვებია ის დღე, ბერის გულს რომ ღია ჭრილობად დააჩნდა, მისი ცხოვრების გზა სიცრუის კალაპოტში მოაქცია...

ეს ამბავი უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ქოსა ძლიზიამ, ბიკენტის მამამ, და ნესტორ თოდუამ მაცხოვრისგორაზე თეთრი ტაძარი ჩამოანგრიეს. კომკავშირის ახლადგამომცხვარი კანდიდატი ბერია ზაქარაია ნალიაში გადამალულ მამას — სოლომონს ხმის ჩასლყაამდე არწმუნებდა, ღმერთი არ არის, შენ კი წერებელა და მატყუარა ხარ, მოისროლე ეს ჭვარი და ჩვენთან, პროლეტარებთან გადმოდიო. უყურა სოლომონმა ატროცებულ შვილს, უყურა და ისეთი ალიყული აჟამა, ეს მოზგერივით ბიჭი ფეხზე ძლივს გაჩერდა, თვითონ კი სწრაფად, სწრაფად პირჯვარი გადაიწერა, „შემინდე, უფალო, შემინდე მე ცოდვილსო!“ ბერის ცრემლი წასკდა და ანჩხლად მიაყვია, უფალს კი არა, შენდობა მე მთხოვე. შენს გამო კომკავშირში არ მღებულობენო... გავარდა გარეთ, შეყარა კომუტრედის წევრები, მიუყვივდნენ სოლომონს, ჩამოათრიეს ნალიიდან და ჭორზე უკუღმა შესვეს...



„ნუ მარცხვენ, შეილო!“ — თვალზე ცრემლი მოადგა სოლომონს... გული ჩაუფარდა ბერის, მაგრამ უკვე ვერაფერს გამოასწორებდა და იბტიბარი აჩაგაიტყბა... ახალგაზრდებმა მხიარული ხორხოციით მისდიეს ჯორს, ქუჩა-ქუჩა ჩაატარეს, რევკომის წინ დალაქი შეაგებეს. ზორბა კაცი იყო სოლომონი, გაუძლიანდა, მერე დაწყნარდა და მწუხარე ხმით ერთხელაც შეეხვეწა ბერის: „ნუ მარცხვენ, შეილო!“ რაღა დროს! ბერიმ ხელზე იკბინა და ტყვიელი ვერ ატარა. მთელი ქალაქი გარეთ გამოეფინა. აივანზე ძღვიები თოლორაია და ნესტორ თოდუა გადმოდგნენ, უყურებდნენ და იციხოდნენ... დალაქმა მკრატელი მოუმარჯვა, გაატაკუნა და მღვდლის წვერი მტვერში დაცივდა. ახალგაზრდები, სასიერო რამ ნახესო, ზედ ბუქნას მოჰყენენ... სოლომონმა თავი ასწია და რაღაც ჩაიჩურჩულა. გაკრეკილი მღვდელი მართლაც სასაცილო იყო, თითს უშვერდნენ და ხარბარებდნენ... მხოლოდ ბერი იდგა გამტკნარებული. შეილმა მამის სიტყვები მოისმინა. ღმერთს შესთხოვა სოლომონმა: „უფალო, მიუტყვე, რამეთუ უმეცარნი არიან!“ ბერის კი ტვინში თითქოს ვიღაცამ ჩასძახა: „რეგვენო, გეშინოდეს უფლის რისხვისა!“

ამასობაში ჯორი შეაბრუნეს, უკუღმა შემჯდარი, გაკრეკილი სოლომონი ბულვარზე ხელახლა ჩასეირნეს, შინ მიაბრძანეს. ჯორი რევკომმა წაიყვანა. კომკავშირლებიც გაიკრიფნენ და ეზოში ორნი დარჩნენ — მამა და შეილი. მხრებჩამოყრილი, დაჩაივებული იდგა ეს აქამდე ამახი ვეკაცი. ბერი ზურვში უყურებდა, მაგრამ მიხვდა, რომ მამა ტირიდა. უნდოდა ფეხებში ჩაეარდნოდა, პატიება გამოეთხოვა... ველარ გაბედა!

სოლომონი შინ შევიდა, ლოგინში ჩაწვა, კედლისაკენ მიბრუნდა და აქეთკენ პირი აღარ უქნია.

მეორე დღეს მიიღეს კომკავშირში ბერი ზაქარაია. ხმის კანკალით წარმოთქვა ფიცი. უკვე იცოდა, რომ ცრუ

ცხოვრებით უნდა ეცხოვრა. სიმართლეს გულში იმარბავდა, იგი სეკრეტულად უფრო იყო, ცხადში კვამლური მხარე შირელი, მერე პარტიელი ბერი ზაქარაია ერთგულ ჯარისკაცად ედგა მაღალ მითითებებს.

— მაგრად იეშმაკე შენ მაშინ! — თქვა ბიკენტომ.

ბერის ნირი შეეცვალა, ვერ გაიაზრა, რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

— შენმა პარტიულმა ერთგულებამ გადაარჩინა მამაშენი, თორემ გაკრეკას ვინ აკმარებდა! — ბიკენტომ მაგიდას ხელისგული გადაუსვა, თითქოს მღვდლის აჩრდილს შლიდა: — ისე, დიდხანს ვერ იცოცხლა სოლომონმა!

— ჰო, ერთ თვეში მიიცივალა!

— ბრვე ვეკაცი მახსოვს! — გაილიმა ბიკენტომ. — ასე უცებ რამ დაადნო კაცი, გასაკვირია!

გაკვირებული ბიკენტი კი არა, ბერი აღმონდა. ბიკენტის სიტყვებში გულწრფელობა ელერდა. ნუთუ ვერ ხედებოდა, რომ შეილმა მოკლა მამა. ბერი იარაღი აღმონდა, ჭოსა ძღვიბიასა და მისთანების იარაღი. იმათ გაისროლეს, ოღონდ შეილის ხელით. იმ დღეს, როცა მთელი ქალაქი მისცემოდა მხიარულებას, იქნებ მრისხანე ღმერთს ეწაფი კიდევ დაესაჯა მანცხვარკარი, მოესრა სოლომონსა და გომორასავით, მაგრამ სოლომონის სიწმინდემ შეაჩერა უფლის მსახვრალი ხელი... ასე ფიქრობდა სამსახოვანი ბერი ზაქარაია, რომლის არსში ერთად შეზავებულიყო იუდას სული, უფლის შიში და კომკავშირული რწმუნა... ყოველივე ამას ვერ ხედებოდა ბიკენტი თოლორაია. არც ის იცოდა შინსახომის უფროსმა, რომ სეკრეტერის უჭრაში ბერის უღვეს ქალაქის დასტა, რომელიც ახალ პალიმფესტად გადაიქცევა... „შე მას პარტიულ ამხანაგად და მისთა საქმეთა თანამონაწილედ მივაჩნივარ!“ — გაიფიქრა ბერი.

— პალიმფესტს დროებით შეეშვი! — ბიკენტის რჩევას ბრძანების კილო დაჰკრავდა. — ზომ ხედავ, რანაირი ეამი დაგვიდგა. კლასობრივი ბრძოლა



„სიმართლე?.. რა არის სიმართლე? — ეკვი აწვალებს ბერის. — სად არის სიმართლის ათელის წერტილი?“

გაზეთის ნაცრისფერი სიტყვები, არქივის საბუთების ყვეთელი სიტყვები, დედაბრების ვარდისფერი და შინდისფერი სიტყვები, ბერი ზაქარაიას ხან შავი, ხან ლურჯი სიტყვები... რას ნიშნავს „სიტყვები“?

სიტყვები... სიტყვები... სიტყვები... მანკვარკარის ორლობებში ნიაგი დაფაჩუნობდა, თან დაქონდა უცნაური, მანამდე გაუგონარი სიტყვები — თავისუფლება... თანასწორობა... ავტონომია... ჩვენ საქართველო ვართ!.. ჩვენ გუბერნია არა ვართ!.. ჩვენ სამშობლო გვაქვს!.. ჩვენ სამშობლო არა გვაქვს!.. ჩვენ პროლეტარები ვართ! ჩვენი სამშობლოა მთელი დედამიწა!.. სიტყვები... სიტყვები... სიტყვები, ჩემ ნიავს ორლობებში რომ დაქონდა, ყოველ ჯარგვალსა და ოდაში აღწევდა, სულს ამღერედა, აფორიაქებდა... ხალხი მოედნებდა და ბულვარებზე გაჰყავდა... პირველი თავყრილობები... პირველი ტალღა რევოლუციისა... პირველი დემონსტრაციები... გაფიცვები... გიმნაზისტებისა და სემინარისტების ამბოხი... საპოლიციო უბნების რბევა... ტალღა ტალღას აჰყვა, ტალღა ტალღას მიეხალა... ცაცანა ჩაითრია აღნიანთა მორევში, ეფროც ჩაითრია, ხან აქეთ მიადგო, ხან — იქით... „აჰ, ბოდიში ცირა, მგონი ფეხზე დაგაბიჯეთ!“ — უკაცრავად, პატონი!“ „ნამეტანი ხომ არ შეგაწუხებთ, ქალიშვილო?“ „პირიჭით, პატონი!“ — ბრბომ ცაცანა გერას მიაჰყვავა, ეფროც — ნესტორს... ქოსა ძღვიბია ამ დროს ღვინის კასრზე იდგა, ცხელ და მძულვარე სიტყვებს ისროდა: „ძმებო! ჩვენ ჩაგრულნი ვართ!.. ჩვენ დასაკარგავი არაფერი გვაქვს, ბორკილების გარდა! ჩვენი სამშობლოა მთელი დედამიწა, ჩვენი ვრია ყველა დაჩაგრული და უპოვარი!.. წინ, ძმებო, დავანგრიოთ ასპიტთა ეს ბუდე!“

ენა უჭრიდა ქოსა ძღვიბისა და მანკვარკარში პირველად მან თქვა სიტყ-

ვა, მანკვარკარში წითელი დროშა პირველად გერა კვარაცხელი მანკვარკარში, მანკვარკარში ჩაიხვეწა ნესტორ თოდუამ გაისროლა...

— სამრეველი ვაჟი ვაჟი იყო! — ცაცანას თვალები გაუბრწყინდა. — ძღვიბი ტანშორჩილი, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოუსვენარი მახსოვს... ნესტორსა და გერას თვალს ვერ ააწვდენდი. ნესტორი ფიცხი, გერა — მშვიდი... გაბრაზებული არ მახსოვს... ჯარობაზე იქიდავეს, ღონე მოუსინჯეს ერთიმეორეს...

პარასკეობით, ბაზრობაზე, მინდვრის კიდეზე ტაშ-შანდური იმართებოდა. გოგონები ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენ, ბიჭები ბედაურებსა ჰგავდნენ... კუთაცხენი ცეკვა-თამაშით ერთობოდნენ, ღონიერებს საჭიდაოსკენ მიუწევდათ გული. მძლავრი ტორები გადააქდეს ნესტორმა და გერამ, იჯაჯგურეს, იბუქნავეს — ვერც ერთმა გადასძალა, ვერც მეორემ. კუთაცხლისასვით დახტოდა ქოსა ძღვიბია, ხელში წყნელი ეჭირა, მაყურებლებს ფეხებში უფაუნებდა. „დაიხიეთ, დაიხიეთ, წრე, წრე!..“

— ქალური ხმით გაჰყოდა... ცოტათი კოჭლობდა ქოსა ძღვიბია და იმიტომაც დახტოდა, ნაკლი რომ დაემალა...

გოგონებმა, ეს რა დათვები დაბაჯბაჯებენო, კისკისი მორათეს... ცაცანა აქაზახდა სხვაზე მეტად; ეფრო ხითხითებდა, ტურნებზე ხელისგულს იფარებდა. ვარდივით გადაფიჩინდა ჩათა — ქოსა ძღვიბიას რჩეული...

თვალები გან-გან წაიღო ქოსამ დეგოგონებს ჩასჩურჩულა:

— აბა, ძღაბეფი, შენც ეფრო და შენც ცაცანა, გაიქეციეთ შინ და მშობლებს მოახსენეთ, ხვალ ჩვენს სათხოვნელად გერა და ნესტორი მოვლენ-თქო!

მერე ჩათას წინ დატრიალდა, მაიმუნეით დაიშანჯა, ააქისკისა და საცეკვოვად გაიტაცა.

ეფრომ და ცაცანამ ერთმანეთს გადახედეს, გაიბუსნენ, დაფრთხნენ. ასეთი ხუმრობა გავგონილა?

— მეორე დღეს მართლაც მოგვაკითხეს, კირიმე! — ალაც გოგონებთან

იგონებს ცაცანა. — აქი ხუმრობა გვეგონა! ის ღამე ეფროსთან გაფათე და დილაშე ბჭობა გვექონდა, იქნებ არც ხუმრობენ და მოვლენ-თქო... ისიც ვერ გაგვევჩინა, რომელი რომელს გვთხოვლობდა. მე უფრო გერა მომწონდა, ეფროს — ნესტორი... ასეც მოხდა...

გერა კვარაცხელია მორცხვი კაცი ყოფილა. ეტლში ზმაგვემენდილი იჭდა. შინ, საკუთარ ქარგვალს რომ მიადწიეს, გაუბედავი ადამიანების ჩვეულებებისა მებრ, ზედმეტად გაისარჯა, პატარძალს მიწაზე ფეხი არ დააკარებინა, ხელში აიტაცა და ეს თეთრი პეპელა თავის გამკვერტლულ ქარგვალში შეიყვანა. ძირს დაშვება ველარ გაბედა და კერი-ასთან ჭორივით გაჩერდა. ცაცანას სიცილი აუტყდა, ცხვირი კაცის კისერში ჩარგო და მოუღიტინა...

— ეფრო-ბები, შენ ხომ მთლად ფიორა ჩიტვიით იქნებოდი? — იკითხა მართალიმ.

უფროსებს გაეცინათ.

— ხელებზე აყვანისა რა მოგახსენოთ, — ეფროს დამკვნიარ ბაგეებზე ღიმილი მიიქუქკა. — ნესტორი ისე მიაბიჩებდა, ვერაფრით მივეწიე. არიჭა, გამეჭკეცვა-მეთქი და თავი მოვიკალი. ეს ოდა მაშინ ხომ ძირს იდგა, ორსაფეხურიანი კიბედა ჰქონდა. ნესტორს საფეხურებისათვის ფეხი არ დაუკარებია, დირეს ისე გადააღაჯა, ჭორკოზე ჩამოჭდა, ჩექმები წაიძრო და მიბრძანა: ფეხის წყალი მომირბენინე, შურიგე!

— ტყუი, ტყუი! — ქოჭოლა დააყარა ცაცანამ.

— შენ კი სულ სიმართლე ჩამოკაკლე! — უბოროტოდ შეეპასუხა ეფროს.

— ყველანი აქ ვიკრიბებოდით, ეფროსთან! — მოგონებებით გათბა ცაცანა. — გვიან ღამემდე კამათობდნენ კაცები, ძღვიბი თოლორაია ქალივით გაკვიოდა, მარქსი და მარქსიზმიო, პროლეტარი და პროლეტარიატიო... მაშინ ხომ ახალი სიტყვები იყო, ყური შეჩკეული არა გვექონდა და გვეუცხოებოდა ნესტორიც ასე იძახდა, მარქსი და პროლეტარიატიო. გერაც, ოღონდ დინჯად

და უფალ ღმერთს დაბუროლებდა! მიკვირდა, ყველანი ერთსე თე მანვეს თე ლაპარაკობენ, საკამათო-ღიკვერტლუქოქი... წერა-კითხვის უცოდინარები ვიყავით. მე და ეფრო...

— შენ მაშინაც კეთის კოლოფი იყავი! — შეაწია ეფრომ.

— ყველანი ერთად ვიყავით! — ცაცანას ხმას სეედა შეეპარა. ეფროს შენიშვნას წაუყრუა. — თითქოს ვერაფერი გაგვეკრიდა. მე მართა მეწვიინა აკვანში, ეფროს — ტატაჩი, ძღვიბის — ბიკენტი!

— ვინ იფიქრებდა, ქოსა ძღვიბია ქალს თე იშოვიდა! — დაადლო უცებ ეფრომ.

— რატომ? — ცაცანას ეფროს ქილიკი არ მოეწონა. — ჩათას მზე დ მთვარე ამოსდიოდა ქმარზე, ოღონდ უხანე ყოფილა ის საცოდავი. ყველას აჭობა ძღვიბი თოლორაია მ კეკით. ისეთი ძალა იშოვა, ძღვიბის დაძახებასაც ვერ უბედავდნენ, შინაურები „ბიკენტის მამაო“ იტყოდნენ, შორებელნა „ამხანაგო თოლორაიაო!“

— „ბიკენტის მამა“, — ჩიბითხითთ ეფრომ. — საკუთარი სახელი დაკარგა კაცმა.

სამიში ქალი იყო ეს ეფრო, არაფერსკ ერიდებოდა... ბერი ზაქარაია მ ქალისკ სიტყვები ვითომც ვერ გაიგო, უბის წიგნავი დაეკო და შეინახა...

წინა დღეს ბერი ზაქარაია მ ადგილობრივი გახეთის „მებრძოლი სტალინელის“ რედაქციის თხოვნით ორგვერდინი წერილი გააშინშალა. ასეთ წერილებს ადრეც უკვეთავდნენ ხოლმე. დიდი ტენისს ჰყულებთ ამას არ სჭირდებოდა, რადგან ტრაფარეტულ, მხამზარულ ფრაზებს თავს მაინც ვერ დააღწევდა. ერთგვარი ზიზღის გრძნობით ასრულებდა დავალებას, რადგან კარგად იცოდა, ამ სიტყვებში ქეშმარიტების ნატამალიც არსად მოიძიებოდა. ქეშმარიტება სის-



ზღაწი და სასტიკი იყო. სიმართლის სინათლე სულს განწმენდს ხოლმე, ოღონდ ამისი უფლება ბერის არა ჰქონდა და სიკრულის კუჭკუი სულში ელექებოდა... აჭერადაც წერილის შინაარსი. ოქტომბრის ოცდამეათე წლისთავს რომ უძღვნა, მანცხვარკარელ რევოლუციონერებს ეხებოდა. სამი ვაჟკაცის — გერაკვარაცხელიას, ძღვიბი თოლორაიას და ნესტორ თოდუას თავდაცდასავლები ოქროს ვარაყში უნდა ჩაესვა, ყოველნაირად შეელამაზებინა, მწიკელი თუ რამ ეცხო. ჩამოერეცხა... ეს მატყუარა წერილები, თამაშის კანონით შეთხზულები, ათვლის ერთ წერტილიდან დანახულა სამყაროს ფანტასტიკურ განზომილებას იძლეოდნენ... რატომ ვაკეთებ ამას? — ფიქრობდა ბერი. — ხომ შემიძლია უარი ეთქვა?.. არა მაჭვს, ანხანაგებო, წერის ნიჭი და ხერც მიკვეთავთ. სხეც ბევრია ისეთი, კალამს საითაც ვანდათ, გააჭვენებს...

ფიქრობდა ასე, მაგრამ იცოდა, ვეოსოდეს ვაბედავდა ამ სიტყვების ხმა-მალა წარმოთქმას.

„რისი უნდა მეწინოდეს მე, ბერი ზაქარაიას?.. რისი ეშინია ადამიანს საგართოდ?.. ვითომ ლაჩარია და იმპტომ?.. უშიშარი კაცო იყო მამაჩემი, სოლომონ ზაქარაია. ერთი რამისა ეშინოდა მხოლოდ — შერცხვენისა და ამას ვერ ასცდა... შიში ჩვენს სულში იმთავითვე ჩაბუდებულა, თავისუფლება აღბათ შიშისაგან განთავისუფლებაა. ამ გაგებით ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ თავისუფალნი. რევოლუციაც იმიტომ მოხდა, თავისუფლება მოგვეპოვებინა, მაგრამ მანუერის თავისუფლებამ სულის თავისუფლება აკვანშივე ჩაკლა და თავისუფლების წილ დაგვრჩა შიში... უფლის წინაშე დავიფიცებ, რომ სიკვდილისა არ მეშინია. მაშ, რატომ მეშინია, რომ ეს უბრალო, არცთუ უჩვეულო სიტყვები ჩვეულებრივი მელნით ჩვეულებრივ ქაღალდზე ჩაიწერო. ბოლოს და ბოლოს სიკვდილზე უარვისვის რა დამპრთნია?..“

„მებრძოლი სტალინელისათვის“ დაწერილ წერილს დახედა. ქართულად ფარებულა — „რევოლუციონერული“. შინაარსიც ტრაფარეტულია, სტილი კანცელარული, ქაღალდის ვირთხას დაწერილი. მისწვდა, უნდოდა გადაეცხნო, მაგრამ გონს მოეგო, განზე გადადო. დიახ, ხეალ რედაქციაში გაგზავნის, გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდავენ. გვარს არ მოაწერენ, სარედაქციო წერილად გაასაღებენ. კითხვით მაინც არაეც კითხულობს მსგავს წერილებს...

ბერიმ ქაღალდების სულ სხვა დასტა მოსწია. ზედ ლამაზი კალაგრაფიით გამოიყვანა: „რევოლუციის 30 წელი“. ჩაფიქრდა და ჩამოწერა: „1. გერაკვარაცხელია, 2. ძღვიბი თოლორაია, 3. ნესტორ თოდუა“. და კიდევ ქვევით: „დასაწყისი“.

სანამ ბოლო სიტყვას დაწერდა, პირველი უკვე გაქრა, ბერი კი, ლამეს შეფარებულა, თავის ოთახში განმარტოებულა, შიშისაგან განთავისუფლებულა შეუდგა აღწერას გერაკვარაცხელიას შიშისა... მრავალი წლის შემდგომ მართალი თოდუა ეტყვის ბერი ზაქარაიას: ძია ბერი, ის შიში ჩემშიც ეოცხლობს. დაბადებულა არც ვიყავი, უფლის განაწესშილა ვეწერე, მაგრამ ჩემი მომავალი არსებობის ხაზი ნესტორისა და გერას, ეფროსა და ცაცანას ცხოვრებაზე უნდა გასულიყო, იმთავითვე თანამონაწილე ვიყავი მათი სილაჩრისა და გმირობისა, მარცხისა და გამარჯვებისა...“.



ოქტომბრის იმ დღეს — ეს მოხდა 1906 წელს — გერაკვარაცხელიამ სასახლის ქუჩაზე სიკვდილის ცივი სუნე თქვა იგრძნო და სიციცხლეში პირველად მძიმე გამოცდას ვერ გაუძლო. აზრი თითქოს გამოეთიშა, ძალა ფეხებს მიეცა, იმდენად მოულოდნელი, იმდენად დაუჭვრებელი რამ ხდებოდა, მისი სხეული თავისთავად ესწრაფვოდა გადარჩენას... ყველაფერი აირია, ყველა-

ფერი ყირაზე დადგა და გერას შეხსიე-
ეკბას შერჩა მხოლოდ ფრაგმენტები
— გააფთრებული, გიყური სახეები კა-
ზაკებისა, შიშველი ხმლები, ცხენების
ოფლიანი, მოღრეცილი კისრები, გაშ-
ლილი ფაფარი და ძუა, ჭაფიანი, ყვითე-
ლი კბილები... ძირს დაცემული ქალი,
ბრბოსაგან გათელილი — ვერავენ იც-
ლიდა ხელის შესაშველებლად... თოფე-
ბის ჭახავები და ზრიალი... ზრიალი...
ხმაურისაგან თავი უსკდებოდა გე-
რას, შიგ ტვინში გუგუნებდა რაღაც
უსაშველო და გაუგებარი... ყურში ისევ
და ისევ ჩაესმოდა მკახე და უხეში —
«Шанки долой», სროლა, წვივ-კვი-
ლი, გნაისი... გარბოდა გერა და სიკე-
დილის შიშს ცნობიერებიდან ამოეშან-
თა ყოველივე დანარჩენი, თავზევით
გრძნობდა სისხლიან ხმალს, ზურგში
შაშხანის ხიშტი ებჭინებოდა თითქოს,
მისთვის გასროლილი ტყვია ეწეოდა
და იმასაც გაუბრბოდა... გარბოდა პროს-
პექტზე და დავიწყებოდა, რომ არსე-
ბობს ეშმაკი, სულის წილ სიცოცხლეს
რომ გაჩუქებს, და არსებობს ღმერთი,
თავდადების წილ უკვდავებას რომ გა-
ზიარებს... არჩევანის შესაძლებლობა
დავიწყებოდა...

„სამხედრო სობორის“ თეთრი კედ-
ლები... გიმნაზიის ნაცრისფერი შენო-
ბა... გიმნაზიელთა ტალღა, გერა კვარა-
ცხელია შენობაში რომ შეიტანა... კი-
ბე... სართულები... ისევ კიბე... აღმა...
დაღმა... იყო უამრავი კარი, მაგრამ
დასამალი ადგილი ვერსად ეპოვა...
ფანჯრებში შუშის მსხვრევის ხმა... ჩე-
ქმების ბრაგაბრუვი პარკეტზე, ყმაწვი-
ლთა დამფრთხალი თვალები თითქოს
ნისლში მიცურავენო და კაზაკები: ლუ-
რჯი თვალები, ქერა უღვაშები, სიკე-
დილის ბანგი, სისხლის ყაყაჩოები...
ეგონა გერას, რომ მხოლოდ მას მის-
დევდა სიკედილი, მხოლოდ ის აედო
მიზანში... ამიტომაც ვერ გაეგო, რატომ
ეყარა ძირს გვამები, რატომ დოდა სი-
სხლი, გოდებით რატომ იყო პაერი
საესე... დერეფანში მოუხვია... კვლავ

კიბე!... ზევით თუ ქვევით... აქვთ თუ
იქით... საფეხურებზე ჩაიბრუნეთ ან
იზოვა, პატარა საკანი... უკმაყოფილო
ცოცხებში ჩაიშალა... სმაურმა შორს
გადაინაცვლა, თითქოს შენელდა, ჩაიხ-
ნო... ალბათ ბამბის კედლები ჰქონდა
საკანს, ამიტომაც ვერ აღწევდა გარე
ხმები, ანდა გერას გულის ბაგაბუგი
ფარავდა ყველა დანარჩენ ხმას.

ზის გერა ბნელში, ცდილობს სუხთ-
ქვა დაიოკოს, ცდილობს ვაქრეს, კედე-
ლში გაუჩინარდეს...

ჩქარი და მსუბუქი ფეხის ხმა ისმის,
ვიღაცა მორბის, კართან წრიალებს,
აღებს, შემოდის, ისევ ჩაუტეკდება, ბა-
ვშეურად სლუყუნებს...

უცებ თითქოს კარი გახეთქესო, ტა-
ლსასაყით შემოვარდება ღრიანცელი,
ყვირილი, ღმუილი...

— აგერ, აგერ მიმალულა!
და შეშინებული, ტირილიანი ხმა:
— ძია, არ მომკლათ, არ მომკლათ,
რა!

გერას შეაცივა... წამოდგა... პარკიდან
ჭია რომ გამოძვრება, ისე გამოძვრა
თავისი ლჩარა, უმაქნის: გვაიდან...
„უფალო, მომეც ძალო!“ — პირყვარი
გადაიწერა და კუთხიდან გამოაბიჯა.

სირცხვილის გრძნობას შიში გამოე-
დევნა. მიხვდა, არაფრად უღირდა სი-
ცოცხლე, მიხვდა, ამ წუთამდე მონა
იყო, ამიერ კი — თავისუფალი... იგი
სხვა კაცი გახდა, მაგრამ ამ სხვა კაცს
თავისი მხრებით უნდა ეზიდა წინა გერა
კვარაცხელის უსაზღვროდ მძიმე დანა-
შაული.

გამოვიდა გერა სამალავიდან, კარი
ფართოდ გააღო, სინათლე შემოეშვა.
იქვე, საყნის ზღურბლთან სისხლისაგან
დაცლილი გიმნაზიელი ეგდო. ძირს და-
ეშვა გერა, ცოცხელზე ხელისგული
დაადო, პირისახეზე ჩამოუსვა, ღიად
დარჩენილი თვალები დაუხუჭა.

მალა აიხვდა და უფალს შესთხოვა:
— ღმერთო, რომელი ხარ ცათა შინა,
მიიბარე უმანკო კრავის სული!

აღგა და წამოვიდა. დერეფნებში
კვლავ ჩოჩქოლი იდგა. ზედაც არავინ



უყურებდა უცხოდ მავალს. ძალაუფლებით მთვრალნი მიეზიდებოდნენ, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ბალიშიდან ამოცვენილი ბუმბული ფარფატებდა პაერში, ძირს ეფინებოდა და ნასისბლარს ეკრობოდა.

— *Пшол вон!* — შეუბღვირა ვილაყამ და გარეთ უბიძგა.

გოლოვინის პროსპექტი ნაომარ ველსა ჰგავდა.

პროსპექტს მიღმა, ქაშეთის გუმბათზე ოქროს ჭვარი ბრწყინავდა და მის სხივთა ანარეკლში უფლის ჩატება მოელანდა.

— შემიდღე, უფალო, ცოდვილს! — ლაღადყო გერა კვარაცხელიამ.

ასე ყუებოდა ამ ამბავს ეფრო, შვაცრად და შეუვალად მოკვამავდა თხელ, დამკვენარ ბაგეებს, თვალეზში აშტერდებოდა მართალის და ბერი ზაქარაიას.

— იცოდეთ, შვილებო, აღმძიანი სუსტია, უველაზე ძალგულოვანი კაცოც ვერ ვაეკაცობს ყოველთვის, ნუ გვიტარს სხვათა სისუსტე!

ვის გაუყვირდებოდა? ან კაცთა სისუსტე, ან ვაეკაცური სიქველე!

— ტყუილია, ტყუილია! — ცხარობდა ცაცანა. — ჩემი გერა ორჯერაც არ წასულა თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე რა უნდოდა?.. სწორედ მაშინ ააფრიალა მაცხოვრისგორის ტაძრის გუმბათზე წითელი დროშა...

— ეს მაისობაზე იყო, ნახევარი წლის შემდეგ! — შეუსწორა ეფრომ.

— მანცხვარკარში სულ პირველად საპირველმასო აღამი ბაბუა გერამ აღმართა! — თავმომწონედ თქვა მარკოლიამ. — ნესტორ ბაბუა ეხმარებოდა და ძღვიბი თოლორიათ!

იმ დროს სამივენი — გერა, ნესტორი და ქოსა ძღვიბია განუყრელი ძმებივით იყვნენ და სწამდაც კიდევ, ჩვენი ძმობა მარადი და ურღვევი იქნებო.

— ჰე, ბიჭო, გერას კლავენ მგონია! — გადმოსძახა მეზობელმა ქოსა ძღვიბიას.

კლავენო? ქოსა ძღვიბიამ სამალაყიდან ჩვარში გახვეული მათუბერი ამოი-

ლო, ტყვიებით დატენა და მაცხოვრისგორისაკენ გაიქცა.

— ნესტორ, გესმის? — ეკლავენო! — იკივლა ეფრომ.

ნესტორი წუთის წინ მიუჭდა სუფრას წასახემსებლად. ლეჟმა უშალ დააგლო და, აბა, თოფიო.

ეფრომ თავისი ზელით გამოურბენინა თოფი და სატყვიაწამლე.

ხიღთან რომ ორი ძირი კაკალი დგას, უტუ თოდუას, მართალიად წოდებულის, დარგული, აი, იქ შეხედნენ ერთმანეთს ნესტორი და ქოსა ძღვიბია.

— გაიგე?

— ჰო, გავიგე!

კაცლები ჩრდილში მუდამდღე მოკალაქეები იყრიდნენ თავს. ახლაც ბლომად იღვნენ და მუსაიფით ერთობოდნენ. ამათ თვალს რა დაემალებოდა და შეხეთ, მთავრობასთან საომრად მიდიანო, ერთმანეთს გადაუჩურჩულეს.

— ამ გზით გაიარეს? — იკითხა ნესტორმა.

— ჰო, ამ გზით წაივინენ! — გაუბედავად შეეპასუხა ვილაყამ.

— აბა თქვენ იცით, ბიჭებო! — შიამბა მეორემ.

ორიოდე საათით ადრე გერა კვარაცხელიამ წითელი დროშა დაეკცა, უბეში ჩაიდო და ცაცანას დაუბარა:

— მაგ წიგნებს რომ დააცანცარებ, ოსურ-პატონი, საქმის დროა უყვე!

ქალაქში უჩვეულო არაფერი ხდებოდა იმ დღეს. მანცხვარკარელებს არც არაფერი სმენოდათ მაისობაზე. ეგ იყო, რაღაც ცნობები აღწევდა თბილისიდან, იმპერიის ახლო და შორეული გუბერნიებიდან. მაზრის ზელმძღვანელობამ მანამდე ცქეიტა ყური, სანამ თანამოქალაქენი ძილბურანში ნებივრობდნენ. მაისობის ხსენებაც კი იმპერიის ბალავრის რღვევად მიიზნია და ქუჩებში ჩაღრები და ცხენოსანი კაზაკები გამოიყვანა. საქმე ამათ არაფერი ჰქონდათ, ჩემ-ჩუმა ღვინის სარდაფებში ჩაიკარგებოდნენ და მთხუნარე ღვინოს პირში ისხამდნენ...

მთავრის სასახლესთან რომ კარის ეკლესიაა, იქ შეიარა გერამ, სანთელი დაუთო უბიწო სულს, ჩუმი იღოსა და ეზოში რომ გამობრუნდა, მზემ თვალეში მოაბარჩხალა, თითქოს ღმერთის მზერას შეეფეთაო, წამით დაბრუნდა.

ხალხმარავალი ბუღეარი ვადაქრა, კაცის ხეებთან ჩაიარა, ნაცნობებს მიესალმა და ჩხერიას ხიდი გადაკვეთა. ამ დროს უკვე ქვის ხიდი იყო ჩხერიაზე გადაებული, ორი ურემი ერთმანეთს გვერდს რომ აუვლიდა, ისეთი.

მთისძირი ტყიანი იყო, კრელი, შერეული ტყე მიჭრით იდგა. ოღონდ რაც უფრო უახლოვდებოდა გორაკს, მით უფრო დაბლდებოდა, თითქოს მაცხოვრისგორის წინაშე თავს მაღლა ველარა სწევსო. ფერდობიკ დაბალ ტყე-ბუნქნარს შეემოსა, უფროვე ბზას.

აღმართის დასაწყისს ვილაც ღვთისნიერს ქეთიერის ცხრა საფეხური ჩაუღულაბებია მტკიცედ. ვინ იცის, ვინ და როდის მოინდომა მაცხოვრისგორაზე კბის აყვანა, ალბათ სახსარი არ ეყო, ან ღონე, ან სიცოცხლე... დარჩა ცხრა საფეხური — გერა ყოველ ასვლაზე ითვლიდა — რვა სალი და მეცხრე — თამისაგან შორღვეული...

შედეგ ფეხი პირველ საფეხურზე გერა კვარაცხელიამ, აიხედა და მეცხრე, შორღვეულ საფეხურზე ყმაწვილი იხილა. გიმნაზისტის ფორმა ეცვა, გაბუტული, დაპორფლილი, თეთრი პირისახე ჰქონდა, პავშევრად ნორჩი და გულუბრყვილო გამოხედვა.

„მომდევნე?“ — იკითხა გიმნაზიელმა. გერამ იცნო ყმაწვილი გიმნაზიელი, სირცხვილი შეუბრუნდა, შეახურა.

„მაპატიე, შევრცხვი ყმაწვილ! — შესთხოვა. — შიშმა წამართვა ღონე, ვეღარ გიშველე!“

„ყოველივე ღვთის ნებაა!“ — ყმაწვილმა მარჯვენა შემართა და გერამ თვალს არ დაუქვრა — გიმნაზიელის ხელში ის წითელი დროშა აფრიალდა, აქამდე უბეში რომ ეგულებოდა.

„სასწავლია პირდაპირ!“ — გაიფიქრა.

გიმნაზიელი შებრუნდა — მისი მხარეა აყვია. ისე მიაბიჯებდა, მიწას ფეხს არ აკარებდა, წითელი დროშა მაღლა ეჭირა, თავზევით მიაფრიალებდა.

გერა მიჰყვა. ციციბოზე ფეხის მოკიდება უჭირდა, ხანდახან ბზის ტოტს შეავლებდა ხელს და ეს უადვილებდა გზას.

მზემ დროშას სხივები მიაფინა, აავიჯიჯა, ცეცხლი წაუკიდა.

„ეს რა ხდება? — ფიქრობდა გერა. — ბიჭი ხომ კაზაკებმა მოკლეს! ჩემი თვალით დავინახე, აა, ამ ხელით დავუხუტე თვალეში!“

პირველი გადაიწერა კაცმა, ხედებოდა, რომ საშიშ გზას შესდგომოდა, მაგრამ მზად იყო თავგანწირვისათვის, ოღონდ მძიმე ცოდვა გამოეყვიდა.

ნახევარი გზა განვლილი ჰქონდა, როდესაც მოიხედა, ჩხერიას ხიდს გამოღმა, ორღობეში, მხედრები შედგნენ. აქეთვე იყურებოდნენ, ალბათ ცდილობდნენ. გაერკვიათ, ასე წითლად რა ღვიოდა მაცხოვრისგორის მწვანე ფერდობზე, მერე ცხენები დაიქრეს და გამოეშვრნენ.

„იყოს, უფალო, ნება შენი!“ — გიმნაზიელი საკმაოდ შორს წასვლიყო. კაცი ძლივს ხედავდა ლურჯი ცის ფონზე, თითქოს ღვთის ანგელოზი მიუფარულატებდა წითელ დროშას.

კვლავ მისდია გერამ, მუხლმანურელად იარა მაღლა და მაღლა, დაიღალა, სუნთქვა მოუხშირდა.

მხედრები პირველ საფეხურთან ჩამოკვეითდნენ. სამნი იყვნენ, შაშანები ეჭირათ. გერას კი არავინ ეცავდა, უფლისა და წინ გაჭრილი გიმნაზიელის გარდა. ოღონდ შიში არ აწუხებდა კარგა ხანია. შიშისაგან სამუდამოდ განთავისუფლდა.

მდევრებს გაუჭირდათ, აღმართი იოლი დასაძლევია როდი იყო. „ეკეი!“ — ატებეს სტვენა-ყივინა, მუჭარის სიტყვები გაუთრეს. გერამ ყური არ ათხოვა, იმათთვის არ ეცალა, რადგან

უსმენდა საკუთარ აჩქარებულ გულის-
ცემას, ხშირ სუნთქვას, დაღლილ სხე-
ულს და ჭიუტ სულს, ამ სხეულზე რომ
მბრძანებლობდა.

გაიტკაცუნა, თითქოს კენჭი გასკდაო...
მეორეჯერაც გაიტკაცუნა, ტოტი მოს-
ხიპა, ბზის წვრილი ფოთლები გადმოც-
ვიდა.

„მესერიან!“ — აუღელვებლად გაი-
ფიქრა. კიდევ ცოტაც და ტყვია ვერ
მისწვდებოდა.

გომნაზიელი უკვე ფერდობის თავზე
იღგა. წითელ დროშას მზეზე აფრიალე-
ბდა და ალაში ცეცხლეით გიზგიზებდა.

„აჩქარდი, მღვეარი მოგეწევა!“ —
თითქოს მოუხმო.

აჩქარდა გერა, ღონე დალეოდა, გუ-
ლი აღარ უჩერდებოდა საგულეში.

ნაბიჯიც და მაცხოვრისგორის თავზე
აღმოჩნდა. გომნაზიელი გამჭკარლიყო,
გერა კი მომცრო გალავანთან იღგა.

„გმადლობთ, უფალო!“

გალავანზე გადაძვრა, ეზოში ჩაბტა.
გედოვით უელმოღერებელი იღგა მაც-
ხოვრის ტაძარი, ზე ასვეტილ გუმბათს
მალლა იტყორცნა ოქროს ჭვარი.

მუხლებზე დაეცა გერა კვარაცხე-
ლია, მიწას შუბლით შეეხო, წითელი
ალაში გულში ჩაიხუტა.

— უფალო იესო ქრისტე, ძეო და
სიტყვაო ღვთისა ცხოველისაო, შემოწ-
ყალე მე უღირსი ესე მონა შენი!

ისმინა თითქოს უფალომა, სუნთქვა
დაუოკა, ღონე მოუბრუნა

წამოდგა გერა, პირგვარისწერითა და
ლოცვის ბუტბუტით შემოუარა ტა-
ძარს, ეზოში ტოტებგამლილ კაკლის
ხეზე გავიდა, იქიდან ნაცვზე გადაცოც-
და, გუმბათიდან ჩამოკიდებულ ჭაჭვს
მისწვდა, აპევა და წმინდა ჭვრის გვერ-
დით წითელი ალაში აღმართა...

ის იყო, მღვეარიც მოეწია, მაგრამ
მღვეარს ზურგიდან ნესტორ თოდუა
და ძღვიბი თოლორაია მოადგნენ, სულ-
ზე მოუსწრეს.

— ჰე, ჰე, ნუ ხუმრობთ, ბიჭებო! —
შეუძახა ძღვიბი თოლორაიამ.

მთელი ის დღე — დღე პირველი მა-
ისისა—მაცხოვრისგორეკრძეველურ-
ილებდა წითელი დრტხეზღამქრმეც-
და ქრისტეს წმინდა ჭვარი...

8

„წარსული მუდამ ჩვენს გვერდითაა.
ადამიანთა მოღვმის ცხოვრება უწყვე-
ტი ჭაჭვია, იგი დროის მდინარებას წა-
მითაც ვერ გადაახტება, მაგრამ ქრონო-
მეტრი—მესხიერება ყოველივეს თანაბ-
რად ველარ აღნუსხავს. მარადისობის
სათვალავში გარდასული ეამი პუნქტი-
რივითაა მონიშნული... ვის უნდა დაფე-
რდნობოდი სიმართლის ძიებაში? რანა-
ირად უნდა გამეცოცხლებინა გერასა
და ნესტორის, ქოსა ძღვიბიას თავგადა-
საელები, ისინი ორი დედაბრის — ეფ-
როსა და ცაცანას მესხიერებაში განაგ-
რძობდნენ არსებობას. ჩემს მოგონებე-
ბშიც კი უფერული აჩრდილებივით გა-
იციოცნენ. ყველაზე რეალური ხატი
მუზეუმის კედლებზე ჩამოკიდებული
ფოტოებია. თუმცა ესენი ზომ წამიერი
სინამდვილის მხოლოდ და მხოლოდ
ასლებია. სიყვითლევადაკრული, გაუ-
ფერულებული ფოტოები ლეგენდებს
აიციტლებენ... ჩვენ ისტორია არა
გვაქვს, ჩვენი წარსული ლეგენდების
კრებულია...

მაშინ, პირველი ამბოხის დროს ტყვი-
ას გადაურჩა გერა კვარაცხელია, ტყვი-
ას გადაურჩნენ ნესტორ თოდუა და
ძღვიბი თოლორაიაც. ტყვიას კი გადა-
ურჩნენ, მაგრამ სუსხი სასაქელისა სა-
მივეს შეეხო, ამოგლიჯა მანცხვარკარის
გამოზომილი ცხოვრებიდან, უფრორე
კი — ძღვიბი თოლორაია...”

ქოსა ძღვიბიას ჩექმებით შესდგნენ
საპოლიციო უბანში, მერე ხელფეხშეკ-
რული დააგდეს ურემზე და ქუთაისის
საგუბერნიო ციხის კარამდე სულ ცემა-



ტყეპით მიაცილეს. ალბათ თვალში ეპატარავებოდათ. მისი უწვევრულვაშო, ბავშვური პირისახე დაუცველობის შთაბეჭდილებას აძლიერებდა და ყოველვიგინდარას ხელი სილის გასალაწუნებლად გაუბოდა — ამანაც თავი როგორ წამოყო, ამ ნეხვის კიამ რანაირად გაბედაო, ერთი დამიხედეთ, ესეც რევოლუციას აპირებსო. კაცად არავის ჩუთვლია ქოსა ძღვიბია, ჩერად მოეჩვენათ და ზედ ფეხებს აწმენდნენ. აქეთ ქურდებმა გაფიქვნეს, იქით პოლიტიკურნიც აღმაცერად უყურებდნენ, აქოდ და ყველა დაჩაგრულს მხარეს ეკვართ, მაგრამ ეს საცოდავი იმდენად დაჩაგრულია, ჩვენს საქმეებში რომ გავრიოთ. სახელი გაგვიტყუებო.

ციმბირის გზას რომ გაუყვნეს, ძღვიბის სასო წარეკეთა. აქამდე თუ სულში პროტესტი უღვიოდა, თავისთვის მაინც იქადნებოდა, მოიცათ, ჩემი დროც მოვაო, ახლა მიხვდა, მისი დრო არც ისე ახლო იყო, წერჭრობით მავანთა და მავანთა ეამი იღგა და მისი გულის სკდომა და ნაღვლის გასიება არავის აწუხებდა.

„სტოლიპინის“ ვაგონში ტევა აღარ იყო და ქოსა ძღვიბია შიგ რომ შეტენეს, კეპეში თეკვსმეტი თავზეხელაღებული პატიმარი ისე ეწყო, როგორც ქაშაყი კასრში — პაერი არ ყოფნიდათ, ოფლში იწურებოდნენ.

— ეს ლამაზი საიდან დაგვიხატეს, ამისი დედა ასე და ისე! — ბრაზით დაიბუბუნა ერთმა ბაუბაყდემა, ხალვათად რომ რჯდა ქვედა სკამზე, მარჯვნივ და მარცხნივ ვინც ესხდნენ, ერთერთმანეთზე მიეკვილტა, წინა სკამის პატრონები თვალეებში პირფერულად შესციკინებდნენ, ზედა ფიცარნაგზე წამოწოლილი კი, გვერდის მონაცვლება რომ ექირდათ, ხანდახან თავს გადმოჰყოფდნენ და ოფლის წინწყლებს გადმოსხებდნენ...

— ეს ჭლანი გვაკლდა ახლა! — ვერ მშვიდდებოდა ბაუბაყდევი და საცრი-სოდენა თვალეებით ხერხტდა ქოსა ძღვიბის, რომელიც ზურგით გისოსზე

მიკვეცილიყო და ჭერად არ იყო და, ბელი რას უმზადებდა. **ერკუნულნი** ბაუბაყდევი წინ **გაფიქვნეს** მოაშვირა (თითი ხომ ქოსას მაქის სიმსხო მაინც ექნებოდა!), იკითხა:

— ვინა ხარ და რას წარმოადგენ? ძღვიბიმ ხმას რიბი შესძინა:

— პოლიტპატიმარი თოლორაია!

— ჩვარი ხარ, შენ, პოლიტპატიმარო თოლორაია! — დაასკვნა ბაუბაყდემა.

— როგორ გვკადრებათ... — წამოიწყო ძღვიბიმ, მაგრამ შარიანმა კაცმა ყურიც არ ათბოვა მის პროტესტს, აქეთ ჩააჭინდა:

— სიცოცხლე გიყვარს, პოლიტპატიმარო თოლორაია?

ძღვიბის გულ-მუცელი აემღვრა. შეეცადა შიში არ დაემჩნია და ვითომც უდარდელად, ისე თქვა:

— სიცოცხლე ვის არ უყვარს!

— ჰოდა, ჩაქეკი ძირს!

ძღვიბის მუხლები თავისთავად მოუღუნდა, სადაც იდგა, იქვე დაეშვა. მიხვდა, მორჩილების ფასად უნდა ეყიდა სიცოცხლე...

ბაუბაყდემა „მათინეზიდან“ ფეხები ამოიღო, გამოუწოდა და კატასავით მოურბილა:

— პოლიტპატიმარო თოლორაია, სახევეი შემხსენი!

სახევეი ოფლის სუნით ყარდა, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო, ძღვიბიმ შეუხსნა, თან ხითხითებდა, ვითომცდა შესმის ხუმრობის ფასიო, ფიქრში კი თავის დამამკირებელს ბარე ხუთყერ გაუყარა დანა მუცელში.

ბაუბაყდემა ფართოდ გაუღიმა, პირისახე ნიჩაბს მიუგავდა და მისი ღიმილი შემზარავი იყო.

— ჩემი მოკვლა ინატრე, არა? — ფეხები მუხლებზე დაუწყო ქოსას და თითქმის შეგობრულად უთხრა: — ფეხისგულეებზე მომფხანე, გუნებაში კი, რაც გინდა, ის იფიქრე, ჩემთვის სულ ერთია!

ძღვიბიმ ფეხისგულზე მოფხანა და მწარედ გაიფიქრა: „შე საცოდავო, შე მართლაც ქოსავ! ამოდენა იმპერიას

დაბლა ჩამოწოლილიყო. თეთრად შესუდრული წიწვნარი ფერებს უსიხარულოდ ამუქებდა. სულიერი არსად უკანებდა და ძღვიბიმ შიშისა და დაღლილობისაგან ზმულილი მორთო. ცრემლი ლაწვზე ეყინებოდა. ხელთათმანს რომ ჩამოსევამდა, კანი ეფხაზუნებოდა. ტირილი ღონეს აცლიდა, მხნეობას უკარგავდა, მაგრამ თავის შეკავება აღარ შეეძლო. მგელი მაშინ ნახა და ძაღლი ეგონა. გზაზე ჩაცუცქულიყო და აზრიანი თვალებით შემოხედა. თითქოს ეუბნებოდა, ტყუილუბრალოდ რას წვალობ, ადამიანო, ვიცო, მალე თოვლში ჩაწვები და ჩემი კერძი გახდებიო. „ვა-ვაი!“ — შეპბლავლა ძღვიბიმ. მგელს თითქოს გაუგებდა ეს უცნაური ხავილი, უკან გადახტა, ჭუჭია ნაძვს ამოეფარა... მიხვდა ძღვიბი, ტყე საესე იყო მგლებით. ყოველი ხის ძირიდან უმზერდნენ მოთმინებით და ელოდნენ, როდის შეღამდებოდა, როდის დაუსწლტებოდა ფეხი, როდის ჩაემხოზობოდა თოვლში და დადასტურებდა თავის უსუსურობას... შიშმა აამჩატა, ღონე მოემატა... შორიახლო შეკუმულვა მგელმა, მოშორებით ბანი მისცა ხროვამ... „ვა-ვაი, ჩქიმი ცოდა!“ — მიიჩქაროდა და მიბლაოდა ძღვიბი, ამ სასოფარკვეთილი ბლავილით სიციცხლის წამებს იხანგრლივებდა, რადგან არადაამიანური, უცნაური ბგერები ხროვას აფრთხობდა... და უცებ რეტანივით გაჩერდა... პირდაპირ, ჩანამქრული ბილიკის ბოლოს, ფიქვნარში ჯარგვალი ჩაყურსულიყო შავად და ქოსას ელოდა... „ვა-ვაი, ჩქიმი ცოდა!“ — უკვე სიხარულით შეპლრაილა ძღვიბიმ და კარს მიაწვა, მიიმედ, კრიალით შეალო და ბნელში შეაბიჯა. ზღურბლთანვე იატაკზე დაეშვა და კარგა ხანს იზღუქუნა, თვითონაც არ ესმოდა წუხილისაგან თუ სიხარულისაგან...

გონს რომ მოეგო, მაშინდა მიმოიხედა. მონადირის სახლი აღმოჩნდა. ღუმელი... კოხტად დაწყობილი შიშა... კვესი და აბედი... გამხმარი ორცხობილა, შებოლილი ღორის ნაჭერი და ერ-

თი ბოილი არაყო... გამეხებულნი გველი ველარ მოუღბო ღვთაქრ [ქ] მწვეჭარმა, ორად ორი კბილით მხაღჩინქმეძტს და უმისამართოდ იმუქრებოდა — „მაცადეთ, გაზღვევინებთ სამაგიეროს!“ ტაიგაში კი გაწიბილებული ხროვა ყმუოდა, უსასოოდ მოთქვამდა ბედის სამღურავს.

— ზურგზე რომ მგელი მოახტა, პოლიტპატიმარმა თოლორაიამ ქეჩოში ხელი სტაცა, გადმოიღო და ძირს დააბერტყა, — ცაცანამ თავისი უღონო, დამტკნარი ხელები ისე მოიჭნია, თითქოს ზურგიდან ნადირის გადმოღებას აპირებდა. — აქ მეორემ ისკუბა, ძღვიბიმ პიტლაცი ამოკრა და ამოატრაილა... დაავლო კომბალს ხელი, დრუხა და დრუხა... — ცაცანას ქოშინი აუტყდა, სული ძლივს მოითქვა.

— ნეტავი შენ, ბავშვივით რომ აცეტლები! — ჩაიბუზღუნა ეფრომ.

გაზაფხულამდე დარჩა მონადირის ქოხში. საკვებს ახლო ტყეში პოულობდა. ხან ციყვის მარავს გაანიავებდა, ხან არყის ქერქს ხარშავდა და ღეჭავდა... ყოველივე დავიწყებოდა. ერთადერთი სურვილი შერჩენოდა, როგორმე კუჭი ამოევისო... თოვლი სწრაფად დადნა, ნორჩ, მწარე ყლორტებს იტენიდა პირში... სოროებიდან მინდვრის თავგებმა ამოყვეს თავი და ხათვანი დაუგო.

მონადირეებმა ტყის საფრთხობელა რომ დაინახეს, შიშისაგან კინლაიმ ტყვი დაახალეს. ამ არსებაში ძლივს ამოიცნეს ადამიანი. ქოსა სიხარულისაგან აბითხიოდა. საზარელი იყო მისი დაკმული ლოჯების ყურება... მთელი გზა ტაიგის სოფლამდე ისე მიხითხითებდა. „რას იცინი, რომ იცინი, ორი კბილი შეგჩა და ისიც ამოგვარდება!“ — შეუღრინა ბოქაულმა, სოფლიდან ქალაქს რომ მიაბრძანა, იძულებული გახდა ორლობეში ტალახი ეზილა და ამის გამო ბოლმა კლავდა.

ციდან უსიამოვნო ეჩენილი ეშვებოდა უსახურ, დაბალ ჯარგვალებზე. ტალახიან, ფიცრულ ღობეებზე. ამ გაუ-

ხარელმა სტრათმა და ამინდმა ძღვიბის სული სევდით ააყენესა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ამ ნაცრისფერში, ნესტსა და სიცივეში უნდა ეტარებინა და ამის ვაჟიჭკრება ვაჟსაძლის ტკვილსა გვრიდა.

ტარანტასი გაჩერდა. სავარძელში კოტა, შუახნის ოფიცერი და ლამაზი მანდილოსანი ისხდნენ. ძღვიბის ამათ დანახვაზე შეაჰაგძავა. რამდენი წელია ლამაზად ჩაცმული, სუფთა ქალი არ ენახა. დავიწყებოდა, რომ ისიც კაცი იყო. კაცებში კრია, ჰქონდა სამშობლო, ჰქონდა სახლი და კარი, საკმელიც მოეპოვებოდა და სასმელიც, იბანდა კიდევ და გარეცხილიც ეცვა. მის ცოლს ჩათას მზეთუნახავი არ ეთქმოდა, მაგრამ ქალსო მანც ჰგავდა, შვილი ბიკენტი აკვანში ეწვინა — ქოსას ეგონა, ახლაც აკვანში წევს და ღუღუნებსო... ყველაფერი ახლა მოაგონდა ძღვიბის და შერცხვა.

ოფიცერმა უცხოურად გადაულაპარაკა ქალს. „რა საშინელება!“ — თქვა ქალმა და ბაგე აუთრთოლდა, ალბათ სიბრაღელის გამო. ოფიცერმა თითო მოიხიზო ბოჭაული: „ძმობილო, ვინ არის ეს კაცი?“ „პოლიტპატიმარია, თქვენო კეთილშობილებავ!“ „ძმობილო, ნუთუ არ გაგიგონია, რომ მეფე ტატიდან გადააყენეს და პოლიტიკურები გაათავისუფლეს? ვაჟშვი, წავიდეს!“ ტარანტასი დაიძრა, ოფიცერმა მოიხედა და მონეტა გადმოაგდო. მონეტა ძღვიბის ფერხთით ჩაეარდა. ქოსამ აიღო, მანეთიანი იყო, ნიკოლოზისა. დააცქერდა, დააცქერდა და უცებ გიჟივით ახარბარდა... მოალო თავისი ჩაშავებული, უკბილო პირი და ხარხარებდა, ხარხარებდა...

ნირწამხდარი ბოჭაული სარგადაყლაპულივით იდგა და გონს ვერ მოსულიყო.

— უჰ, შენი! — შეუბღვირა ძღვიბიმ და პანდური ამოჰკრა.

— ე-ე, რას შვები, რას შვები!.. — დაბნეულად ჩაიბურტყუნა ბოჭაულმა და მოუსვა.

— ძღვიბი თოლორაია ირმის შარსი-ლით შეიჭრა ქალაქში, ეჩვეოდა მარტული იდგა, თმა ლომის ეფიქრებოდა! — ცაცანა ცდილობს წელში გაიმართოს, მაგრამ ქარისაგან ზურგატკივლებს კრუსენი წასცდება, — დაინახა გუმბერნატორის ცოლმა, ლამაზმა კნენამ და ამოიხბრა: „აჰ, что за красавица!“ მითხარით, გეთაყვა, რას ნიშნავს კოსა ღზგვიბია?“ ძღვიბიმ მკერდი გამობურცა და ეშმაკურად უთარგმნა: „ეს, გენაცვალე, უმშვენიერეს ვაჟკაცს ნიშნავს!“ „აჰ, — აღფრთოვანდა გუმბერნატორის ცოლი. — შენ, ნასტაიაში კოსა ღზგვიბია ხარ!..“

— ოჰ, ოჰ, ღმერთი დაგსჯის მაგეთი ტყუილებისათვის! — გაეცინა ეფროს.

— ტყუილი რატომ იქნება, ბები, — ჩაერთო მართალი, — მუზეუმში, მეორე სართულზე ნახატი ჰკიდა — „პოლიტპატიმარი თოლორაია და გუმბერნატორის ქალი“, აი...

— ეამი შეიცვალა, — ურწმუნოდ თავი გააქნია ეფროს, — კოკლი თხა წინ აღმოჩნდა!

დაიხ, ეამი შეიცვალა!

— ჰეი! — შეუძახა ქოსა ძღვიბიამ. აივანზე იჭდა, ფეხი ფეხზე შემოედო.

სახლის თავზე წითელი დროშა ფრიალებდა. მოაჯირზე ორი „მაქსიმკა“ გადმოედგათ. ეზოში წითელრაზმელები მიმოდიოდნენ, ისვენებდნენ, ცხენებს წყალს ალევინებდნენ, იარაღს აჩხაკუნებდნენ, კამათობდნენ, ლილინებდნენ, ყაყანებდნენ...

ძღვიბის ტანზე ეცვა წითლად მოსირმული კაცასიური ჩოხა, ფეხებზე — თექის თბილი ჩექმები, თავზე ბოხოხი ეხურა... შავად დაკმუჭნილი მისი პირისახე ეშმაკს გზიდან მოაბრუნებდა. წვრილი, ცივი თვალები უხსენებელივით უზბინავდა.

ალაყაფის კართან ბაყბაყდევი იდგა. მთელი თავით მაღალი ჩანდა ორ რაზმელზე, აქეთიქიდან რომ ამოსდგომოდნენ შაშხანებით. ბაყბაყდევეს ხელები უკან შემოეწყყო, კისერი დაეძაგრა. მკლავები რომ გაეშალა, ალბათ მთელ

ეზოს იფრენდა, მაგრამ ტყვია ძაღვანსა და სუსტს ერთნაირად პოულობს. ძღვიბიმ თითოთ მოიხმო.

რაზემელებმა ზურგზე ხიშტი მიაბჭინეს, კაცი დაიძრა, ეზო გადაჭრა, აივანს სულ ზუთი საფეხური ჰქონდა და ისე ამოალაჯა, ძირს არ დაუხედავს.

თავდახრილი გაჩერდა ქოსას წინ.

— გამარჯობა, ჩორნა! — შეპარვით, ალერსით დაიკრუტუნა ძღვიბიმ.

გვიანტი შეკრთა, თვალეში ძრწოლა ჩაუდგა.

— ველარ მიცანი, ჩორნა!.. — ხმა კვლავ ალერსიანი და აუღელვებელი ჰქონდა ქოსას. — იქნებ მაშინ მიცნო, შე კონტრა, კედელთან რომ მიგაყენებ, პა!

ჩორნას ყბა აუჯანკალდა.

— რა გეგონა, შე შობელძაღლო, ჩემი დრო არ მოვიდოდა, პა?

ჩორნამ რაღაცის თქმა მოინდომა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსდიოდა.

უყურა, უყურა ქოსამ უხსენებლის თვალეებით და უცებ დასკვეჭა:

— ჩაყეჭი მძღ...ო!

ჩორნა მოკელილივით ჩაჯდა.

ძღვიბიმ კი, ისევ ალერსიანად, შემპარავად —

— გამზადე ჩექმები, ჩორნა! — და ფეხები გაუწოდა.

ჩორნა გამოჩოჩდა, ძღვიბის ფეხები ჩაიხუტა და თექის ჩექმები სათითაოდ წააძრო.

— სახვევი შემსენი! შენსავით ქუჭყიანი კი არ მაკვია, დროზე ვარეცხინებ!

დეკაკმა სახვევი ნაზად შეხსნა, ვითომცდა ვცდილობ, რამენაირად არ გატკინოო.

აივანს რაზემელები შემოერთყუნენ... ზოგი გაოცებით, ზოგი ჩემი სიცილით უყურებენ სვირს.

— ფეხისგულეებზე მომფხანე, ჩორნა!

ბაყბაყდემა თავისი უზარმაზარი თათებით ფეხისგულეებზე მოფხანა, ქოსა ნეტარებით აბითხითდა.

— რა კაი ფხანა გცოდნია, ჩემო ჩორნა! — მოულოდნელად ჩექმები გაამოსტაცა, სახვევი კონტრად შემოიხსნა, თექის ჩექმები წამოიკცა და უბრძანა: — ადექი, ბოთვე!

წამოდგა დეკაკი, შიშისაგან ბავშვით ჩაისლტყუნა.

— ნამდვილი სახელი რა გქვია?

— ივანე!

— ღირსი ხარ კედელთან მიგაყენო, როგორც ბურჯუაზიის ნასუფრალით გასკელებული და თვითონაც კონტრა, მაგრამ გადაწყვიტე ალგზარდო პროლეტარიატის ინტერესებისათვის... დღეის იქით ჩემი „ოზრანა“ იქნები!.. აგერ, შენ, ბრაუნინგი!

ძღვიბიმ ბრაუნინგი გამოიძრო, ხელში შეათამაშა და გადმოუდგო.

ჩორნამ ბრაუნინგი ჰაერშივე დაიჭირა, პირფერულად ჩაილულულდა:

— გმადლობ, უფროსო!

— მადლობას მერე მეტყვი! — დაიჭლანა ქოსა. — ჩადი ახლა ამ სახლის სარდაფში, გააღე კარი, იქ ქალსა და კაცს იპოვი. ქალი დაკითხული მყავს, კაცის დაკითხვა არ მჭირდება. კონტრაა, მაგისი დედა!.. ჩადი და მაგათი ხმა არ გამაგონო!

ჩორნა უმაღლესად გაძუნძულდა, სარდაფში ჩაიმაღა.

— მეშინია მიშა! — ჩაიჩურჩულა ქალმა სარდაფის მჭრქალ ბინდში.

— ნუ გეშინია, კატრინ! — კაცმა ქალის თავი ჩაიხუტა და ყურში ჩასჩურჩულებდა: — ყველაფერი გაირკვევა და გაგვიშვებენ. ჩვენ ხომ ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ...

კარი გაიღო და ურჩხულმა შემოალაჯა, ნიჩაბივით სახეზე კაცმა შებრალება ვერ ამოიკითხა და ყველაფერს მიხვდა.

— ნუ გეშინია, კატრინ! — ხმა გაუბზარა...

— რკინის კომისარი ვახლდათ ძღვიბი თოლორაია! — ასე სჯეროდა ცაცუნას. — მტერს შიშის ზარს სცემდა!

— ოჰ, ნუ გააბუქე! — ეფრომ გაჩხინულ მუხლზე ხელი დაიკრა. — პა-

ტივემულმა ბერიმ ჩვენზე უკეთ იცის ვე ამბები!

— შენ ყველაფერს ეკვით უყურებ, — არ დაუთმო ცაცანამ. — ეკვი რწმენაში ბზარს აჩენს, ბზარში კი უმალ ჩვენი მტერი შემოიპარება... რწმენას უნდა გავუფრთხილდეთ, დიას!

— მხოლოდ ღვთისას... — ხმადაბლა ჩაბურტყუნა ეფრომ, პირვეარი ვადაიწერა...

9

რისი რწმენა?... გერამ დროში ააფრი-ალაო, ძღვიბი თოლორაია რკინის კომისარიაო, ნესტორზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ცაცანა რომ მის სახელს ახსენებს, მოწიწებისაგან სიტყვები არ ყოფნის და „ოპ, ოპო!“ — იძახის... ეფრო (ამას ხომ უკეთ უნდა ცოდნოდა!) ტუჩებს ჯიუტად მოკუმავს, არაფერს იტყვის... მუზეუმის კედელზე რუკა ჰკიდია — „ნესტორ თოდუას გზა“. თავის შველა რომ დასჭირდა, ნესტორი მთავრობას მობრახებულად დაუძვრა თურმე. მინდორში უბელო ცხენი დაიჭირა, ჰენებ-ჰენებით ატარა ტურების ბილიკებით. ასე ჩააღწია მამიდა დარიკოსთან. ეს ქალი ერთი თავზეხელაღებული ვინმე იყო, კაცივით იარაღ-ასხმული დადიოდა. ბოქალეი ხმას ვერ სცემდა და ტყის ყაჩაღი ვერაფერს გაუბედავდა. გამოუცვალა დარიკომ ნესტორის ცხენი, ანაკლიამდე ჩააცილა. იქ თურმე ცხენი გაუყიდიათ, თურქს მოლაპარაკებინან, ნესტორი გემზე აპარულა და სტამბოლისაკენ გაჰყოლია...

ვითომ?... კაცი იფიქრებს, ეს გემი იმისთვისდა იდგა, მანცხვარკარიდან გამოქცეულ ნესტორს დალოდებოდა. იქნებ მართლაც ყველაფერი ისე იყო, როგორც იმ რუკაზეა დახაზული. ნესტორი თურქს მიადგა, ჯიბეში ცხენის საფასურად აღებული ფული ჩაუჩხრი-აია. ამანაც ხელზე ხელი დაუქრა — „იპზიოლო!“ და თავის შავად მხრწოლავ გემზე ააპარა... რუკაზე აღნიშნული ხა-

ზები მრავალ ზღვასა და ოკეანეს კვეთდა, ნავსადგურებზე კარსწყვეტს უნესტორი ჩასულა, პაწია, ზამბლა მანცხვარკარა... სხვა რამ კვალი იმ წლებისა ნესტორის არ დაუტოვებია, თუ არ ჩავთვლით პატარა ტატაჩის, რომელიც მამის ალიკვალი იყო, ისეთ დროს კი გაჩნდა, როცა ნესტორი ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით უნდა ყოფილიყო. ალბათ დიდ საიდუმლოებას არც წარმოადგენდა გერას ან ნესტორის ყოველდღიური ცხოვრების ფანჩაენი, მაგრამ ამისი გამოწვლილით შესწავლა არავის უცდია და თუ მუზეუმის კედელზე რუკა ვილაც მებლაპრემ ჩამოკიდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კეშმარიტი მანცხვარკარელი იყო, სურდა უცხოთათვის ემცნო, ჩვენი მანცხვარკარი მიყრუებული პროვინცია არ გეგონოთ, აქაური კაცის ნაკვალევი მთელ დედამიწას ფარავსო. ეფროს ამაზე თუ ვინმე სიტყვას ჩამოუგდებდა, „მოგკლია ერთიო!“ — ხელს ჩაიქნევდა. ცაცანას მუხსიერება კი წერილმანებს ნაკლებად ინახავდა, ცაცანას დროშების ფრიალი უფრო ახსოვდა...

ამიტომ ბევრ ვერაფერს ყვებოდა თანამეცხედრეზეც. გერა კვარაცხელია მანცხვარკარიდან ისე გაქრა, თითქოს არც ყოფილიყო. თავის მეჯოგე მოგვარეს გაჰყვა ლაკადის მაღალ იალაღებზე. შავი ტყეების ზემოთ ალპური საძოვრები პირუტყვისაგან ჰრელ ხალიჩას დამსგავსებოდა. გერა გაიჩინდებოდა მთის წვერზე. ქვემოთ მთათა გრებილები იგვერგვებოდა, ლურჯზე ლურჯი ცა კი ისე ახლოს იყო, ფეხის წვერებზე თუ აიწყოდა, უფლის ტახტის ქვედა საფეხურს მისწვდებოდა. პაერის გრილ გამჰვირვალეზაში გერა აშკარად ხედავდა დიდი ბერიკაცის ნათელ ხატებას. ტახტიდან გადმოვიდოდა უფალი, ფეხშიშველა გაივლიდა ლორთქო მდელიზე, ლურჯი პაერის ტალღებს მიუშვერდა გულმეკრდს... მოიხედავდა გერასაკენ, გაუღიმებდა. „მწყემსავ, გერა?“ „ემწყემსავ, უფალო!“ „გწამს, გერა?“ „ემწამს, უფალო!“ „რა გწამს, გერა?“

„სიკეთე, უფალო!“ „რა არის სიკეთე, გერა?“ „ყოველივე ეს, უფალო!“ — მიმოიხედავდა გერა, ცასა და მიწას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გაშლილ სივრცეს ერჭვა სიკეთე...

როდის დაბრუნდა გერა კვარაცხელია მანცხვარკარში, ან ნესტორ თოდუა როდის გამოჩნდა?

ის დღე დაამახსოვრდათ ეფროს და ცაცანას, ნესტორი რომ არსიდან შემოიპირა ქალაქში. ეტლზე იდგა, ხელი აეწია და გამვლელ-გამომვლელს გასძახოდა: „ხალხო, გძინავთ თუ რა ამბავია! ორი კვირის წინ პეტერბურგში მეფე ჩამოაგდეს, თქვენ კი ისე ცხოვრობთ, თითქოს ძველებზეად ორთავიანი არწივი დაგჩაბოდეთ!“

გერა გამოეგება ნესტორს, გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— ნუთუ ეს მართალია?... გაფიცებ ყველაფერს!

— გადამრევს ეს ხალხი, ქურში ზიხართ თუ რა!

მოვიდა ერთი ბოქაული, შე მუდრეგო და ბუნტისთავო, — სტაცა ხელი და საპოლიციო უბანში წაათრია. ნახევარი დღე აყურყუტეს ვიწრო და ქუჩყიან საკანში, მერე ქულები მოიშვლიბეს და ბოდიშებით გამოისტუმრეს.

გარეთ გერა ელოდებოდა ძმაცას. ერთად იბურმარილეს. ეფრომ ქათამი დაკლა, ღომი, სულუგუნი და მწნილიც პკონდათ. ცაცანამ ცოტა ჯანჯუხა და ტილისკვერი მოიტანა. დასხდნენ და იჭუკჭუკეს: რევოლუციას მოვესწარით და აწი კი დაგვიდგება ოქროს საუკუნეო... ოლონდ, ნესტორ თოდუა მთელი მსოფლიოსათვის ამზადებდა ოქროს საუკუნეს, გერა კვარაცხელია ამ მთასა და იმ მთას შუა რაც ქვეყანაა, იმის მიღმა არ იხედებოდა...

მარტის ქურში საღამო იდგა, ნელა და ცივად ცრიდა. მანცხვარკარი ნესტს გაეჭვრებინა. ნისლი იბოლქვებოდა, ქუჩებში ქუჩყიანი რუები მოწანწყარებდა და ტალახი აზელილიყო. ბუნებას თითქოს სულაც არ ახარებდა ოქროს საუკუნის დადგომა.

ტატაჩი ქირვეულობდა, მკაცრად მამაკაცთა ხმაზე გაფრთხილებულა ისე კულოპინებდა, საცაა ავტორდებიო. ეფრო დაურწევდა, ჩუჩუო, ჩასიფრჩულებდა.

ცაცანა იქვე იჯდა, ხელები წამობურცულ მუცელზე შემოეკლო. ცალი ყურით კაცებს უსმენდა, უფრო კი პაწაწკინტელა მართჯ, სასტუმროს კედლებს რომ ეხლებოდა და ქვეყნიერებაზე გაჩენას ჩქარობდა.

ნესტორმა ხმას აუწია, უმისამართოდ იმუქრებოდა, ტალღამ რაკი აიწია, მისი დამოშინება შეუძლებელიაო, ყველაფერს მონაგრევსო, ძველსა და დრომოკმულს გადარეცხავს და დაეწყების უფსკრულში გადაუძახებსო... გერამაც უღალატა ჩვეულ სიმშვიდეს, იმანაც ხმას აუწია, რა არ გასვენებსო, ზომ დინგრა ძველი წყობა, ახალს სულის მოთქმა ვაცალოთო... მათი კამათი ჩხუბს დაემსგავსა... ტატაჩი უცებ გულსაკლავად ატირდა, ეუცხოვა მამაკაცთა გაუხეშებულ ხმები.

— რა მოგვიდათ, ბავშვი შემიშინეთ! — საყვედურით თქვა ეფრომ.

კაცები გაჩუმდნენ.

— ნეტა სად გადაიკარგა ძღვიბი თორორაია? — იკითხა მოულოდნელად ცაცანამ.

იმ საღამოს შთაბეჭდილებებიდან ყველაზე მკვეთრად ტატაჩის ტირილი ჩაებეჭდა ეფროს მესხიერებას, წინასწარმეტყველური ტირილი ანგელოზისა და ქოსა ძღვიბიას მოულოდნელი გახსენება, თითქოს ოქროს საუკუნის პირველ დღეს მკუმუნვარების შავი ლანდი გადაეფოფრაო...

თი მაშინ ახსენა პირველდ გერამ კიბე!

— რა კიბე? — ფრთხილად, დღადარჯებულებით იკითხა ნესტორმა, შეიკმუნხა.

ცაცანამ ხელები გაასავსავა, ამოდუნა ყაძახი ბავშვივითააო, ეგეთ რამეს აიჩემებს, კუჭათმყოფელი კაცი ხმამაღლა ვერ გააცხადებსო.

— კიბე უნდა ავაშენო! — თქვა გერამ.



მეანს უცლია ბედი გერამდეც. ჩხერი-
იდან ლოდები ამოუღია, კირით ჩაუღუ-
ლაბებია. ცხრა საფეხური მოუსწრია.
სანამ დაიწყებდა, ჯერ მტკიცე ფუძე
ჩაუქვითიკრა. რვა საფეხურს ვერა ძა-
ლა ვერ მოანგრევს, მეცხრეს კი, რაკი
მეთუ არ წამატებია, ფერდობზე ჩამო-
ღერილმა წყალმა ძირი გამოუთხარა.

იმ მეცხრე საფეხურით უნდა დაე-
წყო გერას, ჯერ ის უნდა გაემაგრებინა,
მერე თითო-თითოდ უნდა გამოეკრა,
ზევით აეზიდა, საგანგებოდ გამზადე-
ბულ ფუძეში ჩავსვა. მტკიცედ ნაგები
უნდა ყოფილიყო ეს კიბე, მარადისო-
ბისათვის უნდა გაეძლო.

— სულელი იყო მამაჩემი გუდუ თო-
დუა! — სიძულელით თქვა ნესტორმა.
— არ მეგონა, სხვა იმნაირი თუ დაიბა-
დებოდა, რამდენი ფარა დაახარჯა იმ
ტაძარს, მთაზე რომ წამოკოლიკებულა.
ახლა შენ გამოგვიჩინდი შერეკლი, კიბე
გინდა იქამდე აიყვანო!

ჯერ კიდევ ომამდე, გუშინდელი მე-
ამბოხენი მონარქიას რომ სამსახურს
სთავაზობდნენ, მკერდზე მუშტის ბრა-
გუნით ინანიებდნენ, საუთთარ სულში
ჩაკეტოდ გერას პოლიცემისტერმა შეს-
თავაზა:

— ვიცი, გულზე არ გეხატებოთ, მა-
გრამ ისიც ვიცი, პატიოსანი კაცი ხარ,
სიტყვას არ გადახვალ... პოლიტიკაში
ნუ გაერევი, მოძებნე მშვიდი საქმე,
იყავი შენთვის და მიხედე ოჯახს!

— კიბეს ავაშენებ! — თქვა მაშინ
გერამ.

— რა კიბეს? — შეცბა პოლიცემის-
ტერი.

— მაცხოვრისგორაზე ასასვლელ კი-
ბეს!

— არ გაბედო! — მკაცრად უბრძა-
ნა პოლიცემისტერმა. — მომინდომა
წმინდანობა! მიჩვენებია თოფი აიღო
და ტყეში ყაჩაღად გახვიდე!

— მომინდომა წმინდანობა! — მტყ-
ლვარედ გაიმეორა ნესტორმა. — წმინ-
დანი გვირგვინი, ვერცხვამ — წმინდამ
თუ მაგდენი ღონე და ფარა გაქვს, აბა-
ნო ააშენე, ან კლუბი...

გერა ვაუჩქვებდა, არ შეპასუხებია. სა-
რკმელში გაიხედა. წვიმა შეწყვეტილი-
ყო. ღრუბლები გაიხლიჩა და მზემ ცა-
ლი თვალთ გამოიხედა.

— არ გაბედო! — მუჭარით დასძინა
ნესტორმა.

ეს უჩვეული, ფიცხი კილო არ მოე-
წონა ეფროს. შემრიგებლურად ჩაიწუ-
წუნა ცაიანამ. გერა კი კვლავ უტეხად
დუმდა.

— გაბედა რომელია! — მზერა გაუ-
თბა ეფროს. — გერა უთქმელი კაცი
იყო, მაგრამ ჯიუტი. რასაც გადაწყვეტ-
და, ბუკვდი ესვა, ნეტავი ხელს ვის უშ-
ლის, თუ კაცი კვილიდან გადაცდა და
კიბეს აშენებს არსაიდან არსაითყენ. უნ-
და დააშენოს!

— იცოდა გერამ, რა კიბეს აშენებ-
და, ნესტორიც კარგად ზედებოდა ამას!
უკმაყოფილოდ თქვა ცაიანამ.

„გუშინდელი ძმები ამ კიბემ გადა-
კიდა ერთმანეთს, — გაიფიქრა ბერიმ.
— რატომ?“ უბის წიგნაკში კი ჩაინიშ-
ნა: „კიბე მაცხოვრისგორაზე — ცხრა
საფეხური (მშენებელი უცნობია) —
101 საფეხურის ჩათვლით — გერა კვა-
რაცხელია.

— იქნებ იმ კიბემ უბიძგა ნესტორსა
და ძღვიბის, დაენგრიათ მაცხოვრისგო-
რის ტაძარი? — იკითხა ბერიმ.

დედაბრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ძველია ეს ამბავი! — თქვა ეფ-
რომ. — გუშინდელმა ძმებმა სხვადა-
სხვა გზა ირჩიეს... ახალმა მთავრობამ
ახელ-დახედა გერას, შერეკლია, მაგ-
რამ ჩვენიაო... გახედა ნესტორს, ესეც
შერეკლია, მაგრამ მტრისიაო და ცი-
ხეში ჩააყუდა...

თამაზ ჩხეიძე

ჩიოში მარგალიტები

ბიბლოსის ღამე

სიძვის ხალხობრივ ორგანიზაციის ღამეს

გავიცანა შენ —

ადონისის შმაგი მხეველი

და ვერ გვიწყვებ, ვერ გვიწყვებ,

ღმერთებსა ვფიცავ!

შენი მკლავების სიტკბოება აფროდიტეს შემურღებოდა,

შენი მკერდი — ძუძუმრავალ კიბულეს.

ვინ, ვინ დააცხრობს შენს ავხორცილას,

შენს სიმშავეს, შენს აწვევტას. შენს გახელებას?

მხოლოდ ღმერთის ძალუძს ის, რაც

კაცს არ ხელეწიფება...

სიძვის ხალხობრივ ორგანიზაციის ღამეს,

ადონისის დღეხასწაულზე

მე ვიგეშე შენი სიყვარული, ო, ღვთისდარო,

და ვერ გვიწყვებ, ვერ გვიწყვებ,

პერკულესს ვფიცავ!

მდგდრობა მისი დახშულია, ურდული ადევს,
ტანში კი ნდომით იზმორება აზრი ვერაგი,
რომ გულის შმაგი ბაგაბუვით და ფათერაკით
ღირწების ზღვიდან საგანძური ამოყვეს ბადეს.

ის ხსნის გულშივე საშუდამოდ გაბრწნილ ნივარებს,
არ უმინია — თაუნებაა და უშიშარი,
და კმაყოფილი — მამრთა შორის წუშად არიგებს
ნივარის ღრუში გადამალულ ცრუ მარგალიტებს.



რამეს თუ კეითხავ – მცირედმეტყველი
გადაიქცევა წამსვე ღუმილად,
გულდახურული სხვისთვის ერთხელვე
ქვებუღანია და ჩუმჩუმელა.

მისი ვინაა უღაფთა რიგში
შმაგი ჭუნება, – მამრთა სამიზნედ
რომ გადაიქცეს და მერე რიქმად
რომ გაიზადოს ნდომა თავისი.

ასეთი არის იგი დიაცი,
ამიკთა გუნდის არმომღურველი,
ცბიერა თვალთ, ხარბი სიანციით
დაუცხრომელი ვნების მსურველი.

მეჩვი

მართლა უყვარდა ზენობია სასტიკ რადამისტს –
თვითონ რომ მოკლა და ისროლა არაქსის წყალში?
ან რას ფიქრობდა მეწყამული იგი ადამი,
როდესაც ვეამ შეაჭამა ედემის ვაშლი?

და დღესაც, დღესაც ხულ კატარა და სუსტი იჭვი
უცებ იზრდება ვით აპრილში ზვირთი არაგვის,
და აპა, მისგან – ჯერ ასანთის ღერი თუ იწვის –
შაჰი ცეცხლშია გახვეული მიელი ქალაქი.

ეს ჩემს გულშია დაგზნებული იჭვის ხანძარი,
ჩემს გულში იწვის ეს ქალაქი უზარმაზარი.

სისხლიან ვარდს ჰგავს, გაფითრებულ იორდასილამს,
საქორწილო თუ სასიკვდილო გვირგვინით შირთვას,
ხან მეკობრეთა განწირულად აღმართულ აღამს –
გაუგონარი სივარულით ამგვარი ბოღვა.

აუზღუნელი სურვილების პოზიერ ლექზე
იზრდება იგი და შხამიან ნაყოფებს ისხამს
და კვლავ თავის თავს უბრუნდება მომაელის რისხვად
ვით კუზიანი, უძღები და ელური სექსი...

აი ის, რაც მათ აკავშირებს და რაც აერთებს
მათ – ლავამაყრილ მელანთოს და ბებერ ლაერტეს.



თბილისის
უნივერსიტეტი

მინდა შენს მძევლებს გული გაეუბო,
რომ მოვიხადო იჭვის სახადი,
მინდა დაუმცხრალ შენს მძუნაობას
და ავხორციობას ფარდა ავხადო.

მინდა იცოდნენ შენი მრუშობა,
რომ ჯვარზე გაცვან ან ქვით ჩაგქოლონ,
რომ ვერც სიფხიზლემ, ვერც მიღქუშობამ
შენი აღურსი ვერ მომაგონოს.

რომ არ შემშალოს მე შენმა სიძვამ,
ნდომისგან სიმწრით რომ არ ვვეიროდე —
მინდა მარადის კუბოში იწვე
და ცხარე ცრემლით მე დაგტიროდე.

სიცრუის ვარდი

შენს გულში ჰყვავის სიცრუის ვარდი
მზით ცვარდასხმული, მკვრივი და
საესე,
სიცრუის სათნო, ლამაზი ვარდი
ვევლაზე წმინდა სიმაართლის მსგავსი.

თავმოწყონეა შენი სიცრუე
და გულუბრვეილო, მე კი უნებურ
მახსენებს იგი, თუ რა იწროა
დედათა რჯული. ზნე და ბუნება.

არ მომეკარო, — უფსკრულია ჩემს უკან, ერთი
წაბორძიკება და ორივე გადვინებებით...
ღმერთებს გაფიცებ სწორი მითხრა, და თუ მიგამძღვის
დანაშაული — აღაიარო! შენ მაინც ბაღლი.
გადარნე იქნებ, — ჩემი ზვედრი შავეთის მზეა.



ამ ქალზე ცუდი არაეინ მოთხრას,
 არ გამაგონოს სიტყვა აუვის,
 საკმარისია, რაც უავე ითქვა
 გულის სიმრუდით და სინაუქით.

როცა დადგება ყოელის წარმზოცი
 ეამი – უფალთან ცოდვის მიმტანი,
 ვინ იცის, იქნებ ცრუ და ავზორცი
 სწორედ ეს ქალი იყოს წმინდანი.

საიდუმლო

რა არის მათი სიყვარული – უხმო თამაში?
 ნიჭარის ღრუში დაფარულის შმავი ძიება?
 ერთმანეთს ზოგჯერ უყურებენ ვრუ ნაციებით
 და რაღაც მწველი შურისგება არის ამაში.

და კიდევ არის საიდუმლო – თავი და ბოლო
 ამ სიყვარულის – შეუცნობი და შემზარავი,
 რომელსაც არვის გაუმხელენ, რომელიც მხოლოდ
 მათი ზვედრია ამ სოფელში, მეტი არავის.

პპირილა

ისე ვით საყდრის ბნელ საკურთხეველს
 გადარჩენილი ფრესკის ნაფლეთი –
 შენს სახეს ზოგჯერ მზესხავით ადგას
 გამოუცნობი ღიმილის შუქი.

და მაშინ როგორც ვეალეაში წვარო,
 ანდა ხრიოკზე ნაზი კვირილა
 იცინის შენი ბავშვური სახე
 ჯერ განუცდელი ბედნიერებით.

უხსოვარ დღეთა სანუქარია
 მზით პირნაბანი ეს გაღიძება –
 იმ დროის მაცნე, როცა ვიყვარდა,
 როცა შენ თვითონ ვვირილას ჰკავდი.

მე-3 ლექსები



შენ ჩემი არ ხარ, არც სხვისი ხარ, შენა ხარ მონა
ბნელი და ძველი, სასტიკი და ყრუ ღვთაებისა,
რომლის ტაძარი ჩვენს გულშია: ხისხლსა და ზორცში.
ეს იმან შეგხსნა სიქალწულის სარტყელი, იმან
გაქცია მდედრად, გაზიარა ხიძვის ცოუნებას
და აეზორცობის საიდუმლოს...

ველა სხვა კაცი

შენთვის იმ ერთი ყრუ ღვთაების მოღანდებაა.
და შენც ამიტომ, მისი მონა, ყრუ ხარ და მუნჯი,
გულწაფრობილი, უკადრისი, კლისი და უნდო,
თუმცა მორჩილი და უსიტყვო, როდესაც მისი
სასტიკი ნების უღელს იდგამ ნებაყოფლობით.
ამიტომ ვერ ხსნობ შენ ჩემს სახეს, ამიტომ შენს გულს
არ წვდება ჩემი დაძახილი და შენი ხსოვნის
პირქუშ მღვიმეებს ვერ აღვიძებს ჩემი ყვირილი...
შენთვის ცხრა ბეჭდით დაბეჭდილი იქნება მუდამ
შიში და თრთოლვა, იღუმალი ცრემლი და იჭვი
და სიყვარულის ზიარებით ფერისცვალება.

უზარმაზარი მარგალიტი, თბილი და მრუში,
მწიფდება გულში და აწვევა მღვიმეან ბუბუებს
და გული სკდება სიმსივნისგან, და ის ბაღლაში
ნექტარის მსგავსი, — სულერთია, ვის სარეცელზე —
ხისხლად იღვრება...

დასაწყისი ასეთი იყო.

და შენ ვით ზამბახს მზიან დარში ევლმოდერებულს
ფერფლად დაგცვიედა ყვაილები და მხოლოდ ბუტკო
უძღები ენების საზღაურად დაგრჩა სამზეოს.
ვგ არის შენი ბედისწერა: უძღები ენება
პრუში სიზმრებით მიაღვარო სხვათა სარეცელს.

თბილისური ჩანახატები

ამას წინათ ჩემს ხელნაწერებს ვათვალიერებდი და ასეთ ჩანაწერს წავაწყდი: „სერგო კლდიაშვილმა მოთხრა: არჩილო, ახლა მე მხოლოდ სიზმრებით ვცხოვრობ. შესიზმრება ის ადამიანები, რომლებიც სოფელში ვრძობისას ვნახე და შერმე არასოდეს, მთელი ცხოვრების მანძილზე აღარ მინახავს და არც გამხვნებია. 8 ოქტომბერი 1980 წ.“

ეტყობა, მომწონებია, რახან ბატონი სერგოს ეს ნათქვამი ჩამიწერია კიდევ. მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვაღიარო, ამ ნათქვამში გაფიქრებული სეკუნდა ახ-

ლა უფრო მესმის, ვიდრე მაშინ, ცამეტობდე წლის წინ. როგორც ჩანს, ადამიანის ცხოვრებაში დგება ეპოქა, როდესაც მართლა სიზმრებით ცხოვრობ. ეს სიზმრები ძველი, განვლილი ვოფის ანარეკლია — შენი შესიზმრების ბუნებრივ კონსტრუქციებში მიფუნქციონირებს და მიძინებულად, თითქოს სამუდამოდ დაიწვებული და დაკარგული. შერმე გაივლის დიდი დრო და შესიზმრების წყველიდან ამოტივტივდებიან არა მარტო ადამიანები, გესიზმრება საგნებიცა და მოვლენებიც, რომლებისთვისაც თითქოს თავის დროზე უწრადლება არ მივიტყევია.

მოაწმინდა

ოცდაათი წელი ვიცხოვრე იმ სახლში, რომელიც მტკვრის პირას იდგა. ხის რიკულებიან აივანზე მდგარს თითქმის ნახევარი თბილისი ზელისგულზე მელო. ჩემი აივნიდან მოჩანდა: ორი ხიდი — მუხრანის დაკიდული და ვორონცოვისა, მუხრანის ზიდს ქვემოთ — მარცხნივ მეტეხის ციხე და ტაძარი, მარჯვნივ სიონის გუმბათი, უფრო ახლოს — ანისხატა; მოჩანდა ზემო და ქვემო უბანი, ნარიყალა, სოლოლაკის ნაწილი, მთაწმინდის უბანი, რუსთაველი, ზემელი, რუსული კვლესია. კვლესიის მიღმა ვერის სახურავები, ხოლო სახურავებს იქით თრიალეთის ქედის ბოლო ფერდობები, რომელთა წიაღში

ზაფხულობით მზე ივანებდა. და ყველაფერს, რასაც ჩემი აივნიდან ვხედავდი, თავს უყრიდა, აწესრიგებდა, ამთლიანებდა და აგვირგვინებდა მთაწმინდა ანუ მამადავითი.

პატარა ბავშვი აივანზე ვიდექი და თვალს ვადევნებდი ფუნქციონირების ტრამეის პანაწინა ვაგონების თითქმის შეუშინებელ მოძრაობას. განსაკუთრებით ვიძახებოდი მაშინ, როდესაც ვაგონები ერთმანეთს უშლილვდებოდნენ. ყური მჭონდა მოკრული, ოდესღაც, დიდი ხნის წინათ ვაგონები ერთმანეთს შეეჯახნენო. ცხადია, ეს ჭორი იყო. მაგრამ მე მაინც ველოდებოდი ასეთი შემთხვევის განმეორებას. ფუნქციონირ-

ორის მთლიან სისტემას, ზევით და ქვევით ვაგონების მოძრაობას შე აღვიკვამდი, როგორც ბავშვებისათვის მოვიზონილ ხაიაამაოსა თუ ვახართობს და გვარიანად ვერთობოდი კიდევ. ვაგონების გასაფართან მღვარი ეკლესია უფრო მოვკვიანებით ვაკვიცნობიერე.

ორი საუკუნის წინ მთაწმინდის ფერდობები ტყით ყოფილა დაფარული. ტყე შემდეგ გაუნეხიათ და დაუნეკეთამ ბარბაროსობას რაც გადაურჩა, იმას თბილისელმა მენახშირეებმა მოუღეს ბოლო, თბილისის ბაზრებში ვაფიდეს ნახშირად.

ჩემს ბავშვობაში მთაწმინდის ფერდობები ტიტველი იყო — ჟანგისფერი, მუქი რუხი, ნაცრისფერი. ზაფხულობით ალაგ-ალაგ მწვანით იფარებოდა. ზაფხულის მიწურულს კი მწვანე ნელ-ნელა წითლდებოდა და მერმე შემოდგომის შუე შინდისფრად აელვარებდა.

განთადის პირველი სხივები მთაწმინდის კალთებს ეფინებოდა და მანამდე იყო გაბრწყინებული, სანამ შუე თრიალეთისკენ გადაიხრებოდა. მერმე იწყებოდა ნამდვილი საოცრება: მთაწმინდა თანდათან ეხვეოდა ჯერ მთვარდისფრო, ხოლო შემდეგ მოლურჯო ბინდ-ბუნდში. რომელიც მის ფერდობებს, კალთებს, მის უბებს ჩემთვის შეუცნობი იღუმალებების ბურუსით ავსებდა ამ იღუმალებაში დიდხანს ვერცხლისფრად გამოკრთოდა ეკლესია.

მამინ არ ვეცოდი და არც შეიძლება მცოდნოდა, რომ თბილისში ასე წლის წინათ ცხოვრობდა ჭაბუკი რომელმაც პირველად შენიშნა და იგრძნო მთაწმინდის შემოღამების უცნაური სილამაზე და განუყოფლობა. ოღონდ ჩემსავით შორიდან კი არ დაინახა, არამედ მისი წიაღიდან იხილა, იგრძნო, განიცადა და არა მარტო განიცადა, პოეტური ძლევათხილებით ახსნა ამ მშუენიერების იღუმალება. თუმცა ეს უფრო მეტია, ვიდრე მშუენიერება და სილამაზე.

ჩემთვის დღემდე აუხსნელი დარჩა მთაწმინდისა და მთვარის მაგიური თა-

ნაარსებობის, ერთიანობისა თუ პარმონიულობის საიდუმლო. [წმინდა] მეგონა, თითქოს მტკნარმა მთაწმინდამ იმიტომ წნდებოდა ცაზე, რომ მთაწმინდა გაენათებინა, მისი კალთები და უბე აეცხო ოქროსფერი სხივებით. დამის წყვდიადს ბოლომდე კი არ დაენთა ეს სილამაზე, უფრო გამოეკვთა და აეღლვარებინა.

მამინ ჯერ კიდევ არ ეიცოდი და არც შეიძლებოდა მცოდნოდა, რომ თბილისის ქუჩებში დადიოდა კაცი, რომელმაც პირველმა დაინახა და იგრძნო მთაწმინდისა და მთვარის თანაარსებობისა თუ პარმონიულობის საიდუმლო, რასაც უბრალოდ „მთაწმინდის მთვარე“ დაარქვა. დაინახა იქიდან, სიდიდანაც ამის დანახვა თითქოს შეუძლებელი იყო. დაინახა შიგნიდან, მთაწმინდის უბიდან. არა თბილისის, არა მეტეხის, არა ნარიყალას, არამედ — მთაწმინდის მთვარე! როგორც ყველა გენიალური მიგნება თუ აღმოჩენა ესეც თითქოს მარტივი და უბრალოა. იგი მარადიულია და ამ ორი ცნების ერთსახოქენება ჩვენს ცნობიერებაში იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს მთაწმინდა და არსებობს მთვარე.

მთვარის ცვალებადობას კლებას თუ მატებას არ ჰქონდა მნიშუნელობა. სულერთია, როგორი იყო მთვარე: საესე, ნახევარი თუ მილეული. სწორედ ეს ცვალებადობა და მოძრაობა ანიჭებდა დამის მთაწმინდას მიმშიდველობას და დინამიურობას, აცოცხლებდა და საჭურეტად მოსაწყენს არ ხდიდა. მას უძრავ დეკორაციად კი არა, სიცოცხლის ანდა ცხოვრების, რაღაც მარადიულის ნაწილად აღიქვამდი.

ერთხელ საოცრად დიდი მთვარე დაინახე მთაწმინდის თავზე დაშეებული. ვუებერთელა, ღამაში ოქროსფრად მოლეარე მარცხენა მხარზე დააჯდა. არც მანამდე და არც მას შემდეგ მთაწმინდაზე დაკიდული ამხელა მთვარე არ შემომჩნევია. იმ ხანებში ბერძნული მითოლოგიით ეიფავი გატაცებული და

უნებურად გამახსენდა აქილევსის ფარი, რომლის აღწერასაც ჰომეროსმა მთელი თავი მიუძღვნა. თითქმის ერთი წლის შემდეგ ლექსი დავწერე. ასე მთავრდებოდა: „აჲალ მთაწმინდას, დავფრდნობი იღაფეთ მთვარეს, ვით ნაომარი აქილევსი ფარს ვფრდნობოდა“. მე ახლაც მომწონს ეს მოძრაობა: ნაომარი აქილევსივით ფარს დავრდნობილი... მაგრამ, ალბათ, შეიძლება, სხვა მთაზეც დავფრდნობოდი ფარს ასევე მოხდენილად.

მინდა აღვნიშნო მთაწმინდის კიდევ ერთი თვისება: გარინდება. ანუ დუმილი. ხელ შეგონა, თითქოს ხმის ამოღება შეეძლო და სივრცეში მაქცერალი ერთი წუთით იყო დაღუმებული ან რაღაცას თუ ვიღაცას უხმენდა გარინდებული. წლების მანძილზე ეპიგრები ამ გარინდებას, უხმენდი დიდებულ ღუმელს იქ, სადაც მტკვარი გაჟღერებით მიედინებოდა და, როგორც იტყვიან, ხმაურობდა. ასე ითქმის, თორემ ეს ხმაური არ იყო. იგი ხან ფოთლების შრიალად აღიქმებოდა, ხან – წვიმის შხაპუნად, ხან – ფლურტულად, ხან – დუღუნად და ბუტბუტად. მაშინაც კი, როდესაც აღიდგებოდა, მტკვარი ხმაურით არ გაწუხებდა.

ესეც დიდი ხნის წინათ იყო დანახული და განცდილი. საქართველოში ცხოვრობდა ოლიმპიელი, რომელმაც პირველმა გაიგონა მთაწმინდის ღუმილი და პირველმა დაუკავშირა იგი მტკვრის „ხმაურს“. მან პირველმა აღიქვა ერთად მთაწმინდა და მტკვარი. სამუდამოდ აღბეჭდა ჩვენს გონებაში

შორს მაქცერალი, დაღუმებული მთაწმინდა, რომელიც მტკვრის დაღუმებს უხმენს.

ზინზლიჩისეჰს

მთაწმინდის პირველადმოძენად დავით გარეჯელი უნდა ვივულისხმოთ. თითხმეტი საუკუნის წინათ აქ გამოუქვბავს ხენაკი და პირველი ლოცვა აღუვლენია უფლისადმი. მე გგონია, რომ გამოქვბავული სწორედ მთაწმინდის ის უბეა, სადაც შემდეგ არაერთხელ აუვით ტამარი და ახლაც დვას კვლესია. არაუინ იცის, რა სიტყვებით ლოცულობდა ასურელი მამა, რას ვვედრებოდა უფალს. ერთი კი ცხადია: მისი ლოცვა-კურთხევით მთაწმინდა მთელი თავისი დიდებულებით დღესაც გადმოკურებს თბილისს.

მთაწმინდა თბილისისხვან საქმაოდ შორს იდგა. როგორც ჩანს, საუკუნეების მანძილზე იგი იზიდავდა და თბილისიც სელ-სელა, შეუშნეველად მიიწვედა მთაწმინდისაკენ, ვველა გალაყანა და ზღუდე გადაღაბა, რათა მის თვალსაწიერზე დამკვიდრებულყო. ამ გზის გავლას პირველი ლოცვის დღიდან თითხმეტი საუკუნე დასჭირდა.

მთაწმინდას მართლაც აქვს მიზიდულობის, მომწუსხველობის ძალა და მის მჭკრეტელს ყოველთვის სიკეთეს უნერგავს გულში. ოღონდ დიდ ხანს უნდა უქცობო. როცა დიდ ხანს უშვებ, საღამოს მთაწმინდა-მთაწმინდისფრო ბინდ-ბუნდში უსათუოდ დაინახავ: მთაწმინდა თავის უბეში მღვარი კვლესით საოცრად კვავს ღუთისმშობელს, რომელსაც კალთაში ყმა იესო უზის.

შეკვარი

მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე. თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში – ჩუღურეთში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც ფოფილი ვორონცოვის ხიდიდან მუხრანის ხიდიმდე მდინარის წისქვილები იყო ჩამწკრივებული. ეს წისქვილები ქალაქს განუშორებელ

ელფერსა თუ კოლორიტს ანიჭებდა. მაგრამ ამ განუშორებლობას მაშინ ალბათ ვერც ვვრძობოდი, რადგან მტკვარი, მტკვრისპირა ეზოები, მდინარეზე გადმოფენილი აივნები და თვით წისქვილებიც ჩემი ცხოვრების ყოველდღიური გარღვევალია იყო.

ასევე ჩვეულებრივად აღვიქვამდი ვორონცოვის ხიდის ბურჯებსშორის გამოჩენილ ტივებსაც. ეს კი იყო, დამაბული ვადკენებდი თვალს, მეტივე ხიდის თაღში როგორ გამოატარებდა ტივს. აქაფებულ მდინარესთან ბრძოლისას დიდი ღონე, სიმარჯვე და გამოდილება სჭირდებოდა, ტივი ბურჯისთვის რომ არ მიეხუთქებინა. მე უხედავდი, მეტივეები რა ღონივრად, რა ოსტატურად უხეამდნენ ორთაფვირებს. მათი ცქერა მართლა დიდ სიხარულსა და სამოწონებს მანიჭებდა. ტივებს „ორბელანის კუნძულის“ ნაპირზე, მუხრანის ხიდის მახლობლად რამდენიმე დღის შემდეგ მორებად შლიდნენ და ქალაქში გაქონდათ. გულწრფელად ეამბობ: ტივზე მოქიფვე ზურნადოლიანი მოქიფვე დარდიმანდები მე არასოდეს მინახავს. თბილისში ტივებად შეკრული მორების ნამოტანი გარკვეული სამრეწველო ციკლის ერთ-ერთი რგოლი იყო და არა გასართობი. თბილისელები კი ტივებს რატომღაც მოქიფვე დარდიმანდებს უუკავშირებთ და მდინარის სტიკიას შევბღბულები მეტივეებს თევგანწირვა და სიმამაცე ვგავიწყდება.

ცხადია, წიხტილებიც თბილისური ელფერისა და კოლორიტიხთვის არ იყო ნაპირის გასწვრივ მდინარეზე ჩარიცხებული. ორმოცი წიხტილი დღედაღამ შეუხევენებლად ატრიალებდა თავის უზარმაზარ ბორბლებს, დედაქალაქსა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებს ზორბაღსა და სიმინდს უფქვავდა. ურმებს, დროგებს, ცხენებსა და ვირებს დაუსრულებლად მიჰქონდათ ფქვილი. ფქვილის ტომრებით დატვირთული აქლემებიც მინახავს, ოღონდ დღემდე არ ვიცი, ეს აქლემები ხაიდან მოდიოდნენ და სად მიდიოდნენ.

მტკვარი აპრილის შუა რიცხვებიდან იწყებდა ადიდებას. ფერს იცვლიდა, აიძვრებოდა და მერმე, ჯერ ნელ-ნელა, დღითი დღე მატულობდა, ხოლო მაისის დამდეგს წყლის ღონე უკვე ყოველ საათსა და წუთს ზევით, ეზოებისკენ

იწყებდა. მოდიოდა ღონიერი, დღეობის-მძლეველი მტკვარი, ვინც ვინც შეეხებოდა, რასაც გზაზე წააწყდებოდა. სამინელი სისწრაფით მოაქანებდა ძირფეხვიანად მოთხრილ ვოლიათ ხეებს. მტკვარი წყალდიდობისას მოუკარებელი, კერავი და დაუნდობელი იყო.

ორი-სამი კვირის შემდეგ ცხრებოდა მდინარე და მაისის ბოლიდან თანდათან თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. ასევე უბრუნდებოდა ძველი იერი და ფერი — მოშწვანი, ბაცი ზურმუხტისფერი. თუმცა მტკვარმა ზაფხულობითაც იცოდა ამღვრევა, თუ მოყვითალო თიხისფრად მოუდინებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბორჯომის ხეობაში ან სადღაც სამხრეთში წვიმდა. თუ მდინარე მუქ სილისფერ ტალღებს მოაგორებდა, ვიცოდით, მტკვარს არაგვმა ან ლიახვმა შეუცვალა ფერი, სწორედ ამ ხეობებს დასტყდომოდა თავს დიდი წვიმები.

მე შემომჩნევია და მიგრძენია, თუმცა მაშინ ალბათ არ გამიცნობიერებია: მტკვარი ქალაქის ფარგლებს გარეთ სხვანაირად შეედინებოდა. თითქოს სხვა მდინარე იყო. ქართლში, გორის მახლობლად, ქვიშხითთან თუ ბორჯომთან მას სხვაგვარად აღვიქვამდი, ეუმზერდი, როგორც უცხოსა და შორეულს. მერმე შეჩვენებოდა, თბილისში შემოსვლისთანავე ზნესაც და ფერსაც იცვლიდა ბოლმე, თითქოს სხვა აზრით იყო დატვირთული ანდა სხვა მისია ქონდა დაკისრებული. თბილისს ვადებოდა, ორთაჭალას ჩაუვლიდა და ისევ ჰკარგავდა თავის თბილისურ იერს, აზრსა და დანიშნულებას. ეს აღარ იყო თითქოს ნემი მდინარე, რომელმაც ფიჭრი, ცურვა, ნაყის ტარება, ბადის გაშლა და, რაც მთავარია ალბათ ცხოვრებაც მასწავლა.

მაგრამ მტკვარი მე მაინც დაგკარგე. მტკვრის ნაპირზე გაშენებული სახლები დაინგრა და მათ ნაცვლად ბეტონის ჯებირი აღიმართა. ცხოვრებამ ახლა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მომისროლა და მდინარისაგან საკმაოდ მოშორებულ ქუჩაზე დამახალხა. თითქმის წლე-



ბის მანძილზე ვეღარ ვხედავდი მდინარეს, რომელიც ისედაც უკვე თავის თავს აღარ ჰკავდა, ბეტონის ჯებირებში მოქცეული. ჩემგან დაუწყებელი და მიტოვებული მდორედ მიედინებოდა.

ახლა დრო და დრო მესიზმრება მტკვარი, ჩემი ძველი მდინარე — კეთილიცა და დაუნდობელიც, როგორიც თვითონ ცხოვრებაა. მესიზმრება ისე-

თი, როგორიც ოდესღაც, ბავშვობას მინახავს და ღრმად ვერ დავსვენებულნი, დღეს სულ სხვა, კაცობრივი, ცხოვრების გზაზე მტკვარი რომ არ შემხვედროდა. მესიზმრება, რა თქმა უნდა, ის ადამიანებიც, მესხიერების ბნელ კუნჭულებში რომ ჩათვლემიდან და ხანდახან, მოულოდნელად, თითქოსდა უაზროდ გაიფლავებენ ხოლმე.

ძია კოსტია

ჩემი მეზობელი, ძია კოსტია, თბილისში დაბადებული კაცი იყო. მისი წინაპარი გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ რუსეთის იმპერიის ჯარებს შემოჰყოლია საქართველოში და მერმე აქედან ფეხი არ მოუკვლია, აქვე დასახლებულა და დაფუძნებულა. უბანში ძია კოსტიას ყველა იცნობდა და ასე მიმართავდნენ: ძიას — ქართულად, Костя-ს — რუსულად. წელურეთელი პოლიგლოტი ითბ უნას ფლობდა: რუსულს, ქართულს, აზერბაიჯანულსა და სომხურს. აქედან ორს — ქართულსა და რუსულს სრულყოფილად. წარმომოებით უკრაინელი გაზღდათ — კონსტანტინე ივანენკო. მისი წარმომავლობა შემთხვევით გაეიგე, ერთ საღამოს ნაბახუხვემა მითხრა, — მე კაცი მქვია: ანაკო, ჩემს სამშობლოში ერთხელაც არა ვყოფილვარო. რუსეთშიმეტქი, ვკითხე. არა, უკრაინაში, ჩემი წინაპრები ზაპოროჟელები იყვნენო. ეს ნოსტალგიური სევდა მერმე არასოდეს გაუმგლავნებია, ცხადია, არც — მანამდე.

ძია კოსტია მეთევზე იყო, თბილისელი მეთევზე, თევზაობით არჩენდა ოჯახს. მუსტარი ყოველთვის შინ აკეთხავდა. ნაპირიდან ლარზე გაბმული ანკესებითა და ჩახადგმული ბადით თევზაობდა, კვირაში ორჯერ-სამჯერ თავისი ბრტყელჭირიანი ნავიდანაც შლიდა ბადეს. სიჭარბევეში ბიბლიურ მეთევზეს მაგონებდა, ხოლო როცა დაბერდა, პემინგუეის მოხუცს დაემსგავსა.

თავის ქალას ძლივს უფარავდა მკნხერი, ვახუნებული გაურკვეველი ფერის თმა. ახალგაზრდობაში წითური უნდა ყოფილიყო, რასაც არცთუ ისე იშვიათად მისი მეუღლე, დეიდა ანიუტა აღასტურებდა. ეზოში მოზოდიადე, მობანტალე მოვრალ ქმარს რომ დაინახავდა, აიენიდან ვადმოსძახებდა:

— Опять нажрался рыжий горшок?!

ასეთ სიტყვას სხვა ვერაინს ჰკადრებდა, გარკვეული მიზეზის გამო, მხოლოდ ცოლი უბედავდა.

ძია კოსტიას უამრავი ხალხი ჰყავდა დაღრნობას გადარწმენილი. მტკვარში თუ ვინმე იღრმობოდა, ვორონცოვის ბიდიდან საშინელი გაბმული სტკენა ატყდებოდა. ძია კოსტია მტკვარს აღმა გახედავდა, მერმე წერილი ჯაჭვით დაბმულ ნაეს ახსნიდა, ნიჩაბს ან ჭოკს მოიპარჯებდა და ნაპირნაპირ აყევებოდა მდინარეს. მერმე ნაკვი უცებ მოწყდებოდა ნაპირს და ტალღებს გადაკეთდა.

უამრავი გადარწმენილი ხალხიდან მერმე დღეს ერთი კაციც არ მოსულა მადლობის სათქმელად. მე არ მახსენდება ასეთი შემთხვევა. თვითონ, ძია კოსტია, იღიმებოდა ხოლმე, ვის რად უნდა მაკათი მადლობა, წაეიდნენ, გაიხარონო. მართალი ეთქვა, მიკვირდა. რა იყო ეს? უმადურება? თუ ადამიანი შევსებულად გაურბოდა მწარე მოგონებას, სიკვდილთან უთანახსორო ბრძოლის, საშინელი ტანჯვა-წყალების გახ-

სენებას? მხოლოდ ვიღაც ქალბატონი მობრძანდა ერთხელ და მია კოსტიას დიდი ძღვენი მართა. წინა დღეს ვორონცოვის ხიდიდან 12-13 წლის ბიჭი ჩაქარდა ადიდებულ მტკვარში და მია კოსტიამ დაღრწობას გადაარჩინა. ვორონცოვის ხიდი სარემონტოდ ყოფილა აყრილი, და ბიჭს ფეხი დასცდენია. დედას თავისი თვალით უნახავს, გვერდით მიმავალი შვილი უცებ როგორ გამქრალა და სანაპიროთი კვილით დახდევნებია. მია კოსტია შემთხვევით აღმოჩნდა ვორონცოვის ხიდთან, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი ღვთისაგან განწირული არ ყოფილა.

1944 წლის მაისი იწურებოდა. დილაადრიან სკოლაში ვეშბადებოდი წახსვლულად — ქართულ წერაში მქონდა პირველი გამოცდა. აივანზე გამოსულმა სტვენა გავიგონე და ეზოში სწრაფად დავეშვი. ადიდებული მტკვრის დონე თითქმის ეზოს უთანაბრდებოდა. მია კოსტია უკვე ეზოში იდგა და დაძაბული აღმა გაკურებდა მდინარეს. მოდი, მომეხმარო, მითხრა და ახსნა ნავი, რომელიც ვაჭვით ცაცხვის ხეზე იყო გამოშშული. მე არ მახსოვს, ნავში როგორ აღმოვჩნდი. მია კოსტიამ ნინაბი ჰკრა აგურის კედელს და ნავი მდინარეში შეაყურა.

მღვრიე წყალს ვაფაციცებელი დაეცქეროდი, ნავის ორივე მხარეს აღამიანს ვუბედი. ბოლოს, სულ ახლოს რაღაც ამოტრიალდა და მღვრიე წყლიდან ამოშვერილი მკლავი დაეინახე. სწრაფად ჩავიბუხლე და მკლავს ხელი წავატანე. თავი, თავი ამოაყოფინეო, მივივროდა მია კოსტია.

ეს ვეღვაფერი თვალის ერთ დახამხამებაში მოხდა. მია კოსტიამ მკორე ეზოშივე შეაყურა ნავი. გადარჩენილი მოხუცი კაცი აღმოჩნდა, საწყალს თურმე, პურის წიგნაკები დაუკარგავს და რბალს შინიდან გამოუვლია. აღშფოთებულმა ხალხმა მოხუცი შინ წაიყვანა. მე ტანსაცმელი გამოვიცვალე და დაგვიანებით გამოვეცხადე გამოცდაზე.

ველა შემთხვევას, ცხადია, ვერ გავიხსენებ, კაცმა რომ თქვას, არც მა-

ვონდება. მაგრამ ერთი მაინც განსაკუთრებულად დამამახსოვრებდა, რომ იმ დროისათვის წელიც მნიშვნელოვანი იყო და დღეს: 1945 წლის პირველი მაისი. ოთხი მეგობარი საბარველმაისო დემონსტრაციის შემდეგ დამთვრალა, ომის დამთავრება აღუნიშნავთ. ერთ-ერთი ატეხილა, მტკვარი უნდა გადაეცუროო. მაისში ძნელად თუ ვინმე გადაეცურავს მტკვარს, მით უმეტეს მოვრალი. მოცურავე დინებას გაურტაცებია და შემინებულს დაუწვია ბლავილი, მიშველეთო. ძმაკაცები, რა თქმა უნდა, მიშველებიან... სტვენა რომ გავიგონე, აივანზე გამოვედი და მტკვარს გადავხედე: ვორონცოვის ხიდს ქვემოთ ადიდებულ მდინარეში ერთმანეთს 3-4 მეტრით დამორებული ოთხი თავი დაეკინახე. მია კოსტიამ მხოლოდ სამის გადარჩენა შეძლო. იმას, ვინც აიწემა, მტკვარი უნდა გადაეცუროო, ვეღარ მიუხსნო.

მტკვრის მარჯვენა სანაპირო ადრევე აშენდა, ომამდე. მარცხენა სანაპიროს მშენებლობა ომის დამთავრებისთანავე დაიწყო, გერმანელი ტყვეები აშენებდნენ. შედარებით მოკლე დროში გერმანელებმა ჯებირი ჩვენს ეზომდე მოიყვანეს. მერმე დროებით შეწყდა მშენებლობა. რადგან ტყვეები ბოლოს და ბოლოს სამშობლოში დააბრუნეს.

ჯებირი ჩვენს ეზოზე რამდენიმე მეტრით მაღალი იყო და ეზოდან მტკვარი უკვე აღარ ჩანდა. მია კოსტიასთვის ეს უხედურების ტოლფასია აღმოჩნდა, ნავის დასაბმელი ადგილიც კი აღარ ჰქონდა. ერთ დღეს მითხრა, ნავი ვაყიდეთო. მართლაც მოვიდნენ ორთაჭაღელი მეთვევებები, ნავში ჩახხდნენ და მტკვრის დინებას გაკვესნენ. ჯებირზე მდგარი მეზობლები დიდ ხანს ვაყურებდით მდინარეში შეცურებულ ნავს, ნავი მუხრანის ხიდს რომ გასცდა, მია კოსტიამ ჯიბიდან დაჭმუჭნული ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები შეიმშრალა.

მია კოსტია იტყობარს არ იტყებდა, თუმა წლებმა და განსაკუთრებით უმოქმედობამ გატყვა. მერმე მე სხვა



უბანში გადაუდია საცხოვრებლად, მია კოსტიას იშვიათად ენახულობდი, შეზვედრისას რატომღაც დარტყენილი შესაღმებოდა და ხაუბარს თავს არიდებდა. მერმე ჩვენი ხახლის დანგრევის დროც დადგა. მია კოსტიამ მაინც მტკერის მახლობლად არჩია ცხოვრება და ვორონცოვის მოედანთან დასახლდა. ეს მაინც არ იყო მტკერის ნაპირი, იგი მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი კაცივით ცხოვრობდა.

მერმე მისმა ქალიშვილმა შემატყობინა — მამა ვარდაიცვალაო.

მია კოსტიას დასაფლავებაზე მივდიოდი. მშრალი ხიდა რომ გავიარე და ვორონცოვის ხიდს უვახლოვდებოდი, ნაცნობი სტენა ვევიკონე. შევეცბი. უცებ გავიფიქრე, ხომ არ მომესმა შეთქა. მაგრამ სტენა გაძლიერდა და მეც ხიდიც კენ გავიქეცი. იქ უკვე უამრავი

ხალხი ირეოდა, ერთი ჩინილი იყო ატეხილი, კაცი იღრნობდა, კრუნუნებდა, აჯირს გადაეყუდებოდა და მტკერის მუხზე და აზვირთებული ტალღების გარდა ვერაფერი დაეინახე. გაგიჟებული ხალხი ვვიროდა, კაცი, კაცი იღრნობა, უშველეთო.

მე არ შევინა, თუ ცხოვრებაში ასეთი რამ ხდებოდა, ასეთ უცნაურ დამთხვევებს უფრო ლიტერატურის ადამიანის ნააზრვეის სფეროს ვაკუთუნებდი ხოლმე. წარმოუდგენელი რამ მოხდა, მია კოსტიას დასაფლავების დღეს, დასაფლავებამდე ერთი საათით ადრე მტკერაში კაცი იღრნობდა, მხსნელი კი აღარ იყო. ამოდ უსტეენდა ხალხი, იმედიანად ამოდ იხუდებოდნენ იმ ნაპირისკენ, სადაც, ოდესღაც მია კოსტიას ნავი უბა.

სუშბათა

როგორც ყველა სოფელს, ყველა პატარა ქალაქს, ასევე დიდი ქალაქის უბნებსაც პყავთ თავისი „გიგი“, რომელიც უბნის ცხოვრების წესს თითქოს არ ემორჩილება და საერთო დინებიდან ამოვარდნილად ითვლება. თუმცა, კაცი რომ თქვას, ეს მოვლენა მაინც ერთგვარი ჯანონზომიერებაა და უაღმათაოდ უბნის ცხოვრებას რიტმიცა და აზრიც დაეკარგებოდა.

ჩვენს უბანში, ანუ ჩუღურეთში, ცხოვრობდა ვინმე სუშბათა. ეროვნებით სომეხი იყო, ყრუ-მუნჯი, ზამთარ-ზაფხულ თითქმის ტიტკელი დადიოდა, ფეხშიშველი. მხოლოდ ზაქისფერი შორტები ეცვა. მხარზე ირიბად ტყავის თასმა ჰქონდა გადადებული და რამდენადაც მახსოვს, ამ თასმაზე ტყავისავე ჩანთა ვიოდა. ჩანთაში რა ედო, არ ვიცი, მე მგონი, ეს არავინ იცოდა. სუშბათა ატლეტური აღნაგობისა იყო, მაღალი, დაკუნთული. სამოც წელს იქნებოდა მიტანებული, უკან გადაჟარცხნილი ქალბა თმა თითქმის მხრებამდე წედ-

ბოდა. არც წვერს ატარებდა, არც ულვაშს, პირგაუპარხავი არასოდეს მინახავს. ახლა რომ ვევიონებ, აპანის ტომის ინდიელს უფრო მგავდა, ვიდრე სომეხს.

სწრაფად და ენერგიულად დადიოდა, შეხუმრებას და ღლაბუცს ვერავინ უბედავდა, რადგან ძალზე ღონიერი და, როგორც ყველა ყრუ-მუნჯი, ზემეტად ფიცი იყო. თავს შემის ჭრითა და ჩეხვით ირჩენდა. ჩვენთვისაც არავითხელ დაუხერხია და დაუბაა შეშა.

სად ცხოვრობდა, სად ათევდა დამეს, არ ვიცი, არც დაეინტერესებულვარ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოსთან პატარა საპარიკმაზერო იყო და თითქმის დღის ყველა მონაკვეთში შეგველო იქ მოგვინახა. პარიკმაზერები უმეტესად სომეხები იყვნენ და, ალბათ, სუშბათა ამ გარემოს უფრო ეგუებოდა. ამბობდნენ, 1915 წელს სუშბათა თურქეთში სომეხების ზოცვა-ფლეტას გადაურჩა და თბილისში გადმოიხვეწაო. თითქოს მაშინ დაუღვია პირობა, ხატზე დაუფიცებია

მანამდე ვიელი ახე შიშველ-ტიტველი სანამ თურქებს სამაგიეროს არ მივეუზღვეო. იმასაც ამბობდნენ თავი განვებ დაიმუნჯა და მხოლოდ შურისძიების შემდეგ იტვიზ თავის სათქმელს.

სუმბათა არც მზის მხურვალეობას ებუებოდა, არც თოვლსა და არც ვინჯას. ფეხშიშველი დააბიჯებდა უბნის ქუჩებში. ერთ ზაფხულს, ბიჭები ბურთის ხათამამოდ აეკვით არსენალზე. სუმბათა უკანასკნელად იმ დღეს ვნახე: მინდორში მწვანე ბალახზე გულადმა იწვა. გაშოტილს ეძინა.

სულ მალე ომი დაიწყო და ეს კაცი ჩვენი უბნიდან ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოიწდა.

შოთა დედაბრიშვილი

1958 წელს „მნათობის“ რედაქციაში გავიცანი. მანამდე არსად შემხვედრია, ქუჩაშიც კი არ მომივრავს თვალა.

სიმონ ჩიქოვანის კაბანეტში ხაშნი ვისხედით: თავად რედაქტორი, ვია მარგველაშვილი და მე. კარი შემოღო ორი-სამი დღის წვერგაუპარხავმა, შუახნის მამაკაცმა, რომელსაც ძველი, გახუნებულ ბატონო ეცა და თავზე ასევე ძველი და გაყვითლი კეპი დაუდევრად ეხურა. ბატონი სიმონი წამოდგა და ღიმილით მიეგება, ვიაც მინაურულად მიესალმა, რედაქტორის მადიდანთან სკამი მიუდგა. ხელი რომ ჩამოუვართვი, არყის სუნი შეცა, თუმცა კაცს მაინცღამინც დავეშვილი ყნოსვა არ სჭირდებოდა, ნასმურობა რომ შეეშინია.

— შოთა დედაბრიშვილი, მხატვარი, შოთ არაგვისპირელის შვილი! — ხმა მადლა, თითქოს ჩემს ვასაგონად თქვა ბატონმა სიმონმა.

ამ ცნობამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მთერალი კაცისადმი უცებ დამეუფლა კეთილი განწყობილება, ერთგვარი მოწინააღმდეგის ვრწმობითაც კი გავიმსჭვალე.

სიმონ ჩიქოვანმა თავისი უჯრიდან საკმაოდ შეღახული საქაღალდე ამო-

ომის დაწყებისთანავე გუწინარდა სუმბათა.

მე, ალბათ, არასოდეს უნახავს და იგი, ჩემი ბავშვური სული რომ არ გაეკანრა მწარე ირონიას თუ ცინიზმს, ბედის დაუნდობელ დაცივნას, რომელიც ცხოვრებამ მოუმზადა ამ უცნაურ კაცს. სუმბათა თურმე დააბატიმრეს და დახვრიტეს, როგორც საბჭოთა კავშირში შემოვბაენილი თურქეთის აგენტი...

თბილისის უბნების ქალაქი იყო და ყოველი უბანი თავისი განუმეორებელი ნიშნითა და ხასიათით აღბეჭდილი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სვედითა და სიხარულით ცხოვრობდა.

ილი და ჩემთვის სულ მალე გაირკვა შოთა დედაბრიშვილის მოხელის მიზეზი: მამის მოთხოვნის, „გაბზარული გულის“ მიხედვით დაუწერია კინოსცენარი, რომლის გადაღებას ერთი ცნობილი კინორეჟისორი აპირებდა, მაგრამ მერმე, რატომღაც გადაუფიქრებია. ძმობას გეფიცებ, არ მეგონა... მშვენივრად არის დაწერილი, მოთხრა ბატონმა სიმონმა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რამდენიმე ეპიზოდის ფურნალში გამოქვეყნება, ოღონდ სცენარი რუსულად იყო წარმოდგენილი და სასწრაფოდ უნდა გვეთარგმნა.

როდესაც ასეთი მოთხოვნა არსებობს, თუნდაც კარგი სცენარის ფურნალში დაბეჭდება, რა თქმა უნდა, არ ღირს... მაგრამ შოთას ძალიან უჭირს. ხაში-ოთხი ეპიზოდი დაკუბუჭდით და მონორარც გამოუწერით, მეტყვის ბატონი სიმონი უთა კვირის შემდეგ, როცა ასაწვობად გამოხადებულ მასალას ხელმოხაწერად შეუუტან.

შოთა დედაბრიშვილი დახვეწილი რუსულით მეტყველებდა, უაქცენტოდ, ჯერ მეგონა, რუსულის ცოდნით კოკეტობს მეტი, მაგრამ ჩემს ოთახში რომ შემომეყვა, მე ქართულად გავუბი საუ-

ბარი, ის მაინც რუსულად მელაპარაკებოდა. რატომ ქართულად არ მეტყველებო მეთქი, ვკითხე. იუმორით შეფერილი ღიმილით მიპასუხა:

— Я жертва Великой революции, — თან არტისტულად ბაქნია ხელი, მერმე სკამზე დაჯდა და თითქოს თავისთვის ნაილაპარაკა, — вернее продукт!

კიდრე ხელნაწერს გადახედავდი, ორ თუ სამსტროფიანი ლექსი ნაღვლიანი ხმით, უპათოსოდ წაიკითხა. თუ მეხსიერება არ მდაღატობს, ლექსი თბილისის დაცემას, საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლას ეხებოდა. ახალგაზრდობაში ლექსებს ეწერდი... მაგრამ, ვის რად უნდა ქართველი კაცის რუსულად დაწერილი ლექსებით. რატომ, ბულატ ოკუჯავა ხომ წერს რუსულად მეთქი. მე შოთა მკვაია, იმას კი — ბულატი, ხომ არის ცოტა განსხვავებული, გაიცინა და წამოხდა, დღეს სიმონმა დამაფინანსაო, მითხრა და წასვლა დააპირა. კარი გააღო, შეყოვნდა. მხატვართა კავშირი ამ დღეებში ხელშეკრულებას გამიფორმებს და ვალს უსათუოდ გავისტუმრებო, თქვა და წავიდა.

როგორი მხატვარი იყო, არ ვიცი, მისი ნახატი არასოდეს მინახავს. თუმცა სიმონ ჩიქოვანიასგან გავიგე: ერთი ტილო ქვიშხეთის შემოქმედებითი სახლის რომელიღაც ოთახში ჰქონდაო. ვერაფრით გავიხსენე. შესაძლებელია, იმ ოთახში რომელშიც შოთა დედაბრძვილის ნახატი ეკიდა, ხაერთოდ არ შევხუვდარ.

ხუთიოდე დღის შემდეგ ისევ ნასვამი მოვიდა, ჟურნალი როდის გამოვაო. მე აუხსენი, მასალა ითარგმნება, ჯერ ასაწვობადაც არ არის გაგზავნილი მეთქი. ახლა ვია მარგველაშვილმა დააფინანსა და ვიასაც შეპირდა, მხატვართა კავშირი ხელშეკრულებას დამიდებს და ვალს გავისტუმრებო. კვირაში ორჯერ მაინც მოდიოდა, ჟურნალი ხომ არ გამოვიდაო, კითხულობდა. ყოველთვის ნასვამი იყო, შემთვრალი. ამ ხშირი სტუმრობის შემდეგ, ცხადია, დაუვახლოვდი და გავუმინაურდი. უკვე

მეც ვაფინანსებდი, ვალს უსათუოდ გადაგიხდი, როცა მხატვართა კავშირი ხელშეკრულებას გამიფორმებდა.

დიდი მასშტაბები არ ჰქონდა, დასაფინანსებლად ხუთი მანეთიც ჰყოფინდა. ამ ფულით არაყს იყიდდა, ხინკალს, ქაბაბს და ლუდსაც დააფორმებდა. შეეძლო, ლუდი სხვისთვისაც დაეღვეინებინა. ერთი რამ უნდა ითქვას, ყოველდღე სვამდა, მაგრამ გადამთვრალი ანუ „გაღელწილი“ შოთა დედაბრძვილი არასოდეს მინახავს. სმისას ვონებას და აზროვნების უნარს არ ჰკარგავდა.

რედაქციაში იმდენჯერ მოვიდა და იკითხა, ჟურნალი ხომ არ გამოხდითო, რომ პონორარი ჟურნალის გამოსვლამდე, წინასწარ გამოიწერა და მისცა სიმონ ჩიქოვანმა.

შინაგანად დახვეწილი ბუნების ადამიანი იყო, ესთეტი, არტისტი, ადამიანებთან ურთიერთობისას ზნეობრივ ზღვრებს არასოდეს გადააბუჯებდა. თუ არა ვცდები, ადამიანებს, ალბათ მოუღვენებსაც, კარიკატურისტის თვალთ აღიქვამდა, ოღონდ კაცის ვარკვნილ ნიშნებს, ეთქვით სახის ნაკვთებს, კი არ აქცევდა ჟურაღლებას, არამედ შინაგან თვისებებს, ხასიათის რაღაც დეტალებს ხედავდა და გამოხატავდა ვინებამაბვილური, კეთილი იუმორით. რა თქმა უნდა, თავის თავსაც ამ თვალთ უფურებდა.

მამის სახელზე ტაბუ ჰქონდა დადებული. ბევრჯერ ვცადე საუბრის წამოწყება, სიტყვა ყოველთვის ბანზე ამიგდო, თითქოს ვერ ვაიგო, რას ვეკითხებოდი. ასევე თავს არიდებდა პირადი ცხოვრების გახსენებას. ვერაფრით ვაიგე შიო არაგვისპირელის შვილმა, თბილისელმა კაცმა, რატომ არ იცოდა ქართული.

ქუჩაში შეუმჩნევლად დადიოდა, თითქოს ცდილობდა, ნაცნობს არ შეხვედროდა. მე გვიან მივხვდი, „მნათობის“ რედაქციაში მოსვლამდე მისი სახე რატომ ვერ გავიხსენე. ხშირად უთავაზობდი, ერთად დავლიოთ, მე გაატყებო მეთქი. არ მომეწებოდა. ზოგჯერ სულს დაფავდა, ისე უნდოდა არყის დაღვევა

და მაინც უარს მეუბნებოდა. რასაც ჩემთან ერთად დახარჯავ, მე იმის მეოთხედზე მეტოფაო, იცინოდა. მეც რაღა დამჩრუნოდა, მეგობრობისა და შეხვედრის „ხარკს“ ვუბლიდი. არადა მასთან საუბარი მინდოდა, დარწმუნებული ვიყავი, ბევრი საინტერესო ამბავი იყო და და ვფიქრობდი, ერთად სმის დროს რაღაცას მაინც წამოვაცდენინებ მეთქი.

უსძლელობის, სიფხიზლის პერიოდებიც ჰქონდა. რუსთაველებზე ფიზიკური შემხვედა და მითხრა, ცოლი მოეყვანე და აღარა ვხეამო. გამიკვირდა, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ორმოცდაათი წლის შოთა დედაბრიშვილი ხატვოდ ხანდაზმული და მოტყვილ ადამიანად შეჩვენებოდა. ცოლი, ალბათ, მოხაველულად მოიყვანა მეთქი, გაიფიქრე. გარკვეული დროის მანძილზე მართლაც არ დაუღუვია. ქუჩაში რამდენჯერაც შემხვედა, ფიზიკური იყო.

სამოციანი წლების დასაწყისიდან რამდენიმე წელი ათარბეგოვის ქუჩაზე ეცხოვრობდი. ერთხელ შინ მიმავალს „ლაღიმის წყლებთან“ ბოზა გახი შემხვედა, ძველი ჩუღურთელი. რომელმაც შემდეგ ჩემი „სალამურას თავგადასავალი“ თარგმნა რუსულად. „ლაღიმის“ კუთხეში კარგა ხანს ვიდექით და ვსაუბრობდით. უცებ რუსთაველებზე მიმავალი შოთა დედაბრიშვილი დავიხანტე, გვერდით ვიღაც ქალი მიჰყვებოდა და ვიგულისხმებ, შეუღლეა მეთქი. ვადრე მე და ბოზა ვსაუბრობდით, შოთამ და მისმა შეუღლემ რამდენჯერმე აგვიარნაკვიარეს. მომჩვენა, შოთა ვიღაცას გაფაციცებთ ეძებდა. თვალს რომ მიუფარა. უეცრად გული შემეკუმშა, ხომ არ უჭირს, ფული ხომ არ სჭირდება მეთქი. ეტყობა, მე ვერ დამინახა, უსათუოდ შეჩრდებოდა.

ბოლო ხანებში სულ ფიზიკულს ვხედეოდი და რატომღაც ფულის მიცემას ვერ ვუბედავდი, მერიდებოდა. ხშირად ეს ობერი ფული არც მე მქონდა. ჯიბეები მოვიჩხრიკე და დაღუენება დავაპირე, მაგრამ ხალხმრავლობაში თვალს მოვკარი, შოთა დედაბრიშვილი

უკან ბრუნდებოდა და შეუღლემს მოხვედებოდა. დაველოდე ქაღალდის ფურცლებზე შეჩრდა და შემომხედდა. მთელი დღი, გაღიზიებული გამოემართა ჩემკენ. კვითხე და, კი, ჩემი შეუღლეო, მიახსუნა. გვერდზე გაეყვანე და ფული ხელში ჩაეუღდე. თუ მეხსიერება არა მელატობს, ფული ბოზა გასსაც გამოვართვი, რადგან ჯიბეში ძალიან ცოტა აღმომაჩნდა. გულთმისანი ხარო, მითხრა. სანოვავე ვიფიქრეთ და პურის ფული არ დაეიტოვეთ; მთელი საათია რუსთაველებზე დაუღივარ და ოცდაათი კაპიკი ვერ ვისესხე, რომ პური შეყიდო. აი, ხომ ისესხე მეთქი, ვუთხარი, ორიოდ ნაბიჯი გადადგა ცოლისკენ და ისევ მობრუნდა:

— თბილისში ილია არყის ფულის შოვნა. არყის ფულს რატომღაც ყველა გაძლევს, გარდა ამისა, თანამეინახეებით ხეხეა ქალაქი, არაფსაც გასმევენ და სიგარეტსაც გაწვევინებენ. აი, ცხოვრება კი ძალიან ძნელია. როცა პურის ფულს ეძებ, ამას უკვე ცხოვრება ჰქვია. თუ ვისმე პურის ფულს მოსთხოვ, ის უკვე კაიად კი არა, მთხოვრად გთვლის. ბნისმური რამეა ცხოვრება!

1965 წლიდან „მნათობის“ რედაქცია გმირთა მოედნიდან რუსთაველებზე გადასახლდა, კავშირგაბმულობის შენობაში. შოთა დედაბრიშვილი აღარ მოდიოდა რედაქციაში მას შემდეგ, რაც სიმონ ნიჭიანი ვარდაიცვალა და გია მარგველაშვილმაც სამსახური მიატოვა. მე და შოთა დედაბრიშვილი კვირაში ერთხელ მაინც ვხვდებოდით, ცხადია, რუსთაველებზე. მიხაროდა ფიზიკულს რომ ვხვდავდი. გვერდზე გამიყვანდა და ახალგაზრდობის ლექსს წამიკითხა. ბოლოს ეჭვი შემეპარა, პირდაპირ ვუთხარი, ეს ლექსი გუშინდელ დაწერილსა ჰგავს მეთქი. გაიღიმა, მხარზე ხელი დამკრა და წაიღია. მე მომეჩვენა, კმაყოფილი დარჩა იმის გამო, რომ „ემსაკობას“ მიუხვდი.

ერთხელ ედიშერ ყიფანმა და მე, სამსახურის შემდეგ თითო ბოთლი შამპანურის დაღუვა გადაწყვიტეთ. რედა-



ქიდიან ჩამოვედით რუსთაველზე და კაფე „მეტროსკენ“ გავიშურეთ. თვით მეტროსკენ არ იყო გაყვანილი, მაგრამ ასეთი კაფე არსებობდა. მერმე მეტროსკენ რომ გაიყვანეს, კაფე, რა თქმა უნდა, დაანგრიეს.

ოპერის თეატრთან ქუჩა გადავჭყრიეთ. „მიმელას“ შენობასთან მიხულებს შოთა დედაბრძოლილი შეგვხვდა, ნახვამი მოდიოდა. უფრო დაბერებული და მოტეხილი ჩანდა, დასვედიანებული. ყურადღება მივაქციე, გახუნებული თუ შინ სახელდახელოდ შედებილი შავი პერანგი ვცემა. რა დავემართა მეთქი, ეკითხე ცოლი გარდაშეცვალაო, მიპასუხა. მივესამბიძმე, მერმე ერთხანს ვისაუბრეთ. ედიშერ ყიფიანი გაყავანი. ედიშერმა რომ გაავლო, შოთა არაგვისპირელის შეილიაო, რაღაცნაირად აღელდა, ჩამოხრწელა, ჩვენიან წამოვიდესო. მაგრამ შოთამ, როგორც ყოველთვის, ახლაც უარი მიიხრა, მე მხოლოდ ხუთთემნიანი და ხუთმანეთიანი მქონდა, არც დამიხვდავს, ისე მივეცი ფული და შოთა თავისი გზით წავიდა.

კაფე „მეტროს“ წინ ჯიბეში ხელი ჩაიყავი და ედიშერ ყიფიანს ღიმილით მოვახსენე: ჩვენი როლები შეიცვალა, შოთა დედაბრძოლილი სამპანურს დალევს ჩვენ კი ღვინო უნდა დაგვკმაყოფილდეთ მეთქი. საქმე ის იყო, რომ შოთა დედაბრძოლილისთვის ხუთმანეთიანის ნაცვლად ხუთთემნიანი მიმიცია.

მე და ედიშერი კაფეს წინ ვიდექით და გულთანად ვიცინოდით. ხუთი მანეთის ამარა დარჩენილები ბედს შევუბრუნდით. კაცმა რომ თქვას, ცივი ღვინო არ იყო ურიგო. უახლოეს სალუ-

დისკენ ავიღეთ გეზი. უცნაურად მომავალი შოთა დედაბრძოლილი, დავეინახეთ, აჩქარებული მანქანაზე ვიახლოვდით და შეწუხებულმა იკითხა, თქვენ დაგრჩათ რამე, ამდენი მე რომ მომეცითო. გამომიწოდა ფული, რომელიც ჯიბეშიც კი არ ჩავლი.

სიცილით მოუვევი, რაც მოხდა და როგორც მოხდა, ესეც დაძინე: იმ შემთხვევაში გამოფარომეც ფულს, თუ კაფეში სამივე ერთად ავალთ მეთქი.

— იცი, რას გეტყვი? სულ მალე მხატვართა კავშირი ხელშეკრულებას გამოფარომებს და ფულს ავიღებ. პირს ვავიპარსავ, სუფთა პერანგს ჩავიცემ და, აი, მაშინ შევიდეთ, განდათ — კაფეში, ვინდათ — რესტორანში. განახნახებულ დარბაზში დავსხდეთ, სამპანური დავლიოთ და ვისაუბროთ! — ტანსაცმელზე დაიხვდა, ხელები გაშალა და თავი გაიქნია. — ახლა კი ჩემი ხუთი მანეთი მომეცი.

შოთა დედაბრძოლილი თავისი წილი წაიღო და წავიდა.

მერმე რუსთაველის პროსპექტზე გამოხუტულს იშვიათად ვხვდებოდი, მოწვევებასავით გაივლევდა ხოლმე. მერმე სულ დავეკარგე. რა დრო გავიდა, აღარ მახსოვს. ერთ დღეს გურამ გვეგვამე შემხვდა და მიიხრა, შოთა დედაბრძოლილის დასაფლავებაზე რატომ არ იყავი... ხშირად ვახსენებდა, მე მგონი, შენ ძალიან უფვარდიო. ღმერთმანი, არ გამოგია მეთქი, დამნაშავესავით ავიწურე.

დღემდე არ ვიცი, მხატვართა ფონდმა გაუფორმა თუ არა ხელშეკრულება. დაკრძალვის ხარჯებს კი უსათოოდ გაიღებდა.

პანკი

უნივერსიტეტი დაუამთავრე და ასპირანტურაში ვსწავლობ. სტიპენდია ავიღე, რუსთაველის პროსპექტზე იდეებით დატვირთული მოვდივარ. რუსთაველი ისე გავიარე, არა თუ მეგობარი, ნაცნობიც კი არ შემხვდრია. მეღიქი-

შვილის ქუჩიდან მოფილებული ყველა ნაცნობ სალუდესა და სახინკლში შევიხვდე. ხანგეგმი სახე და გამომეტყველება ვერსად აღმოვაჩინე. არადა შემოღვომის უმშვენიერესი საღამო დგება, თუ ჯიბეში ცოტათუნო ფული გე-



გულება, იდეები, დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, თავისთავად იბადებიან.

„თბილისში“ შეიხედე, იქნებ ჩემი მგეობრები ისე დამდიდრდნენ, რომ სარკეებიან რესტორანში სხედან მეთქი. ამოდ. როგორც ჩანს, რესტორან „თბილისში“ ჩვენი შესვლის ფაში ჯერ არ დამდგარიყო.

ათიოდე ნაბიჯზე, ხასტუმროს შესასვლელთან მღვარი ა. მ-ვი დავინახე, რუსი პოეტი, რომელიც თავისი წინამორბედების ტრადიციებს აგრძელებდა, შესანიშნავად თარგმნიდა ქართულ პოეტებს. კარგად ვიცნობდი. მე ცოტათი მიჭირს უცხო აღამაინებთან გაშინაურება და ეს იყო პირველი რუსი პოეტი, ვინც გაცნობისთანავე დამიბნელოდა და დამიშვებოდა.

შეშოთებული და შუწუხებული ჩანდა, მე რომ მივუახლოვდი, აწრიალდა. მისვლისთანავე შევთავაზე, ერთად ვივახშმოთ მეთქი. პასუხის ნაცვლად, კარტისა თუ გავევება რამეო, მკითხა. „ღურაქა“ და „კონინა“ მითამაშა მეთქი. გაცენა.

— დღეს დიდი ფული წავეცი — ორმოცი ათასი მანეთი. წესით არ უნდა წამეგო. რა მოხდა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში მასთან არ უნდა წამეგო... მე შგონი, დანიშნული კარტით მეთამაშა. — ჯობიდან კარტი ამოიღო და გამომიწოდა, — ნახე, იქნებ შენ შეამჩნიო.

იმ დროისათვის ორმოცი ათასი მანეთი წარმოუდგენელი თანხა იყო. ამ ფულით ხამ მანქანას იყიდდი და ცოტა მოგრჩებოდა კიდევ. კარტი უკან დაუბრუნე, მე რისი შემწმენვი ვიყავი. გუნება შემეცვალა, უფრო ზუსტად — გამიფუჭდა. მოულოდნელად თაღლითობისა თუ შუღრობის მოწმე გავხდი.

ა. მ-ვის აღრეული გატაცებების შესახებ ცოტა რამ ვიცოდი. გატაცებული იყო კრივით, წრიულ, მრგვალ კედელზე მოტორბოლით... კრივი გასაგებია, მაგრამ კედელზე მოტორბოლას მისი წარმოსახვის ანდა ფანტაზიის სფეროს ვაკუთვნებდი, რადგან დროში იწვებოდა. ომის დამთავრების შემდეგაც

ერთ ხანს პოლონეთში მსახურობდა, რუსეთის არმიის ოფიცერი მსახურობდა. გვიან ვათავისუფლებს და დაქპროდა კედელზე მოტორბოლით, დრო ვერ გამოუვჭერი.

ორმოცი ათასი მანეთის წაგებაც საკვძოდ მომეჩვენა. ვისთან წააგე მეთქი. ვკითხებოდი. ბოლოს და ბოლოს გატყდა და გამიხილა, ვისთანაც წაიგო. იმ კაცს შეგნებულად არ ვიხახულებ, მიუსვლად იმისა, რომ ცოცხალი აღარ არის. იგი ჩემს უნივერსიტეტულ მგეობრებს ლექციებს უკითხავდა, ახალგაზრდა, წარმოსადგევი კაცი იყო, სპორტის გატაცებული. თავისი ხაგნის კარგ მცოდნედ ითვლებოდა. სტუდენტები, განსაკუთრებით ქალიშვილები, როგორც კერპს ისე შესცქეროდნენ. ასეთი კაცის დანიშნულ კარტით მითამაშედ წარმოდგენა, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა.

ა. მ-ვი გამუდმებით იმეორებდა, არ უნდა წამეგო, წესით, არ უნდა წამეგო. მე მომეჩვენა, რომ წაგებული თანხა იმდენად არ აწუხებდა, რამდენადც — თვით წაგების ფაქტი. ღრმად სჯეროდა, კარტს მოწინააღმდეგეზე უკეთ თამაშობდა და შეურაცხყოფილი იყო მხოლოდ თამაშის წაგების გამო. დრო გაქვსო, მკითხა. კი მეთქი, ეუბახუბე. კარტის შესამოწმებლად წამომიყვიო. მთხოვა. წავევი.

მოედინსკენ გავეშურეთ. მე არ ვიცოდი, სად მივდიოდი და ვის უნდა შეემოწმებინა კარტი, არც მიკითხავს, მიდიოდა და მივევებოდი... გაივლის ოციოდე წუთი და მე აღმოჩნდები ისეთ სამყაროში, რომლის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ მქონდა. მგვონა, თბილისის ძირფეხვიანად ვიცნობდი, შიგნიდანაც და გარედანაც. ამით ვამაყობდი კიდეც.

ველიამინოვის ქუჩით ბურის მოედანზე გავედიო, კიდეც ვიარეთ ვიწრო და დამრეცი ქუჩებით. ა. მ-ვი რკინის ჭიმკართან შეჩერდა და დააკუნა. რკინის ჭიმკარში ჩახმული პატარა კარი გაიღო და ვილაც კაცმა გამოიხედა. ა. მ-ვმა რაღაც უთხრა და იმანაც შევეიშეა

ეზოში, სადაც ორსართულიანი, აივნებიანი სახლი იდგა. ხის კიბით მეორე სართულზე ავედი, აივანს გავეყვით და კარს მივაღექით.

თამბაქოს ბოლით დაბინდულ საკმაოდ დიდ ოთახში ოციადე. კაცი დავეხედა. შეიძლება, მეტიც იყვნენ, არ დამთვლია. ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია, თითქოს არც მოხვლა ვაუგიათ და არც წახვლა. ვაუფ-ვაუფად ჩამხხდრები თამაშობდნენ ფომარს, სხვები ფეხზე მდგარნი აღევებდნენ თვალს. კამათლებს ჩაის ვათლილი ჭიქით აგორებდნენ, ფული იატაკზე ვყარა. ერთი, რომელიც დაბლა დაგდებულ მუთაქაზე ცალი მუხლით დანოქილი იდგა, გაცოფებული იგინებოდა, უშუერი სიტყვებით აგინებდა ველას და ველაფერს: კამათულს, ჭიქას, იატაკს, კედელს, ჭერს, თავის თავსაც და გამჩენსაც. ეს ერთდერთი კაცი ვიცანი, ჩემი რძლის კარის მეზობელი, დათიჯო ხეხუროვი, მეზობლობაში სიმშვიდით და წესიერებით რო გამოირჩეოდა. ახლა თავის თავს არ ჰგაედა, ეტყობა, დიდ ფულს აკებდა.

ა. მ-ვი მეორე ოთახში გავიდა. იქ სხვა თამაშით იყვნენ ვართულები, მაშაკაყები მაგიდას უხხდნენ და კარტს თამაშობდნენ. სადაც მე ვიდექი, იქიდან ერთი მაგიდას კუთხე მოჩანდა, არ დამინახავს, ა. მ-ვი ვის შეხვდა და ვის დაელაპარაკა, ლოდინით გული შემოწუნდა. ბოლოს და ბოლოს, ა. მ-ვი გამობრუნდა. რა ჰქენი მეთქი, ვკითხე, გზაში გეტყვიო, მაასუხა და სასწრაფოდ დაეპოვეო იატაკქვეშა, კონსპირებული კაზინო. რომელმაც ჩემზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა.

ა. მ-ვმა თუ აქ ითამაშა, ამ სახლიდან მოკვებული ვერ გამოვიდოდა მეთქი, უფიქრობდი, მაგრამ გზადაგზა საუბრით გავარკვიე, რომ სასტუმროში უთამაშა, ნომერში ჩაკეტილებს. ორნი უოფილან — ტეტ-ატეტ. მანდ არც ვითამაშებ, მხოლოდ გასართობად და სასეიროდ მივდივარ, რადგან ძალიან საინტერესო პერსონაჟებს ვხვდებიო, მა-

თხრა, ის, რომელიც იგინებოდა, სოლოლაკელია, უკვე სამამარქმენუაქმითი აქვს წაგებულიო. ბიზნისურთაქმ

იმავე გზით დაუბრუნდით, რა გზითაც მოვედიო. ახლა რუსთაველზე, ოფიცერთა სახლის საბილიარდოში უნდა გვენახა ვინმე მაზო, რომელიც ზუსტად ეტყობა, დანიშნული იყო თუ არა კარტი. კარგად ვიცნობ, რამდენჯერმე ბილიარდიც მითამაშეაო, თქვა ა. მ-ვმა.

ვაგონალი მქინდა, რომ არსებობდა ასეთი კოლორიტული პიროვნება — მაზო. მის გამონათქვამებს მისივე ინტონაციით ხშირად იმეორებდნენ მასზე ანეგდოტებსაც კი ჰყვებოდნენ. გვირად მაზიაშეილი იყო და „მაზო“ გვიარის მიხედვით შეარქვეს.

— აი, ნამდვილი ქართველი, შვიდასი მანეთი წააგო და კიას ხელიდან არ უშვებს! — დაცინვით უთქვამს მაზოს თამარ ჩხენკელის ერთ თანაკლასელზე, რომელსაც მეც კარგად ვიცნობდი. მერამე ამ გამონათქვამს ხშირად იმეორებდნენ იმით მიმართ, ვისი აზარტაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა თამაშის ხარისხსა და ღირსს.

ასეთ ანეგდოტსაც ჰყვებოდნენ: ერთხელ მაზომ ფული მოიგო და ცოლი საბურთალოს ბაზარში წაიყვანა, ფეხსაცმელებს ვიყიდიო. ცოლია, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ ენდობოდა და ფული წინასწარ გამოართვა. ღვინისა და არყის რივს რომ წაუარეს, მაზომ მორიდებით ხითოვა, ასი გრამი დამალევიყო. გადაკერა ასი გრამი და ფეხსაცმლის საძებნად გაემართნენ. ისევ შეეხვეწა მეუღლეს, მხოლოდ ასი გრამი და მორჩა, მეტს აღარ ვთხოვო. დიდი ხეწნა-მუდართით დაითანხმა, მაგრამ შეხამედ რომ მოინდომა დალევა, ცოლმა, როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, წვეთსაც არ დაგალევიანო. მაზომ გამეპირაუად შეხედა ცოლს და ჩვეული ინტონაციით უთხრა:

— ვათახსირებულ დედაკაცო, მოიტა ფული!



ამგვარი ანეგლოტები მსმენელს ღიმილს გვრიდა, მაგრამ ამ მონაწილეებიდან მაინც იკვეთებოდა ვარკვეული ტიპი, რომელმაც შესძლო თავის თავზე ერთგვარი ლეკვნიების შექმნა. მისი ცხოვრების წესი ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის მიუღებელი იყო, თუმცა მისი ნიჭი, ნაკთხობის თავისებური გამგლავნება. პოზა, რაღაცნაირ ხიბლს მაინც შეიცავდა.

აი, ამ კაცის სანახავად მივიღოდი ა. მ-ვი და მე. დანიშნული კარტის გამოცნობის რა ხელგონებას ფლობდა, არ ვიცოდით, მაგრამ იმედიანად მიუახიჯებდით. გზაში ა. მ-ვი ისე მიმტკიცებდა, მაზო რუსული პოეზიის კარგი მცოდნე და ტრფილიაო, თითქოს რუსული პოეზიის შეცნობის გზით დაეუფლა დანიშნული კარტის გამოცნობის საიდუმლოებას.

ოფიცერთა სახლის ეზოში რომ შევედით, უკვე საკმაოდ ბნელოდა. ეზოს სიღრმეში შიგნიდან მკრთალად განათებული კარი და ფანჯარა მოჩანდა. კარს იქით საბილიარდო რომ იყო, ვიცოდი, ოღონდ შიგ არასოდეს შევსულვარ. ვყოფილვარ მუსტიადისა და ფუნთიკულიორის საბილიარდოებში, აქ, რატომღაც მეგონა, მხოლოდ რუსი ოფიცრები თამაშობდნენ.

ა. მ-ვმა მითხრა, დამიცადე, ახლავუ გამოვალო. მეც ავიტუზე კართან და დაველოდე. კარის ფანჯრიდან მოჩანდა ნახვერადბნელი, გაბოლილი ოთახი, რომელშიც მგონი, სამი თუ ოთხი ბილიარდი იდგა. გახურებული თამაში მიდიოდა, ოღონდ აქ დაძაბული და ნერვოული ატმოსფერო არ იგრძნობოდა. მითამაშეთა ხახუებს ვერ ვხედავდი, მხოლოდ ბილიარდის მწკანე მავდი იყო განათებული.

საბილიარდოდან ორნი გამოვიდნენ, ფანჯარასთან მიდგნენ და ა. მ-ვმა კარტი გაუწოდა. ახლოს მისვლა ვერ გავხედე, როგორც კი უცნობმა ხმა ამოიღო, ინტონაციით მივხედი, მაზო იყო. მის ნათქვამს როდესაც ხხუები იმეო-

რებდნენ, ყოველთვის ამ ინტონაციის შიშაძვას ცდილობდნენ, ერთმანეთს კარტი ვერცხულენ.
— Элементарно, карты видимо какой-то начинающий шулер метил.

კიდევ რამდენიმე მკაფიოდ გამოკვეთილი ფრაზა წამოიხროლა, მაგრამ მე აღარ მახსოვს. გვერდულად იდგა და მის ხელებს კარგად ვხედავდი. ზოგი კარტი ბრმად გამოიხნო. ა. მ-ვს ეუბნებოდა, ეს ჯერის ტუზია, ეს აჯურის ქალი, ეს ვეაის ათიანიო. მერმე ისინი დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ჩვენ საბილიარდოს ეზოდან რუსთაველზე გამოვედით. ეზოშივე დაგვეწია მაზოს ხმა:

— Честная игра — вот мой образ жизни!

ა. მ-ვი ბედნიერი იყო, ხომ ეთქვა, ეს თამაში მე არ უნდა წამეგოო, მეუბნებოდა გახარებული. მოგებულ მოწინააღმდეგესთან შეხვედრას დღესვე აპირებდა. მე წაყოლაზე უარი ვუთხარი, არა მცალია მეოქი. დრო კი მქონდა, მაგრამ არ მინდოდა ამ საჩოთირო საქმის უხერხული მოწმე ვყოფილიყავი. ცხადია, არც საქმის გამძრეკვად გამოვდგებოდა.

რუსთაველის მოედანზე დავეშორდი ერთმანეთს. ვერის ხიდიხკენ დავეშვი, შინ გავწიე. გზაში მაზოზე ვუფიქრობდი. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ ვუფიქრობდი, ეინ იყო, რას წარმოადგენდა? ვვ კი არა, იმ დღის შემდეგ ორმოც წელიწადზე მეტი გავიდა, მაზოც დიდი ხანია უკვალოდ გაქრა, თბილისის ქუჩებში ჩაიწრიტა და მე დრო და დრო მაინც მახსენდება კაცი, რომელსაც პირისპირ არასოდეს შევხვედრივარ. არ დავლაპარაკებოვარ, მართალი რომ ეთქვა, ხახუზე არც შემხედავს. იქნებ იმიტომ მახსენდება, როგორღაც მტკიუა და მენანება, რომ ნამდვილად ნიჭიერმა კაცმა არასწორად იცხოვრა, არასწორად გაიარა ცხოვრების გზა? მაგრამ ამ ქვეყნად იცის კი ვინმემ, ცხოვრების გზა სწორად გაიარა თუ მრუდემ?



P. S. ა. მ-ვს ერთი წლის შემდეგ შევხვდი, დანიშნული კარტის ამბავი თითქმის დავიწყებული ქქონდა. შევახსენე კი, კარგად, ღირსეულად მოიქცაო, მიპასუხა. ფულის დაბრუნების

წერილმანი დეტალებისათვის უკრძალება აღარ მიმიქცევია, რაღაფრთხილად ღირსებაზე მე სხვა წინსწორებისა და.

ნიკო სამადაშვილი

უკვე შეხვედრისა და უკვე ვანშორებისა

ნიკო სამადაშვილი — ეს სახელი და გვარი პირველად უნივერსიტეტში გავიცოგინე.

უკვე ასპირანტი ვიყავი, ლექსების პირველი წიგნი გამოცემული ქქონდა და ლიტერატურული წრის სხდომებს მინც ერთგულად ვესწრებოდი. ერთ-ხელ სხდომის დამთავრების შემდეგ ჩემთან მოვიდა და გამეცნო ქალიშვილი, რომელიც ყურადღებას იმით იქცევდა, რომ წრეზე იშვიათად, დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე, დაუდევრად თუ უცნაურად ეცვა, აუდიტორიაში განმარტობით იჯდა და ხმას არ იღებდა. საკმაოდ მომზიბულელი სახე ქქონდა, ოდნავ დამცინავად იღიმებოდა, თითქოს უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ამქვლავნებდა.

უნივერსიტეტის სტუდენტი აღწონინდა — ციალა მგალობლიშვილი. დაუხსრებლად სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე და რამდენადაც მახსოვს, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში კარგად ერკვეოდა. როგორც ვთქვი, წრის სხდომებზე ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე და ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის შემდეგ თითქოს სხვათა შორის მკითხა, ნიკო სამადაშვილი თუ გავიცოგინაო.

იმ დღეს პირველად გავიცოგინე ეს სახელი და გვარი — ნიკო სამადაშვილი.

მერმე განზე გამიფანა და დერეფანში, ფანჯრის წინ ზეპირად მითხრა ნიკო სამადაშვილის სხვადასხვა ლექსის რამდენიმე სტროფი. მომეწონა. უფრო მეტიც: ძალიან მომეწონა. ასევე ვუთხარი. ციალა მგალობლიშვილი კმაყოფილი დარჩა და შემპირდა, შემდეგ სხდომაზე ლექსებს მოვიტანო. მართ-

ლა მომიტანა მანქანით გადაბეჭდილ ექვსი თუ შვიდი ლექსი. წაკითხულმა ჩემზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. ამ შეიდიოდე ლექსის მიხედვით ნიკო სამადაშვილი ჩამოვადიებულ პოეტად მომეჩვენა, ისეთ პოეტად, რომელსაც თავისი სამყარო უკვე აღმოჩენილი ქქონდა. ცხადია, იმასაც მივხვდი, იგი ჩვენი თაობისა არ უნდა ყოფილიყო.

აღლომ არ მიმტყუნა, ნიკო სამადაშვილი სხვა თაობის კაცი აღმოჩნდა. ჩემზე ოცდარო-ოცდასამი წლით უფროსი, დაოჯახებული, სამი შვილის მამა. ხადაც მუშაობდა რევიზორ-ბუღალტრად. სად? დღემდე არ ვიცი.

ციალა მგალობლიშვილმა მითხრა, ლექსები ხომ წავაკითხე, ახლა თავად ნიკოს გაგაცნობო და ერთ ხალამოს შინ მიმიპატიფა. თუ არ ვცდები, მერკვილამის ქუჩის ბოლოში ცხოვრობდა. ნიკო სამადაშვილი ციალას უფროსი დის, ანიკოს მგვობარი და მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. იმ ხალამოს მე კი ვეწვიე მგალობლიშვილებს, სამი დის საზოგადოებაში მურაბიანი ჩაიც მივირთვი, მაგრამ ნიკო სამადაშვილი არ გამოცხადებულა. დიდხანს ველოდე, გვიანობამდე მერმე გაწვილებული და გულდაწყვეტილი დაებრუნდი შინ. ეს კი იყო, მაჩვენეს კარგა ხნის წინათ გადაღებული ჯგუფური პორტრეტი, რომელზეც სხვებთან ერთად ნიკო სამადაშვილი და ანიკო იყვნენ აღბეჭდილები.

ამასობაში ლექსები თამაზ ჩხენკელს მივუტანე. თამაზმა გულისხურით წაკითხა და თქვა: ეს კაცი უსათუოდ უნდა გავიცნოთო ჰე რაც ვიცოდი,

ველაფერი წერილად მოუყვები, მაგრამ ეს ცოდნა არც მე მაკმაყოფილებდა და არც — თამაზ ჩხენკელს. დრო გადიოდა, ნიკო სამადაშვილის გაცნობა ვერ მოუახერხებ. ციალა მგალობლიშვილი, ვისი იმედიც მქონდა, ლიტერატურული წრის სხდომებზე კარგა ხანს არ გამოჩენილა. არადა, ამ კაცის შესახებ უფრო მეტი გვინდოდა გვეოდნოდა, გვინდოდა სხვა ლექსებით წაგვეკითხა, რომ სრული წარმოდგენა გვექონოდა მასზეც და მის სამყაროზეც.

ერთ საღამოს მე და თამაზ ჩხენკელი რუსთაველზე, „ბორიას სახინკლეში“ შევედით. უამრავი ხალხი ირუოდა. ლუდის მოყვარულთა ბოდიალსა და ყრიამულში, თამბაქოს ბოლსა და ხინკლის ომბივარში ნაზ დიასამიძის ხმა გავიგონე. ვეღას გასაგონად სალუდებ აუწყა ჩვენი შემოსვლა, გარკვევით წარმოთქვა ჩვენი გვარები, თამაზ ჩხენკელსა და არჩილ სულჰაპურს მივესალმებო. მისალმებას შთაბეჭდილება არ მოუხდენია, არავითარი, სალუდემ ცხოვრება ჩვეულებრივად გააგრძელა. ჩვენ კი, ცხადია, ცოტათი შევებით და უხერხულად შევიშუშნეთ. მერმე ჩვენს შავიდასთან თავის ქიჩიანად ნიაზი მოვიდა და თამაზ ჩხენკელმა უსაყვედურა: რა საჭირო იყო ჩვენი გვარების ასე საჯაროდ გამოჰქენებაო. ფართო საზოგადოება თქვენს გვარებს ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს, უმასუხა მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით ნაზ დიასამიძემ.

ისინი ლაპარაკს შეკვევნენ, ჩემი ყურადღება კი მიიპყრო ვიღაც მელიოტმა კაცმა, რომელიც ნახევრად პნელ სალუდში დაჯინებით მიშურდა. დაეკვირდი. გაიღამა და მე ერთი წამით ვიწინებო გამინათდა, მგალობლიშვილების ოჯახში ნანახი გვეფუფური პორტრეტი გამახსენდა. მივხვდი, უფრო ზუსტად — იერთ ვიციანი ნიკო სამადაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ სურათზე ვაცილებით ახალგაზრდა გამოიყურებოდა. ნიკო სამადაშვილიც მიხვდა, მე რომ ის ვიციანი და ჩვენ სიტყ-

ვის უთქმელად მიუხედავად ერთმანეთს, ხელი ჩამოვარდნაგვქონდა.

— შენი გვარი რამდენჯერმე შევინახე — მამაჩემი, ჩემი არჩილ, იმ საღამოს ვერ მოვედი... ვერ მოვედი კი არა, არ მოვედი. ეტყობა, მე სხვა ყაიდაზე ვარ მოჭრილი, არ შემიძლია, კაცის ვახსენობად მურაბიან ჩაიზე რომ დავგატივებ და მიხვალ. ასეთი ცერემონიების თავი არა მაქვს. მოულოდნელად მირჩენია კაცის გაცნობა, წინასწარ შეუშაბდებლად.

გამახსენდა ის უხერხული დამაბუღობა, რომელიც მგალობლიშვილების სახლში დამეუფლა. სამ დაბთან ერთად ჩაის სმით გატარებული დრო საუკუნედ რომ მომეჩვენა. ნიკო სამადაშვილის მოლოდინში აღარ ვიციოდით, რაზე გველაპარაკა.

მერმე ესეც მითხრა: თუ რამე ვიჭირთ, ნუ მოვერიდება. მე ზომ ვიცი თქვენი ამბავი ბორიას თქვენი საათების მთელი კოლექცია აქვსო. ამჯერად ვეველაფერი რიგზეა მეთქი, მორცხვად ვაილიძე, თან მის ნათქვამში ეფერძენი შრუნველი კილო, თბილი, მამაშვილური გააულის დრო და მე მივხვდები, რომ ნიკო სამადაშვილმა გაცნობის პარკული წუთებიდანვე დიწყო ჩემზე ზრუნვა და არა მარტო ჩემზე, მას ასეთივე დამოკიდებულება მქონდა ჩემი მეგობრების მიმართაც, რომლებიც შემდეგ ვაიციანი. ეს მისი მრავალმხრივი შინაგანი ბუნების ერთ-ერთი გამოვლინება იყო. იმ საღამოს დაეთქვათ: სამი დღის შემდეგ, ზემელზე შევხვდებოდით ერთმანეთს.

ჩემს მაგიდას რომ დაუბრუნდი, ნაზ დიასამიძე უკვე წასული დამხვდა. თამაზ ჩხენკელმა შეითხა, ვე კაცი ვინ იყო, ვის ელაპარაკებოდიო, ნიკო სამადაშვილს მეთქი, ისე, ვითომც არაფერი, უმნიშვნელოდ ვუპასუხებოდი არ ვამაცანო, გაუკვირდა. ვახსენებ, რა გვექარება, აქ არ არის მეთქი, იმავე ტონით ვუბნები. მერმე ვახსენებ დავაბირე მიუღქ-მოუღქი, ძებნა დავუწყე, გარეთაც ვავედი. რო-



გორც ჩანს, ვიდრე თამაზ ჩხენკელი და მე ვსაუბრობდით ნიკო სამადაშვილი თავის შეგობრებიანად ისე წაივდა, რომ ვერ შევნიშნე. ცხადია, გული დაგვწყდა.

ასე შემთხვევით, ნიაზ დიასამიძის თითქოსდა უადგილო წამოძახილის წყალობით, გავიცანი ნიკო სამადაშვილი.

სამი დღის შემდეგ დათქმულ ადგილას შევხვდით. ნიკო სამადაშვილი იქვე, რუსთაველის მოედანთან, მოსკოვის ქუჩის ერთ-ერთ ასახვევში ცხოვრობდა თურმე. შევხვდით — როგორც დიდი ხნის ნაცნობები. ასე კი, კაცმა რომ თქვას, ჩვენ ნაცნობები არასოდეს ვყოფილვართ, ჩვენ გაცნობის დღიდანვე დავეშვევით ერთმანეთს. თუმცა, მე ყოველთვის ბატონობით მივმართავდი და, თუ არა ვეძღები, ასე მიმართავდნენ ჩემს შეგობრებს: თამაზ ჩხენკელი, რევაზ თვარაძე და რამაზ პატარაძე, რომლებიც სულ მალე გავაცანი ბატონ ნიკოს.

უცნაური რამ ხდებოდა, იმ დროს ჩემთვის გაუგებარი: ნიკო სამადაშვილის ლექსები უბით დამქონდა, ზოგი უკვე ზეპირად ვიცოდი, ვუკითხავდი ნაცნობ პოეტებს. ვუკითხავდი არაპოეტებსაც. უბრალოდ — პოეზიის მოყვარულებს და ყველანი შეთქმულებით გულგრილად მომჩერებოდნენ, უკეთეს შემთხვევაში დაეჭვებულნი იღიმებოდნენ, არც ისეთი ლექსებია, შენ რომ გვინათა. ზოგი რითმას უწუნებდა, ზოგი — ვერსიფიკაციას, ზოგი — რას და ზოგი — რას. ზოგჯერ ეჭვიც კი შემპარებია ჩემს თავსა და ჩემი შეგობრებს ცოდნასა და გემოვნებაში. მერმე შეხვდებოდი ჩემს შეგობრებს, ვისაუბრებდით და ყოველგვარი ეჭვი უკალოდ ქრებოდა.

თანდათან დაუახლოვდი ლიტერატურულ გარემოს, რედაქციებს, მერმე თვითონ დავიწყე მუშაობა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში და შევინა, გულგრილობის ბარიერს ქორორდაც გაეარღვევდი, ამოდ, ერთმა რედაქტორმა ნიკო სამადაშვილის „ბუთანია“

რომ წაიკითხა, ყურადღება ამ სტრიქონებზე შეანერა: „ახლავე უნდა შევნიშნო ლამის სახეზე ჯალაღონის ქვეყნურულ ხილას“. ეს ორი სტრიქონი ხმა-მალლა წაიკითხა, გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა: შენს შეგობარს საქართველოს ისტორია წესიერად არ წაუკითხავს, ლამა-გიორგი და ჯალაღონის ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიანო. ლექსში ლამა კი არა ეპოქა იგულისხმება მეოქი, ვცადე განმარტება, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ნიკო სამადაშვილი სამჯერ თუ ოთხჯერ მოვიდა „მნათობის“ რედაქციაში. მე უკვე მრცხვენოდა მასთან შეხვედრა, ლექსების დაბეჭდვა რომ ვერ მოვახერხე. ის გრძნობდა ჩემს უხერხულ მდგომარეობას და აქვთ მამშვიდებდა, შენ ნუ წუხზარ, მე შეჩვეული ვარ ევეთ ცხოვრებასო. მერმე წავიდოდით რომელიმე სასადილოში. იშვიათად — სალუდეში. დიდი რესტორნები მაინცდამაინც არ იზიდავდა უყვარდა კედელთან ჯდომა და მყუდრო საუბარი, ლექსების კითხვა. ხშირად იგონებდა ერეკლე ტატიშვილს, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ პატივს სცემდა, ჩემი მასწავლებელიაო, სიამაყით ამბობდა. იხსენებდა შეგობრებს — ფიზიოლოგიის პროფესორს, ქუჯა ძიძიშვილსა და ალექსანდრე გამყრელიძეს, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, მთარგმნელს, რომლებიც მის გვერდით არასოდეს მინახავს.

მაინტერესებდა შეგობრების დამოკიდებულება ნიკო სამადაშვილისადმი. მაგრამ ისინი ჩემზე უფროსები იყვნენ, თან არ ვიცნობდი და ჩემს თავს უფლებას ვერ მიეცემდი, მივსულიყავი მათთან და შეკითხა, თქვენს შეგობარზე რა აზრისა ხართ მეოქი. გარკვეული ხნის შემდეგ, როცა ნიკო სამადაშვილი უკვე ამ ქვეყნად აღარ იყო, ორივე გავიცანი და მათი აზრიც შევიტყვე: ნიკო სამადაშვილი ძველი, შეგობრული სიყვარულით უყვარდათ, ოღონდ გზასაცდენილ კაცად, ხელმოცარულ პოეტად თვლიდნენ. გულწრფელად წუხდნენ იმის გამო, რომ ასეთმა ნიჭიერმა კაც-

მა ცხოვრებაში თავისი ადვილი ვერ მონახა. ცხადია, მე მათ აზრს არ ვიზიარებდი. მაგრამ ჩემთვის სახაამოვნო აღმოჩნდა ის, რომ ბოლომდე იმეგობრეს, ბოლომდე შეინარჩუნეს სიჭაბუკას დროინდელი სიყვარული. ეს კი იყო, როცა ცნობილი ფიზიოლოგის ლექსების კრებული წაეკითხე, მივხვდი, რატომ თვლიდა იგი თავის მგობარს ხელმოკარულ პოეტად. ამ წიგნის ავტორს, რა თქმა უნდა, ნიკო სამადაშვილის ლექსები არ უნდა მოსწონებოდა.

ნიკო სამადაშვილი შინ თუ არ გამოძვირებოდა, კვირაში ერთხელ მაინც მირეკავდა, შენცა და შენი მეგობრებიც უკულოები ხართო, მისაყვედურებდა ხოლმე. ის შენი მშაკაცი მაინც სად დაიკარგა, თამაზ ჩხენკელს გულისხმობდა, დორანში ხომ არ ჩაეარდაო, ე. ი. ხომ არ გამდიდრდაო, იცინოდა. დაწერილებით გამოიკითხავდა, როგორ ვცხოვრობდით, რამე ხომ არ გევიტარდა, მოკითხვის შემდეგ სულ ამას მეუბნებოდა, მანდ რას უზიხარ, ბიჭო. გავიდეო, ამ ქაოსს თავი დაგადწიოთ, გავიდეო, გავიდეო... მე ვერ ვხედავდი იმ გზას, რომელიც ქაოსს იქით გავივლიდა, არც ვეცადი, რა გზა იყო ეს გზა. მე მგონია, ვერც ნიკო სამადაშვილი ხედავდა თავის დასაღწევ გზებს.

ნიკო სამადაშვილს უკანასკნელად 1963 წლის 30 აპრილს შევხვდი. ბინდებოდა. შინ ებრუნებოდი. რუსთაველის მოედანზე შევეფეთე. ორივეს ძალიან გაგვიხარდა მოულოდნელი შეხვედრა. მივესალმეთ, გადავხვებით, ერთმანეთი მოვიკითხეთ. მერმე მოთხრა, ამხანაგებთან ერთად „გემოში“ ვზიარ, ვეღარ გაეძელი, სული დამეხუთა და გარეთ გამოვედიო. მხარზე ხელი მომხვია და „გემოსკენ“ წამიყვანა. გაუძალიანდი, ნამდვილად არ მინდოდა იქ ჩასვლა და უცხო ხალხთან ჯდომა, მაგრამ ბატონმა ნიკომ ხელი არ გამიშვა, მეც ხათრი ვეღარ გავუტეხე.

მაშინ „გემო“ ჩვეულებრივ სასაიდოლო იყო. მერმე გადგინდა რეჟისურნად და რამდენიმე კედელი ლიდო გუდიაშვილს მოახატეინეს. სასაიდოლო თითქმის ცარიელი დამხვდა. მეორე დღეს მაისი დგებოდა და ხალხი, ეტყობა, საპირველმაისოდ ემზადებოდა. მივედიოთ მაგიდასთან რომელსაც სამაკაცი უჯდა — ნიკო სამადაშვილის თანამშრომლები. შინაურული ხალხი აღმოჩნდა, სუფრისკაცები, სმაც რომ იციან და პირის გემოცა აქეთ, სადღევრძელოებიც ემარჯვებათ, თავისებურად ზუმრობენ კიდევ და დროს ატარებენ. შინაურულად მიმიღეს და მეც მალე გაუშინაურდა.

ნიკო სამადაშვილი თავის თავს არ ჰგავდა, პორგავდა, შფოთავდა, თითქოს სუფრიდან გაქცევას ლამობდა. თანამშრომლები ეზუმრებოდნენ, დაბერდი, შე ოხერო, სუფრაზე ჯდომა აღარ შეგიძლიაო. უცებ ლექსის წაკითხვა ვთხოვე. ვერ თანამშრომლებს გადახვდა, მერმე მე მომაყრო გაოცებული მზერა, ვითომ რა დროს ვგ არისო. მე ჩემსაზე დაუდექი, შევეხვეწე. თანამშრომლები გამოძვლად გაყურდნენ, აღმათ არ მოელოდნენ ანდა არ ევინათ, შუა ჰურის ჭამაში თუ ვინმეს ლექსის მოსმენა მოუნდებოდა. ერთი ლექსი რომ წაიკითხა, ახლა მეორე მეთქი, არ მოუეშვი, სულ ოთხი ლექსი წაიკითხა, მეტი აღარ შემიძლიაო, ღრმად ამოიხუნოქა.

მერმე ფხზე აუდექი და ნიკო სამადაშვილი ვადღევრძელე. დიდი მჭკვრეტვეული არახოდეს ვყოფილვარ. მაგრამ იმ საღამოს სიტყვის ტუნა არ დამიწვია. გულწრფელად ვთქვი, გაუშინალე ის სიყვარული და პატივისცემა, რასაც აქამდე რატომღაც ვერ ვუბნებოდი. ვველამ ადღევრძელა. მხოლოდ ერთმა, თითქოს სხვათა შორის, იჭუნეულად ჩაილაპარაკა, თუ ვვეთი პოეტია, ლექსებს რატომ არ უბეჭდავენო. დღეს თუ არა, ხეალ უსათუოდ დაუბეჭდავენ მეთქი, „დაეამშვიდე“. მერმე სუფრას ბოღში მოუხხადე და წამოვედი. ნიკო სამადაშვილის დარჩენა არ დაუძალეობა,



გამომაცელა, ნახევარსარდაფიდან ქუჩაში ამოვედით რუსთაველის მოედანამდე ერთად ვიარეთ. ჩემთან შეხვედრით კმაყოფილი ჩანდა, ეს გამოხატა კიდევ.

— კაღვე კარგი, შეგზვდი. ხანდახან ალბათ ვეცე საჭიროა. ერთმანეთს მხარი უნდა ვაუკუმაგროთ. — შეჩერდა, დიდხანს იდგა ჩაფიქრებული. — სულ მინდოდა კაცურად მეცხოვრა, თითქოს ვიცხოვრე. კაცურად ვაგვიარე ცხოვრების გზა, მაგრამ... რა არის, იცი, ერთი დღე არ მახსოვს ისეთი, თავი რომ ადამიანად შეგრძნო. ეს სულ სხვა რამეა. ჩემი არჩილ, სულ სხვა... მითხარი, შეიძლება, კაცმა სამოცი წელი იცხოვროს ქვეყანაზე და ერთხელ მაინც ვერ იგრძნოს, რომ ის ადამიანია?! ამ ქაოხიდან ვერ გავვდი, ვერა და ვერ გავვდი...

ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს და დავეშვიდობეთ. ნიკო სამადაშვილი აანამშრომლებთან დაბრუნდა, სირცხვილია, მივატოვეო, მითხრა, დამშვიდობებისას.

შეორე დღეს შინიდან დილით გამოსულა. საპარველმაციო დემონსტრაცია უკვე დაწყებული ყოფილა. რუსთაველის მოედანამდე ჩაუღწევია და წაქცეულა. ნიკო სამადაშვილის გარდაცვალება რომ შეეიტყვე, თავზარი დამეტა...

პო, რა წევამთ შემოეცქროდი ქაოსებს იქით გაშვებოდი ხელს.
დროდადრო მეხსიერებიდან ამოტი-

ვტივდება ეს სტრიქონები და რომელიღაც ფრესკის დეტალი მხსნის, რომელიც ვერაფრით გავიწყდებოდა P. S.

1967 წელს რვეთ თვარაძე დანიშნეს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად. მან დაბეჭდა პირველად ნიკო სამადაშვილის ზუთი ლექსი. მერვე ამ სტრიქონების ავტორი „მოველინა“ გამოიმცემლობა „ნაკადულს“ დირექტორად და გამოისტა ნიკო სამადაშვილის ლექსების პირველი კრებული „ბუთანია“, რომელიც შეადგინა და წარმოადგინა თამაზ ჩხენკელმა. თამაზ ჩხენკელმა უპატრონა პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და დაწერა პირველი წერილი მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე. შემდეგ მე განვახორციელე ჩემი ძველი ჩანაფიქრია: „ნაკადულში“ მუშაობისას გამოვეცი მრავალსაუკუნოვანა ქართული პოეზიის რეიმპროტივეული. მეთხუთმეტე ტომში ნიკო სამადაშვილი წარმონიქილია სამოცდაერთი ლექსით, რითაც დამკვიდრებული აქვს თავისი ადგილი ქართული პოეზიის განვითარების დიდ გზაზე. მეთხუთმეტე ტომში შეადგინეს: ვიეი ვევეჭკორმა, ეშზარ კვიციანიშვილმა და ტარიელ ჭანტურიაშ. ამავე დროს მოვლენება ბუნებრივად ვითარდებოდა, ნიკო სამადაშვილმა შეიძინა ბუერი თაყვანისმცემელიცა და... ჳირისუფალიც.

პახტახე პრისთახე

დიმიტრა ერისთავი და მე ერთ ჳირის სუფრიდან ადრე წამოვედით. უფრო სწორად: დიმა ერისთავმა მითხრა, ეს ქელები მალე ქეიფში გადაიხრდება და მოდი, აქედან დროზე წავიდეთო. ოცა წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ, შუა აგვისტოა, საშინლად ცხელა. მოჳირისხსუფრე ხალხით სავსე ოთახები ისე ჩაიხუთა, ჳერი აღარ გვეოფნის. ძლივხდა ვსუნთქათო.

გარეთ გამოსულემა ოღნავი შევა ვიგრძენით. მანაბლის ქუჩას ნელ-ნელა მივევებით. ხალაზს ბინდ-ბუნდში კოჯრის ნაემაეც დაუბერა. დიმა ერისთავმა მოულოდნელად შემომთავაზა, ჩემთან წავიდეთო. მთელი დღე აგვისტოს შხეში ხიარულით დაღლილმა და მოთენთილმა უარის თქმა დავაპირე, მაგრამ ამ დროს დიმამ ისე ჩვეულებრივად მითხრა, წამო, შექსპირი მოვისმინო-

თო, როგორც რუსთაველზე გავლისას გეტყობენ ხოლმე, მიდი, თითო ჭიკა „ლაღიმე“ დავლიოთო. უარის ნაცვლად, რა შექსპირა მეოქი, კვითხე გარცხვამა. მამანემი ამ ბოლო დროს ცოტა შეუძლოდ არის, შინიდან გარეთ არ გადის და ჩვენი მისვლა გაუზარდებო, მიპასუხა. მერმე დასძინა, ვთხოვით, იქნებ შექსპირი ინგლისურად წავეკითხოთო.

უარის თქმა ვუღარ გაუბედე. მე არ მახსოვს, დიამამ იცოდა თუ არა, რომ სიკვამლეში შექსპირით ვიყავი ვატაკებული, ბევრს კვითხულობდი, ორა ნაწარმოები თავიდან ბოლომდე თითქმის შეპირად ვიცოდი. ახლა შეჩვენება ალბათ გაგონილი ჰქონდა, რადგან სუფრიდან წამომიყვანა და შექსპირის მოსმენაც შემომთავაზა. რატომაც არა, გავიფიქრე მაშინ, სხვა დროს როდის შექსპირმა ახეთი შესაძლებლობა წაიღო და შექსპირის დღიანში მოვიხივებ მეოქი. თან იმედი მქონდა, დიმა ერასთავი თავის ახალ ნამუშევრებსაც მარწმუნებდა.

ერისთავები იქვე, მაჩაბლის პარალელურ, ახლანდელ გალაკტიონის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. უზოდან წის კაბით მეორე ხართულზე ახვიდოდი და საერთო, რბულებიან აივანს ვაივლიდი. დიამასთან რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ მამამისი შინ არახიდეს დამხვედრია, შეიძლება, შინ იყო კადეც, ოღონდ თავის ოთახიდან არ გამოხვდა.

აბაყურიო მკრთალად განათებულ ოთახში ძველებური ავეჯი იდგა. კედლებზე ასევე ძველი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხას ჩარჩოებში ჩასმული ფოტოხურათები ეკიდა. ზოგი ალბათ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს თუ არა, მეოცე საუკუნის დასაწყისში იქნებოდა გადაღებული. სიმკვლის ნაცნობი ხუნი მეცა. როცა ძველ სახლში ან ოჯახში შეედივარ, მგონია, გახული საუკუნის პაერთი ვსუნთქავ.

ოთახში შედარებით ხივრილვ იყო. დიმა ერისთავის მეუღლე დატრიალდა, ნამცხვარი და ალუბლისა თუ რომელიმე კერკის ნაყენი გამოიტანა. ახლაც ჩაისაც ავიდულებოთო, დაგპარდა.

ვიდრე ოჯახის მამა გამოვიდოდა, დიამას ვთხოვე: ახალი ნამუშევრები შექსპირზე შეოქი. ნახატები შექსპირისა ღდა, ვეღაიფერი სახელისნომა ვაიიტანო, თქვა. მეუღროდ მოვკალათდი და ველოდები დიამას მამის — ვახტანგ ერისთავის გამოჩენას.

ცოტა რამ ვიციოდი ვახტანგ ერისთავის შესახებ. იგი ინგლისური ენის ბრწყინვალე მცოდნედ ითვლებოდა, კერძო პრაქტიკაც ჰქონდა და ბავშვებს საკუთარი, ორიგინალური მეთოდით ასწავლიდა ინგლისურ ენას. მე ვიცნობ მის მოწაფეს, რომელიც მადლიერების გრძნობით ახლაც სწორად იგონებს თავის დიდ მასწავლებელს. თუ შეხსიერება არა მღალატობს, სამხატვრო განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ ამ გზას ბოლომდე არ გაჰყოლია, მხატვრის დაფნას გვირგვინი ვაეიშვილს გადაუღოცა. მგონი, „გოქში“ მუშაობდა და ფრიად მოკრძალებული თანამდებობა ეკავა. რა თქმა უნდა, მე შემეძლო, დიმა ერისთავიან მივსულიყვი ან დამერეკა და მამამისის შესახებ ზოგი რამ დამეზუსტებინა, მაგრამ შეგნებულად არ ვქენი. მე შინდა სხვის ჩაურველად დაეწერო ის, რაც მახსოვს, ჩემს მუხსიერებას რაც შემორჩა. ვაიიხუნიო ისე, როგორც დავინახე და ვანივიდავ. მე ზუსტი ბიოგრაფის პრეტენზია არა მაქვს.

ათიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა ვახტანგ ერისთავი, საშუალო სიმაღლის მოხუცი, დახვეწილი ინტელიგენტი, რომელსაც სწორნიკოტებიანი სახე და დაღლილი თუ ნაავადმყოფარი კაცის იერი ჰქონდა. თან გამოიტანა ძველი, მაგრამ კარვად მოვილილი წიგნი რომელიც თბილისში გამოცემულს ნამდვილად არ ჰგავდა.

დიამამ გააეცო ჩემი თავი, უთხრა, ვინ ვიყავი და რისთვის ვიყავი მოხული. ბატონმა ვახტანგმა გაიღიმა, წიგნი მაგიდებზე დადო და დაჯდა. ახლა რომ ვახსენებ, არც ისეთი მოხუცი იყო, როგორიც მაშინ მომეჩვენა. თავისი აღნაკობით, მოძრაობით, იერით სახეზე და მზერაში აღბეჭდილი სწიობრივი



ნიშნით მეცხრამეტე საუკუნიდან მოვლენილ კაცს მაგონებდა და შესაძლებელია, ამიტომაც მომწვენი მოხუცად. იმ საღამოს არკი მივხვდი, რადაცნაირად ეივრემნი, რომ ვახტანგ ერისთავი ჩვენი დროისთვის თითქმის გადაშენებული თაობის ერთ-ერთი გადარჩენილი წარმომადგენელი იყო. ეს თაობა, ძირითადად, ვინც ოციანი წლების აქაურ ხოცვა-ჭლეტას გადაურჩა, ციხის კედლებსა და ციმახარის საკონცენტრაციო ბანაკებში გადააშენეს.

რა წაეკითხოო, ჰკითხა შეილს. მა-მა, რაც შენ გინდაო, უპასუხა დიძამ. მერმე მე მომხარია. „კამლეტი“ ან „მეფე ღირი“ მეთქი, ვუთხარი. რადგან ეს ორი ტრაგედია, ასე თუ ისე, მაშინ ჯერ კიდევ ზეპირად მახსოვდა. ბატონმა ვახტანგმა „მეფე ღირის“ წაკითხვა არჩია.

ვახტანგ ერისთავი ფეხზე იდგა და აბაჟურისკენ მიშვერილ, გადამიღო წიგნს ერთხანს დასცქეროდა. მერმე სათვალე გაისწორა და ოდნავ ყრუ ხმით კითხვა დაიწყო. ქართული თარგმანით სტრიქონ-სტრიქონ მივეყვებოდი ინგლისურ დედანს. მაგრამ იმ წუთებში ჩემთვის ეს არ იყო მთავარი. ფეხზე მდგარი მოხუცი კაცი გვიკითხავდა შექსპირს! სწორედ ეს მალეობდა და მიპყრობდა. რატომ გვიკითხავდა? რა ვნება იყო ჩაღებული ამ აქტში? მას ხომ შეეძლო, მარტო დარჩენილსაც წაკითხვა, წაკითხულით იგივე ხიამოვნება მიეღო და იგივე სიხარული განეცადა? რატომ და რისთვის გვიკითხავდა, რისთვის ხარჯავდა ისედაც დაშრეტულ ენერჯიას? სამწუხაროდ, ეს ალბათ ჩვენთვის უკვე გაუგებარი, უცხო ვნებაა, გადაშენებული ან თითქმის გადაშენებული გაცემის ვნება: უშურველად ვასცე ის, რაც შენ გაქვს და სხვას არ

გაჩნია, ვასცე ბოლომდე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ერქენული

ამსობაში დიმა ერქენული ფინჯნებით ჩაი შემოიტანა, მაგრამ ჩვენ არც ფინჯნებს მივკარებივართ და არც პატარა ვერცხლის სირნებს, რომელვშიც ალუბლისა თუ კენკრის საყენი ესხა. ჩვენ ვუსმენდით შექსპირს. როდესაც ბატონმა ვახტანგმა ჩაათავა მეფე ღირის მონოლოგი „იზუზუნე და იქროლე, შენ ქარო მუსხხავო“, შეისვენა, დაჯდა და სული მოითქვა. მე ვუთხარა, ამ ადგბლს ქართულად წაეკითხვა: მეთქი, ზეპირადო, მკითხა, ზეპირად მეთქი, ეუპასუხე და წამოუდექი. ახლა ივანე მჩაბდიასა და ილია ჭავჭავაძის ქართულით ამეტყველდა შექსპირი.

მერმე ვთხოვეთ და ბატონი ვახტანგი ისევე ფეხზე წამოიდეა. ჩვენ გარინდებულინი ვუსმენდით შექსპირის მუხიკს... ერისთავების ოჯახიდან გვიან წამოუვლი. ქუჩაში კაცის ჭაჭინება არ იყო. მოვლანი პირდაპირ გადაეჭვირა და რუსთაველს ფეხით გაეყვიო. ოპერის ოეატროთან გარაყისკენ მიმავალი ტაქსი დამეწია. ერთი წუთის შემდეგ მე უკვე სხვა სიერტეში, სხვა სამყაროსკენ მიექროდა. მოულოდნელი ხედა მომეძალა, დროდადრო უკან ვიხედებოდი, თითქოს მინდოდა, კიდევ ერთხელ დამენახა მოხუცი, რომელიც აბაჟურისკენ მიშვერილ წიგნს დასცქეროდა. რატომ მომერია ხედა, რატომ მეტკინა გული ისე, თითქოს, ხადღაც, სიღრმეში გაურკვეველი თუ ბუნდოვანი დანაშაულის გამო სინდისი მქეზნიდა?

მერმე გავიდა დრო, მაგრამ ასეთი საღამო აღარ განმეორებულა, ასეთი რამ. ალბათ, სიცოცხლეში ერთხელ ხდება.

ოპარ შავათაძე

დროს

ტიტანმა „ქრისტეს დავიანთა“ დაასრულა,
 ჩიცა 20 წელს იყო ვადაცოლებული.

სასწაულები არ ზღუდა,
 ახლა ისეთი დროა...
 გიფი ეგონათ შლიმანი,
 როცა ეძებდა ტროას.
 ბრძენკაცი ენლო პომეროსს, —
 სიმართლით ასულს ცამდი...
 და მიჰყვა მეფე პრიაპოსს
 კვალდაკვალ „ილიადის“...
 ნახა მივნების ბილიკიც,
 გაჭრა წარსულის ზევიც,
 იპოვა აურაცხელი
 ოქრო — მონეტა, თასი,
 განძთა-საცაეი მეფისა —
 მართლაც რომ უმდიდრესი...
 მაგრამ ვერ ნახა ცრემლები
 მშვენიერ ელენესი...

პოეზიაშიც ასეა:
 ბევრი დაეძებს ტროას,
 თუ ტროას ვერ მიაგნებენ,
 ლექსებს კინძავენ ტომად.
 ზოგმა საერთოდ არ უწყის
 აღმოჩენათა ფესვი,
 არასდროს არ უძებნია
 ცრემლები ელენესი.
 ან რატომ უნდა ეძებნა, —
 თავი ეგონა ზევსი,

არასდროს დასჭირებია
 ცეცხლის დანთება კვესით.

მე არც ლექსების ტომი მაქვს
 და არც სიმდიდრე ტროის.
 ვგაეარ ტროადის ომიდან
 პელიპონისელ ლტოლვილს.
 თავფარაველი ბიჭი ვარ,
 ასპინძელ ასულს ვყვარობ,
 შავი მდინარე გაეცურე,
 საფარლის ნახვით ვზარობ.
 ეშმაკმა თუ არ ჩამიჭრო
 სატრფოს თვალების სხივი,
 ჭოროხი თავს ვერ წამართმევს,
 მშვიდობის გზებით ვივლი.

თუმცა ხანდახან ვპოულობ
 ქვიშაში ოქროს მარცვლებს,
 გული ძიებას თხოულობს,
 რითმების ძერწვას არ უწყვეტ...
 გაზაფხულს ზედება კვირტებით
 რტო,
 თუ ცოცხალი რტოა...
 სტროფების რიტმში დავეძებ
 ჩემი ფიქრების ტროას, —
 თუ რამის პოვნის თავი მაქვს,
 მეც რომ ვიპოვნო, დროა.

განუყოფელად

— მამულო,
 რაქვა მომეცი, მითხარ,
 როგორ დაგზატო, ლამაზ-ციანო?
 — ერთიან ლოცვით
 კონიღენ ცისკარს
 საღადაინოც, საციციანოც!

— როგორ ავაგო
 ციხე ისეთი, —
 ღიბო ვერაეინ კვლარ აყაროს?
 — განუყოფელად
 ჩართეთ მზის ღერძში.
 სამაძაბლოც და სამურზაყანოც!



— რომ დენტის ბოლმა
 ცა არ გამუროს,
 წყალში ჩავარდნილს ქვა არ მოეხას,

მესმის მე შენი,
 ნემო მამულა,
 არ დაეშლებით ხადროსოებად.

ბრიჯაოს ხანის კოტეჯი

პოეტი — მონა?!
 ვინ დაიჯერებს!
 სად გაგონილა მონის სიმღერა?
 მე თითქოს ცხადად ვნახე ხიზმარში
 სამი ძმა მონა — ველზე ჯაჭვებით,
 ველა, სამივე იყო პოეტი...
 და გაზაფხულის სადიდებელი
 სიმღერისათვის ბატონი ხჯიდა...

ოი, ღმერთებო, რას მოეხწარიით?!...
 ძმების გამოლტვა ბრძანა ბატონმა,
 მაგრამ მათ ერთი პატივი დასდო:
 რომ აერჩიათ, — როგორი შოლტით...

უფროსი ძმა:

ყვავილოვანი იყოს ის შოლტი,
 რომლითაც მცემენ წელსზემოთ
 შიშველს,
 რომ ღვთაებრივი გაზაფხულისგან
 ვიგრძნო ცრემლები და თანაგრძნობა.

შუათანა ძმა:

სადმე გამხმარი შოლტი მოძებნოს,
 ყვავილოვანი და ნედლი არა,
 რომ თეთრ ყვავილებს ჰეპლების
 ფრთები
 ჩემს შავ ბეჭებზე არ დაელეწოს.

უმცროსი ძმა:

ბატონო ჩვენო პატივი დამდოს
 თქვენმა უმცროსმა ქალიშვილმა და
 მოხჭრას ის შოლტი, რომელსაც
 ჩემთვის
 ღვთის ჩაგონებით გამოიმეტებს
 გაზაფხულივით ნახი ხელებით.

ბრძანა ბატონმა:

ღე, იყოს ასე, —
 ველა ისჯება არჩეულ შოლტით...
 მაგრამ ეს მხოლოდ
 და მხოლოდ მაშინ,
 როცა ჩემს მამულს შუე არ დახედავს
 ნაწყენი ხალხის ღაზღანდარობით...
 და გაზაფხული არ გვესტუმრება.

შიშვი

ჩვენ ვართ ბუნება, —
 დიდი ბუნების
 ერთი ცოცხალი უჯრუდთაგანი...
 გაგვიჩნდა სენი განუკურნები:
 იმედით გვათბობს ცივი ნაგანი.

ვეჭებთ იარაღს
 და ვიჭურვებით,
 ვხწავლობთ ვეფხეების ხალტო-
 კამარებს,
 მერე ქვეშებით, ტანკით, ჭურვებით
 ვხოცავთ იმედებს და ვახამარებთ.

რამ გაგვაციოფა,
 რამ გაგვამგელა?
 ვრჩებით ლეგენდად, უკვდავ მითებად?
 ბევრმა არ ვიცით:
 სულში თუ ბნელა, —
 ცოდეა ლოცვებით არ იჭვითება.

დაწყველილია
 კანის მოღგმა, —
 კაცთა სიძულელივს ატარებს თრომბად...
 თუ არ უშველა სიკეთის კოდმა,
 მოუღებს ბოლოს კაშიშით თრობა.

შიშშილს კუკისა
უძლებდა კაცი,
ვერაინ სულის ვერ უძლებს შიშშილს...
უსახურაუო სახლს როცა აწვიმს,
საძირკველს ბზარაკს დანგრევის შიში.

ჩვენ ვართ ასლები
ბუნება – ღმერთის
და მზე – გენია თავისი
მისგან ვისწავლით გულების ფეთქეთ
სხვის სატყუარზე მიყურადება.

ამ სიმღერით, ამ ცეკვით

ღმერთი ღვება თავებდა,
(ეს უღმერთოდ არ ზღება), –
სიმღერებში ქართულში
ანგელოზი ცხადდება.

სულში სიო ირხვეა,
თუ გრივალი ზანზარებს?!
„ადექიო“ და ღვება
ამ სიმღერით ღაზარე.

ამ სიმღერით აივსეს
თვალი ბუღმურებმა,
ამ სიმღერით მდინარე
ზღვისკენ მიეშურება...

ხოლო ცეკვა ქართული –
მთვარიანი, მზიანი,
ცისკენ ველშემართული
მერანია ფრთიანი.

ცეკვა ბრძოლის ცეცხლია,
ლოცვაა და ზღაპარი,

არის ტრფობის გამხელა,
ეშხი არის მთა-ბარის.

სიმღერებში, ცეკვებში
არ გვამადლის ღონეს მზე,
აი, რა გვაქვს მსოფლიო
სტანდარტების ღონეზე.

თუ სიმღერა დაკინდა,
ცეკვა-ფრენაც დაკინდა,
მზე-ღონე და ღონე-მზე
არ ამოვა აკინიდან,

საქართველო ჩაქრება,
ვით კოცონი წვიმამში, –
პასუხს ვაგებთ ამაზე
თვითონ ღმერთის წინაშე.

სიმართლეა, ნამდვილი
და სიმართლე ცას სწევდება:
სიმღერებში, ცეკვებში
ჩვენი სული ცხადდება.

კატა

იანვრის ღამე
ვარსკვლავებს ზატავს
მინანქრის ფუნჯით
ფანჯრის მინაზე.
ბუხრის კალთაში
კრუტუნებს კატა, –
ბეწვში ჩასმული
ზამთრის სინაზე.

ზამთარს და ზაფხულს
ერთ ქურქში ზედება,
ფურცელეულია
ბუნება კატის.
ღარი, აუღარი
მას არ ეხება, –
თვალეებში უზის
ვინვაც და ზეატიც.



ხელოვნებაში „რადაც“
 იმქვეყნიური ძალების,
 თუ არ იმლება ღოტოსად,
 თუ არ შრიალებს დაშნებად,
 ვერას უშველის სიშიშველ
 ტანკენარ ამორძალების, –
 როგორც გვალვაში ჭურულა,
 ნაიშრიტება, დაშრება.

მაგრამ თუ არის ის „რადაც“
 და საქითხაო გვირილაც.

წვალწაღებულის ყვირილით
 არ დაგაძინებს ყვირილა,
 წამოვა ვრძნობის არაგვი –
 არაგვი აღფროვანების, –
 შავი და თეთრი არაგვით
 აილესება საღუსი,
 კარვად ითქმება სათქმელი
 დღევანდელის და ხვალესი...

ღმერთმა მომმადლოს ის „რადაც“ –
 სითბოთი უმხურვალესით.

ქვიშასავით გაპარული

თუმცა ნისლში მოკანკალე
 ნუშებს სუნთქვა უწყდებათ,
 მოვონებებს თუმცა კლავენ
 დაეიწყების ისრები,
 საცოცხლეა ხხოვნის ძაფი,
 რომ ირთვება უწყვეტად,
 სამსალით თუ ცაცხვის თაფლით
 სულს რომ კვებავს ისეთი.

რადგან ხულში რიფრაფდება
 მოვონების კადრები,
 სიჭაბუკე შირაფდება,
 ვაი, დამეიწყებია:
 ნიავს შიაკეს „თოლი-სქემის“
 მოქარგული კაბები...

ეს მუჭიდან ქვიშასავით
 გაპარული წლებია...

მე ისეთი საქართველო მივინდა

როცა ომის დოღაბები ბრუნავს,
 ვაკაცების ძელებს იტოვებს მინდად...
 რომ ამაღლებს თაუდადების უნარს, –
 მე ისეთი საქართველო მინდა.

დღეა ცხრა შვილს რომ გამოზრდის მგლებად
 და სანთლებად რომ აანთებს წმინდად,
 ცოტნეებს რომ არსჭირდებათ ძებნა, –
 მე ისეთი საქართველო მინდა.

სადაც გმირის სახელია – გმირი,
 სადაც ფლიდი იწოდება ფლიდად...
 გაზაფხულზე მხოლოდ ვაზი ტირის, –
 მე ისეთი საქართველო მინდა.

თავურ წმობიას

ნარჩუნები

ნეტავ მცოდნოდა ჩემი თავი, ჩემი ადგილი,
ჩემი საზღვარი, ჩემი ჭერი და წარამარა
არ გამქცეოდა თვალი განზე მეტის წადილით,
მერწმუნა — რაიც გამაჩნია, ჩემთვის ის კმარა.

ნეტავ სურათი ყვოფილიყავ, ანდა ხარკმელი,
ან თუნდაც — ხარკე...
მექნებოდა მე ჩემი ჩარჩო
და ეიქნებოდი ყველასაგან მუდამ ცალკე და
მაინც არასდროს ვიდარდებდი, რომ ვიყავ მარტო.

სურათი — ხადმე მუხეუმის ნათელ დარბაზში;
ხარკე — ხასტუმროს პოლში ანდა კედელზე ბინის;
ხარკმელი — თუკი მას დარაბა არ დაფარავდა
და ის ყოველთვის იზილაედა თოვლსა თუ იენისს.

რამდენი ვინმე მოვიდოდა ჩემთან — სურათთან
ანდა ხარკესთან...

მოვიდოდა, მე რომ ვენახე,
ან თავი თვისი რომ ენახა წუთით თუნდაც და
თავისი ფიქრი რომ გაენდო იდუმალ სახით.

ვინ იცის, რამდენს მოხიბლავდა ჩემი ფერები;
ხარკესთან ვინმე ინალეულებდა მიზეზთა გამო...
და მეც ვიგონებოდი ალბათ ერთგვარ ბედნიერებას.
საკუთარ თავის მნიშვნელობის შეცნობის ფაზა!..

და, როცა ვინმე დადგებოდა ჩემთან — ხარკმელთან
და მოლოდინით გახედავდა სინუმეს ღამის,
ჩემში სილუეტს დაღანდაედა თვითონ ღამე და
თვით იქცეოდა მომლოდინედ ნაბიჯის ჩქამის.

ბავშარი



1.

წერე — იკითხე, იკითხე და თუნდ ისევ წერე, —
ცხოვრებასავით ეს ზამთარიც გვექცევა მკაცრად.
სალამო, ბინდი, და უბრალო ვახშამის მერე
ისევ წიგნი და — პორტსიგარში ორიოდ „ასტრა“.

ანდა ჭადრაკი —

გასართობად ცოტა რამ კმარა:

„ეტიუდი“ ან „თვითშამათი მეშვიდე სელაზე“,

ანდა იფიქრე და უცქირე აღის წუმ პარპალს,

უცქირე სანთელს და დრო გაეა როგორმე ასეც...

და მერე, გვიან —

თერთმეტსა თუ თორმეტ საათზე,

როცა თავს ისევ შემახსენებს ხიცივე მკაცრი,

ვიდრე ძილის წინ ჩაუაქრობდი კენტად მღვარ სანთელს,

საფერფლეს უკვე მინაელებულ ბუხარში ჩაცელი.

2.

არავის უხშიობ,

ღიახ უკვე არაფერს ვითხოვ,

თუმცა წარსული ისევ ავი ზმანებით მომდეკს.

მე ცხადად ვნახე, რაც მოხდა და რაც დღემდე იყო

და აღარ მსურს გულს მივაკარო — რაც ვინდა მოხდეს!..

და ყველას მიმართ,

ღიახ, უკვე ყველაფრის მიმართ

უგრძნობლობას და გულგრილობის დემილსა ვლამობ,

მაგრამ... ამიოდ — როცა ერჩევი პირისპირ ფიქრთან,

მე მაინც ვნადვლობ,

ღიახ, ვნადვლობ ვიღაცის გამო.

ვნადვლობ და მისთვის.

ვის ხახვსაც ეს თოვლიც არ შლის

და ვერ მავიწყებს, ძილშიც ვეძებ ნუგეშის ხიტყვას...

და შესიზმრება თეთრ სამოსით მოხილი ბაეშვი,

რომელიც ცრემლში მიღიმის და...

შეიღივით მიყვარს!..

ნაბიჯები



შენ უცრად დამემშვიდობე,
პირში შემაწვევით ხაბრად სიტყვა
და წახვედი აჩქარებული ნაბიჯებით.

გავშრი,
გავშეშდი...
ისე, რომ ვერც კი შემოვტრიალდი
და მიმაჯალს
თვალის კი ვერ გამოვყოლე.

მესმოდა მხოლოდ ნაბიჯების ხმა,
შენი ფეხის ხმა
და მესმოდა ჩემი გულისცემა —
ექო შენი ნაბიჯებისა...

...მე ახლაც მესმის შენი ფეხის ხმა —
მიღიხარ აჩქარებული ნაბიჯებით;
მიღიხარ,
აგერ უკვე მერამდენე წელიწადია!..

და მესმის ჩემი დაღლილი გულისცემა —
ჩემი გული შენს ნაბიჯებს
ისევე იმეორებს.



ამ შემოდგომას, ჩემო კარგო, შენ ხატავ ჩემთვის,
ჩემთვის არჩევ ამ ნაღვლიან და შთამბეჭდავ ფერებს;
ეს სევდიანი მელოდია, ფერებს რომ ერთვის,
შენგანაა და ჩემთვისაა —

ჩემთვისა ვლერენ

მიხი ბეგრება, თანავრძნობის უნაზეს ბმებად
რომ მოდიან და მელერებიან წვეთებად ხულში.
მშვენიერია, როცა მწვანე თანდათან ქრება,
ეს ჩაღისფერიც და რუხ ცაზე გამკრთალი ლურჯიც...

დაახ, შენ ხატავ, ჩემო კარგო, ამ შემოდგომას,
ჩემზე ფიქრობ და მხოლოდ ჩემთვის ირჯები ასე. —
იცი, რომ უკვე ამნაირი განცდების დრო მაქვს
და ჩემს არსებას მოგონების ტკივილით ავსებ.

ხატავ ამ დროს და გართული ხარ ამგვარი ხაქმით
და შენი ხელი მოხდენილად ფლობს ფუნჯს თუ ფანქარს
და, ალბათ, კარგად გასრულდება ეს პეიზაჟი,
თუმცა მხატვარი არ ყოფილხარ და ახლაც არ ხარ.



ხატე, ძვირფასო!..

დაე, ფურღეს ძვირფასი სიმიც;

დე მოინუსხოს ჩემი თვალი და ჩემი სმენა;

არ დაგაეიწყდეს წეროების ლამაზი მწკრივი,

არ დაგაეიწყდეს ეს ქარი და ფოთლების ცვენა.

არ დაგაეიწყდეს – შემოდგომის ირიბი წვიმაც

და ხაღღაც ბუდეს შერჩენილი მცირედი სითბოც...

არ დაგაეიწყდეს, რომ არსებობს ამ ქვეყნად ვიღაც,

ვინც შენგან ახლა ხწორედ ასეთ ხახსოვარს ითხოვს.

ღამურები

თუმცა მკათათვეს ჩვევისამებრ უცინის ხახე
და მზის სხივებზე სოფელი და ვარემო ბზინავს,
მოწყენილი ვართ მეც და ჩემი საბრალო სახლიც,
სახურაექვეშ კი ღამურებმა დაიდეს ბინა.

და გამოდიან ღამურები ხალამოობით,
დაფრინავენ და გარს უვლიან სახლსა და ეზოს;
არა მგონია, მათ ჩემდამი ხაივე აქონდეთ,
არა მგონია, გულში ბნელი ზრახვანი ელოთ.

ან მაუწყებნი იყვნენ რამე ამბისა ცუდის,
მაგრამ, რატომღაც, ღამეული ეს გამოჩენა
მაინც მაშფოთებს მათგან ცაზე ნახაზი მრუდით –
მაფორიაქებს მათი ასე ტრიალი – ფრენა.

ზოგჯერ ოთახშიც შემოდიან ღია სარკმლიდან,
ფარდა ვერ იცავს საიმედოდ ოთახის სარკმელს-
შემოდიან და რა უნდა ქნა? – ვინდა არ ვინდა,
ღროებით უნდა დაეთხოვო ფიქრსა და საქმეს.

– რაო, ფროსნებო, გერად რომ ხართ ამ წუთისოფელად,
რისი თქმა ვინდათ, ღამურებო, წრაპინა პირით?
იქნებ იმის, რომ არ ვვების ამგვარად ყოფნა
და შესაცელებელი არის ჩემი ცხოვრების ნორი.

იქნებ – არც რის და მხოლოდ ჩემთან სტუმრობა გწადით,
რადგან მიმიჩნევთ თქვენთანად და თქვენდა მსგავსად...

მე ვაველ ვარეთ,

თქვენ – იყავით და მერე წადით,

ვაველ და ღიას დავიტოვებთ სარკმელსაც, კარსაც.

წახელით სად წაველ? – გავწერდები აქ შორიახლოს
და თვალს მოვაულებ ვარსკვლავიან ცის მუქლურჯ მინას...
მოწყენილი ვართ მეც და ჩემი საბრალო სახლიც,
სახურაექვეშ კი ღამურებმა დაიდეს ბინა.

ნოდარ ბაქრაძე

დედუღაობის ბილიკება

ზოგჯერ მატირებ, ზოგჯერ მაცინებ,
 ზოგჯერ მიღიმი, ზოგჯერ მემღური,
 ჩვენ ერთმანეთს ვერ ჩამოგვაცილებს,
 ჩვენ ერთმანეთის დავრწით ერთგულნი.

პეპელა კონის ველზე გვირილას,
 და მე მიწასაც ფრთხილად ვეხები.

მთების წვერებზე ახსლელიღ დილას,
 რას უმღერიან ნეტავ ვერხვები.

რა მომკლავს, როცა გვერდში შეგულივი,
 ზოგჯერ მატირებ, ზოგჯერ მაცინებ,
 ჩვენ ერთმანეთის დავრწით ერთგულნი,
 ჩვენ ერთმანეთს ვერ ჩამოგვაცილებს...

პირველი შვირბეზა

პატარა გოგო მზეს უშვერს მუხლებს,
 პატარა გოგო მზის სხივით თბება,
 სიხმარს დაუძებს, რომ ნახა წუხელ,
 ისფერ ნისლში რომ იფანტება.

სიხმარს დაუძებს პატარა გოგო,
 ამობურცულ მკერდს თითებით სინჯავს,
 როგორც ფუტკარი ყვავილის კოკორს
 მიეწეება ტუნები ფინჯანს.

პატარა გოგო ივარცხნის თმებს და
 დალაქულ ფინჯანს სიფრთხილით
 სინჯავს,
 მოეხვეწება თუ მართლა ხედავს,
 თითქოს აკოცა პატარა ბიჭმა.

და როცა მთვარე ვერხვებში იწვის,
 ძაღლიც მიირთმევს თავის წილ იჯრას,
 პატარა გოგოს უტყდება ძილი,
 ამობურცულ მკერდს სიფრთხილით
 სინჯავს...

გაზაფხული

ღაღად ბულრაობს კურო ქალაში
 და თოვლის ჭვავი ვეღარ ამინებს,
 მზე ცაზე უსვამს ოქროს შალაშინს,
 ზეცას ღრუბლისგან ახალაშინებს.

მიჰყვება მღელოს გოგო ფეხშველა,
 მწვანე პალახი ზღვასავით ღელავს
 და ცვივა კვირტი, ვით ბურბუშულა
 თუთრი კვირტებით დახუნძლულ
 ტყეშაღს...



უშენობით ამქვეყნად აბა როგორ გავძლებდი,
სიყვარულის რწმენით კი როგორ მაღლა ავსულვარ,
რა მოკლეა საწუთრო, ის ქვეყანა რა ვრძელი,
მაინც ჩემი სიცოცხლე შენს ალერსში გახრულდა.

წლები – ბედაურებო, საით მიმერეკებით,
ღამის ბოდმა-ნადევლმა დამგლიჯოს და დამახრწოს,
ღმერთო! არ მითხოვია, არც ჩინი, არც შედლები,
მხოლოდ ლექსი ელაკდეს, როგორც მინდვრად ყაყაჩო...

ორი მუხრამი

ბევრი იბრძოლა, იწვალა ვითომ,
ხსენება მისი ხანდახან ისმის,
ბევრი შეასკდა იმ მძიმე ლითონს,
და ბევრმა კიდევ დაღვარა სისხლი.

ბევრი ებრძოლა პოეტი ქალაღდს,
რომ ჩაეღვარა გულელებში სითბო,
წევს ის პოეტი საფლავეში ახლა,
და იგონებენ მის უკვდავ სტრიქონს...

მერის

არ შეღირსა შენი ნახვა, ველი ბროლის,
ეს აღმართი ისე ჩაივიაკიანე,
ცხოვრებაში სუყოველთვის ვინჩაროდი,
ცხოვრებაში სუყოველთვის ვაგვიანებ.

საწუთროში წყნას, სიტკბოს როგორ დავთვლი,
ვანა წყლულებს ახლა ვინმე დამიამებს,
ისე ვანველე ეს ცხოვრება მუხანაიცი,
ვინჩაროდი და ახლაც სულ ვაგვიანებ.

არ ღირს თურმე ეს ცხოვრება ფასად ჩაღის
სიარულში გზები დავანაგვიანე,
ცხოვრებაში სუყოველთვის ვინჩაროდი,
ცხოვრებაში სუყოველთვის ვაგვიანებ...

ლადო სულაბერიძე

სხადსიზგარინა

(თავგადასავალი)

ნაწილი მეორე

სივარძტი

არავინ არ ველოდით ამას, მივდიოდით თავჩაქინდრული, თოვლი ხრამუნობდა ჩვენი „ვალენტების“ — (თექის ჩექმები) — ქვეშ, ოთხ რიგად გაწყობილი ბრიგადა ერთად შექუჩებულნი, სამწყობრო ნაბიჯებით მივდიოდით იმიტომ, რომ წინშიმავლისთვის ფეხი არ მოგვეკრა ქუსლზე, არ დავშორიშორებოდით ერთერთს, არ გავწვლილიყავით, თორემ ბადრაგებისა და ძაღლების რისხვა მყისვე მოგვაცხრებოდა.

მიყვებოდით ასე თოვლით ჭადაგულესილ გზას.

უცებ ყველას ყელი მოგვეღრიალა, გზის მარჯვენა კიდისაკენ მივაბრუნეთ თავები.

ყველამ ერთბაშად როგორ მოვკარით თვალი?!

გზის კიდეზე, დატკეპნილ თოვლზე ერთი მთელი სიგარეტი ეგდო.

მთელი სიგარეტი!

ერთი ღერი!

გავრქელბა: ო. „მნათობი“.

ოცდაათი კაცის თვალი სიგარეტს მიაკვირდა, მწვეული იყო თუ არამწვეული, ერთნაირი სურვილით აენთო, ნეტავი მიწველოდა და აუღო სიგარეტი მწვეულმა, რასაკვირველია, გასაბოლებლად ინატრა, არამწვეულმა კი იმიტომ, რომ ამ ერთ სიგარეტს უღუფა პურში გაცვლიდა.

ავერ სულ ახლოს, გზის კიდეზე, ერთი ნაბიჯი და...

მაგრამ ვინ გაბედავდა მწყობრიდან გახტომას?! გახტებოდი თუ არა, დაწვებოდი თუ არა სიგარეტს, მოგვარდებოდა განზე მომდევარი ძაღლი და ვაი, შენი ბრალი! ან ბადრაგი მოგაყრიდა ავტომატის ჯერს.

ერთი მთლიანი სიგარეტი კი გამომწვევად ეგდო დატკეპნილ თოვლზე, ვილაცას ალბათ დაუვარდა და აღარ კი დაიხარა ასაღებად, კოლოფიდან მეორე ღერი ამოიღო არხეინად და ეს აქვე მიატოვა. ასე მხოლოდ მე გავიფიქრე, დანარჩენთათვის ეს წარმოუდგენელია, როგორ, მთლიანი სიგარეტი



ძირს, თოვლზე დაგივარდეს და არ აიღო, ადგილზევე მიატოვო?! ყოველი ამათგანი იმ კაცის ადგილზე რო ყოფილიყო, ვისაც ეს სიგარეტი აქ დაუვარდა, თავისუფალი, ლაღი, უდარდელი, თუთუნს რო მაშინვე გააბოლებს, როცა მოესურვება, რადგან მისი შონა-არშონის საკითხი მას არ აწუხებს, ალბათ ასევე მოიქცეოდა, არ დაიხრებოდა მიწაზე, თუნდაც ამ სუფთა და კამკამა თოვლზე შემთხვევით ხელიდან გავარდნილი სიგარეტის ასაღებად, მაგრამ ახლა, კატორღელი როა, თუთუნი რო არა აქვს და ხანდახან ერთ გაბოლებამაიაც კი უღუფა პურს აძლევს, ამის წარმოდგენა უჭირს, იმის წარმოდგენა უჭირს, რომ კაცს სიგარეტი დაუვარდა და იქვე მიატოვა.

ააშენა ღმერთმა, რო მიატოვა, რომელიმე წყნთაგანი ხო მიწველება როგორმე, მიწველება, უჭკველად მიწველება, კისრები მოიღრიცეს, თვალები მიაციკეს, მწყობრიდან ვერ გაიჭრნენ, კიდე კარგი, რო ვერ გაიჭრნენ, თორემ რაკი ერთად, ერთდროულად დაინახეს, ასევე ერთად, ერთდროულად მიაცხრებოდნენ და ვინ იცის, როგორი ზედახორა გაიმართებოდა, ამით ხო ახლა გონიერად განსჯის უნარი აღარა აქვთ, აწონ-დაწონისათვის დრო არა ყოფნით, არსებობისათვის ბრძოლის უკიდურეს ზღვართან ღგანან და დასწრების ინსტიქტი ცხოველური დოზით არის ამითში აღზევებული. პოდა, კიდე კარგი, რომ ძაღლებისა და ავტომატაიანი ბადრაგის შიშით ვერ გაიჭრნენ მწყობრიდან, თორემ შეიძლება ისე დაცხრომოდნენ ამ ერთ ღერ სიგარეტს, ერთმანეთი გაეთელათ კიდეც.

კისერმოღრეცილებმა ჩაუვარეთ სიგარეტს და რო გაეშორდით, ახლა კეფაზე გამოკვესახა თვალები. ეს სურვილის თვალები იყო, სინანულით რო მიციკებოდა უკან დარჩენილ, ქათქათა თოვლზე დაგდებულ სიგარეტს.

მთელ დღეს ერთი სული ჰქონდა ვეღლას, როდის დამთავრდებოდა ქუშაობა. ერთს უკვე ზრუნავდა, რომ მოქმედო გეგმა. თავი რო მოვიყარეთ ლაგერში დასაბრუნებლად, წინა რიგს მარცხენა რიგის თავში მდგომს უთხრა, გზის კიდეს მიყოლოდა ისე, რომ სიგარეტთან ახლოს ჩაველო, რა თქმა უნდა, ბრიგადის მთელი მწყობრიც მას მიაყვებოდა, ეს კი, გეგმის მომთქრებელი, რიგის შუაში იქნებოდა, დაიხრებოდა ჩაველისას და ხელს დასტაცებდა ბადრაგის შეუმჩნეველად.

ასეც მოვიქცით, მაგრამ იმ დროს, როცა სიგარეტს მიეუახლოვდით, საბარგო მანქანამ ჩამოიარა, ბრიგადის მწყობრი გზის მარჯვენა მხარეს გადაიწია, თავისი გზა დაუთმო ავტომატქანას და კვლავ გულდაწყვეტილი გაეშორდით სიგარეტს.

მთელ ღამეს იმაზე გვექონდა საუბარი, დილით ჩაველისას როგორ გვეგდო ხელთ სიგარეტი. ვეღლამ თავისი გეგმა მოიფიქრა. ერთმა თქვა, ქუდს გადაეკეცებ სიგარეტის მახლობლად, ერთიმ მოულოდნელად გადამივარდა, ბადრაგს ვთხოვ და ქუდს რო ხელს დაეკეცებ, სიგარეტსაც ავიღებო. არ მოუწონეს ეს ვარიანტი, ბადრაგი არ დაგიჯერებს და ქუდიც დაგეკარგებაო. მრავალი ამდაგვარი ვარიანტი მოიფიქრეს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთის გადაწყვეტილება მოიწონეს: მას ჯობის ბოლოს ნემსი მიემაგრებია საიმედოდ, მწყობრი რო ჩაივლის გზის კიდზე, ისე, რომ სიგარეტთან მიახლოვებული იყოს, ნემსიანი ჯოხით მიწველება, ნემსზე წამოაკებს სიგარეტს. ეს ვარიანტი ვეღლას ჭკუაში დაუჯდა.

დილით წინმითავალი შევეცადა რაც შეიძლება ახლოს ჩაველოქ მოახერხა კიდეც ეს, მაგრამ ნემსიანი ჯოხი აცდა და ამჯერადაც კისერმოღრეცილები გაეშორდით სიგარეტს.

ის კი ვეღო თოვლზე. ალბათ ბევრმა აიარა და ჩაიარა, მაგრამ ხელი არ უხლიათ. ვინც აიარა და ჩაიარა, იმ-



ფებიან და, არიქა, თქვენი ჰირიშეთ, თქვენ გენაცვალეთო, ებუღარები შენ, არ დამიზიადეთ, არ დამიკინდეთ, თავს გაუფრთხილდით, მე ვაძღვებ, მე უპიკვლად ვაძღვებ ოცდახუთს კი არა, ორი ამდენსაც კი, ოღონდ თქვენი თავი საღსალამათი დამახვედრეთ შინ მობრუნებულსო.

აი, რას ეწერდი დედანემს 1952 წლის 11 იანვარს:

„სალამი, საყვარელო დედიკო! ამდენხანს თქვენგან რომ პასუხი არ მქონდა, ვდარდობდი. ოქტომბერშიც გასული წლისა, მივიღე მოულოდნელად 1 ივნისს გამოგზავნილი „პასილკა“. ეს იყო ჩემთვის დიდი სიხარული, გამოუთქმელი სიხარული. ერთი თვის შერე, დედიკონა, მივიღე შენი წერილი. ამან მთლად ამანთო სიხარულით. ასე, რომ გვარიანად ვაგზავლიხდი. დანარჩენი ამანათი და წერილი ვერ არ მიმიღია, მაგრამ აწი ჯერია არა მაქვს, ყველას მივიღებ. ხანდახან იგვიანებენ, დაკარგვით კი არაფერც არ იკარგება. ასე, რომ, მივიღებ.

ჩემზე არ იდარდო, გეხუტუნე. მე კარგათ ვარ. ხშირად რომ ვერ გწერთ და ცალცალკე, ამისთვის ნუ დამემდურებით თბილისში გაავაგზავნი ხოლმე წერილებს, როცა შესაძლებლობა მაქვს, რომ უფრო ადრე და დაუბრკოლებლად მივიღებ ხოლმე, თქვენ კი მომწერეთ ხშირად.

რა ვქნა, ყოველ წერილში თავს ვაბეზრებთ და მაჯლაჯუნასავით დავაწვქით კისერზე ამხელა კაცი, მაგრამ რა ვქნა, თქვენს მეტს ვის ვთხოვო? თქვენი ხელშეწყობა კი ძალიან მჭირდება. როგორც შეიძლით, ნუ დავგზავრებთ, ცოტა ხანს კიდევ ნუ მომიტყულებთ, ამანათები აგზავნეთ, როგორც შეიძლით, რაც შეიძლით. ჩემს პასუხს ნუ დაელოდებით. რა მჭირდება ქე იცით: ხალა ან ვადამდნარი ვრბო, შაქარი, ხანდახან ღობიო, თავისი შესაკმაზით, ხილი, თხილი, ჩაი, თუნთნი რაც შეიძლება მეტი, ნიორი ყოველთვის შეზავებული გამოგზავნეთ,

ხანდახან ქუმელა. ერთი სიტყვით, ჩემთვის ზედმეტი არაფერც, რაღაცეა, ხაც კი შესძლებთ ზღაპრულად ტანისამოსი ბევრი არაფერი მჭირდება, დედიკონა, ქე მწერ, ახლა წინდებს და ღაზლის სვიტრს ვიგზავნიო. საკმარისია, აწი ხანდახან წინდები გამოგიგზავნე მხოლოდ. ჩემთვის მთავარი საჭმელია. ჰო, მართლა, აფთიაქში შევიძლიათ იყიდოთ ვიტამინები, გამოგიგზავნეთ ხოლმე.

ჩემი აუთანდილი ხომ კარგად იზრდება? თქვენ იცით, როგორ შეუწყობთ ხელს. ტკბილად იყავით. შოთიკომ უნივერსიტეტი დაამთავრა ხომ? ახლა დააცოლშვილეთ და გამაზარეთ. მამა როგორ არის? მომიხუცდით, მარა, აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლით თავს. ბევრი რამ მინდა მოგწეროთ ცალ-ცალკე, მარა არ დამემდუროთ, ხელ გამოგიგზავნეთ, გამოგიგზავნეთ, გეწერსო და ჩვენს ამბავს კი არ კითხულობსო. „პასილკაში“ ჩადევით ხოლმე თქვენი სურათები, ჩემი აუთიკოს სურათი. ნახვადის!

გაკონის შენი ვალოდია

ჩემი მისამართი იგივეა:

Хабаровский край «г. Магадан, 1/я 383/20».

ასე მივწერე დედანემს დედადან, მიაუნჯახ ნაპირებიდან, იმ ლაგერიდან, საცა ორიოდე თვის მიევანილი ვიყავი და ამ ახლად დაარსებულ ლაგერში ძალიან გამიჭირდა, ამიტომ სამკვლად დედას მიემართე.

ერთ-ერთ წერილში ჩემი ძმა მამხნევებს:

„სალამი საყვარელო ძამიკო!

მივიღეთ შენი წერილები. შენგან უკვე ექვსი წერილი გვაქვს. დედიკოს გულში აქვს ჩაკრული და ისე მინავს — ტკბილი ძილი შექნებაო.

ძამიკო, შეშინებულხარ, რატომ დედამ არ მომწერა რამდენიმე სიტყვაო. ნუ გეშინია, ბიჭო, დედას ახლა რა ვაუჭირდება! ჩვენი დარდი ნუ გექნება,

ძამიკო. ჩვენ ვალდებულნი ვართ კარგათ ვიყოთ, შენი გულისთვის, და ვიქნებით კიდეც. ბავშვებზეც ნურაფერს იჯავრებ, ისე შევინახავთ, როგორც ხვითოს, ჩიტის რძესაც არ მოაკლებთ, გჯეროდეს. მერე კი შენ ნამოხვალ და თვითონ უპატრონებ შენს პირმშოს. ისეთი ოქროა შენი ბიჭი, რომ ძალიანაც მოინდომო გაჯავრება, ვერ გაუჯავრდება. არ მასვენებს ხოლმე, „ბიძია, ბიძიაო“, ამპორწიალება და სანამ შენს მაგიდაზე არ დაესვამ, არ მომეშვება, გამიცინებს, რაღაცებს მუხრტუნება, გადმოანგრევს წიგნებს, შენს სურათს აიღებს და კოცნის. მაგიდას ვერ მოაცილებს, მგონი ეს დალუღლიც კოცტი გამოვიდეს. დედაშენი ხუმრობით იტყვის ხოლმე ზოგჯერ, მერქმედ უნდა გაეზარდო მაგიო. ახლა ბავშვი სოფელშია და სული გველვა, მალე ჩამოვიყვანთ, ჩავაკოტრიალებთ მის ღოვინში. ასე, რომ, ვალოდია, ბიჭის დარდი ნუ გქვჩება.

ახლა კი უფრო სერიოზულ რამეზე უნდა მოველაპარაკო, ბიჭოვისთან იხდი ბოდიშებს, საიდან მოვივიდა ასეთი აზრი?... გულმოსული ვარ შენზე, რას მიეთ-მოეთობ? რა „შეხურებაზე“ ლაპარაკობ? რომელი „გაჭირდება“ მოგავონდა, ანდა რატომ გერჩივნა „მშვიერი ყოფნა?“ რა ოხრად გინდა მაშინ ან დედა, ან ძმა, თუ გაჭირდებაში არ დაგეხმარებიან, ახლა გინდა შენ დედაც, ძმაც და დახმარებაც, თორემ სუფრაზე და ლხინში გადამთიელიც კი გაგიწევს ძმობას. და ანკი რა დაგეხმარე ისეთი, განა ღირს ამაზე ლაპარაკი?! საათი გავეიდეთქო, იმიტომ კი არ მითქვამს, რომ თავი შემებრალებინა შენთვის. საათს შენი ჭირი წაულია, იმის გაყიდვას მე არ ვნანობდე. მე იმას ვნანობ, რატომ ორმოცდაათი საათი არ მება ხელზე, რომ ვველა შენთვის მომეხმარა, ძამიკო, და თუ ვითხარი, საათი გავეიდუ-მეთქი, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ერთხელ კიდეც გვერძნო. რომ შენთვის არაფერი გეშურს და მომავლისთვისაც იმედიაანად ყოფი-

ლიყავ, თორემ შენ წინა წერილებშიც ასე წერდი: „მამატიეთ, რაღა გეწახებოთ, გაგაწვალეთ, კიხერზე გეკეცებით“. და სხვა. ვალოდია, ასეთი რამ აღარ გაიელო გულში, შენ არავისი ბარგი არა ხარ და საბოდიშოც არაფერი გაქვს. მე იმდენი რამ კი მახსოვს შენგან, რომ ცოტა თავი შევიწუხო შენთვის. შენ დედაკოს უფროსი ბიჭი ხარ და ჩემი ერთადერთი ძმა და შენთვის თუ არ შევიწუხეთ თავი, აბა, რა კაცობა უნდა დავიკვიხნოთ მაშინ. შენი ერთადერთი ვალი, ესაა, კარგად იყო, ჯანმრთელად და მშვიდობით დავვიბრუნდე. და რომ გავიგო, რომ შენ რაიმე გჭირდებოდა და მოგეხატრა და არ შეგეკატრობინე, ძალიან გვაწყენინებ. „საათი რომ გაყიდე, მეწყინა, მშვიერი მერჩივნა ყოფილიყავიო“, — ფუ, შევარცხვინე შენი ნამუსი, რა სადარდებელი გაგჩენია... ერთი საათი გავეიდე, კაცობა ხომ არ გამოვიდა?! საათს ერთს კი არა, ათს ვიყიდი. ისე რაჟა წაეხდები, შენ კი ასეთი რამ ფიქრადაც არ გაიკარო, ხომ გესმის, ბიჭო, — ფიქრადაც არ გაიკარო!

ასე, ვალოდია, იმედიაანად იყავი. გული არ გაიტეხო. აბა, შენ იცი, როგორ ყოჩაღად იქნები. ჩვენ არაფერი გვიშავს“.

ვამხნევებდი მე მათ და მამხნევებდნენ ისინი მე. წერილებს მიჰქონდა-მოჰქონდა ეს სიტყვები. ისეთი შორი მანძილი იყო, ჩვენს შორის, რომ ფიზიკურად ერთმანეთს ვერ მივუახლოვდებოდით. ეს იყო თითქმის შეუძლებელი, თვეობით, მეტი დროითაც უნდებოდა წერილები ამ შორეული მანძილების გადალახვას და ძნელია იმის შეფასება, რაც ამ წერილებს ჰქონდათ ჩვენთვისაც და იმათთვისაც კატორღელებისათვისაც და ჩვენი ოჯახის წევრებისათვისაც, მიაუნჯადან, განსაკუთრებული რეჟიმის ლაგერიდან წელიწადში ორი წერილის გაგზავნის უფლება გვერძნო მხოლოდ, მაგრამ მაინც ვახერხებდით სამუშაო ობიექტებიდან



თავისუფალ მოქალაქეთა მეშვეობით მეტი წერილის გამოგზავნასაც.

რომელიმე ჩვენთაგანი წერილს რო მიიღებდა, თვითონ წაიკითხავდა თუ არა აღრუსატი, მაშინვე ლავერში მყოფი ყველა ქართველს შემოივლიდა ეს ბარათი, შენთვის გამოგზავნილი თბილისი სიტყვები ყველას გულს ეფონებოდა, თხოუმეტრევე ქართველი ერთიანი სულისკვეთებით გავიმსქვალბოდიმ ხოლმე, ერთის დედა ყველა დედის სიტყვას გამოსთქვამდა და ამიტომაც ერთისთვის გამოგზავნილი წერილი ყველასათვის ხანატრული და სასიამოვნო იყო ხოლმე.

ამის გამო თითქმის ყველანი კარგად ღიცობდით ერთმანეთის ოჯახებს, წერილებით, სურათებით, რომლებსაც გზადგზა წერილებს თან გამოაყოლებდნენ ხოლმე.

ჩემი ბრიგადირი ლევეთრი მალანია ჩვენს შორის ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო, არ ღებულობდა შინიდან წერილებს, ჩვენს შორის ყველაზე უმცროსი იყო ის, ომიდან შინიბრუნებულს დაეოლშეილება მოუსწრია, ორი შეილი დაუტოვებია შინ, დედაცა და მამაც გადაუსახლებიათ, აღარ მახსოვს რა მიზეზით და შინ ახლადშერთული ცოლის გარდა აღარავინ დარჩენია. როცა გააციმბირეს, გაჯოუტდა, არ აცნობა ცოლს თავისი ასავალ-დასავალი, წერილი არ მისწერა, მისამართი არ აცნობა, ამბობდა, ასე ჯობია, რო გაივოს ჩემი მისამართი, უნდა შეწუხდეს, ორი ჩვილი ბავშვის პატრონმა ვე როგორღა მოახერხოს, ნეტავი ბავშვების გაზრდას შეძლებდეს და მე არა მინდა რაო. რამდენი არ ეუწიინე, ვერ ვაიძულე, ცოლისთვის წერილი მიეწერა. რო არ ეცოდინება ჩემი ამბავი, იქნება თავს უფრო მოუაროს ვეპრასიო, — ასე ერქვა მის ცოლს, — აბა, ოცდაბუთი წელი რომ შელოდოს, ამდენხანს მე აქ რა გამაძლებინებს და შვატკრება ღოდინს ის ქალიო.

წერილს მივიღებდი თუ არა, წაკითხვასაც არ დამაცილიმარცხნოშეწებდა და რამდენიმეჯერ გზადგზაწებდა, სურათიც თუ აღმოჩნდებოდა კონვერტში, დიდხანს უცქერდა. არ შეიძლებოდა მაშინ გულში არ გაველო, ნეტავი ერთი ჩემი ვეპრასიას სურათიც დამანახაო, ამგვარი გრძნობებისაგან დაცლილი ბიჭი არ იყო ლევეთრი და მეზრალბოდა, ვურჩევდი, ვაიცტავდი, ვთათხავდი, მაგრამ ვერაფერი გავაწვე.

ბოლოს მაშინვე მიეწერე ლევეთრის ამბავი, თან ვთხოვე, ჩასულიყო ზუგვიდში და ენახა მისი ცოლ-შვილი, ეცნობებია მისთვის ლევეთრის მისამართი. რა თქმა უნდა, ლევეთრისათვის ეს არ მითქვამს.

რამდენიმე თვის შემდეგ ლევეთრიმ მიიღო ცოლის წერილი, ვეპრასი წერდა, როგორ ჩავიდა მასთან მამაჩემი და როგორი დიდი სიხარული ჩაუტანა მათ, სასიხარულო იყო, აბა, რა იყოო, — წერდა ვეპრასი, — არაფერი ვიცოდი შენი, მკვდარი მეგონე და უცებ სიმონ ბიძიამ გამიცოცხლა შენი თავიო.

ატირდა ლევეთრი. ოხ, სიმონ, სიმონო, ჩურჩულებდა თავისთვის მამაჩემის სახელს, მერე მამაჩემმაც მოწერა წერილი, რა კარგი ცოლ-შვილი ვყოლია, როგორ შეიძლებოდა, ამათ რო უმაღაუდი შენ თავსაო?!

ლევეთრიმაც მისწერა წერილი ცოლს და როცა ეს ურთიერთობა გაიბა, მერელა მიხელა ლევეთრი, რამხელა შეცდომა დაუშვა, როგორ გააწამა თავისი ალალი ცოლ-შვილი უწერილოდ, უბართოდ.

გაპერტონით დაავადებულს მესამე კატეგორიის ინვალიდობა მომცეს და ლავერის ბიპლიოთეკაში მოვკალათდი. საერთო სამუშაოზე აღარ გავდიოდი და დროც საკმაოდ მქონდა წიგნის საკითხავად. ამდენი წელი ომის დაწყების მერე სულ უცხო გარემოში ვიყავი, უცხო ენათა ბაბილონურ წნეხში მოვექციე და ქართული სალიტე-

რატურო ენის ყმაწვილობაში დაგროვილი მარაგი ჩემს ლექსს ფეროვანებას ვეღარ მატებდა. რაკი დრო მოვიხელთე, რაღა თქმა უნდა, ეწერდი ლექსებს და კარგად ვერძნობდი, ჩემ მიერ გამოთქმულ ღუბჭირობის განწყობილებებსა და აზრებს მხატვრული ელვარება აკლდა. აბა, რა იქნებოდა?! ათი წლის განმავლობაში ქართული ენის სტიქიაში აღარ ვიწერტანებოდი და პოეტური სიტყვა მშობლიურა ენის წვენით აღარ ხაზრდობოდა.

ამიტომაც მიუმართე წერილით ჩემიანებს, ქართული წიგნები მომამკლეთებოთქი. ლაგერში ნებადართული იყო, ბანდეროლით მიგელო წიგნები. მაშინვე და ჩემი შმა გულისხმიერად გამომეხმარუნენ.

მამაჩემს ერთ წერილში ვატყობინებდი“.

„საყვარელო, მამა!

გუშინ მივიღე ბანდეროლი: „ვისრამიანს“ და ვაყავს „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“. ამ დიდი სიხარულისათვის უაღრესად დიდი მადლობა მომიხსენებია. გუშინ სამუშაოზე არაფერი არ გამოიკეთებია, შინ ვიფაევი, ვიწეკი და პირველად ხან ერთს, ხან მეორეს ჩაკვებოდი, ხან ერთის ფურცელი ჩაკვითებ, ხან მეორისა. მერე ავიღე და ჩემი საყვარელი „ვისრამიანის“ კითხვა დავიწყე. მთელ დღეს არ მოეშორებოდა. ეს ორი დღეა სინათლე გაკვიფრებდა და დამით სინათლე არ იყო, თორემ აღბათ შევათენებდი კიდევ მის კითხვაში. რა ძვირფასი რამაა! ქართული პროზის განვითარება ამ გზით უნდა წაივდეს უსათოოდ. ის შინაგანი ღირსშესი „ვისრამიანის“ ყოველ ფრაზას რომ ათბობს, ქართული პროზისათვის აუცილებელია ისე, როგორც ვეპოლისათვის ცეარი. ერთი სიტყვით, ამის შესახებ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ ახლა ამის აღვიღე არ არის. შესაძლებელია ვაყავს წიგნიც. ოღონდ მე ახლა ძალიან მჭირდება ვაყავს პოემები. არ გამინაწყენდეთ, მადა ჭამაში მოუვიდაო. პოემები

მჭირდება, რადგან ქართულ პოეზიაში ვეღარა კლასიკური სიტყვები ვაყავს მიმანია და ჭეშმარიტების ძალიან საჭირო არის. თუ ძალიან დიდ ტვირთად არ დაგაწყებთ, ვაყავს პოემები და ვალაკტიონის პირველი ტომი მაინც გამომიგზავნეთ. რა კარგი იქნებოდა, რომ ამ წიგნებიდან რამდენიმე ცალი „ლიტერატურული გაზეთი“ ჩაკვდო. თუ კიდევ გაირჯები და გამახარებ, რამდენიმე სანიმუშო ნომერი „ლიტერატურისა“ არ დაგავიწყდეს“.

მეორე წერილში 1955 წლის მარტში მამას ეწერდი:

„მადლობთ, მამო, ძალიან დიდი მადლობა.

როგორც ვწერდი წიგნებიც მივიღე. ცოტა შეგვიანებით, მარა თურმე, აი, როგორ მოხდა შეგვიანება: ჩემგან სამოცი კილომეტრით არის საავადმყოფო და იქ წევს აქედან წასული ჩემი კარგი ამხანაგი ჭაბუკა ამირეჯიბი იმავე საავადმყოფოში მუშაობს ექიმი ფსიქიატრა, ქართველი შალვა იორამაშვილი. ჩემი ბანდეროლი ჯერ იქ მიხულა, რადგან განყოფილება იქ არის, ხელთ ჩავარდნია ექიმ იორამაშვილს, იმას უწვევებია ჭაბუკასთვის. ჭაბუკამ კი იცოდა უკვე შენი წერილიდან, რომ წერილი გამოგზავნილია ჭაბუკა ნიჭიერი მწერალია (ბელეტრისტი), დაუტოვებია თავისთან, ვადამუკობხავს ეს წიგნები და მერე გამომიგზავნა მე. აი, რატომ შეგვიანდა თურმე ამ წიგნებს. ასე, რომ წიგნები მივიღე და ამისათვის კიდევ დიდი მადლობა. ახლა „ვისრამიანს“ კითხულობ და აღტაცებული ვარ. იმდენი რამ მაქვს ცხოვრებაში ნახული, რომ ჩემს თავში შთაბეჭდილებათა ოკვანე დგას კიდევუხედავი. იმდენი თემა ირევა თავში, რომ მათ დასაწერად ახი წლის სიცოცხლეც კი არ შეყოფა, მაგრამ ვერ დამიწერია, რადგან სიტყვიერი მასალა არა მყოფნის და „ვისრამიანს“ რომ კვითხულობ, მშურს მისი ქართულად დამწერის ბედი, რა ნარნა-

რი ენაა, რა მოხდენილად მიუჯრია ერთიერთმანეთზე ქართული მრავალფეროვანი სიტყვები. ის ისეა მდიდარი ქართული ლექსიკით, რომ ვისისა და რამის სულთა უფაქიზესი ნიუანსის გამოხატვა არ უჭირს. სიტყვა ხალხბაჟია მწერლისათვის და ისე, როგორც მხატვარი მით უფრო მდიდარია თავის ნახატში, რაც უფრო მეტი ხალხბაჟი აქვს, აგრეთვე მწერალიც — რაც უფრო მეტი სიტყვათა მარაგი აქვს, მით უფრო ლაღი და მხარგამილილია თავის ნაწერში. ჩემი ნაწერები ერთმანეთს გვანან ფორმის მიხედვით, იმატომ, რომ ჩემს სიტყვათა საღაროს შუიდი წელიწადია არაფერი არ მიმატებია. ენის ერთარებაში ყოველდღიურად რაღაც ცვლილებები ხდება ზოლზე და თუ მწერალი ფეხდაფეხ არ მიხდევს ცოცხალ ენას, მის ახლოს არ არის, მისი ფლერა არ ესმის და გზადგაზა სიტყვათა ფერიცვალუბას არ აქცევს ყურადღებას, ჰოი, რა საშინელებაა ეს მწერლისათვის. ამ ტკივილს მე ძალიან ვგრძნობ და ამიტომ არის, რომ ზუთი წელია გემუდარებით, გაზეთები მიგზავნეთ და ზოგიერთი წიგნი-მეთქი. თუ ეს ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვდა, რა თქმა უნდა, არაფერი არ მეთქმის, მაგრამ თუ გულგრილობისა გამო იყო ეს, მაშინ კი დიდი სამღურავი მექნება ვეღა თქვენთაგანისადმი. აი, კონკრეტში ჩავიდეთა ლიტერატურა და გამოვავიზანია. მივიღე. ნუთუ ეს ძალიან ძნელი იყო? მე გონი, არა. მე კი ძალიან გვიხარე. კმაყოფილებით წაეკითხე შიელი გაზეთი და თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენის სურნელმა დამათრო. ამისათვის დიდი, დიდი მადლობა, მამო!"

აი, კიდევ ორიოდე ამონაწერი ჩემი წერილებიდან:

„აქ ჩვენთან ქართველები გვარიანად არიან და ჩვენს ცოლ-შვილზე თითქმის ყოველდღე ვსაუბრობთ. უკამბოობთ ერთმანეთს ყველაფერს. სამი დღის წინ ერთმა მეგრულმა წერილი

მიიღო ერთი გოგონასაგან. გუმბარ მე მთხოვა, საბასუხო წერედი უფაქიზე რეო. იმ გოგონას წერილი უფაქიზე კითხე, გული დამწვდა, შემებრაღა. საქმე ასეა: თურმე ამ ემაწვილს ცოლ-შვილი ყოლია, უნახავს ის პატარა გოგო, შეყვარებია და შეცოცებია. გოგონაც შეყვარებია. პირდებოღა თურმე ცოლად წავიყვანო. დეღა ყოლია გოგოს. მასაც გაუგია, მაგრამ მიუშვია ნებაზე ორივე. ბოლოს გოგოსაც გაუგია, რომ ცოლ-შვილი ყაღა ამ ბიჭს, მაგრამ მაინც დაყოლია ნებას და თხუთმეტი წლის გოგონასთან დაუწყია ცხოვრება ამ მუტრუკს, კი გაუგია, ცოლ-შვილი რომ ყაღა, მაგრამ გვიანი იყო, გოგონას ალბათ ისე შეუყვარდა, რომ ვეღარ კრა ხელი. შერე დაუწყიათ ცხოვრება და გოგოს ორჯერ მუცელი მოუშლია. ახლა წერს ისე გულდასაწვევტ წერილს, რომ შეგებრაღება. ისე უყვარს ხაწყალს, რომ ასე წერს: მაინც მეებრაღები და ვერ ვიშვებებ, რომ დაგწყველო, ჩემი უმანკო სიყვარული შენთვის ჩამიბარებია და ჩემთვის აწი სხვა კაცი აღარ არსებობსო. ხაწყალი გოგო კიდევ ამან უცდის, თუმცა, — წერს, — ვიციო, რომ შენ შენს ცოლ-შვილს არ მიატოვებ და იმათ დაუბრუნდებიო. ამ ბიჭს შავა დღე დავაყენე, შენ ასეთო და შენ ისეთოთქო, ქაღების მეტი რა იყო-მეთქი, თუ მაინცადამაინც ამ გზაზე წადი, რაღა ეს ბავშვი ააცდინე გზას-მეთქი. იღრიჭება. შერე რაო; ორივეს ვეყოფიო. ცოლ-შვილს კი, მართალი ვითხრა, ვერ მიეატოვებო, მაგისთვის კი არა, ანგელოზიც რომ იყოსო. ერთი სიტყვით, მოვიშველიე ჩემი უნარი და სიტყვები და იმ გოგოსათვის დაეუწერე ამას წერილი. თუ კარგათ ჩაუკვირდება ხაწყალი, მიხვდება, რაშია საქმე, რომ არ ღირს სიყვარულად ამისთანა მუტრუკი, თანაც გაეამხნევე. ენახოთ რას მოიწერს“.

ამონაწერი მეორე წერილიდან:
„ჩემს ბიბლიოთეკას ერთი ფანჯარა აქვს. ფანჯრიდან სამი მეტრით ეკლი-

ანი მავთულებია გაჭიმული. მერე მაღალი ღობერი და ღობერს იქით რამდენიმე მოსახლეა. ღობერი მსხვილი სარებისაგან შედგება, ერთმანეთზე მიდებული. მათ შორის ცარიელი ადგილებია იქა-აქ და იქიდან მოსწინას ის მოსახლეობა. პირდაპირ ფანჯარასთან, რა თქმა უნდა, ღობერს გადაღმა, ერთი ხახლის შესასვლელის წინ ყოველდღე ვხედავ ოჯახის სურათს: პატარა ბავშვები თამაშობდნენ, ერთი ძლიერ დაბაჯრავდა, პატარაა ძალიან. ერთი მოხუცი კაცი ხან შეშას აბობს, ხან წყალი მოაქვს, ხან შალაშინით რაღაცას აკეთებს. ხშირად დიასახლისი დაფუთურებს იქვე. ხან ბავშვს მიჰხედავს, ხან გაეთამაშება ხოლმე, ხან ეზოს გვის უფრო ხშირად მოხუცი კაცი ეთამაშება ბავშვებს. პატარა-მოატარებს, ხელჩაიღებული. ვხედავ ხოლმე ამ სურათს და შენ აღვილად წარმოიდგენ, რამხელა დარდი მომაწვება ხოლმე. იმ წუთში, როცა ვუცქერ, ასე მგონია მე შინ ვარ და ჩემი ოჯახის სურათი მიდგება თვალწინ. მერე, რომ გამოვიკვირო, ვხედავ, რომ ეს უცხო ოჯახია და გული მწყდება“.

ერთ-ერთ წერილში ვწერდი ღელაჩემს, ხასოებით ვვლი თქვენს წერილებს, საცა არ უნდა წამათრიონ, თან კატარებ, ჯვლაფერს შეველევი, რაც აქ მაბაღია, ამათ კი ვერა, კვითხულობ ხშირად, ვუკითხავ სხვებს და ამით ეცოცხლობ, თუ დაებრუნდი თქვენთან, ამ წერილებზე წიგნი უნდა დავწერო-მეთქი.

თვალისხინივით გაფრთხილებია ღელაჩემი ჩემს წერილებს, თავსაფარში გამოუკრავს და ასე დამაბვედრა შინ დაბრუნებულს.

ჯერჯერობით ვერ დავწერე წიგნი ამ წერილებზე. ღუბჭირი თხოვნა-მუდარა, გაძლები და გადარჩენისათვის შეძახილები, პირადი წერებების ცახცახი, შეიღის ზრდისათვის თეორიული მოსაზრებანი, ოჯახი, ოჯახი და ოჯახი — ძირითადად სულ ეს ერთფეროვანი ვნებათა ღელვანი გამოკრთის

ამ წერილებში, ერთფეროვანი, მაგრამ სხვადასხვა ვარეაყვებულნი, მეგობარ მწერლებთან, მეგობრები არა მქონდა, ეს მაშინ სახიფათო იყო, მეგობრებიც ამიტომ ერთდებოდნენ, არაფერს მწერდნენ, მეც, რაღა თქმა უნდა, არ ვაწუხებდი მათ. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ ლიტერატურაზე საუბრითაც მოვიოხებდი გულს.

ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო ჩემი და ჭაბუა ამირეჯიბის მიმოწერები. ჭაბუას მაგაღანში შეეხედი, იქიდან შუა ციმიბირში გადმოგვიყვანეს და მერე მეტწილად ერთად ვიყავით, მაგრამ ავადმყოფობისა გამო ერთხანად ჭაბუა დამამორეს, საავადმყოფოში წაიყვანეს და მაშინ ერთმანეთთან გავჩაღეთ მიმოწერა, საავადმყოფოში გასაგზავნს და იქიდან დაბრუნებული პატიმრების მემუქობით, ან სამოქალაქო პირთა დახმარებით ვახერხებდით ამას. ამ წერილებში კი მეტად საინტერესო საუბრებია გამართული ლიტერატურაზეც, ახალს რო დავწერდი, იმასაც ვუგზავნიდით ერთმანეთს, და მერე შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. ამის თაობაზე წიგნის მომდევნო თავებში მოვითხრობთ.

აღმაინებებით ბიოგრაფიები აქვთ ამ წერილებს, ამ ქაღალდებსა და კონვერტებს, რომლებიც თბილისიდან მაგაღანამდე ფოსტიდან ფოსტაში თვეობით მოგზაურობდნენ, სადღაც გაეჩხირებოდნენ, დაბრკოლებოდნენ, მერე ისევ აუხსნებოდათ ხელ-ფეხი, მოეშურებოდნენ ამ მეტად დახლართულ და დაგრეხილ ვზებზე მატარებლებით, გემებით, საბარჯო მანქანებით, ენქარეოლათ, მაგრამ უცერად ბუბტეგანინოსთან ზღვა გაიფინებოდა, ნაოსნობა შეწყრდებოდა და თუ თვითმფრინა იქი არ აღმოჩნდებოდა მაგაღანისაკენ, ისინიც ჩერდებოდნენ და ელოდებოდნენ ნაოსნობის გახსნას, ამგვარ შემთხვევებში ბორგაედნენ კონვერტებში გამოკრთილი სიტყვები ღელისა, მამისა, ძმისა.



ადამიანებივით ბორჯაღენ, ჩქარობდნენ, წერდნენ და ეზიდებოდნენ ეს წერილები იმედისა და გამხსნელების ხეწნა-მუდარას ადრესატამდე.

კატორღელის სულიერების გადასარჩენად წელიწადის როლს ასრულებდნენ ეს წერილები.

იყვანე ახალი

სულიერების გადარჩენა კი მთავარი იყო გულავის ლაგერებში.

მიანჯამში მისვლის პირველ ხანებში ერთ სიღამოს, შუალამისას ბარაკში უცერად ატყდა აურხაური, გარედან შემოვარდა ღრიალ-ღრიალით „მიშველეთ, მიშველეთო“ ერთი პატიმარი და ნარების ქვეშ შეძრა. მე და ვანი ჩანჩიანი ზედა ნარზე ვიწეკით, გადმოვიხედეთ ზემოდან, სხვებიც მოაწყდნენ ნარის კიდეს, ვხედავთ, რამდენამე გამხეცებული პატიმარი შემოიჭრა, შემოსდია, წინ შემოსულს, ორი თან შეკვდა ნარებს ქვეშ შემძვრალს, გამოათრევს იქიდან, ბლაოდა, ჯლაოდა საცოდავი, „მიშველეთ, მიშველეთო“, იატაკზე გამოღტილს გაუკავეს ხელები და ფეხები, ერთს ნაჯახი ეკავა ხელთ, ჯერ მჯეკები წააჭრეს ნაჯახით, მერე ფეხები, ღრიალებდა და ღმუოდა მსხვერპლი, მერე თავიც გაუტეს იმ საცოდავს, მიატოვეს და სისხლიანი ნაჯახით გავიდნენ ბარაკიდან.

ჩვენ ამას დავცქეროდით, მოჯადოებულებივით, მონუსხულებივით, ბარაკის ორსართულიან ნარებზე ორასამდე კატორღელი იყო მოკალათებული, არცერთს სიტყვა არ დაუძრავს, არცერთი არ წამომართულა თანაკატორღელის მისამხედლებლად, არცერთს არ მიუღრეცია კისერი განზე, მკვლელობის პროცესისათვის რა თვალი აცილებინა, დავცქეროდით კაცის გადაკვეთილ კიდურებს და დაჩენქვილ თავს და ეღუმდით.

შემოცვიდნენ ზედამხედველები და მაშინდა მიეწეკით ჩვენი წინააღმდეგობა.

საცოდავი მსხვერპლი ჩვენი ბარაკის მუღმივი მორიკე — „ღნევალი“, — იყო, შუახანს გადაცილებული, „სტარიკს“ ვეძახდით, რომელიღაც ქურდი დაესმინა უფროსებთან და ამის გამო ავრე უმოწყალოდ აჩეხეს ქურდებმა.

ამგვარი ვითარება თითქმის ყოველდღე იყო ლაგერში.

ამიტომ ფიზიკურად და მორალურად დაუძლურებული წაცის სულიერების შენარჩუნება ჭირდა. არც არავინ ფიქრობდა ამაზე. ლაგერის უფროსობის ფუნქციებში არ შედიოდა ამგვარი საბრუნავი. პირიქით, იმჟამად ჩეკა უმოწყალოდ კრფდა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რელიგიურ სექტანტებს. მეტწილად ევრეთწოდებულ „სუბოტნიკებს“ და ჩვენი ლაგერიც საესე იყო ამ მეტად უწყინარი და მორჩილი ადამიანებით. ვისაც შესწევდა უნარი, თავისი სულიერებისათვის მოველო, ისინი უფრო უძლებდნენ ყოველდღიურ გასაჭირს, ისინი ჩუმად, უზმაუროდ, სხვათა შეუწუხებლად ცხოვრობდნენ და დაკვირვებული თვალი მყისვე შეამჩნევდა, როგორ განირჩეოდნენ ისინი ბრბოში ცხოველური ინსტინქტებით აღტყინებულ მეტწილ კატორღელებისაგან.

ამათ მაინც შერჩენოდათ ადამიანური იერი.

იყვნენ ასეთებიც გულავის ლაგერებში.

უხრო მონუსის ლაგერი

კი არ დადიოდა, დანლატუნობდა. ჯერ თავად სიბერეს დაუნაჩინაკვბია, მერე კატორღელი ცხოვრება გულავის ლაგერებისა მძიმედ დასწოლოდა და სულმუდამ მიწას დასცქეროდა, აქ არა, აქ მიწა არცა ჩანდა მთელი წლის განმავლობაში, თოვლი ეღო მი-

წახ, თოვლქვეშ გატრუნული მიწა, გატკბილი, დაწეხილ თოვლზე მიჩლატუნობდა ბერიკაცი და თოვლს დასცქეროდა. ამისი ჭიდარა თავი ფიქრებსაც დაუმძიმებია და ამიტომაც დახრიალა. ფიქრის კაცი იყო, წიგნის კაცი იყო, მარტოსული, ყოვლად უვნებელი და უწყინარი დაჩლატუნობდა ჩვენს შორის და არაფერს ვერაღებებს არ აქცევდა.

საერთო სამუშაოსათვის უკვე აღარ ვარგებულებო, თორმეტი საათი ვარუდგომა და, დგომა კი არა, გაყინული მიწის წერაქვით თხრა, ან სიმწრით მოთხრილი ან ნაღმით ამობრუნებული მიწის თრევა საზიადრებით აღარ შეეძლო, სიბერისა გამო, სიღუბჭირისა გამო, გულავის ჩეკისტებიც კი მიმხუდარიყვნენ ამას და არ აძალბდნენ, არ ერეკობდნენ ჩვენთან ერთად საერთო სამუშაოზე. სულმუდამ ლაგერში იყო, თავისთვის, არც არაფერს მეგობრობდა, არც ვინმე მშაკობდა. თუ ვინმე გაუსაუბრებოდა, აყვევბოდა, არც ძალიან ხალისით, მაგრამ დაუნარებლად, თანაგრძნობით, სერაიოზულად, ყველაფერზე სერიოზულად მსჯელობდა, მსჯელობდა მეტხრამეტე საუკუნის პეტერბურგელი არისტოკრატების ენით, შიგადაშიგ რა გამოურევედა „ბოვე მოის“, „სულარს“. თუ ამის საუბრისას ძაფს აებმებოდა, მოსაუბრეველარ შორდებოდა, ისიც კი, რომელიც ლაპარაკისას ყოველი სიტყვის შემდეგ გაიძახობდა „ბლიად ბედუ“, ან... ტვითო მატ“, — ეს კი ლაგერში მოხვედრის რამდენიმე თვის შემდეგ თითქმის ყველას საუბარში ნებსით თუ უნებლიეთ მყარად იკიდებდა ფეხს, ასეთებიც კი თავს იკავებდნენ და ენის წვერზე იჭერდნენ ამაღვარი უწმაწური ქარგონის სიტყვებს ფეოლორ ნიკოლაევიჩთან საუბრისას.

ფეოლორ ნიკოლაევიჩ კონდრატევიჩი.

ჯერ არაფერს იცოდა ეს სახელი და გვარი, მეტწილად „სტარიკს“ ეძახდნენ, ასევე მიმართავდნენ, სტარიკ,

რეკონა ხარო, სტარიკ, სტარინსი რა ამბავიაო. იყო თავისუფალი მწიფე, სრულებითაც არ უნებებოდა იცოდა თუ არა მისი სახელი და გვარი. ადრე, გულავის ლაგერში მოხვედრამდე ვისმეს რომ სახელითა და მამის სახელით არ მიემართა, დიახაც, რი გაუკვირდებოდა, სახტად დარწებოდა, თანამოსაუბრისათვის შეიძლება უკმაყოფილებაც გამოეთქვა, სულარ, მე სახელიცა მაქვს და მამის სახელიცაო. არა, იმიტომ კი არა, რომ ავღმყოფურად პატივმოყვარე ვახლდათ, ამიტომ არა, არ იყო ამგვარი ხასიათისა, პატივმოყვარეობა და ამპარტაუნობა არ ბუღობდა მის ადამიანურ გუნებში. იმიტომ გაიცვირებდა და გაიციებდა, რომ მის საზოგადოებაში არ ჩვეოდათ ასე. ბავშვობიდანვე სუნთქვასავით დაჰყვა ეს ჩვეულება და ალბათ ეს ერთადერთი კაცი იყო მთელს ლაგერში, რომელიც ვერ შეეგუა აქაურ ფარგონს.

არც საყველურობდა ვისმეს. ისე დაწინდრიკობდა ჭრულ ბრბოში, თითქოს მათი ფაყანი და ქოთქოთი არც კი ესმოდა.

ჩარჩენილიყო ელადიფოსტოკში. — (იფ, იფ, ელადიფოსტოკ, ელადიფოსტოკ, აგრე არქმევდნენ შორულ სანაპირო ქალაქებს რუსები დაყრობილადგილებზე. იფ, იფ!) — 1917 წელს, პეტერბურგიდან ბიძასთან სტუმრად ჩახულს გადაღობებია უკან წასასვლელ გზებზე რევოლუციის ტალღები და ასე შეხიზნულა ვიშნისტი ელადიფოსტოკში ბიძასთან, მეფის გენერალთან. რაღა თქმა უნდა, თეთრი გენერალი გაქცევიდა, გარიღებია წითელი რევოლუციის ხიშტიან ბრბოს, ოჯახთან ერთად თან ვაუყოლებია ძმიშვილი ფეოლორი და ხარბინს გადახიზნულა.

ასე შერჩა ემიგრაციას წინეთში ფეოლორ ნიკოლაევიჩი.

შეორე მსოფლიო ომის მიწურულს წინეთის დასახმარებლად შესულ წითლებს ჩაუვლიათ ხელი უკვე ხან-



დაზმული პეტროვრადელი ემიგრანტ-ისათვის და მაგადანში გამოუხიზნავთ გულაგის ლაგერებში.

არაფერი არ გაეგებოდა, რატომ ღარისთვის?!

არც კითხულობდა, არც ეძიებდა, არც არავისთან ჩიოდა. ღუმდა და მოინიდრიკობდა. ფეხით, ავტომატქანებით, სტოლიანის ვაგონებით, გემების ნახუთული კაიუტებით მოჰყავდათ და მოათრევენ და ვეც თვინიერად მოჰყვებოდა ამ გაუსაძლისი ეკლუბით მოუფინელ გზებს ხარბინიდან მაგადანამდე.

ხარბინში არ გარეულა არცერთ პოლიტიკურ აურზაურში. გუმილიონისა და მარინა ცვეტაევის ლექსებში იყო ჩაძირული, ამით სუნთქავდა, ცოცხლობდა არსებობდა. არ იყო ისეთი რუსი, რუსეთს გარდა სხვას რო ვერაფერს გააგონებ სხვა რო ვეღვაფერი თავისი პგონია, ანდა სხვა ვეღვაფრი-სკენ თვალები აქვს დაქაჩული არიქა, მოძეციო, ვლადეი, ვლადეიო. კაცობრიული პოეზიის მშვენიერებაში ჩაძირულიყო და იყო თავისთვის, ფიქრობდა, ოცნებობდა, ასე ჩამობერდა, ჩამოქტა, ჩამოხმა.

არაფერი გაეგებოდა, რატომ მოხვდა გულაგის ლაგერებში.

აქაც ისე არსებობდა, როგორც ადრე, ემიგრაციაში, თავისთვის, განდევნილად, ლაგერი თავისი დაუნდობლობითა და არაადამიანური კანონებით შფოთავდა, ბრძლენავდა, წიოკობდა, თავხედობდა, უხეშობა, ძარცვა-გლეჯვა კაბატონებუდიყო ირგვლივ და ამას ეს ვეღვაფერი არ აცვირებდა, არ აოცებდა, თითქოს ვეღვაფერს ამას ვერც ამხნევდა.

და თურმე...

რო ვეგონა ვეღვას, არაფერი აინტერესებდა, თურმე დადიოდა ბარაკებში, თუ ვისმეს რაიმე წიგნი შერჩენოდა, თხოვდა, აგროვებდა, არ დაგიკარგავო, პირდებოდა, მართალია, არაფრად თვლიდნენ, მაგრამ ერთგვარი რიდი ქონდათ თუმცა შეუცნობელია,

მაგრამ მაინც რივიანად, სიმპატიური სტარიკისა, დიდსაც, კანკარავს, ვან-დიტსაც, ვეღვას... ამიტომ არ დაუკავებს, უარი არ უთხრეს და ასე მოუვრევებია რამდენიმე ასეული წიგნი, მისულა ლაგერის უფროსებთან, უთხოვია, ერთი ოთახი ხაღმე მიმიჩინეთ, წიგნები შევაგროვე პატიმრებში, ამით დავაწვობ იქა, აღუწერ, დავალაგებ და მუშაობის მერე პატიმრებს ვათხოვექ რიგრიგობით, წაიკითხონ, გულიდან ჯავრი გადაიყარონ, სულმუდამ მიწარო თხარონ, გამოიფიტებთან, გამოშრებიან, ცოდონი არიან, რაც არ უნდა იყოს, ადამიანისშეილება ხო არიანო...

ჭკუაში დაჯდომიათ უფროსებს ეს აზრი, თავად არ ახსოვდათ, არცა ცდილობდნენ ამის ვახსენებას, მუშაობის გარდა კაცს რო სხვა რამეც სჭირდება, სულიერებისათვის, ზნეობისათვის, აქაც როა საჭირო ამაზე ზრუნვა, ეს გადავიწყებოდათ, არც არასოდეს ახსოვდათ ეს ჩეკისტებს და აბა, რა გადავიწყებოდათ, ისე, სიტყვამ წამოყო თავი, გადავიწყდამეთქი. თორემ ასეთ რამეზე იმათ არც არასოდეს უფიქრიათ.

ჭკუაში დაჯდომიათ სტარიკის აზრი, ეგება, წიგნს რო მოკიდებენ ხელს, ეგ ხალაზანები და მუდრეგები ცოტათი მაინც დაწყნარდნენ, დამოშმინდნენ, გააკვებულები და გამხეცებულები წიგნის კითხვით გაერთონო.

ერთ ბარაკში ოთახი გამოუყვიათ. ნელნელა შეუტანია ამ ოთახში მიხუტეს შეგროვილი წიგნები, თაროები გაუკეთებია, წიგნები დაუხარისხებია და დაულაგებია, კართოთეკა შეუდგენია, აღუწერია, ბიბლიოთეკის წესით დაუქმავებია ვეღვა წიგნი, ნელნელა, აუნქარებლად, უხმაუროდ, სამასამდე წიგნი შეუგროვებია, ვეღვასათვის, წიგნის პატრონებისთვის პირობა მიუცია, როგორც კი წახვალთ ამ ლაგერიდან, თქვენს წიგნს მაშინვე დაგიბრუნებთო, ხია ქონია შედგენილი, ვისი იყო წიგნები.

ერთ დღეს გამოცხადდა ლაგერში,

ვისაც წიგნი ვინდათ ამაღაამ ბარაკში ბიბლიოთეკას მიაკითხოთო.

თურმე ყოფილან წიგნს მოწყურებულნიც. რო ვგონა ყველას, რის წიგნი, რა წიგნიო, რა დროსიაო, კითხვის თავი ვისღა შერჩაო, არც ასე ყოფილა საქმე. ყოფილან, მოსწყურებიათ, მონატრებიათ. რაკი, ბიბლიოთეკაო, შემოესმათ, სწელნელა მიაღვნენ მოზუციის კარს, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „ბიბლიოთეკა“. კარზე გამოჭრილ პატარა სარკმელს იქით თაროებზე ვანლაგებულ წიგნებს შორის მოზუცი ფუსფუსებდა, ჯერ ანკრტას შეუღვენდა წიგნის მსურველს, ჩაწერდა, მერე თავად შეურჩევდა, შესთავაზებდა წიგნს.

და დაიწყო ლაგერში ახალი ცხოვრება.

არაეინ რო არ ელოდა, ისე.

სულ რო არაეის ახსოვდა, სულ რო არაეინ ამწნედა, რამოდენიმე თვეში გამოწნდა სტარიკის სახელი და მამის სახელი.

„ფეოდორ ნიკოლაევიჩმა ისეთი წიგნი შემირჩია, თვალი ვერ მოვაშორეო“.

„ფეოდორ ნიკოლაევიჩმა ბრძანაო“. ფეოდორ ნიკოლაევიჩიო“.

ლაგერის უფროსებიც მიხედნენ, რომ ვეცაც საჭირო ყოფილა, დანაშრბილი კატორღლელებიც ადამიანები ყოფილან, წიგნიც პყვარებიათ, წამოწვებიან ნარებზე და როცა კითხულობენ, ლაგერშიც აურზაური ნაკლებია, ისკიარადა, თავადაც წაწნით ეს ცეცხლი, წიგნის საიდუმლოების ცეცხლი, ფეოდორ ნიკოლაევიჩთან მიბრძანდნენ თავიანთი ფეხით, კი არ გაამოიძახეს, კი არ შეუთვალეს, თვითონვე მივიდნენ, კარი კიარ გამოაღეს უკითხავად და მედიდურად კიარ შევიდნენ ბიბლიოთეკაში, სარკმელს მიაღვნენ და სტარიკაც შეურჩია მათ საინტერესო საკითხავი წიგნი. პირველად ერთმა ზედამზედველმა უკითხავად შეულო კარი, თაროებს მიაღვრა და საკუთარი ხელებით წაეტანა წიგნებს,

ფეოდორ ნიკოლაევიჩმა თხოვა, სულ არ, წიგნები დალაგებულნი უნდა იქნებოდნენ ბილი მაქეს, თუ რაშეიკნებნენ, მამაბხარით, მე მოვიანახავთო. ამის შემდეგ აღარავის შეუდგამს ფეხი ბიბლიოთეკაში.

ერთხელაც მიაკითხეს ფეოდორ ნიკოლაევიჩს და უთხრეს, წვენ გაღავწევიტეთ ბიბლიოთეკისათვის გულავის სამმართველოდან წიგნები გამოვითხოვოთ, თქვენი აზრით რა სახის ლიტერატურა მოვითხოვოთო.

ერთ თვეში ათასამდე წიგნი მიიღო ბიბლიოთეკამ.

მამინ კი მთხოვა ფეოდორ ნიკოლაევიჩმა, დამეხმარე წიგნების დამუშავებაშიო.

მე ისედაც უკვე ვეხმარებოდი მას წიგნების გაცემის დროს. იმეამად უკვე საერთო სამუშაოსაგან თავისუფალი ვიყავი, გაპერტონიის გამო მესამე კატეგორიის ინვალიდობა მომცეს და ფიზიკურ შრომას ვეღარ მამალებდნენ. ზონაში ვიყავი მუდამ. როგორც კი ფეოდორ ნიკოლაევიჩმა ბიბლიოთეკა გახსნა, რა თქმა უნდა, მამინევე მიაკითხე, წავეხმარე, ცოტა რამ გამეგებოდა ბიბლიოთეკისაჲ დააბტიმრებამდე თბილისში ერთ-ერთი მასიური ბიბლიოთეკის გამგედ ემუშაობდი და ვერკეოდი საბიბლიოთეკო საქმეში. ვე რო შემამწნია, თავადაც გულიანად მომწნლო მოზუცი, ისიც შემატყო, წიგნის კაცი რო ვიყავი, იმდენად მომიხიბლა მისმა საუბრებმა, რომ ისიც კი გაუუმხილე, ლექსებს რომ ეწერ. ამის შემდეგ საგანგებოდ პოეზიაზე ჩამომივლებდა ხოლმე საუბარს. პოი, პოი, პოი, ღმერთო ჩემო, როგორ იყო გათანგული პოეზიის სიყვარულით, რა დინჯად და აუჩქარებლად, მაგრამ როგორი გატაცებით საუბრობდა ხოლმე განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მოღწრნისტულ პოეზიაზე, ჯრა მართორუსულ, არამედ, უცხოურზეც, ვუმოილიოვი, ახმატოვა, ცეატევა, ჰისტერნაკა... ზერულე წარმოდგენა მქონდა ამ პოეტებზე, ნემ სიჭაბუკეში ამ ტა-



ბუღაღებულ სახელებზე ცოტა რამ მქონდა გავიწილი და გავებული. ჩვენს ბიბლიოთეკაში არ იყო ამითი წიგნები, მაგრამ ფეოდორ ნიკოლაევიჩი ცოცხალი ბიბლიოთეკა იყო, ზუბირად მიკითხავდა ამთ ლექსებს, მაინც რა მუხსიერება მქონდა ასეთი ამ თითქონდა მთლად მიმწარულ მოზუეს?! რამდენი რამ იცოდა მათ შესახებ! ცვეტაევისა და პასტერნაკის მწელად გასაგებ მუტაფორებს ისეთ ანალიზს გაუკეთებდა, მაშინვე ნათლით შეიძოსებოდა მათი პოეტური აზრი. პოეზიაზე ლაპარაკისას ჩამოცვივებოდა მზრებიდან, თვალებიდან, მუბლიდან სიბერისა და გულგრილობის ჩვრები და ხულ სუდარ, სუდარ, ხუდარო, გაიძახებოდა ან მოლოდინი ჩელოეკი, ასეთია გუმილიოვიო.

ქართულ პოეზიაზე წარმოღვევნი არა მქონდა, რუსთაველი გავეგონა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ არ წაეკითხა. რაკი მასთან დაემკვიდრდი, რაკი ფეხი აუწყვე და წიგნების დამუშავებაში, წიგნების მიღება-გაცემაში რიგვიანად აუუბი მზარი, მომენდო, მივეწდე, მის წესრიგს მორჩილად ავეუვი. არავინ არ უწვედა კონტროლს, მაგრამ მას მუშაობის მკაცრი და ზუსტი განრიგი მქონდა და ყოველდღიურად თავაულებლად მუშაობდა. შუადღისას პირველიდან ოთხ საათამდე შეისვენებდა, დილის ათ საათზე იწყებდა მუშაობას და ღამის ათ საათზე კეტავდა ბიბლიოთეკას. მეც ამ წესრიგს არ ვარღვევდი.

ჩემთვის ეს მხოლოდ მუშაობა არ იყო. მთელი დღე წიგნებთან მყოფნი, მხოლოდ ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. რაც უნივერსიტეტი მიმატოვებინეს და ომში წამიფვანეს, მე არასოდეს მომიხმენია ამგვარი პროფესიული საუბრები უცხოურ პოეზიაზე, მწერლობაზე, ხელოვნებაზე. ერთი წელი დავყავი ფეოდორ ნიკოლაევიჩთან და მე გავიარე ერთგვარი სკოლა განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მოღერნისტული პოეზიის გასაცნობად.

ამოუწურავი ცოდნა მქონდა მოსუეს ამ სფეროში. თავად ექვეყნებოდა დიდ ინტერესს არ ვაქტიურობოდა პოეზიისადმი, მაგრამ მე მაინც, როგორადაც შემემლო, ზოგად ცნობებს მაინც ვაწვიდი ჩვენი დიდი პოეზიის შესახებ. აღმოსაველეთის რენესანსი რუსთაველით იწვებათქო, რო უუთხარი, თვალები ვადმოკარკლა, შემომამსტერდა, ისეე ჩაქინდრა თავი და წიგნების კატალოგის შეღვევა განავრძო, არაფერი უპასუხნია. ასე ამტკიცებს ჩვენი ერთერთი დიდი მეცნიერი-მეთქი, ვგაც დავუმატე ნათქვამს, მაგრამ ამანაც არაფერი შობაეკვლიება არ მოახდინა მასზე. მე კი უძღური ვიყავი, რადგან „კარვის კალთა ჩახლართული ჩაეჭვრანავაკარაბაკე“ როგორ მეთარგმნა რუსულად? ტარიელის ღომთან და ვეფხუთან შერკინების ამბავი როგორ წამეკითხა მისთვის რუსულად? ერთგვარად „ციხფერფანწელებით“ დაინტერესდა, მაგრამ ამათო ზეც ბეერი ვერაფერი შევასმინე ჩემი ბწკარედული თარგმანებით.

მე კი ხარბად ვუგვებდი ყურს მის საუბრებს.

ერთ წელიწადში ბიბლიოთეკაში სამი ათასამდე წიგნი ეწყო თაროებზე. ბიბლიოთეკა ამუშავდა. თორმეტი საათი გარეთ ყოფნის შემდეგ, საღამოთი შინ მობრუნებული პატიმრები დანაყრდებოდნენ თუ არა, მყისვე ბიბლიოთეკას მოაშურებდნენ და ბიბლიოთეკასთან თანდათანობით რიგებიც გაჩნდა.

ფეოდორ ნიკოლაევიჩიო...
ხშირად გაისმოდა ეს სახელი ლაგერში.

უცრად ავად გახდა ფეოდორ ნიკოლაევიჩი. საავადმყოფოში მოვათავსეთ. ვანო ჩანზიანი უკვე საავადმყოფოში მუშაობდა და ორთავენი თავზე ვადეკით მოზუეს. რა წამალიც გვეშოვებოდა, არაფერი დავვიკლია მისთვის. იწვა უბმოდ და მშვიდად. ერთ საღამოს მოთხრა, (პეტროგრადში – ლენინგრადიო არასოდეს ამბობდა), – დაი მყავსო ხარბნიდან წერილებს

წერდით ისიც მწერდა, ამ დღეში რო ჩავარდი, მას მერე აღარაფერი მიმიწერიაო, აღარ შევაშფოთეო, აღარ ვაწვალეო, ისე კი, ძალიან მინდოდა, ერთხელ მაინც შენახაო, ერთხელ მაინც მანახა ნეტავიო.

ნახე-მეთქი, უკვევლად ნახე-მეთქი, ვამშვილებდი, ვამხნევებდი, მაგრამ ვეღარ გადავარჩინეთ, ორიოდ კვირაში ვათავდა, ხული ისე დალია, არც შეტოკებულა, თითქოს მიიძინაო.

სახელდახელოდ მოძიებული ფიცრებით შევკარიოთ კუბოს მსგავსი გრძელი ყუთი, შიგ ჩავასვენეთ ფეოლორ ნიკოლაევიჩი, დაედეთ მარხილზე და ეანტამდე მე და ვანომ ჭირისუფლებით მივაცილეთ. აღაფაფის კარი როცა დაიხურა დრიჭოდან თვალი გავაყოლეთ თოვლზე გასრიალებულ მარხილს და თვალიდან ცრემლის კურცხალი ჩამომივორდა.

წერტილივით დავარდა თოვლზე კურცხალი, ეს თითქოს ცხელი წერტილი იყო უცნაური და ჩემთვის უცხო მოხუცი კაცის ღუბჭიარი, მაგრამ მეტად საინტერესო ცხოვრებისა.

ამის შემდეგ მე განვაგრძე ლაგერში ბიბლიოთეკის საქმეები, ვედილობდი არ დამერღვია ის წესრიგი, რაც დაამკვიდრა ფეოლორ ნიკოლაევიჩმა. მას მერე აღარ მომშორებია ამ უცხო მოხუცის ღანდი.

დიდი სიკვდილის დღე

1953 წელი.

5 მარტი.

დიდ მოლოდინში ვიყავით რამდენიმე დღე, სტალინის ავადმყოფობაზე უწერნულებდით, ვვარაუდობდით, ავადმყოფობის კენსობებს ჭკითხულობდით გახუთებში, ძნელად ვიჯერებდით, რომ მძიმე მდგომარეობაში იყო, გვეკონა, გამოუთქვრებოდა ამ მაჯღაჯუნასაც არ გვეკონა, თუ რამე მოეროდა, სიკვდილი რო მიწოლოდა გვერდით, ამის დაჯერება ჭირდა, მაგრამ რო გვიხლო-

და ეს, ამაში რო ეხედავდით ჩვენს ხსნას, ათეული მილიონების ექვემდებარებული რო ასე ფიქრობდნენ, რაღა მჭამუნდოდა, ჩვენი ბერლაგის კატორღელებიც ასე ვფიქრობდით, სანამ ცოცხალი იქნებოდა, ჩვენი საშველი რო არ იყო, ეს კარგად ვიცოდით და უცრად, დამბლაო, სისხლის ჩაქცევაო, უგონოთაო, ვკითხულობდით რამდენიმე დღეს სამედიცინო დასკვნებში. რომლებსაც ქვეყნის საუკეთესო ექიმები აწერდნენ ხელს.

რა დაგვაჯერებდა იმას, რო ხენი მოეროდა, წაიქცეოდა, დამუხჯდებოდა ვეღარ იაზროვნებდა. გულში ყველა ჩვენთავანი ვნატრობდით მის აღსასრულს. არა, იყვნენ ჩვენს შორისაც ისეთები, რო ვერ გაავიწყებდი ამას, მათთვის კვლავ უცოდველი ბელადი იყო, მათ სჯეროდათ, რომ მან არ იცოდა, უმაღლედნენ, არ უმხელდნენ, თორემ გულაგის ლაგერები აგრე როგორ გაიტენებოდა კატორღელებით?! აგრე უმოწყალოდ როგორ დახერუტდნენ ადამიანებს?! ერთეულები, მცირე ნაწილი, მაგრამ მაინც იყვნენ ასეთებიც.

ესენი ატირდნენ, აქვითინდნენ, ავიშვიშდნენ, როცა 5 მარტს დილით ადრე დაეინახეთ, ვარეთ, ლაგერას მალალი ღობის იქით ჩეკისტების შენობის თავე შევარშია შემოკრებული დროშა რო იყო აღმართული.

მთელი ლაგერი ვარეთ გამოიფინა, შევანერდით ქარში აფრიალებულ სამგლოვიარო დროშას. აელვარდა ჩვენი თვალები, გაიშალა შეჭმუნხილი წარბები, ჩამედის არწივი შეაფრინდა ყველას მხარზე, შიგადაშიგ, ჩვენს შორის მყოფ გულმოკლულთა, მტირალთა მხრები ჩამოიხარა, ჩამოღუნდა, არ გაეკარა მათ იმედის არწივები. ჩვენ არ აქუხებულვართ, არ ავიყინებულვართ, თუ ვინმე მიაფურადებდა, ჩვენთა გულთა ძალუმად ძვრას, ერთიანს, რიტმულს, აჩქარებულს, ზარების რეკვასავით გაიფონებდა.

5 მარტი.

არ გავიშვებდა, სანამ ცოცხალი იქნებოდა. ავი მოვახსენეთ, გადაწვევტილი ქაინდა, ციმბირი უნდა დაეხახლო, კალიმაც, ჩუკოტკაც, ურალიდან აღიასკამდე, უნდა აეთივიო, უნდა ამოქაჩო, მისი წიაღისეული ხიშიდრეო. არ შეგვიბრალებდა, არ შეგვიწყნარებდა. არ იყო ის შეწყნარებისა და შებრალებისთვის განხილი კაცი. დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო რუსეთისა და ამ ადამიანურ თვისებებს ვერ ვაიკარებდა ახლოს, რუსეთს ვაძლიერება უნდოდა, ვერცერთმა იმპერატორმა ვერ შეძლო, ჰეტრე დიდი რა სახსენებელია, უფრო დიდი მასშტაბების საქმეები იტვირთა ფოლადის კაცმა... სტალ, სტალ... ეს რუსული ხიტყვაც ამიტომ მოიარო – სტალინი.

ციმბირს ადამიანები ხჭირდებოდა. იმიტომ ვაღმოვყვარა აქეთ ასიათასობით, მილიონობით, ათეულმილიონობით.

ხუთ წელიწადში უკაცრიელ ადგილას სამი ათასმა კატორღელმა ასიათას კოლონატაინი ორთქლის ელსადგური ავაშენეთ, დაბა-ქალაქში წამოვმართეთ.

ამის შეთებლებს არ გავიშვებდა აქედან, ყოველ შემთხვევაში, მოსჯილი ვადის მოხდამდე მაინც. ვადა კი შეტწილად ოცდახუთი წელი იყო. ბერე კი, ოცდახუთს გაუძლებდი და განთავისუფლდებოდი, ხუთი წელი კიდევ გქონდა მოსჯილი, უფლება არა გქონდა შინ წახვლისა, იქვე უნდა დარჩენილიყავი ზამუშაოდ. კატორღითა და უსამშობლობით თავგაბეზრებული, არათავისუფალ თავისუფლებაში გადაყვრებოდი ვინმე ქალს, ან ის გადაგვერებოდა, განდებოდა ოჯახი. შვილები და, მორჩა და გათავდა, სამუდამოდ დაემკვიდრებოდი ციმბირში.

ეს იყო მისი მიზანიც.

არ გავიშვებდა.

5 მარტი.

დიდი სიკვდილის დღე. დიდი იყო ის იმათთვის, ვისაც ცრემლი მოჰგვარა და იმათთვისაც, რომლებიც ხულ-

მოუთქმელად ელოდნენ ამ სიკვდილს. თითქმის ერთი წელს მხოლოდ მუშაობდა ვაიკატონია, შინს უფრო მშენებ კატეგორიის ინვალიდობაც მომცეს. მთელი წლის განმავლობაში რა დროსაც არ უნდა გამეხინჯა სისხლის წნევა, ორასზე დაბლა არ დაწველა. იქიდან წამოსვლისას მე თან წამოვლე ჩემი საავადმყოფო ფურცელი, რომელშიაც აღნუსხულია ეს, სამინელი თავის ტკივილები მაწამებდა. პირამიდონისა და დიურატინის მეტი ექიმებს არა ქქონდათ რა, როცა წნევამ ორას ორმოცდახუთს ააღწია, მაშინ საავადმყოფოშიც დამაწვიანეს და ამასაც გადაუურნა.

ხუთი მარტის წინა დღეებში სამინელი თავის ტკივილი ცრემლიანი ოხვრით მაწვალებდა. ჩემ საავადმყოფო ფურცელში წერია, 3 მარტს წნევა მქონია ორასი ასორმოცზე და 4 მარტს – ორასი ასოცდაათზე.

ხუთი მარტს დილით შავარშიან დროშას რო მოვკარი თვალი, იმწუთიდან რამდენიმე დღეს თავის ტკივალს აღარ შევეწუხებებოვარ. ალბათ რაღაც იმედის ნაპერწკალი ხალბუნით მოედო ჩემს ნერვიულ სისტემას და თუმცა 14 მარტსაც სისხლის წნევა ორასათი ასოცდაათზე მქონდა, მაგრამ თავის ტკივილები უკვე ჩამიცხრა.

მოხდა საოცრება: გაწამებული რო ვიყავი თავის ტკივილით, ცრემლები რო მომდიოდა აუტანელი ტკივილის გამო, ეს რო თითქმის ყოველდღე ვრძელდებოდა, უეცრად შეწყდა. გაქრა, დაწყნარდა, წნევას რო ვავისინჯავდი, მაღალი კი მქონდა, მაგრამ ტკივილი მომეშვა, დამიამდა, დამიცხრა და მას ბერე აღარასოდეს შევეწუხებოვარ.

იმედის ვარაუდი მართლაც გავვიმართლდა.

სტალინის სიკვდილის, განსაკუთრებით ბერეას გაქრობის შემდეგ წვენც, კატორღელებმაც ძალუმაღ ვივრძენით სტალინური რეჟიმის მსხვერველად.

არ ვიცი ახალმა რუსმა კომუნისტმა ლიდერებმა ეროვნული სიძულვილის გამო სტალინის ჯიბრზე გააკეთეს ეს თუ მართლაც ახალი ჰუმანური თვალსაზრისით, — თუმცა ეს ძნელი წარმოსადგენია მათი მხრივ, — გულაგის ლაგერებშიც შეიცვალა სასიკეთოდ კატორღელებთან დამოკიდებულება.

დაიწყო პატიმრებისათვის სამუშაოს საზღაურად ხელფასის მიცემა. ლაგერებში გაიხსნა ჯიბურები, რომელშიც იყიდებოდა შაქარი, პური, კარაქი, სიგარეტი. მკაცრად დაიწყო შესრულება ჩრდილოური კანონისა, 1 მუშა დღე პატიმარს ეთვლებოდა 3 დღედ. ამათ დიდი ინტერესი გამოიწვია კატორღელებში. ზონაში მომუშავე ევრეთწოდებული „პრიდურკების“ დიდი ნაწილი საერთო სამუშაოზე გავიდა, რადგან ზონაში მოკალათებულებზე არ ვრცელდებოდა ჩრდილოური კანონი — ერთი დღე სამ დღედ არ ეთვლებოდათ.

განდა შანხი მოსჯილ ვადაზე ადრე განთავისუფლებისა. ამიტომ ბევრმა, რომელთაც არ გააჩნდათ რაიმე სპეციალობა, გადაწყვიტა საერთო სამუშაოზე რაიმე სპეციალობას დაეფუძლებოდა, რათა შინ დაბრუნების შემდეგ საქმისათვის მოეკიდა ხელი.

ჩემმა მეგობარმა ლევოტერ მალანამ ბრიგადირობა აღარ ისურვა, რივიტ მუშად გადავიდა სამუშაო ობიექტზე და შეუღლა „ხვარშიკის“, — შემდეგების სპეციალობის დაუფლებას. გამომუშავებული თანხიდან ყოველთვიურად 10 მანეთს ჩემ ანგარიშზე გადმოარიცხვინებდა ხოლმე, რადგან მე ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი და ხელფასი არ მეკუთვნოდა. ათი მანეთი იმდროინდელი ფულით გვარიანი თანხა იყო კატორღელისათვის და ეს ჩემთვის დიდი მეგობრული დახმარება იყო.

პატიმრებს მიეცათ უფლება, დანახოვები ოჯახებშიც გაეგზავნათ. საამისოდ დაბა-ქალაქის საფოსტო განყოფილებიდან კვირაში ერთ დღეს მო-

მავრებული იყო ფოსტალონი ქალი, რომელიც საღამოს შემოსვლისას ჩემთან ბიბლიოთეკაში დასვენებულა და ოჯახებში გასაგზავნ ფულს.

პატიმრებს მართლაც დავტვო შრომითი ენთუზიაზმი.

შიშშილი აღარ ზეიმობდა.

ეს იყო პირველი დღეები სახელმწიფო სტრუქტურებიდან სტალინისა და ბერიას გაქრობის შემდეგ.

მერეღამერე, მომდევნო წლებში რა სწრაფად განვითარდა ეს სასიკეთო ძეგები, საყოველთაოდ ცნობილია, რუსეთის ევკებრთელა ტერიტორიაზე აღმართული კატორღების საგუშავო კომპები დაემხო და გაცამტვერდა სატანური სულის ვულაგის ლაგერები.

ეს ყველაფერი 1953 წლის 5 მარტის შემდეგ დაიწყო და დასრულდა.

5 მარტი დიდი ხიკვილის დღე იყო.

განსორება შინხულ

შირახისა და შხორბახისა

შენეული ჭირიო, ჭირთა თმენაო, ჭირუარამიო, ჭირმა თავი მომჭამაო, ჭირნახულიო, ჭირმა თავი არ დამალაო, ჭირადაც მეყოფა და ლხინადაცაო, ჭირივით მეჯავრებაო, ჭირი მოგპარეო, ჭირი მოგშორდესო, ჭირისაგან წმიდად იყავიო, ჭირისა და ხათაბალის ძალად ჩამოცმა თავუო, ჭირის მოქაო, ჭირის ოფლი დამასხაო, ჭირკოდილო, ჭირსაც დაეიწყებიხარ, ჭირს ნუ გაუტყდებიო, ჭირიო, ჭირიო, ჭირიო...

ჭირი.

ბავშვობიდან მესმის, თავს მეხლება და მეხლება, მამურთავეებს, მე თავადაც, ეხედავ განუწყვეტილად რამ სხვებსაც, ჩემთან აბლომყოფთაცა და შორმყოფთაც, დედასაც და მამასაც, ნათესავსაც და მეზობელსაც, თავად თუ კერა ეხედავდიო, მაიმობოდნენ, ხმა მომწვედებოდა, ამას და ამასაო, დიდხაცა და პატარასაცაო. ხაცა ფეხზე წამოვდექი, ხაცა ფეხი წამიცდა, ყვე-

ლგან ყა ყოველთვის ეხება და მესმის ჭირი, ჭირი, ჭირიო.

მუსრს რი გააულებდა ხალხს, იმ სენსაც შავი ჭირი შეარქვეს.

მინახავს მსმენია, წამიკითხავს.

ამიტომაც გაერცელებულა ხალხში ამდენი ვარიაცია ამ სიტყვისა თულო საბოკიას წიგნში „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ თავმოყრილია ეს ვარიაციები, ხალხში მიმოფანტული, ხალხში გაერცელებული ძველთაგანვე. ხატოვანი სიტყვა-თქმანიო, დაურქმევია დაქანცამდე ნაშრომ და ნაღვაწ თულო საბოკიას, პოეტები ამ ვარიაციებს მეტაფორებს უფრო შეუსადაგებენ.

დღემინის კაცობრიობის არცერთ ენაში არ იქნება ამ სიტყვის ამდენი მეტაფორული ვარიაცია. ქართულში კი ბევრია, ბევრზე ბევრი, უკვე მოგახსენეთ, ბევრი ვერ მოგახსენეთ, ალბათ გამოძრწა, ვლარ ვიგონებ, ან აღარ მოაღწია ჩემამდე, თულო საბოკიას ყურსაც აცდა.

ქართულ ფოლკლორში იმიტომაც აგრე ძალუძად მოჭარბებული ვე სიტყვათქმანი, რომ სულ ჭირშია ქართული ხალხი, განდა თუ არა, იმის მეტე, რაკი მუდამ თავს ეხვია, სიტყვითაც ასე მრავალფეროვნად იმიტომ გამოხატა ამ სიტყვის ავანჩაუნობა.

ყოველნაირი ვარიანტი ესადაგება ჩემს ცხოვრებას, მაგრამ მე მათგან ამჯერად, მხოლოდ ერთს გამოვიარჩევ, — შეჩვეული ჭირიო, — შეჩვეულიო, მწარე, მაგრამ შეჩვეულიო.

როცა წამომიყვანეს იმ ლაგერიდან, — დედადანი, ე. ი. „დაღსტროი დედანი“, მიაუნჯავს სახელით როა დღესაც ცნობილი, შეჩვეულიო, არ გამზსენებია, ერთი სული მქონდა, როდის გავეცლებოდი იმ ცოჯობეთს. როცა შინ დავბრუნდი, თბილისში, რამდენიმე წლის მერე მომინდა, მომესურვა, ნეტა კვლავ ჩამიყვანა, მანახა, მაცხოვრა ცოტახნით მაინცა იმ დასაქცევში-მეთქი. რუსულ გაზეთშიც წაეკითხე ერთხელ, მაგადანის ოლქის დაბაქალა-

ქში მიაუნჯაში ერთი ქართველიც ცხოვრობს, რომელმაც ჩემთვის წაიხის ჯიში გაახარა, ტანსაცმელსაც ერთ კილოს იწონისო. ფოტოც იყო იქვე, შეკალარავებული, ხმელი კაციხა და მის მიერ გახარებული ვაზისა ვეებურთელა მტევნებით. დარჩენილა, ალბათ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ იქვე ოჯახიც გაიჩინა, შერჩა, შეკალარავედა და ქართული ხასიათი მაინც შეინარჩუნა, აღვხნო, ვერ მოასვენა ვენმა ქართულმა, მამაპაპურმა და მარადიული გამყინვარებული მიწის ქანებიც შეათბო, შეინოყვრა, და საოცრება მოახდინა, იმ მიწაზე, საცა პალახიც კი არ ხარობს, უცნური ვაზის ჯიში გამოიყვანა, გაახარა, მიწაზე ფესვი გაადგმეინა, ქართული სული არ ნაიკლა, ვაზის მტევნებში ჩაწერა ქართული სულის მზე.

შეჩვეული ჭირის ნახვაც მომინდა, შეჩვეული იყო და ამიტომ საშიშარიც აღარ მომქვენა, კვლავ იქით გამიწია გულმა. იქ დავტოვე ხუთი წლის განმავლობაში გადატანილი ჭირებიცა და ის ქართველი მეგობრებიც, რომლებთან ერთადაც ვუძლებდი ყველა გასაჭირს.

ხუთი წლის წინ მიაუნჯასთან რო მიმიყვანეს, თოვლიანი ზეცებისა და მინდურებისა და ლაგერისათვის შემოზღუდულ ზონაში ორი ბარაკის გარდა არა დამხვედრია რა.

ახლა, ხუთი წლის მერე, 1954 წლის გაზაფხულის ბოლოს, როცა ჩემი პატარა შურგანით, რომელშიაც ქართული წიგნი, ჩემი ლექსების პატარა წიგნაკები და შინიდან მიღებული წერილების გარდა, — ამათი წაღებ-წამოღება უკვე ნებადართული იყო, — არა მეწყო რა, საბარგო მანქანაზე რო შემავლეს ღამით და მანქანა დაბაქალაქს გაცდა, იქ უკვე ასიათასკოლოეტიანი ელსადგური თითქმის მზად იყო და სამსართულიანი კაბიტალური სახლებით გაწოხილი დაბაქალაქი

ელექტრო ნათურებით იყო განახლებული.

იქ რჩებოდა ჩემი შექვეული ჭირები და ქართული მეგობრები. ჭირებზე ბევრი რამ ვიამბეთ, ზოგი მეგობარიც უკვე ვაგაცანი და ვინაც იქ დავტოვე მათ შესახებაც თუ ცოტა რამ არ ვიამბეთ, ამ წიგნს ფერი დააკლდება.

50, 06060:

უნივერსიტეტის ფილოსოფიურა ფაკულტეტის სტუდენტი. ხმელი, ფერმკრთალი, საუბრისას თვალბში ისეთი ნათელი უციმციმებდა, მკრთალი ღიმილის იერს აძლევდა მის პირისახეს, სითბო აკლდა ამ ღიმილს. უფრო ხელოვნურობის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ მისი ბუნებისადმი, თანდაყოლილი რო იყო, არც ამაში შეგუპარებოდა ეჭვი, ამ ღიმილით ერთგვარ ინტიმს, მისხანდოსა და მისახლოებულს, ამყარებდა მოსაუბრესთან, თანამდგომებთან, სრულიად უცხო-თანაც კი. რაც არ უნდა სერიოზულ საკითხს შეხებოდა, ამ ღიმილის ხშივი თვალებიდან არ უქრებოდა მიუხედავად ამისა, რომ ოდნავ უხეშიცა და შეიძლება ითქვას, უკარებაც კი იყო, ამ თანდაყოლილი ღიმილით საგრძნობლად ინიღბებოდა მისი უხეშობაცა და უკარებლობაც.

თბილისში ხოლოდაკში ცხოვრობდა, იქ გაზრდილი იყო და ძალუძად გამოპყროლია ქალაქის ამ უბნის დამახასიათებელი თვისება-ნიშნები. შესამჩნევია ეს თვისება-ნიშნები თბილისის უბნებში — ხოლოდაკი, ვაკე, დიდუბე, ორთაქალა, ნაძალადევი — ყველა ამ უბნის მცხოვრებლებს ერთმანეთისაგან განმისხვავებელი ფერი თან დაჰყვება ხოლმე ქვევამი, ლაპარაკში, ჩაცმა-დახურვაშიც კი.

შოთას აქაც კი, ვულავის ქრულ კატორღაშიც შესამჩნევად ეტყობოდა არისტოკრატიული ქვევები, — დინჯი, აუქარებელი იყო სიარულშიაც კი, თა-

ვლაჭერილი და, მიუხედავად იმისა, რომ აქაური ქულით ხელაუჭრებდა რგად მოიარეო „ბლატნოური“ წეს-წყეულუბა რიგაიანად მოიხელთა, „ბლიად ბულუ“ და ამგვარი უწმანური ვარგონიც ვვარიანად შეისისხლხორცა, „თქვენიოთ“ მიმართვა მაინც ვერ მოიშალა, კატორღებშიც ჩამოყალიბდა თავისებური ფენა, — „ბლატნოური არისტოკრატია“, — შვე სამუშაოს არ ეკარებოდნენ, ვინმე უნდა ემსახურებოდა, ამას „შესტიორკას“ ეძახან, სასადილოში თვითონ არ უნდა დადიოდა, „შესტიორკამ“ უნდა მიართვას ბარაკში თავის საწოლთან, რაც არ უნდა მშვიერი იყოს, „შესტიორკას“ მიერ მოტანილი საჭმელი მთლიანად არ უნდა შეჭამოს, თავად „შესტიორკას“ ან ბრიგადის რომელიმე „რაბოტიკას“ უნდა მისცეს ბალანდა ან „კაშა“, რიგაიანად უნდა ეცვას სხვებთან შედარებით.

ყველა ამ ნიშანს „ბლატნოური არისტოკრატიულობისას“ სწრაფად შეეგუა შოთა ჯიჯაძე, რომელსაც თავადც არ აკლდა შინიდან შესისხლხორცებული არისტოკრატიული წვევები, მანერები. სხვა „ბლატნოუთთან“ შედარებით ამას ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ რაც არ უნდა ცხარე კამათში ჩაბმულიყო, ხმას არ აუწევდა, დინჯად, ფიქრიანად და ხმადაბლა გამოთქვამდა ხოლმე თავის აზრს, რითაც ერთგვარ მომწუსხველ შთაბეჭდილებას ახდენდა.

რუსული ენა ზედმიწევნით კარგად იცოდა, თავის ასაკთან შედარებით, — ოცდაორისა თუ ოცდასამი წლის ემაწვილი იყო იმკამოდ, — საკმაოდ ბევრი წაგნის წაკითხვა მოესწრო და საუბრებში ამას ხშირად ამკლავებდა.

როგორც კი მოიგვანეს ლავერში, ლევთერი მალანიამ მყისვე თავის ბრაგადაში ჩარიცხა. დილით გამოეყუბოდა ხოლმე ბრიგადის სამუშაო ობიექტზე, სათვალავში ბრიგადის ერიცხებოდა, როგორც კი ფეხს შეეღვამდით სამუშაო ზონაში, მაშინვე გაქრებოდა,



მთელი დღე ბრიგადას არ გაეკარებოდა, პირველივე დღიდან ბლატნიუბის ალგიელსამოფელთან ამოყო თავი, შეუერთდა მათ. ესენი, — ქურდები, რეციდივისტები, „ზაკონნიკები“, ასევე ბრიგადებზე იყვნენ განაწილებულნი, მაგრამ სამუშაოდ ხელს არ ანძრევდნენ, ხმასაც არაეინ იღებდა ამის საწინააღმდეგოდ, — ორი თავი ვის ჰქონდა?! — ჩეკისტებიც თვალს ხუჭავდნენ და იყვნენ ესენი მიყვანებული ხაღმე თბილ კუთხეში და მთელი დღე ყაყანებდნენ, კამათობდნენ, ჰყვებოდნენ, ლაზღანდარობდნენ და ელოდებოდნენ სამუშაო დროის მიწურულს.

აი, ამათ შევედგა შოთაც და ამ საზოგადოებას პირველივე დღიდან ეგონ, რო ვეც „ზაკონნიკი“ იყო, „პრაიანი“, წინებული რუსულით იმთავითვე აუბა მხარი მათ ვარგონს, იმათ ენაზე აღაპარაკდა, სწრაფად შევეუა, ჩაერთო, იმავე განწყობილებით მომართა თავისი განწყობაც და ხანამ იქ იყო, არავის შეპარვია ეჭვი, რომ ის მათი საზოგადოების წევრი არ იყო.

საინტერესო საუბრებით მიიქცია მათი წერადლება, ეს კარგად ეხერხებოდა, უამბობდა ათას რამეს, წაკითხულს, გაგონილს, თბილისურს, ქალაქურს, სახელდახლოდ შეთხზულსაც კი, მალე აუღო ალღო მათ სურვილებს. ბრიგადაშიც შესაფერისად ექცეოდა ყველას, ღიმილიანად, თავაზიანად, უღუფას ურიგებდა ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ თავდაპირილად, საჭირო დისტანციას ყოველთვის იტოვებდა იმის ხაზგასახსმელად, რომ მას საერთო სამუშაო არ ეხება. ყველასაც ასევე სჯეროდა, არც არავის წამოცდენია, რატომ არ მუშაობსო.

შოთა სტუდენტების იმ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, რომლებიც 1948 წელს დააპატიმრეს და ანტისაბჭოური არალეგალური ორგანიზაციის ბრალდებით გაასამართლეს, მიუსჯეს ოცდახუთ-ოცდახუთი წლის კატორღა, გადარჩა, დაბრუნდა. და-

ამთავრა უნივერსიტეტი. დაიცვა დისერტაციები. ამჯამად ის ფსიქორფუქციონიერებათა დოქტორი უნდა იყოს. სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწვეა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბორია ხუნუა

მეორე წვერი ამ სტუდენტური ორგანიზაციისა იყო. ბორია ხუნუა, რომელიც ხასიათით სრულიად განსხვავებულია მისი მეგობრებისაგან.

შოთა ჯიჯაძის ღიმილზე უკვე მოგახსენეთ. ბორიაც ღიმილიანი ბიჭი იყო. კატორღელთა ჯუმშიმეს გარემოცვაში ამგვარი ღიმილი რო შეინარუნოს კაცმა, ის დაბადებითვე უწმინდესი და უნატიფესი უნდა იყოს. ემოციური ბიჭი იყო ბორისი, მგრძნობიარე და შიამიტი, მაგრამ რარიგად დახუხბულიც არ უნდა ყოფილიყო კატორღული ცხოვრების ჭინჭრით, მის ფართო პირისაზე, ასევე ფართო და რბილ თვალებს ვარდისფერი ღიმილი გააშუქებდა ხოლმე და შენს შეჭირვებულ გულსაც მალამოსავით მოედებოდა. თითქოს იმიტომ იღიმებოდა სულმუდამ, შენი გული რო გაეთბო, შენი ჭირი რო შეეშუბუქებინა, გელაპარაკებოდა, კესაუბრებოდა და იმაზე კი არ წუწუნებდა, როგორც მრავალი სხვა, თუ რა გასაკვირი ჭირდა თავად, არამედ იმას ცდილობდა შენი გასაკვირი როგორ ჩაენელებია, როგორ დაემშვიდებინე, როგორ გაემხნეებია შენი დაღლილი და უიმედობის მარწუხებში მოქცეული გული.

გულაგური ლაგერების ვერაფერითარ ეშმაკობა ვერ მოიხელთა ბორია ხუნუამ. ყველა ცდილობდა რაღაცნაირად ჩართულიყო ამ ჯოჯობეთურ თამაშში დაუნდობელი წესრიგის აყოლიებით, ამან ეს ვერ მოახერხა. გულწილი და გულთბილი ვერ გააუხემა შიმშილის დაცხრომის არაადამიანურმა ქმედებებმა, ვერ აითვისა ეს ქმედებები, ვერ

მიეძალა. ის ვერ მიიკვლევდა გზას მუშტი-კრივით, გველაბუობით, თვალთმაქცობით. მისი მთავარი იარაღი თავისგადასარჩენად იყო ზნეობა მაღალი, წმინდა, ქართველურ-კაცური, კოლხური სინატიფითა და სინაზით შეზავებული. ვერაფერმა ვერ გარყვნა ბორია ზუზუა, გულაგური ბრბოს უხეშობამ ვერ წაშალა მისი სახიდან ვარდისფერი ღიმილი და თავაზიანი იუმორის ძალდაუტანებელი ხირი.

ამასთან დავიმკვიდრე მე თავშესაფარი. ამასაც უფარდა ლიტერატურა, პოეზიის მცნობარი და მოთაყვანე გახლდათ ჯერ კიდევ ყმაწვილური, უნივერსიტეტის მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტი, ფილოსოფიის ტრფიალი, მოაზროვნე დინჯი და ფიქრიანი. ჩემი ღარიბი აუდიტორიის მესამე თუ მეოთხე მსმენელი იყო ბორია, შეხვედრის რიგს მოგახსენებთ, მესამე თუ მეოთხე კაცი გახლდათ ბორია ციხეებსა და გულაგის ლაგერებში ისეთი, ჩემი ლექსებით რო დანტერესდა, რო მისმენდა გულისყურით, რო მიფრთხილდებოდა და შაქვებდა, რო ზრუნავდა ჩემი ლექსების წიგნაკების გადასარჩენად. ამიტომ დავიმკვიდრე მასთან თავშესაფარი, იმიტომაც კიდევ, რომ სიკვით ხაესე იყო ეს ყმაწვილი, დაბადებითვე. ბუნების ნაბომები სიკვითი. მანვე, მისმა ზნეობრივმა შუქმა შთამაგონა ერთი პოემა „ოცნების ქალიშვილი“, რომელშიც მშვენიერ და უმანკო გოგონას იას ოთხი ბოროტი ძალისაგან ერთი კეთილი მშუკპაბუკი რო დაიხსნის. ეს პოემა ბორია ზუზუას ვუძღვენი. დასაწყისში მას მიემართავ:

გადარნა ბორია ზუზუა, რეპილიტაციით დაბრუნდა შინ, მაგრამ ისე აწეწილი დახვდა ოჯახი, უნივერსიტეტში სწავლის გავრძელება თავის მეგობრებთან ერთად ვეღარ შეძლო. მისი თავზე დატეხილ უბედურებას ვერ ვაერიდა, ვერ მიატოვა ძმა გასაკვირში, ამასობაში ორი წელი გავიდა,

შერჩა ის ოჯახური საქმეების მიღავ-მოლაგებას და სამუდამოდ უფრთხილდრა საცხოვრისი მშობლიური ქვეყნით, გააჩალა მამისეული კერა, გააძლიერა და ასე განაგრძო თავისი მძიმე, მაგრამ მაინც კეთილი და ღიმილიანი ცხოვრება.

ალეკო მელაძე

ვეც სტუდენტი, სტუდენტთა იმავე ჯგუფიდან. ჩვენთან ლეღაზე, მიაუნჯასთან ცოტა ხანს იყო. მკვეთრად განსხვავდებოდა თავისი მეგობრებისაგან ხასიათით, ქცევით, გარეგნობით. მაღალი, ოდნავ მხრებში წახრილი, არასოდეს აინტერესებდა, ტანისამოხი როგორ ჰქონდა მორგებული ტანზე, ლაპარაკისას სახე მუდამ ოდნავ შემართული ჰქონდა, ძირს არ დახრიდა და ძალიან დინჯად ლაპარაკობდა, სიტყვები ოდნავ გაწეწილი გამოუდიოდა, მაგრამ ბგერებს ბოლომდე ვარკვევით წარმოსთქვამდა. როგორ მდგომარეობაშიც არ ყოფილიყო, უნიათოდ და მოღვენითილად არ გვხაუბრებოდა, წარბებშეკრულს და მოღუშულს ვერ ნახავდით, საუბრისას უფრო ღიმილი გამოკრთოდა მისი პირისახიდან.

ნაკითხი და განათლებული იყო, მაგრამ ეს თითქოს არაფრად მიანდა, რამე სერიოზულ საკითხზე მსჯელობისას ისე გამოთქვამდა თავის აზრს, ლაღად და ხალისიანად, რომ თითქოს არც არსად წაეკითხოს ამდაგვარი რამ, მხოლოდ ახლა, ამ წუთს გასჩენოდეს ეს აზრი.

შიოდა სულმუდამ. არ ემორჩილებოდა არავითარ წესს არც საერთოდ ლაგერისას, არც კერძოდ იმ ბრიგადისას, რომელშიაც ირიცხებოდა, სამუშაო ობიექტზე ვერაფერს გააკეთებინებდი. დაფიქრობდა თავისთვის. მართლაც რო დაფიქრობდა, არც არავინ ერჩოდა რამეს. ვველანი ზედაღუნენ რომ ეს არ იყო „ნაკონნიკი“, ან ისეთი, რომელსაც რაიმე სამუშაოს



შესრულება შეეძლოს, მაგრამ პრინციპულად პროტესტს აცხადებდეს, ანდა საგანგებოდ შემზადებული უქნარა, მოჩვენებითი შენიღბული. ჩეკისტებიცა და ბრიგადირიც ამწვედნენ, რომ ის ბუნებრივად ასეთი იყო განენილი. წერაქვითა და ღომით გაყინული მიწის ნიჩქნა არ შეეძლო, ვერც მოახერხებდა ამას, ვერც სხვა რამეს და ამიტომაც ჰკავდათ მიშვეებული თავის ნებაზე.

სულმუდამ უსაშველოდ შიოდა. თუ რამეს მიაწვდიდით, სიამოვნებით მიირთმევდა, მაგრამ მაწანწალებს არი ჰკავდა, რომლებიც სულ სასაფილოსი წრიალებდნენ, მაგიდებზე დარჩენილ ჯამებში იცქირებოდნენ, ხო არაფერი ჩარჩათ შიგაო, ანდა მზარეულის სარკმელთან მიაწვდებოდნენ და ერთმანეთს ხოცავდნენ, დამატებით რამე მივლოთ ხავრთო ქებაში ჩარჩენილი.

მიუვარდა ალექოსთან საუბარი. მიზიდავდა ბიბლიურ და მითოლოგიურ თემებზე მასთან საუბარი. თავისი დამოუკიდებელი მოსაზრებანი ჰქონდა კატორღულ ცხოვრებაზეც, წერილმან ლეტალებს ზოგად ასპექტში გაიზრებდა ხოლმე და ინტერესით ეუსმუნდი.

ამასაც უფვარდა ლექსები და იცოდა კოდეც ლექსი. ამიტომაც ეუკითხავდი ხოლმე ჩემს ლექსებს, მესაუბრებოდა მერე ლექსებზე და ეს მალალებდა.

რა ცხარე კამათიც არ უნდა გავემართა ალექოსთან, მკაცრადაც შეხლოდი საუბარში, გავაკიცხა, ავეგლო კიდეც სამასხროდ, არ გავუღოსიდებოდა, კოლოს არ შეიცივლიდა, არც ნირს წაიხდენდა, ხელს აიქნევდა და ღიმილით ეტყოდა მოპაქურეს:

— აბა, შენა ხარ, აი!

თბილისელი რო იყო, ვველაფერში ეტყობოდა, ოღონდ არა რომელიმე უბნელი, არც ერთი უბნის ნირ-თვისება არ ემჩნეოდა, თბილისელი, ქალაქელი რო იყო, ამას კი პირველივე შეხვედრისთანავე მიხვდებოდი. თბი-

ლისელი ბიჭი კი არ იყო, თბილისელი კაბუკი უფრო ეთქმოდა, უფრო სალონური, ინტელიგენტური, ეს კი საუბარში ჩანდა მეტწილად, — და უბრალო და თავისუფალი ქვევებში, მიმოხვრამში, წესრიგთანაშაში.

გულავის ლავერმა ვერ ჩამორეცხა ეს ნირი.

ატრევდნენ ლავერიდან ლავერში, არავის უნდოდა უმუშევარი კატორღელი, ამასაც, როგორც კი დრო დაუდგებოდათ ლავერიდან ვისმეზ გავზავნისა, — ხშირად ამოწმებდნენ ამას გულავის შესვეურები, — მაშინვე მას და მისნაირებს დაავლებდნენ ხელს და აპაიდა; თავიდან მოიშორებდნენ.

ჩვენთანაც ცოტა ხანს იყო, გავზავნეს სადღაც, სხვა ლავერში.

გადარჩა ალექო, მეგობარ სტუდენტებთან ერთად ისიც დაბრუნდა შინ რეაბილიტაციით.

კომუნისტებს მართლაც ვერ ეგუებოდა. ვერ ჩაება მათი ცხოვრების ფერხულში. არც უცდია ეს. ვერც მოახერხებდა, რამდენიც არ ეცადა. ყოველდღიური ცხოვრების რიგიანად მოწყობისთვის ალექო არ გაჩენილა ამქვეყნად. რელიგიური მოთმინებით კი საკმაოდ იყო აღჭურვილი.

თბილისში რომელიღაც საქაყაბეში შერგო თავი, ქალაქის გათბობის საქმეს ემსახურებოდა და საქაბეში შეხიზნული კითხულობდა ბიბლიას და ათასგვარ საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ ლიტერატურას.

არ მიიღტვოდა მატერიალურ კვილიღვობისაკენ.

უცრად ალექო კვლავ დიჭირეს და გააციმბირეს რამდენიმე წლით. ამჯერად ტერორისტული აქტის მცდელობისათვის, — ნიკიტა ხრუშჩოვი აპირებდა თბილისში ჩამოსვლას, ბოში უნდა შეეგლო მისთვის და აუფეთქებინა. გამოკვირდა, ამგვარი ქმედებისათვის ის არ მიმანდა მოქნილად და

მოხერხებულ კაცად. რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა გადასახლებიდან და ეროვნული შოძრაობის აბოიოქრების დროს გამოაქვეყნა მოგონება „ტერორისტის ჩანაწერები“. მერე ახალ ეროვნულ პარლამენტში დეპუტატად აირჩიეს და ევაც მოულოდნელი იყო ჩემთვის, ამგვარი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვისაც არ შეგონა შესაფერისი.

3030 რაპიზილი

ამაზე კი ნამდვილად ითქმოდა, თბილისელი. ბიჭით. ხოლოლაკელი იყო ევაც, მანახლის ქუჩიდან, მის საუბარში ბუნებრივად გაისმოდა ქალაქური ჭარბონის ნაწილაკები „ტაპ“, „არა, ტო“, „შე ჩემა“ და სხვა მისთანანი და ვველა ჩვენთაგანისგან, — თბილისელებისაგანაც და საქართველოს პროვინციების წარმომადგენელთაგანაც, — მყისვე გამოარჩევდით. სხვა რამითაც გამოირჩეოდა ჩვენგან, ვველაზე უმცროსი ჩანდა, თუმცა ასაკით. ჩვენი ტოლა იყო, ნაოზარი, ნატყვევარი, ნალევიონელელი. უმცროსი იმიტომ ჩანდა, რომ ტანითაც ვველაზე დაბალი იყო, ხშელი, მეტად სხარტი და შეამიტი, თითქმის ბავშვივით ალალი და გულუბრყვილო.

ხაოცრად მოტრფივად მტრელებისა, მოტრფივად კი არა, შემტრედ, მტრელების დიდი გუნდის პატრონი თბილისში. ჩვენს ზემოთ, — მალანთას ბრიგადაში იყო ისიც ჩვენთან, — ნარის მეორე ხართულზე ქონდა საწოლი. თვალს გაახვლდა თუ არა, წამოხდებოდა, ფეხებს თათრულად მოირთხამდა, გადმოგვხედავდა ზემოდან და გადმოგვამხებდა, ეპ. ტო, ჩემი მტრელები დამეხიზმრაო.

ხალამოთი კი ნავახშევს, კატასავით შეხტებოდა ზემოთ თავის საწო-

ლზე და კვლავ ფეხმოთხმული გატაცებით გვიყურებდა ეროვნულ მტრელების ათასნაირ თავადსაყვეს ხელები ქონდა შერქმული, ვინ როგორი ფერისა იყო, ევაც ზუსტად იცოდა, სამხართულიანი სახლის სახურავზე ჰყავდა ისინი დაბინავებული და მეტწილად ბავშვობა და ყრმობა ამავე სახურავზე ქონდა გატარებული. სხვადასხვანაირი სტვენა იცოდა, მტრელებიც მიჩვეული ჰყოლია, ამგვარად დაუსტვენდა ცისკენ აჭრილ მტრელების გუნდს, მხოლოდ ნაცარა ჩამოქანდებოდა მისკენ და მხარზე შეაფრინდებოდა, იმგვარად დაუსტვენდა და ცეცო ჩამოქანდებოდა, ვრძელ სტვენაზე — ქარუნა. წვრილ და წვეტილ-წყვეტილ სტვენაზე — გურგურა და ასე და ამგვარად, ვველა მტრედს თავთავიანთი სტვენური ნიშნებით მართავდა.

ამოუწურავი სასაუბრო მქონდა მტრელებზე. ერთერთი უეცრად ამოვარდნილ ქარს გაუტაცია ერთხელ, თავადაც სახურავზე ფოფილა იმეამდ, სხვებს მოუსწრიათ საბუღრებში შეხიზენა, ერთი დაუთრევი ქარს, გვარიანად მალდა და შორს წაუწიდავს, არ შეპუებია მტრედი ქარს, შემშია პირქარს, ქარი თავისი ვზით ეზიდებოდა, მტრედი თავისი საბუღარისკენ მოილტვოდა, ვერა ჰკეთდა ქარს, ვერცა ქარმა დაჯახნა და თითქოს ერთ ადგილას მიკროდა ცას, დაითრევა ქარი, უეცრად დაუსხლტებოდა, ფრთებს შეაქანებდა და კვლავ აღმა ჰკეთდა მოვარდნილ სტიქიას, მერე თანდათან სძლია ფრინველმა უხილავ მოძლადეს, ჰრა და ჰრა ნელნელა პირისპირ შეხლილი ნაკადი მისი, თანდათან მოუახლოვდა სახურავზე მალდა ხელზეშემართულ პატრონს, რომელიც შეუსვენებლივ ამხნევებდა ფროსხანს გაბმული და მკაცრად სტვენით. მერე უცებ თითქოს ქარს ფრთები შეეკვე-



ცაო, წამიერად მიყუნდა, ეს დრო ჩინებულად იხელთა მტრედმა და ტყვიასავით დაექანა პატრონისაკენ, შეკლავზე კი არ დააფრინდა, მკერდზე მიეხუტა გაშლილი და დაქანცული ფრთებით. ამიერიდან ქარუნა დაარქვა ვიემ ქართან ნაომარ მტრედს.

ამგვარი რამ თავგადასავალი ყველა მტრედს ჰქონია და ვიეი ამას ვატყობით გვიამბობდა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ ლაგერში არავინ არ იმჩნევდა კატორღული ჭირვარამის სიმძიმეს ისე, როგორც ვიეი რამიშვილი. ეს იმიტომ აღბათ, რომ მისი ფიქრი ხელმუდამ თბილისში შინ ღარჩენილ უწყინარ მტრედებს დასტრიალებდა, მე გამიმზილა კიდევ, სხვას რო ვუთხრა, იქნება ვიეად ჩამთვალოს, შენ პოეტი ხარ და ვიეი, ვამიგებ, მესიზმრებიან ჩემი მტრედები, დამახსდებიან, ვესაუბრები, ვერუწულები, თქვენ აქ ქვემოთ, ნარებზე ზერინათ და მე იმათ ვესიფარულები, ხშირად ცხადშიაც, საცა არ უნდა ვიყო აქ, ზონაში თუ იქ, სამუშაო ადვილას, იმათ ვხედავ, დაფარფატობენ ჩემ თავზე, არცა სცივათ, არცა ჰვინათ, ზო ვიეი ეს მოწვევებაა, მე მაინც მართალი მგონია და ხანდახან შევუსტვენ ხოლმე მალლა თავშედერილიო.

არასოდეს დაუწუნუნია ვიეის, მშობაო, მცივაო, ვერ გამოვიძინეო, ამას რა გაუძლებსო. არ დამწოდა ლუკმა პურის საშოვნელად, არვისი არაფერი შერდა.

ვინ იცის, იქნება იმიტომაც, სიზმარსა და ცხადშიც ოცნება რო შეეძლო.

ნეტაი შენაო, იტყოდა ხოლმე რომელიმე ჩვენთავანი, ზემო ნარიდან ფეხმორთხმული ვიეის ნათხრობს რო მოისმენდა.

ვიეი მეცხრე შვილი იყო თავისი მშობლებისა. შვიდი გოგო გაჩნდა მასზე აღრე მის ოჯახში, მერვეც გოგო იყო, მისი ტყუბისცალი. მამა წარმო-

შობით ქალაქელი, დამადებიდან ხოლოლაკელი, უბანში მკაცრად მშენებელი, მთელ ქალაქშიაც მტრუნარობისკურთ და მოქეიფე კაცად იყო ცნობილი. არა და არ იქნა, ვაფიშვილი არ გაუნდა. უკაცოდ როგორ უნდა გადაეგოს ჩემი ოჯახიო და ვაფის განენის მოლოდინში გოგონები მოუმრავლდა. ყოველ მშობიარობისას ხანადირო თოფი ხელმუდამ გატენილი ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც ვერ დააქუხა ვაფიანობით გახარებულმა. მერვე მშობიარობისასაც აგრეთვე მზად ჰქონდა თოფი, მაგრამ ამჯერადაც უხასიათოდ აცნობეს, გოგოაო. წელმოწყვეტილი წამოღვა, გარეთ ვავიდა და ორთაჭალისკენ გავვა ქუნას, ორთაჭალელ მეგობრებთან ღვინოში ჩაეკლა ღარდი. გზად შინაურები წამოეწინენ, ვაფი, ვაფიო, მიამახეს, წაეხივნენ, რამდენიმე ერთად გამოდევნებოდა, ერთად მიამახეს ყაყანით, ჯღუთით, ზედ მკერდზე მიაცხრნენ. არა, მე, არა მე გახარე პირველადო, მერვეს ტყუბისცალი ვაფიო, ვაფიო, გაიზარეო, საღლა მიდიხარ, შემობრუნდიო. შევარდა სახლში, აივანზე თოფი ცად შეალირა და დილაძე აქუხა ბერდანა.

ასე გაჩენილა ვიეი, რვა დღის შემდეგ მეცხრე ვაფი.

ტყუბისცალი ნაბოლარა დისა.

ჩვენზე უფრო ხალისიანი, ჩვენზე უფრო ხზარტი, მარჯვე, ჩქარი ნაბიჯებიც ჩქარი ჰქონდა, ნელა არ გაივლიდა, თუ თან მოგვევებოდა, მუდამ წინ ვისწრებდა, ნელ სვლაში მხარს ვერ ავიბამდა. ერთგულებაშიც არა ჩვეულებრივად სანდო. თუ რამ გააჩნდა, სარაფერს დაიშურებდა შენთვის. მალანამ, ჩვენმა ბრიგადირმა, როცა გავეიმზილა „ნარიადჩიკმა“ ღედა შემაგინა და უნდა მოეკლაო, ნარზე ფეხმორთხმული ვიეი მყისვე ძირს ჩა-

მოვარდა, შენ არა, ტო, მე გამიშვი, მაგას მე აეჩეხავო. დაბალი ტანისა იყო, ცულითაც გაუჭირდებოდა ტანმადალი „ნარიადნიკის“ მიწვდენა, მაგრამ უშიშარმა და მეგობრისათვის ერთგულებით საკვებ გულმა აღაეზნო და მართლაც რო მიგეშვა, ამასაც მოახერხებდა, მაგრამ მალანიაშ, მე თავად უნდა გავუსწორდეო, თქვა და გივი ამან დააცხრო. სამაგიეროდ როცა ცულის შემომტანი შალვა მჭედ-

ლიშვილი შეიპყრეს და „ბურში“ ჩასვეს, ღამით გივი პირველად უცხოება „ბურის“ გარშემო შემოქმედდა. მათულხლართებში, რათა მეგობრის საკნის სარკმელში ქაღალდში გულდაგულ გახვეული პური შეეგდო.

ელექტრო შემდეგების პროფესია შეისწავლა ლაგერში გივიმ და ამნისტიით შინამობრუნებული, თბილისში ამ პროფესიით შეუდგა ოჯახის შექმნას.



აკაკი ხინთიბიძე

„მას გახელილი დარჩა თვალები“

მ. რ. ს. ხინთიბიძე

მზეო თიბათეის, ვოფნა უმზეო!
მზე მიიცივალა ღია თვალებით,
ის მიიცივალა რაღაც უმზეო
და ხაოცარი გარდაცვალებით!

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცივალა
და გახელილი დარჩა თვალები!

და ეს თვალები საღამოთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით:
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!

რა ხდება იქით! საიდან ისმის
მგლოვიარეთა ქნართა „მშვიდობით?“
უცრად სწყვეტენ სიმები სიცილს
უამიდობით... უამიდობით!

საიდან ისმის ჩუმი ვალობა
და უღონობა სუნთქვის შემწყვდარის,
წყმების წყნარი წარმავალობა
და მოვონება ძვირფასი მკვდარის?

მიდის ზაფხული... ბაღში, მდგლოში
ქისინებს ხიო, შრიალებს ნეშო,
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!
რისთვის, ძვირფასო! რისთვის, ნუგეშო?

და ეს თვალები სერაფიმთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით.
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები!

მივალ, მიმვეება მე შენი ცქერა
და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი,
ფველვან უწინრად ტირის ცერერა.
თვალები ცივი და გახელილი.

ღირდა თუ არა სხვა სიციცხლებზე
ოცნება ჩუმი და ფერმიზდილი,
მე გზა არ ვიცი უახლოვის:
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი.

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები,
ის უცხო მხარეს გარდაიცივალა
და გახელილი დარჩა თვალები!

თიბათვის ჩახანა მზემ („მზეო თიბათვის“) გადასერა ცის კაბადონი, ჩამავალ მზედ იქცა და ბოლოს მიიცივალა („ყოფნა უმზეო“).

ჩამავალი მზე – რომანტიკოსთა საყვარელი სახე-პეიზაჟი გალაკტიონის ლექსების ხშირი სტუმარია და იგი სიკვდილთან არის დაკავშირებული: „ჩამავალ მზეთა უკანასკნელი და სისხლიანი ვზა ჩაიშალა („მზედ“)“; „ო, ფიქრებო, მსველენო ტაძრად, ო, ქვეულნი მტვრად და ნაცრად, რად მიჰყვებით ასე მკაცრად ჩამავალ მზეს, ჩამავალს“ („ქარი დაღებრა სიბოპოქრის“).

მზის ჩასვლის ჩვეულებრივი სურათი, რომელიც ამ ლექსის ფონზე იშლება, გალაკტიონის რთულ წარმოსახვაში მისტიკურ სახეს იღებს.

პირველ ინფორმაციას – „მზე მიიცივალა ღია თვალებით“ სინონიმური ფრაზა მოსდევს: „მას გახელილი დარჩა თვალები“. შემდეგ ახალი თემა შემოდის „ის უცხო მხარეს გარდაიცივალა“. უცხო მხარე ზღვა არის, სადაც მზე ჩაესვენა. მთიდან ამოსული მზე, ასეა დასავლეთ საქართველოში, ზღვაში ჩაივდა. მზის ჩასვლის სიმშვენიერეს ერთ ლექსში გალაკტიონმა ანკარა დეკადანსი უწოდა: „მზე ზღვაზე ჩადის: ეს ანკარა დეკადანსია“ („ფრიგალი“) ლექსი 1923 წელსაა დაწერილი, როცა ეპითეტი ანკარა დეკადანსის მიმართ (მხედველობაში მაქვს დეკადენტური ლიტერატურული მიმართულებანი) ჯერ კიდევ აკრძალული არ იყო.

ამრავალ: თიბათვის მცხუნვარე მზე, ჩამავალი მზე, და მზის სიკვდილი.

მზე ჩაივდა და მისტიკა გაძლიერდა: მკვლარი მზის გახელილი თვალები ტანჯვით და მოკრძალებით უსმენდნენ საღამოთა (სხვა სტროფის მიხედვით, სერაფიმთა) ხმას (თვალები უსმენდნენ). ისმის აუხსნელი კითხვა: „რა ხდება იქით,“ რომელიც დასაბამიდანვე აწვადებს კაცობრიობას.

გაყვებით ლექსს: შუადღის მზურვალე მზით გაღალბებული სიძები (ვაკინსხნოთ ლექსის დასაწყისი!) უეცრად

სწყვეტენ სიცილს („შუადღის ველმოღვინებას“ „უიმედობა“ ყველაფერს მკვდრის სიცილს – „მგლოვიატრეფალ მწიფურკ მშეიდობით“) და შემწყვდარი სუნთქვის უღონობით, სერაფიმთა ჩუმი გალობით, „წამების წყნარი წარმავალიობით“ ძვირფასი მკვდრის მოვონებაში გადავდივართ.

დამთავრდა პირველი ნახევარი, აოსტროფიანი ლექსის პირველი ხუთი სტროფი. ითქვა მთავარი სათქმელი: მზე მოკვდა, სიცილი გლოვამ შესცვალა. დაიწყო გარდატეხა, რაც მკვეთრად დაეტყო სიტყვიერ ქსოვილს. შემოდის ახალი ლექსიკა, ახალი სემანტიკა: „მადის ზაფხული... ბაღში, მდელში სისინებს ხიო, შრიალებს ნემო“, თუმცა ლექსის პირველ ნახევართან შინაგანი კავშირი არ წყდება. ზაფხულის წასვლა და შემოდგომის დადგომა (ნემოს შრიალი) იგივე სიკვდილის მოსვლაა: „მაღე მოვა შემოდგომა და ყველაფერს გადათიბავს“ („ცელი კივის“), მაგრამ ლექსის სტრუქტურა შეიცვალა. თუ აქამდე საუბარი შესამე პირს მიემართებოდა „ის“, „მას“), ახლა ლექსის ორიტაში პირველი და მეორე პირიც ჩაერთო („მე“, „შენ“): „მე ისევ აქ ვარ“, „მე ვზა არ ვიცი“, „მივალ, მიმვეება მე შენი ცქერა“ (თუმცა ეს „შენ“ იგივეა, რაც „ის“); ახალი ინფორმაციებიც ჩაერთო: მკვლარი მზის თვალები არა მხოლოდ ღიაა (გახელილი), არამედ ცივიც („თვალები ცივი და გახელილი“), რაც კიდევ უფრო ამძაფრებს დრამატიზმს; ჩაერთო საუბარი „სხვა სიცოცხლეზე“, რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა ლექსის პირველ ნაწილში დახატული მზის სიკვდილისა.

თავისთავად ცხადია, ასეთი დიდი ტკივილის აღმქმრელი ლექსი ბუნების ნეიტრალური სურათით შემოფარგლული არ იქნება, მზის სიკვდილი მხოლოდ მზის სიკვდილი არ შეიძლება იყოს, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველას ია მხოლოდ ია არ არის, გალაკტიონის ატმის ყვაილები მხოლოდ რეალური ატმის ყვაილები არ არის, ყოველი ჭეშმარიტი პოეტური



ქმნილება, სულ ცოტა, ორი ასპექტით მაინც იკითხება : ის და კიდევ სხვა რაღაც. მაგრამ შემოხსენებული ანალიზი მაინც მიახლოებითაა. ვაქას „იას უთხარით ტურფასა“ რეალისტური ნაწარმოებია, ასეთივეა ძირითადად „ატმის ყვავილებიც“, ხოლო „მას გახელილი დარჩა თვალები“ სიმბოლისტური ლექსია, სიმბოლისმისთვის ნიშანდობლივი იდეომალებით, რეალურის გაუინარაბით და ზოგჯერ გაჭრებით. საწყისი მდგომარეობა, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით, შართალია ვალაკტიონისთვის უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც არსებობს. საერთოდ, აქსიომატური ჰუმანიტებაა: ხელოვნების ქმნილება, რომელსაც კონკრეტული რეალობის არავითარი ნიშან-წყალი არ გააჩნია, ლიბომომილილ ციხესავით, ადრე თუ გვიან გაქრება და დავიწყების ჩრდილს მიეცემა მეორე მხრივ, ჩემს საუბარს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ დაგვანახვოს — რა შეუძლია შემოქმედის გენიას, საიდან სად აიყვანს მკითხველს.

„მას გახელილი დარჩა თვალებით“ არაერთი მკვლევარი დაინტერესდა. ზოგი გაკვრით შეეხო მას, ზოგი საფუძვლიანად. ცხადია, ყველა ვრძნობს, რომ ვალაკტიონს ამ ლექსს რაღაც დიდმნიშვნელოვანი ვითარებით, ფაქტებით, მოვლენებით აღძრული ღრმა განცდა აწერიანებს. მაგრამ სახელდობრ, რა? საგულისხმოა ასეთი განცხადება: „ლექსში“ „მას გახელილი დარჩა თვალები“ გასაგებია მხოლოდ ერთი რამ, რომ იგი ვიღაცის დალუპვას გლოვობს. მაგრამ ვის? მეგობარს, სატრფოს?!

დაეკვება — საჭიროა თუ არა სიმბოლისტური ლექსის ანალიზი, რაც სიმბოლოთა აბსნასაც გულისხმობს, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა. მაგრამ აბსნაც არის და აბსნაც. სიმბოლისტური ხაზის ერთ მნიშვნელობაზე დაყვანა ვერ მოგვცემს ვერც ზუსტ და ვერც სრულ წარ-

მოდგენას ლექსის „მინაბრებსა“ და ავტორისეულ ჩანაფიქრზე და განცხადებებზე იფოს აუცილებელია განვიხილოთ სიმბოლისტური ლექსების ამგვარი „გამოფერა“.

„მას გახელილი დარჩა თვალები“ სპეციალური განხილვის საგნად ვაიხილავთ როლანდ ბურჟულაძემ. მისი აზრით, ლექსის პირველი სტრიქონის „მზეო თიბათვის“ ტოლფასოვანია ამავე სტრიქონის მეორე ნახევრის — „ყოფნა უმზეოსი“ და ნიშნავს „ღურჯ მზეს“. თიბათვე იენისია. სატყვა იენისის ტრანსფორმაციის სქემა კი ასეთი: იენისი — იელისი (იელისისფერი); იელისისფერი ვალაკტიონის აღქმაში ცისფერია (ორი ვარიანტი ლექსისა „აღვები თოვლში“), ხოლო ცისფერი იგივე ღურჯია რადგან „ღურჯი ფერთა სიმბოლიკაში სიკვდილის ერთ-ერთი ფერია“, საბოლოოდ ელემენტობთ მზის სიკვდილს. „მზეო თიბათვის“ მზის სიკვდილია./ „მზის სიკვდილი“, რომელიც ამ ლექსის ლაიტ-მოტივია, სათავეს იღებს XIX საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში (ჟ. ლაფორგი, ფრ. ნიცშე და სხვ.), სადაც იგი ფაუსტურ პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული და ევროპის კულტურის დალუპვას ნიშნავს. ვალაკტიონი ამ პრობლემის მხატვრულ დამუშავებას ახდენს. რ. ბურჟულაძის გამოკვლევას ასეთი სათაური აქვს — „ევროპის დაცემა“ და ვალაკტიონი“.¹

პირველი სტრიქონის შემოხსენებული ინტერპრეტაცია სადავოა. თიბათვე და თიბათვის მზე ვალაკტიონის აღქმაში არასდროს არ არის სიკვდილთან დაკავშირებული: „იგი მშობლიურ თიბათვეს ჰგავდა“ („ცხრაას თურამუტი“), „გახსოვს თიბათვის თეთრ ღამეებში“ („გახსოვს?“), „ამ დღეს ზამბახებს ყიდდა თიბათვესავით ნაზი“ („გაქრენ ზაფხულის დღენი“), „მას თიბათვის მზე ახურებდა“ (***) „მტკვარს ვერის პირად“) და სხვ. როცა ერთხელ თიბა-

1. ა. კენჭოშვილი, ვალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა, 1974, გვ. 65.

1. რ. ბურჟულაძე, მხოლოდ ინტერპრეტაციები, 1980, გვ. 151.
2. იქვე, გვ. 46.

თუ ჩამავალ მზეს შეუთანხმრა, მის სხვაგვარი თიბათვე უწოდებ: „სხვაგვარ თიბათვის დღეებს იფონებს ჩამავალ მზეთა მგლოვიარება“ („მზერითი მაინც“). ამრიგად, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ კონტექსტს მოწვევითი თიბათვის მზე უმზეოდ ყოფნას (სიკვდილს) ნიშნავდეს. კონტექსტი კი „მას გახელილი დარჩა თვალების“ კონტექსტი, როგორც აღნიშნული ვეაქვს ამ სინტაქსის სიცოცხლის იერიით მოსახს.

გასათვალისწინებელია შემდეგი ვარაუბობაც:

გალაკტიონის ორი ლექსი — „მზერითი თიბათვისა“ და „მას გახელილი დარჩა თვალები“ ერთი და იმავე სიტყვებით იწვება: „მზერითი თიბათვისა“ „მზერითი თიბათვისა“. ურთიერთდენტურია თუ არა ეს ორი გამოთქმა, ეს ორი დასაწყისი?! პირველი ლექსის „მზერითი თიბათვისა“ ადვილად იმთხრობა. იგი მზე — ღვთაებისადმი ვედრებაა („მზერითი თიბათვისა — ამას ვევედრებ“). მეორე ლექსის „მზერითი თიბათვისა“, მართალია, მზისადმი მიმართვა არ არის, მაგრამ ისიც თიბათვის მზეს ნიშნავს. სრულიად ბუნებრივია, რომ ერთსა და იმავე პერიოდში შექმნილი ორი ლექსის („მზერითი თიბათვისა“ 1917 წელსაა დაწერილი, „მას გახელილი დარჩა თვალები“ — 1918 წელს) ურთიერთდენტურ დასაწყისს ურთიერთდენტური გაგება ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, „მას გახელილი დარჩა თვალების“ პირველი სტრიქონი — „მზერითი თიბათვის, ყოფნა უმზერო“ უნდა გავიგოთ არა როგორც მზის სიკვდილი არამედ როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის დაპირისპირება. „მზერითი თიბათვის“ ივნისის მზურვალე მზეა და „ყოფნა უმზერო“ — მზის სიკვდილი-სტრიქონის შუაში, ცეზურასთან მე ძახილის ნიშანს დაკვირვებ: „მზერითი თიბათვის!“ (ლექსის პუნქტუაციაში ჩარევა, მით უმეტეს, როცა ავტორი არ არსებობს, ხავესებით შესაძლებელია).

ამავე დროს, გალაკტიონ ტაბიძე მხოფლიო და, კერძოდ, ვეროპულ კულ-

ტურის ნაზიარები შემოქმედებელია ერთოდ აღსახა მის შემოქმედებაში. ამავე პოეტის ცალკეული ნაწარებიც მტყველებს, კერძოდ, ჩანაწერში „ქვირფასი საფლავეები“, რომელიც განსახილველ ლექსთან არის დაკავშირებული (რის დამტკიცებასაც ქვემოთ შევეცდებით), ნახუნებია არა ერთი და ორი ვეროპული შემოქმედი თუ მათი პერსონაჟი, მათ შორის ფაუსტი და მეფისტოფელი გამორიცხული არ არის, რომ გალაკტიონი იცნობდა ფაუსტურ პრობლემატიკას, რომელსაც ვეროპის კულტურის დაცემა აღსახა და, შესაძლებელია, მისი ლექსიც ამის გამოძახილი იყოს.

მაგრამ, შემოქმედებითი პროცესი, სახეებით აზროვნება, მით უფრო, როცა სიმბოლისტური ლექსი იქმნება, მეცნიერული კვლევისაგან, ცნებით აზროვნებისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო მრავალწახნაგოვანია და მართებული არ იქნება მისი შემოფარგვლა ერთი რომელიმე ასპექტით, იმის მტკიცება, რომ შემოქმედებითი პროცესის მასტიმულირებული მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული საგანი თუ მოვლენა იყო.

გალაკტიონის ამ ლექსის კითხვისას მე სხვა ასოციაციები გამიჩნდა, რაც თხზულების ეროვნულ ძირებზე მიგვანიშნებს. შევეცდები მის ჩამოფაღებებას.

უწინარეს ყოვლისა, საგულისხმოა ჩვენს სიტყვაბმრებაში გავრცელებული მეტაფორა — „მკვდრის მზე“. კემპარიტი პოეტი ამ შესანიშნავი სახე-ცნების მიმართ გულგრილი ვერ იქნება. რატომ არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეს მხატვრული სახე რაღაც ტონის მიმცემი იქნებოდა გალაკტიონისთვის, როცა ფიქრობდა ლექსზე, რომლის თემა მზის სიკვდილია?!

ამავე დროს, არსებობს რეალური მიმართება სახანლიზო ლექსსა და პოეტის ორ ჩანაწერს შორის, რომლებიც ქართულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, გალაკტიონის ჩანაწერები ხშირად მისივე ლექსების პროზაული ვარიანტებია. გამოთქმა —



„რომ შექმნა რამე დიადი“, რომელიც რეჟურნის სახით ვახდევს ამავე სახელწოდების ლექსს, ხშირად მეორდება პოეტის 30-იანი წლების ჩანაწერებში. „სამწუხარო მარტიროლოგი“ პროლოგი 100 ლექსის“ მასალაა¹ წერილში, რომელსაც „ლორიკა“ კქეია, თითქმის მთლიანად არის გადმოცემული შინაარსი ვრცელი ლექსისა „საუბარი ღირიკის შესახებ“² მაგალითების გამრავლება შეიძლება, აუცილებელი რომ იყოს. „მას ვახვლილი დარჩა თვალებში“ ავტოგრაფი რომ შემოგვრჩენილია, მის არსებობაზე, ალბათ, ვნახავდით ფრაგმენტებს ჩანაწერებიდან, რომელთა შესახებაც ახლა ვისაუბრებ.

პოეტის არქივში ინახება რეველი წერალების სერიით გარდაცვლილ ქართულ მწერლებზე, რომელსაც აქვს მიწაწერი — „ძვირფასი საფლავები“. პირველი პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილს ეძღვნება.

ბარათაშვილთან სულიერი ნათესაობა გალაკტიონისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო, რაზედაც ჯერ კიდევ ივანე გომართელი მიუთითებდა პოეტის პირველი წიგნის წინასიტყვაობაში „სვედის მგოსანი“. თავად ეს ფაქტიც — ცნობილი და აღიარებული კრიტიკოსის მიერ გალაკტიონის სახელის ბარათაშვილთან დაკავშირება, ახალგაზრდა პოეტისთვის ბევრის მოქმედი იქნებოდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლექსი „მას ვახვლილი დარჩა თვალებში“ და პროზაული ჩანაწერი „ძვირფასი საფლავები“ სწორედ ერთსა და იმავე დროსაა დაწერილი (1918 წ.).

ბარათაშვილზე საუბარი ჩანაწერში მისი ცხედრის გადმოსვენებით და წინანდელი საფლავის ხსენებით იწყება: „საფლავი მიტოვებულია. ძალიანაც რომ ვბოთ, თურმე, ვეღარ იპოვით მას. მისი ახლანდელი სამარე კი არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი სამარისა-

გან“¹. ვერც ერთი სხვა მწერლის პორტრეტი ასეთი გამორჩეული, კრატისა და არც ერთი სხვა მწერლის პორტრეტზე ასე წინამორწეული არ არის სიკვდილის თემა.

ამ ლექსთან მიმართებაში არა ნაკლებ საინტერესოა გალაკტიონის მეორე ჩანაწერი, რომელიც უსათაუროა და თითქმის მთლიანად ბარათაშვილს ეძღვნება (თორმეტობეულში იგი ასეა დასათაურებული: „ბარათაშვილი, ილია, აკაკი“)². ჩანაწერში კვითხულობთ: „ვევლასაგან დევნილი ბარათაშვილი უცხო მხარეში გარდაიცვალა“ (მღრ. ლექსის სტრიქონი — „ის უცხო მხარეს გარდაიცვალა“). აქვეა მოტანილი ილიას სიტყვები ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსიდან: „როდენ გრძნობით ჯერ უთქმელით ის ჩაესვენა“. სიტყვა ჩაესვენა, რომელიც აქ ბარათაშვილის სიკვდილის აღმნიშვნელია, სწორედ მზის სიკვდილზე ითქმის: მზე ჩაესვენა (ასე იწყება გრ. ორბელიანის „საღამო გამოსაღმებისა“). მკითხველი, ალბათ, გრძნობს რისი თქმაც გვიხდა.

ჩანაწერში „ძვირფასი საფლავები“ გალაკტიონი ბარათაშვილს იმ იშვიათ შემთხვევაში რიცხვს მიაკუთვნებს, რომლის ლექსებში „უზუდაა დაფრქვეული საიდუმლოების წვეთები“ და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს გასაიდუმლოებული ლექსიც პოეტმა თავისა დიდი წინაარსის მწუხარე ლანდთან დაკავშირა.

ჯერ ბარათაშვილის სტრიქონები ვავიხსენოთ: „მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაჯლო“ („...„არ უკვირნიო ხატრფო“), შემდეგ „ძვირფასი საფლავების“ ის ადგილი, რომელიც უშუალოდ წინ უხსრებს ბარათაშვილის პორტრეტს: „განა არა ჰგავს მგოსანი მზეს: მხოლოდ ის სწვდება ყველგან... ყოველთვის წმინდა, ყოველთვის ბრწყინვალე, ყოველთვის განურ-

1. გალაკტიონ ტაბიძე, თორმეტობეული, ტ. XII, 1975, გვ. 51.
2. იქვე, გვ. 566—575.

1. თორმეტობეული, ტ. XII, გვ. 62.
2. იქვე, გვ. 162.

ჩველად ისერის ის თავის სხივებს ყველგან“.

ჩვენი აზრით, მგოსნის მზესთან შედარება ბარათაშვილის ლექსიდან უნდა მომდინარეობდეს („მინდა მზე ვიყო“) და მგოსნში ბარათაშვილი უნდა იყოს ნაგულისხმევი.

ლექსის დასაწყისიც — „მზეო თიბათვის“ ბარათაშვილისადმი მიმართულ შეიძლება ვივარაუდოთ.

ჩანაწერის შედარება — „განა მგოსანი არა ჰკავს მზეს?“ ლექსში მეტაფორად იქცა — მზე ბარათაშვილი. ბარათაშვილის ლექსის მომდევნო ორი სტრიქონიც — „საღამოს მისთვის შთაიფედ, რომ დილა უფრო ვაცხოვლო“ — კავშირშია ჩანაწერთან, სადაც მზის ჩასვლა — ამოსვლაზეა საუბარი: „განა სისხლისფრად წითელი მზის ჩახვლისას არ გზიბლავთ იმგვარივე იდუმალი ფერები, როგორც მზის ამოსვლის დროს?“ ყურადღება მივაქციოთ — გამოთქმას — სისხლისფრად ჩასული მზე (მღერ ვალაკტიონის მოგვიანო ლექსიდან — „ჩამავალ მზეთა უკანასკნელი და სისხლიანი გზა ჩაისალა“). ეს ხომ იგივე მზის სიკვდილია — „მას გახელილი დარჩა თვალების“ სემანტიკური ღერძი?!

თუ ამ ლექსში ბარათაშვილს შევიცნობთ, მაშინ „საღამოთა ხმის“ მოსმენაც ბარათაშვილს მიემართება: „და ეს თვალები საღამოთა ხმას ისმენდნ...“ (გაეიხსენოთ „შემოღამება მთაწმინდაზე“: „მოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად ხანუგებულად“).

ამრიგად, ბარათაშვილის „მინდა მზე ვიყო“, „ძვირფასი საფლავების“ „განა არა ჰკავს მგოსანი მზეს“ და „მას გახელილი დარჩა თვალების“ „მზეო თიბათვის“ ერთი და იგივეა. ამკარაა, შემოქმედებით პროცესში, როცა ეს ლექსი იქმნებოდა, ვალაკტიონის შთაგონების ერთ-ერთი წყარო ბარათაშვილი იყო. დავაკვირდეთ: ბარათაშვილის სურვილს, რომ მზე იყოს, ვალაკტიონის ჩანაწერი დასტურს აძლევს („განა არა ჰკავს მგოსანი მზეს?“), ხოლო ლექსი აკონკრეტებს — იგი თიბათვის მზეა, ძლიერი,

მზურვალე მზე. სტრიქონის მეორე ნახევრიდან კი, როცა სემანტიკური ცენტრი იცივს, უმზეოდ ყოველს სიხივს და მგლოვიარება ისადგურებს. „ყოფნა უმზეო“ ბარათაშვილის „უღმართო სიკვდილია“ (ილიას გამოთქმა რომ ვიხსენიოთ: „ეჰი, დაჯკარგეთ, უღმართო იყო შენი სიკვდილი“).

საოცარი იყო ეს სიკვდილი: მზე ღია თვალებით მიიცივალა, „მას გახელილი დარჩა თვალები“. აქაც შესაძლებელი ხდება პარალელის გაღება ბარათაშვილის „უღმართო სიკვდილთან“. უცხო მხარეში გადახიზნულს, მშობლებს, ნათესავებს, სატრფოს, „სწორთა და მეგობარსა“ მოშორებულ ბარათაშვილს, ალბათ, თვალის დამხუჭველიც არავინ ჰქავდა „და გახელილი დარჩა თვალები“. „ის უცხო მხარეს გარდაიცივალა“ რომ ბარათაშვილს მიემართება, კომენტარს აღარ საჭიროებს. იგი ხომ ბარათაშვილის ლექსის ასოციაციასაც იწვევს: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში (“...“ მიმარბის, მიმარგუნს“). ამავე დროს, საანალიზო ლექსის ეს ძირეული სტრიქონი აუხსნელი რჩება თუ მზის სიკვდილში მხოლოდ და მხოლოდ ევროპის კულტურის დაღუპვას ვიგულისხმებთ. შესაძლოა გამოთქმა „ძვირფასი მკვლარიც“ („და მოვონება ძვირფასი მკვლარის“) დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვების ძღოროციშ პოკოჩნიკის ასოციაციას იწვევდეს და ევროპის კულტურის დაცემასთან იყოს დაკავშირებული (როლანდ ბურჟულაძე), მაგრამ „ძვირფასი საფლავების“ ავტორისთვის „ძვირფასი მკვლარი“ ჩვეულებრივი გამოთქმაა, იხე როგორც ხიტყვა ძვირფასი პოეტისათვის საერთოდ ძვირფასი და ამოწმებული სიტყვაა და ამ გამოთქმის პირდაპირ იმპორტზე ლაპარაკი მიზანშეუწონებელია.

ლექსის მეორე ნაწილში, უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია, რას უნდა გულისხმობდეს: „მე ისევ აქ ვარ, საქართველოში! რისთვის, ძვირფასო, რისთვის, წუგეში?“ ვის მიმართავს პოეტი? ვფიქრობთ, მიმართავს ობიექტი ისევ ბარათაშვილს.



თაშვილია: რისთვისაა, ძვირფასო, რომ შენ უცხო მხარეს დალიე სული, მე კი აქ ვარ, საქართველოში?

„შენ“, რომელიც ამ სტროფში ფრთხილად, შეფარვით შემოვიდა, ქვემოთ აშკარად ცნაურდება: „მივალ, მიმეცემა მე შენი ცქერა და ზავერდებზე ეცემა ჩრდილი“. სრულიად კანონზომიერია, რომ ბარათაშვილის კვალზე ზავერდოვანი გზით მიმავალ ვალაკტიონს თავის წარმოდგენაში ბარათაშვილის ცქერა მიჰყვებოდეს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ჩრდილი ზავერდებზე ეცემა: სადაც ვეროპის კულტურა, ბარათაშვილი და ვალაკტიონია, იქ სწორედ ზაკერდიუნდა იყოს. ამავე დროს, ლექსის ეს ადგილი (ისევე, როგორც მთელი ლექსი) ორმაგი ასპექტით იკითხება. ერთი მხრივ რეალური მზე, რომელიც ჩრდილს აჩენს და, მეორე მხრივ, მზე – ბარათაშვილი. დრამატიზმს ამბაფრებს ქალღმერთ ცერერას უწინარი ტირილი თავისი განზოგადებული სახით – „ვევლგან უწინრად ტირის ცერერა“ და ლექსი ლოგიკურად მთავრდება სიკვდილის ამოთვით: „მე გზა არ ვიცი უახლოესი, ერთადერთი გზა არის სიკვდილი“.

საეჭვოა, რომ აქაც ვალაკტიონს მხოლოდ და მხოლოდ ფაისტური კულტურის დაღუპვა ჰქონდეს ნაგულისხმევი. სიკვდილის თემას პოეტი მრავალჯერ უბრუნდება (უფრო ხშირად ადრინდელ ლექსებში) და თითქმის ყოველთვის იგი ლაპარაკობს არა სიკვდილზე საზოგადოდ, არამედ კონკრეტულად თავის საკუთარ სიკვდილზე: „სიკვდილს მე როდი შევეუწინდები“ („ნებაოლში“), „დღეს ვვევლგან მზეა და ხილამაზე სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“ („შერიგება“). „თაწმინდის მივარეშიც“ სიკვდილზე ზოგად საუბარს – „სიკვდილის გზა არაა არის ვარდისფერ გზის გარდა“, წინ უსწრებს – „და მეც მოვეკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“.

ვალაკტიონმა ადრე გაითავისა სიკვდილი. ამიტომაც იყო, რომ დაძაბული შემოქმედებით ცხოვრებით დაძაბებული პოეტი ასე იოლად ავიდა საკვად-

ყოფოს ფანჯრის რაფაზე და საცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა: რაც შემზადებული იყო არა მხოლოდ ვარდისფერ ცველი სინამდვილით, არამედ სიკვდილზე მისი ვარდისფერი ფიქრებით, სხვა სიცოცხლეზე წუმი ოცნებით.

ამრიგად, მზის სიკვდილის საოცარი სურათი, ბარათაშვილის – „უღმრთო სიკვდილის“ ტრაგედია ვალაკტიონმა სხვა სიცოცხლეში გადასვლის სურვილით დაამოლოვა.

ლექსს ჰკრავს პირველი ნაწილიდან გადმოხული ცენტრალური სტროფი:

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები.
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!

ყოველივე შემოთქმულის მიუხედავად, არ შეიძლება ჩვენი მტკიცების აბსოლუტიზაცია, რომ „მას გახელილი დარჩა თვალები“, არც მეტი, არც ნაკლები, ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. რთულ და საიდუმლოებით მოცულ შემოქმედებით პროცესში, როცა ასეთი დიდი ნაწარმოები იქმნება, ეს მხოლოდ ერთ-ერთი იმპულსის მიმცემა ფაქტორი შეიძლება იყოს, ისე როგორც, აღბათ, არ შეიძლება ამ ლექსიდან ფაუსტური პრობლემატიკის მთლიანი გამორიცხვა. ადვილი მოსალოდნელია გარეშე ფაქტორთა შემოქმედებაც. ეთქვათ, პოეტს სადმე ამოეკითხა გამოთქმა: მკვდრის გახელილი თვალები; ანდა 1918 წელს მოსკოვ-პეტროგრადში, სადაც ამ ლექსზე ფიქრის პერიოდში იმყოფებოდა, ქუჩაში ენახა რევოლუციის თუ სამოქალაქო ომის მსხვერპლის გვამი გახელილი თვალებით („ოჰ, გახელილი დარჩა თვალები“), ისე როგორც აფხაზეთის ომის დროს ჭუბურის უღელტეხილზე ლტოლვილები შეამფრთა უპატრონოდ მიტოვებული მკვდრის ღაა თვალებმა.

* * *

აქამდე წევნი ინტერესი ლექსის სემანტიკით იყო შემოფარებული, მაგრამ როდესაც ამ ლექსს ვითხულობთ, არა იმდენად მისი შინაარსის ბოლომდე ამოხსნის სურვილი გვაძვირდება, რამდენადაც გვხიბლავს ლექსის მხატვრული ქსოვილი, ორიგინალური სახეები და ბერათა უმაღლესი პარმონია. თვით სემანტიკაზე საუბარიც დამაჯერებელი ვერ იქნება, მისი ამოცნობა გაძნელებულია ლექსის, როგორც სტრუქტურული მოდიანობის, ანალიზის გარეშე.

ერთი გადაკითხვითაც ნათელია, რომ „მას გახელილი დარჩა თვალები“ მწვობრი მუსიკალური კომპოზიციით ხასიათდება. საზოგადოდ, რეფრენის ხიზშირე ლექსში ყოველთვის ქმნის შესაძლებლობას მუსიკალურ ნაწარმოებთან მისი დაკავშირებისა, ხოლო 40-სტრიქონიან ლექსში 10-ჯერ განმეორებული სტრიქონი — „მას გახელილი დარჩა თვალები“ გვაძლევს მუსიკის სფეროში მისი პირდაპირი ანალოგი ვეძებთ. გალაკტიონის ეს ლექსი როლანდ ბურჟულაძემ ფუგის კომპოზიციასთან დააკავშირა და აწერა როგორი კანონზომიერებით ენაცვლება ერთმანეთს მთავარი თემა (დუქი) და მისი გამოძახილი (კომედი). შესაძლებელი ანალოგიაა. შეიძლება ვიღავთ: ფუგის კომპოზიციურ სქემას შეგნებულად მიმართა პოეტმა თუ ეს ქვეცნობიერი აქტია. ასეა თუ ისე, ამკარაა, „მას გახელილი დარჩა თვალების“ მწვობრი მუსიკალური ხისტემა.

ლექსის მუსიკა, როგორც ცნობილია, რიტმთან ერთად, ბერათა კეთილხმოვანებაში ვლინდება, რადგან „მას გახელილი დარჩა თვალები“ ევფონიურად გალაკტიონის თხზულებათა შორის და, საერთოდ, ქართულ პოეზიაში, ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია, საჭიროდ ვიპოვით მასზე საგანგებოდ გავკვამხვილებინა ყურადღება.

წევნი მიზანია გაეარკვიოთ აიხაზა თუ არა ლექსის დრამატული შინაარსი, ტკივილიანი განცდა, და მინორული გან-

წყობილება ბერაწერაში? ცნობილია, რომ საზოგადოდ ბერა ენდოფერენტული არ არის ხიტყვის მუსიკალური მხარით, შინაარსის მიღმა კი არ ღვეს, არამედ მასშია ჩართული.

დავიწყეთ. სტატისტიკით — რა და რა ხასიათის ბერები, რა და რა ხიზშირით მონაწილეობენ ლექსში.

ქართულ ფონემათა ხიზშირის ლექსიკონები არ გვაქვს, მაგრამ არსებობს ამ მხრივ ცალკეული დაკვირვებანი. ამავე დროს, ენათმეცნიერებს (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. ჭლენტი, პ. ფოცტი, თ. უთურგაძე და სხვ.). შეიძლება ითქვას, ამომწურავად აქვთ დახასიათებული ქართული ხმოვნებისა და თანხმოვნების ბუნება.

— ვთარგმნი მხოლოდ ქართულიდან, რადგან ქართული ლიტერატურა, მშობლიურის მერე ვეღარაფერ ახლავ ჩემს სულთან, ჩემს აზროვნებასთან, ჩემს მისწრაფებებთან. ჩემი ქართველი მეგობრები ყოველ ახალ, ჩემთვის საინტერესო წიგნსა თუ ჟურნალს მივზავნიან ბაქოში. მეგობრების რჩევას ვითვალისწინებ, მაგრამ სათარგმნ ლიტერატურას მაინც ჩემი ინტუიციით ვირჩევ. ვცდილობ თარგმანს შევუნარჩუნო ქართული სურნელება და კოლორიტი. ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა და ქართული ლიტერატურის თვალსაზრისით ნიმუშების თარგმნა ისეთი დიდი საამიოვნება და შეებაა ჩემთვის, იმდენად დიდი სიხარულის მომნიჭებელი, რომ ამ საქმიანობას თავისთავად ჩემი ცხოვრების ჯილდოს ვუწოდებ.

აღბათ, იშვიათია საქართველოზე და ქართველ ხალხზე ისეთი შეყვარებული უცხო ტომის ადამიანი, როგორც დილარა იყო. მას ჩვენ ვუვყავრდით ხაკუთარი, დეიდლი ხალხის დარად. ისეთი სიყვარული ჰქონდა გულში, რომ უთბილისოდ, უჩვენოდ ერთი დღეც არ შეებლო ყოფნა. თითქმის ვოვალდეთ ტელეფონით მირეკავდა. ტველი და ახალი ქართული ზედმიწევნით ცოდნის მიუხედავად, ზოგჯერ ისეთ სიტყვას შემგვითხებოდა — რას ნიშნავს და როგორ ვთარგმნო, რომ მეც კი მიჭირდა პასუხის გაცემა. დილარამ თავისი ჩვენდამი განწყობილება ზუსტად გამოხატა ერთ თავის ლექსში, რომელსაც „წერილი მეგობარს“ ჰქვია: „მე ჩემს ქარიან ბაქოში ეზივარ, თავსუსაყრელი საქმე მაქვს, იცი, და თბილისისკენ მუდმივად მზირაღს ვიღაც მიკრძალავს გულიან სიცილს. და მავონდება თბილისი ღამით გაბრწყინებული, როგორც ეღეში, აქ ჩაფერული და უღიმღამო მე მის სიყვარულს ვერ შევეღევი. სულ თვალწინ მიდგას ბავშვობა ჩემი და ორთაქალის ბაღუბას ტვერი. მიყვარს თბი-

ლისი ახალიც, ძველიც და თბილისური ბული და მტვერი. ჩაჩუქავ და ჩაჩუქებით სულით სანდოვნი გავიყვარებული, როგორც აიხი, საესე ქართული დარდიმანდობით, საესე ქართული ხიდარბაიხლით. ქართული სული, წიგნი ქართული, ჩემს თაროებზე აწყვეია ერთად და თარგმანებში მუდამ ჩართული ეს გული, მკერდში ძალუმად ფეთქავს. რვეაზ ლადიძე ფლერს ჩემს ბინაში, ეს სიმღერები ჩემთვის თილასიმობს, და იკვეთები, როგორც მირაყი „შნის და ვარდების მხარეც, თბილისო!“ ახლაც, ამ წუთას მოწყენით ვარ და გულში ნაღველი ჩუმად ბინადრობს, რა გამაჩნია ამ გულის ვარდა, მსურს გაგიყოთ და მსურს ვიწილადიო“.

დილარა აღიევას სამეცნიერო ზელმძღვანელის ლევან ახათიანის ბინაზე, ხადაც იგი ხშირად დადიოდა და ამ ოჯახში სითბო და გურადლება არ აკლდა, ნიადვ იკრიბებოდნენ პოეტები, პროზაიკოსები, მეცნიერები და საინტერესოდ მსჯელობდნენ ქართული ლიტერატურის საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს დილარამ პოეტი სიმონ ჩიქოვანი გაიცნო. ბატონმა სიმონმა როგორც კი შეიტყო, რომ დილარა აზერბაიჯანელი იყო, მაშინვე თავისი მეგობარი აზერბაიჯანელი პოეტი აჰმად ჯავადი გაიხსენა. ეს ის აჰმად ჯავადი ვახლდათ, რომელმაც თავის ენაზე პირველმა თარგმნა ჩვენი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ბატონი სიმონი, თავის დროზე აჰმადს თარგმანში ხშირად დახმარებია მრავალი ბუნდოვანი საკითხის გაღაწყვეტაში.

დილარამ პირველად თბილისში სიმონ ჩიქოვანისაგან შეიტყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აღიარებული აზერბაიჯანული თარგმანის (ს. ვურდუნის, ს. რუსთამის, მ. რაჰიმის) ვარდა კიდევ არსებობდა ა. ჯავადისეული მეტად პოეტური და უბრწყინვალესი თარგმანი, რომელიც დროის ქარიშხალმა ხადაც მიჩქმალა, და ფართო სა-

ზოგადობრიობა მხოლოდ ნაწილობრივ იცნობდა ნაწევრებს ამ თარგმანთან

დილარა უსაშველოდ ბევრს მუშაობდა. მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად თავულებლად თარგმნიდა ქართულ ლიტერატურას აზერბაიჯანულად. გატაცებით თარგმნა და გამოცა: ილიას, აკაკის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ ჩიქოვანის, ნოდარ დუმბაძის, არჩილ ხულაკურის, გურამ ფანჯიკიძის, თამაზ და ოთარ ჭილაძეების, ქაბუა ამირეჯიბის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველადისა და სხვათა ნაწარმოებები. ტელევიზიით, რადიოთი ხშირად გამოდიოდა და ქართული ლიტერატურის პროპაგანდას ეწეოდა. მახსოვს მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყვილის“ რადიოდადგმა აზერბაიჯანულ ხალხს ისე მოეწონა, გულთან ახლოს მიიტანა და გაითავისა, რომ დილარას ბინაში ტელეფონის ზარი არ წყდებოდა. ამ დროს იგი იყო უსაზღვროდ პედნიერი და ამგვარი სიხარული შემდგომში ნაწარმოების სათარგმნელად აღაფრთოვანებდა.

1954 წელს დილარა ალიევა ამ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თბილისში და მშობლიურ ბაქოს დაუბრუნდა. მაგრამ მისი სამეცნიერო ძიებები ამით არ დამთავრებულა. ბაქოს ნიჰამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობის შემდეგაც იგი წვენი ქალაქის სამეცნიერო საქმიანობის აქტიური მონაწილეა. კონფერენციებსა და სესიებზე გამოსულთა შორის მისი ნაშრომები ყოველთვის გამოჩენილ მეცნიერთა და მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს.

ერთ-ერთი ასეთი სამეცნიერო სესიის დროს პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ დილარას გადასცა აზერბაიჯანული პოეტის სამედ ვურაღუნის მისაღმი მიწერილი კერძო ბარათი. წერილი კერძო იყო, მაგრამ ის დიდი მეცნიერული ღირებულება, რო-

მელიც ამ წერილს ატლდა, დილარა ალიევა ამ ფართო საზოგადოებრივ გააცნო. ს. ყურღუნს *სამეცნიერო* ნაღ „დრუება ნაროდოვის“ ფურცლებზე დაბეჭდილი გ. ლეონიძის პოემა „ფორთოხალა“ წაუკითხავს და ამ შედეგით აღტაცებულს, მაშინვე წერილი უფრენია მეგობრისათვის. ეს წერილი ხათანადო კომენტარებით დილარამ ვერ აზერბაიჯანულ, ხოლო შემდეგ ქართულ პრესაში გამოაქვეყნა.

დილარას, ასპირანტურის მერე, პირველ ხანებში, ძალიან გაუჭირდა თბილისთან დაშორება და საშუალოდ ბაქოში ცხოვრება. დრო და დრო თბილისი სიზმარში თუ ცხადში მოხვეწებას უკარგავდა და ვგონა, რომ თბილისოდ ვერ გასძლებდა. ენატრებოდა თბილისი, მისი ქუჩაბანდები, ქართული სიმღერები და რაც მთავარი იყო, ქართველი მეგობრები. მერე თანდათან ნაება ბაქოს ცხოვრების ფერხულში, მუშაობა დაიწყო ნიჰამის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ინსტიტუტში, დაოჯახდა, ცოლად გაჰყვა საუკეთესო შთამომავლობის პიროვნებას – ფიქრეთ კენგერლის, შეეძინა ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსს ქართველი ხალხის სიყვარულით გიორგი დაარქვა, ხოლო მეორეს – პაპის სახელი – იბრაჰიმი. მუდღუნსაც და ბავშვებსაც შეაყვარა საქართველო, ქართული ლიტერატურა. ბაქოში დილარას მეგობრები ხუმრობით გაქართველებულ აზერბაიჯანულს ეძახდნენ და წარმოიდგინეთ, შეილებიც ნახევრად-ქართველობას იჩემებდნენ. მაგრამ დილარას საქმიანობა არც ინსტიტუტის და არც საოჯახო ფარგლებში არ ჩაკეტულა. მას არ ასვენებდა ლევან ასათიანის ბინაზე აღქმული შთამბეჭდავი ამბავი „ეფენისტყაოსნის“ პირველი აზერბაიჯანული თარგმანის თაობაზე. და მკვლევარი ქალი პოემის თარგმანის ძიებამ ვაიტაცა. ცდას ამოდ არ წაუვლია, მიაკვლია კალეც იმ აუბელით წლებში რეპრესირებული პო-



ტის — ამჟამად ჯავადის მიერ შესრულებული რვეულის ფურცლებზე გაკრული გაუგებარი ხელით ფანქრით დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის შავ პირს.

დილარა აღიევას ჯოჯოხეთური შრომა დასჭირდა, რომ არაბული შრიფტით დაწერილი, ფერგადსული თარგმანი აღედგინა. ქართულ და რუსულ ტექსტებთან ვულგარული შეჯერების მერე, პოემის თარგმანი გამართული სახით წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოისცა. ამ წიგნის გამოხვედრას, როგორც მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას, დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მკვლევარს უდიდესი აღიარება მოუტანა.

დილარას არ იზიდავდა თანამედროვე თემატიკა, რაც ასე თვალნათელი და ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის. მას რთული გზებით უვყარდა სიარული, მწელად აღმოჩენილი უფრო დიდ სიხარულს ანიჭებდა, ამიტომ მისი სადოქტორო დისერტაციის თემა ისევე ძველი ხაუკუნეების აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა იყო, კერძოდ, ნიჰამისა და რუსთაველის ლიტერატურულ-მხატვრული და ფილოსოფიური მსოფლგაგების ურთიერთმომართების საკითხები...

მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ბაქოში, სადაც ლამის ნაზევარი თბილისი ესწრებოდა. დილარა იყო ბედნიერი, აღფრთოვანებული და კმაყოფილი მისი შეგობრებისა თუ ოფიციალური წარმომადგენლების სტუმრობით და სიამაფით აცნობდა მათ თავის აზერბაიჯანულ კოლეგებს.

დილარა შემოქმედებით სიხარულსა და შევბას მუშაობაში ხედავდა. იგი წლების მანძილზე ჩაჰიკრიკებდა „ქორ-ოღლის“ რთულ ხელნაწერს და გამოსაცემად ამზადებდა. ტექსტორუმელიც თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში იყო დაცული, ადვილი ხელმისაწვდომი არ გახლდათ დილარასათვის. ამიტომ ხშირად უწევდა თბი-

ლისში ჩამოსვლა. მაგრამ რუსეთში მას ბედმა მოსკოვის საკუთრივად მხოლოდ ავადმყოფ მუულებს უფლებად მისცა გაუმწესა, იქიდანაც კი წარამარა მირკავდა და „ქორ-ოღლის“ ტექსტის ფოტოპირებს მთხოვდა, რომ იქაც არ გამცდარიყო და ეს საინტერესო ხელნაწერი ფართო მკითხველისათვის მიეწოდებინა.

დილარა აღიევა იყო ერთგული მეგობარი და ეს ნიჭი მას ღვთისთომადლებული ჰქონდა. უღალატო, უანგარო, თავდადებული და ჭირში გამტანი; ვისაც შეიფარებდა და შეგობრად გაიხდიდა, სიკვდილის მეტი მასთან ვერაფერი გაყრიდა. ის იყო ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, აღამიანი, რომელიც სიცოცხლის წყურვილით მავსებდა, მამხნეებდა და მახალისებდა. დილარა ჩემი ოფიციალური ოპონენტი გახლდათ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს. იმ ხანებში იგი ავადმყოფობდა და ექიმები ბაქოდან გახვლას უკრძალავდნენ. ამის მიუხედავად, მაინც ჩამოვიდა თბილისში და თავის დასაზღვევად სასწრაფო დახმარების მანქანით დავხვდივით ხადგურში. დილარა იცინოდა და ამბობდა: რად მინდა ექიმი, განა თქვენ ყველანი ჩემი მკურნალი ექიმები არ ხართ! თბილისში ცუდად რა გამხდის, აქ მოხარენად ჩამოვედიო.

ხოლო ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი კი დილარა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი უბრალო მიზეზის გამო — ჩვენ ერთად გვქონდა დაწერილი წიგნი და თანაავტორობა ოპონენტის უფლებაზე ხელს ალებინებდა. ეს დაცვა ბაქოში მოხდა. დილარას, ალბათ, თავის დისერტაციაზე არ უღელვია იმდენი, რამდენიც მაშინ. დილარამ, როგორც ბრწყინვალე ორატორმა, დაცვისას ჩვეული გამჭრიახობითა და დამაჯერებელობით ისეთი სიტყვა წარმოხატვა, ერთ დისერტაციად ის სიტყვა ღირდა.

დილარა იყო აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულის-

პეტრე კურცხალია

1925–1927 წწ. სოლოვეციკის კუნძულებზე, სხვა ქართველ პოლიტიკა-ტიმრებთან ერთად სასჯელს იხდიდა პეტრე ვლადიმერის ძე კურცხალია.

მისი სახელი, როგორც პოლიტიკური დამნაშავესა, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა თამარ გოთუასა და ალექსანდრე გოთუას ნარკვევიდან „თავკადასაველი ლევან გოთუასი“, სადაც იგი არაერთგზისაა მოხსენიებული.

1990 წ. 23 ივნისს კი გაზეთ „სახალხო განათლებაში“ ელდარ ნადირაძემ გამოაქვეყნა წერილი: „ქართველი უცნობები“ და სხვა ფოტოებთან ერთად პუბლიკაციას დაურთო სოლოვეციკის კუნძულებზე მყოფი მსჯავრდადებული ოცდაექვსი ქართველის ჯგუფური ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილია პეტრე კურცხალიაც.

ჩვენი მიზანი მოკრძალებულია – ჩვენს ხელთ მყოფი მწირო მასალებით ნაწილობრივ მაინც შევეცხოთ სოლოვეკებზე მყოფი მისჯილი ერთი ქართველის – პეტრე კურცხალიას ნაკლებად ცნობილი ბიოგრაფია.

სოლოვეციკის კუნძულები არხანგელსკის ოლქში ონეგის უბის მახლობლად, თეთრ ზღვაში ექვსი მოზრდილი და რამდენიმე მცირე კუნძულებისაგან შექმნილ არქიპელაგს ეწოდება. ამ არქიპელაგის ისტორიის განვითარებაში წამყვანი როლი სოლოვეციკის კუნძულს ეკუთვნის და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ კუნძულს თავისი სახელი ჰქონდა, შემდგომში ეს სახელი სხვა კუნძულებზედაც გავრცელდა, როგორც კრებითი სახელწოდება.

ზოგჯერ ამ კუნძულებს შემოკლებით „სოლოვეკებსაც“ უწოდებენ.

პირველი დასახლებანი „სოლოვეკებზე“ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულით თარიღდება. XV საუკუნიდან კი იქ არსებული სოლოვეციკის

მონასტერი ქრისტიანული რუსეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარწმუნოებრივი კერათაგანია. XVI–XVII სს კუნძულები მჭიდროდ იყო დასახლებული, რაზედაც მეტყველებენ ამ პერიოდის ძეგლები (გარდა ძირითადი მონასტრისა): ხატრაკეზო მიძინების ეკლესიითურთ, ფერისცვალების ტაძარი, ხარების ეკლესია, ქვით ნაშენი მტკიცე ხეფე-ღარბაზები, წყლის წიხჭვილი, სამრეკლო და ა. შ. დღეისათვის ექვსი კუნძულზე აღნუსხული 174 ისტორიული ძეგლი მხოლოდ სოლოვეციკის მონასტერს ეკუთვნოდა.

ისტორიულად ეს კუნძულები ქვეყნის დამცავ ზღუდეს წარმოადგენდნენ და იკვირებდნენ კადეც ჩრდილოელი

მეზობლების — ლეონიელების და შველების შემოტყვებს.

სოლოვეცკის კუნძულებზე ზღვის მოქმედებით ჩრდილოეთის მკაცრი ჰაუა ოდნავ შერბილებულია. კუნძულები დაფარულია ხშირი წიწვოვანი ტყეებით და მრავალრიცხოვანი ტბებით, რაც თვითმზილველთა სიტყვებით ხოცრად ლამაზ ლანდშაფტებს ქმნიან ამის გამო ამ კუნძულებს „თეთრი ზღვის მარგალიტებსაც“ უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ კუნძულებზე ძირითადად ბერები იმყოფებოდნენ და სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდნენ, მეფის რუსეთი სოლოვეცკებს აღრიდანვე იყენებდა როგორც მისჯილთათვის შორეული გადასახლების ადგილს — კუნძულები ზღვით საიმედოდ იყო გამოიჯნული მატერიკისაგან და თითქმის მიუვალად ითვლებოდა.

რუსეთის იმპერიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მონასტერი გაუქმდა სამონასტრო მეურნეობა მოიშალა. ბერები დაიფანტნენ, მონასტერს მიწები და სხვა სამონასტრო ქონება ჩამოართვეს.

1923 წელს კი გემით პირველი საბჭოთა პოლიტპატიმრები ჩაიყვანეს. ამ დროიდან 1936 წლამდე სოლოვეცკის კუნძულებზე მოქმედებდა მეთულზღარობით შემოზღუდული, მკაცრად დაცული ე. წ. „განსაკუთრებული დანიშნულების სოლოვეცკის ბანაკი“ (СЛОН—Соловецкий Лагерь Особого Назначения).

1936—1938 წწ იგი შეცვალა „განსაკუთრებული დანიშნულების სოლოვეცკის საპრობილემ“ (СОН — Соловецкая Тюрма Особого Назначения), სადაც პატიმრები უსასტიკეს რეჟიმში იმყოფებოდნენ. 1939 წ. ჯერ კიდევ ცოცხლად გადარჩენილი პატიმრები გემით „Семен Буденный“ ნორილსკისა და დუდინკებში (ენიხეიზე) გადაიყვანეს და კუნძულები საბოლოოდ გაათავისუფლეს პატიმრებისაგან.

„ყოფილი უძველესი მონასტერი მორუსეიანად გაქვლითი რუსული ავი სულით. ეხლანდელი საკონცენტრაციო ბანაკები ისეთი აღარ არიან, რაც სხვა მთავრობის დროს იყო. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სადაც მოქმედებს სისხსტიკისა და უღმამლობის საშინელი კანონები. აქ ადამიანთა სიკვდილი მძვინვარებს, როგორც სრულიად ჩვეულებრივი უბრალო ამბავი“ — წერდა თავის ახლობლებს 1927 წ. 2 მარტს სოლოვეცკიდან ახალგაზრდა ლევან ვოთუა, რომელიც იმ დროს იქ სასჯელს იხდიდა.

მხოლოდ მოტანილი სიტყვებიც საკმარისია იმის გასააზრებლად, თუ რას წარმოადგენდა „სოლოვეცკი“. ფაქტიურად ეს იყო ერთ-ერთი პირველი „გულაგთაგანი“ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

იქ დაკანონებული სისასტიკე არა მხოლოდ ადამიანთა სიცოცხლეს აგდებდა საფრთხეში, არამედ თვით რუსული კულტურის საუკუნოვან შედეგებსაც. ბერებისათვის განკუთვნილი მუდრო სამონასტრო სენაკები, პატიმართა დასახველ, გარედან საიმედოდ გამოკეტილ საკნებად გადაქციეს. არ ინდობდნენ არც რუღუნებით შექმნილ სხვა კულტურულ ნაშუშაკარს.

უნებლიე შემთხვევითობით თუ წინასწარი განზრახვით, თვით სოლოვეცკის მონასტერს ზანძარი მოეძო. ძველი საკრძნობლად დაზიანდა. ამიტომ, უკვე მოვეიანებით ცნობილმა რუსმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლურჯ-აბმ ალ. სოლჟენიცინმა, რომელმაც თავისი თხზულების „გულაგის არქიპელაგის“ დიდი ნაწილი სოლოვეცკის კუნძულებზე არსებულ განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკების ისტორიას მიუძღვნა, კუთვნილი საბჭოური პონორარები — ორ მილიონამდე მანეთი სოლოვეცკის გაპარტახებული ძეგლების აღსადგენად გადარიცხა. დღეს იქ მუხეუმი და მოქმედი რუსული ეკლესიაც არასებობს. მთლიანად კუნძულები კი „იუნესკოს“ მსოფლიო

კულტურის ძეგლთა და ბუნების სამონუმენტო დაცვის ხაზშია შეტანილი.

ასეთია მოკლე ისტორია თეთრ ზღვაში არსებული არქიპელაგოსა, რომლის იძულებით მონახულება, ჩვენი საუკუნის 20-ანი წლებიდან არაერთ ქართველს მოუხდა. სამწუხაროდ, ჩვენ არც კი ვიცით, რამდენი ქართველი პატიმარი იხდიდა სასჯელს სოლოვეციის კუნძულებზე დროთა განმავლობაში.

ჯერ-ჯერობით არა სრული ცნობებით ვიცით, რომ სოლოვეციის მუზეუმის თანამშრომელთა მიერ შედგენილ 1600-ან კარტოტეკაში შეცნობილია 18 ქართველი. ასევე ვაკეს 1925-1927 წწ. სოლოვეკებზე მყოფი 26 ქართველი პოლიტპატიმრის ჯგუფური ფოტო, მაგრამ ეს ალბათ მსჯავრდადებული ქართველების მხოლოდ უმცირესი ნაწილია... საქმე ისაა, რომ ამ კუნძულებზე საკონცენტრაციო ბანაკების გაუქმების შემდეგ, იქ არსებული მამხილებელი დოკუმენტები — პატიმართა პირადი საქმეები და სხვა ადგილზევე განადგურდა.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელიც... არც თუ დიდი ხნის წინ, სოლოვეკების ძეგლებზე სარესტავრაციო სამუშაოების დროს, შენობების სხვერბზე, კოჭებსა და დირეებს შორის პატიმრების მიერ გადაძალული, უმისამართოდ დაწერილი წერილები აღმოჩნდა. წერდნენ ალბათ, იმ იმედით, რომ როდესმე ისინი „ადრესატამდე“ მიადწევდნენ. ასეც მოხდა!

ჩვენთვის უცნობია ასეთ წერილებს შორის იყო თუ არა ქართველის დაწერილი თუნდაც ერთი ბარათი. სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ პატიმარი ქართველები სოლოვეციიდან ზუსტი მისამართებით უგზავნიდნენ წერილებს აქიანთ ახლობლებს. მართალია, ბევრი ასეთი წერილი იკარგებოდა, ვერ მიდიოდა დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ ზოგი ბედნიერი შემთხვევის წყალობით ადრესატამდე მაინც აღწევდა საქართველომდე ისედაც კანტიკუნტად მოღწეული წერილებიდან დღე-

ისათვის მცირე ნაწილი-და შემორჩა. ასეთ შემორჩენილ წერილებზე ულტრასა 1925-1927 წწ. სოლოვეციის მუზეუმებისგან გამოგზავნილი პოლიტპატიმარ პეტრე კურცხალიას წერილები.

ამ წერილებს ხათუთად შეუთოულს ინახავდა პეტრე კურცხალიას და ეკატერინე (ცუცუკო) თავის ხელსაქმის ყუთში. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ (1978) ხელსაქმის ყუთი და პეტრე კურცხალიას ბიბლიოთეკიდან შემორჩენილი რამდენიმე წიგნი ჩემი საკუთრება გახდა...

პეტრე კურცხალიას შესახებ სამწუხაროდ ძალიან მწირი ცნობები შემოგვრჩა. პეტრეს მამის ოჯახიდან, სადაც ოთხი ვაჟი და ერთი ქალი გაიზარდა, არც ერთს პირდაპირი მეგობრად არ დარჩენია. პეტრე კურცხალიას საკუთარი ოჯახი არ ჰქონია. ახლო ნათესავთაგან არავინ აღმოჩნდა, ვინც ზუსტი ცნობების მოწოდებას შეძლებდა... მიუხედავად ამისა, გადასახლება-დან გამოგზავნილი წერილების, ორიოდე წიგნაკის, ალაღებულად შემორჩენილი ფოტოების, მისი პირადი ბიბლიოთეკიდან გადარჩენილი წიგნების, ზოგჯერ ნათესავთაგან მოწოდებული ფრაგმენტული ცნობებით ვცადეთ აღგვედგინა მცირე მონაკვეთი, მისი ისედაც ხანმოკლე ცხოვრებიდან.

უშედეგოდ დამთავრდა ჩვენი ძიება საქართველოს ცენტრარქივშიაც, სადაც ვცდილობდით რაიმე მასალის მოძიებას თუნდაც მოწაფეობის პერიოდიდან.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერც ის დეაღვინეთ თუ კონკრეტულად რა ელბოდა ბრალად, როდესაც ის სოლოვეციებზე გადასახლეს 1925 წ. (კავშირი 1924 წ. გამოსვლებთან), ან 1937 წ. კოლექტის რომელი მუხლით გამოუტანეს მას სახიკვდილო განაჩენი. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მაინც გამართლებულია პ. კურცხალიას შესახებ დღემდე შემორჩენილი თუნდაც ფრაგმენტული მასალების გამოქვეყნება.

პეტრე კურცხალია ერთ-ერთი ექვსთავანი იყო (ლევან გოთუა, იასე ფაკლენიშვილი, ბესო ვაშაქიძე, შალვა დადიანი (არა მწერალი) და შოთა აბესაძე) 28 პოლიტპატიმრიდან, ვინც სოლოვეციის კუნძულებზე ოცდდიან საპროტესტო შიმშილობას ბოლომდე გაუძლო. შიმშილობის მიზეზი კი ის იყო, რომ პოლიტპატიმრები სისხლის სამართლის დამნაშავეებად მონათლეს „უფლებრივად“ მათ გაუთანაბრეს და უმძიმეს სამუშაოებს ასრულებინებდნენ. ეს მოვლენა საბჭოურ „გულაგებში“ საკმაოდ გავრცელებული ღონისძიება იყო მოაზროვნე ადამიანთა დასათრგუნავად...

პეტრე კურცხალია დაბადებული იყო 1897 წელს. 1924 წ. 23 XI შევსებულ ერთ-ერთ წიგნაკში აღნიშნულია, რომ იგი 27 წლისაა. დაბადა სამხერის რაიონის სოფ. არგვეთში არც თუ მდიდარი აზნაურების ვლადიმერ კურცხალიასა და ლიდა აბაშიძის ასულის ოჯახში. იგი სასწავლებლად თბილისში წამოიყვანა მისმა ახლო ნათესავმა, ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ სეით იაშვილმა (სეით იაშვილის დედა მზეხათუნ და პეტრეს მამა ვლადიმერ კურცხალია დამძნანი იყვნენ). 1916 წ. პ. კურცხალიამ დაამთავრა თბილისის ქართული (სათავად-აზნაური) გიმნაზია. შემდეგ კი მიიღო უმაღლესი ეკონომიური განათლება. 1934 წ. 281 შევსებულ მომხმარებელთა კოაპერატივის საწევრო წიგნაკში აღნიშნულია, რომ იგი ეკონომისტია.

მისი ბიბლიოთეკიდან გადარჩენილი წიგნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ფართო თვალსაწიერის მქონე განათლებული პიროვნება ჩანს. მის ბიბლიოთეკაში დაცული იყო ივ. ჯავახიშვილისა თუ აკაკი შანისის ნაშრომები; ძველი მხატვრული ლიტერატურიდან ვისრამიანი, შაქნავაზიანი თუ თეიმურაზ I-ის თხზულებანი, ქართველი თურქული კლასიკოსების ნაწარმოებები და ა. შ. და ა. შ.

1924 წ. 23 IX ცნობით პ. კურცხალია მუშაობდა სააქციო სამმართველოში ქვეგანყოფილებაში. 1925 წ. 14 IV ჩაწერით მისი სამუშაო (სამწუხაროდ დაწვებულების შემოკლებული სახელწოდება ვერ გავშიფრეთ).

1925 წ. 20 IX დათარიღებული წერილის მიხედვით პ. კურცხალია მოსკოვში, ბუტირის საყრობილეშია. აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე დროს, ამავე საყრობილეში იმყოფებოდა ახალგაზრდა ლევან გოთუაც. ბუტირის საყრობილედან გამოგზავნილი მისი წერილი დათარიღებულია 1925 წ. 21 IX. ბუტირიდან გამოგზავნილი წერილის წინამორბედი უნდა იყოს წელიწადის აღნიშნავად 19 აგვისტოს დაწერილი — დაპატიმრებული შეილის პეტრე კურცხალიას ბარათი დედისადმი: „დედაჩემო! ძალიან კარგათ ვარ. საჯავრობელი სრულიად არაფერი არ არის ჩქარა გამომიშვებენ. მოკითხვა და ხალამი ვველას. 19. VIII. მარია-მობისთვე. პეტრე კურცხალია“. ამ ბარათის დაწერიდან ერთი თვის შემდეგ პატიმარი მოსკოვის საყრობილეშია. ბუტირის საყრობილედან გამოგზავნილი წერილი დაწერილია ქართულად, ფანქრით. წერილს დასმული აქვს მელნით შევსებული შტამი: «Просмотрено. Бутырская тюрьма ОГПУ. 30. IX, 14839. 1925 года. Подпись...» ზელმოწერა არ იკითხება. „დედაჩემო! — წერდა პ. კურცხალია წერილში დედას — ორი წერილი გამოვიგზავნე და არ ვიცი მიიღეთ თუ არა. მე ეხლა მოსკოვში ვარ. ძალიან კარგათ ვარ. დედაჩემო თუ ვინდა რომ მე კარგათ ვიყო სრულებით არაფერი იჯავროთ. წერილი მომწერეთ და შემატყობინეთ თქვენი ამბავი...“

ამ წერილს მოსდევს 1925—1927 წწ. რუსულად დაწერილი 14 წერილი. აქედან 12 დედისადმი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა არ იცოდა.

როგორც უკვე აღნიშნეთ, სოლოვეციის კუნძულები განსაკუთრებული და-

ნიშნულების ბანაკად ითვლებოდა (С/ЛОН) და იქ მკაცრი რეჟიმი იყო დამყარებული.

1925 და 1926 წწ. სოლოვეცკიდან გამოგზავნილ წერილებს დასმული აქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული შტამპები წარწერებით: «Просмотрено Коперпункт услон (!) О.Г.П.У» ან («Просмотрено) УСЛОН ОТПУ („С/ЛОН“-ის წინ დასმული ასო У აღნიშნავდა «Управление»-ს), ან рПосмотрено управ. Сев. Лаг. ОТПУ».

1925 წ. 7 დეკემბრით დათარიღებულ წერილში პ. კურცხალია ღელას ატყობინებდა თავის მისამართს: «Кемь (Мурманская железная дорога) Соловецкий Концлагерь. Заключение...» როგორც ვხედავთ, პოლიტპატიმართა გადასახლების ადგილი ოფიციალურად იწოდებოდა „Концлагерь“-ად.

სოლოვეცკიდან გამოგზავნილ პ. კურცხალიას წერილები საკმაოდ ერთფეროვანია, ლაკონური, ზოგჯერ რვეულის ერთი გვერდის ნახევარი. შეიძლება ითქვას, ეს იყო შორეულ პატიმრობაში მყოფი ადამიანის მხოლოდ ინფორმაცია მისი არსებობის შესახებ. მაგრამ ყურადღებას იქცევს შეუდრეკელი ზასიათი და მტკიცე სულიერი განწყობილება, რაც ამ წერილებს მოაქვთ პ. კურცხალიას ახლობლებისათვის. „ძალიან კარგათ ვარ“ იმეორებდა ხშირად იგი თავის წერილებში...

ერთადერთი რაზედაც პ. კურცხალია თავის ახლობლებს საყვედურობდა ის იყო, რომ იშვიათად ღებულობდა მათგან წერილებს. უპიკელია, რომ ვერც სოლოვეცკიდან გამოგზავნილმა ყველა წერილმა მოაღწია საქართველომდე 1926 წ. იანვარში პ. კურცხალია ღელას წერდა, რომ აკურატულად ყოველ თვეში ერთ წერილს აგზავნიდა. ალბათ ეს იყო მისი უფლება, რითაც სარგებლობდა კიდევ. მაგრამ შემორჩენილი წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ არც შორეული ჩრდილოეთი-

დან გამოგზავნილი წერილები აღწევდნენ ყოველთვის დაბნეულობის ადგილამდე.

მოგვიანებით პატიმრებს შეღავათებში მისცეს და 1927 წ. იგი იტყობინებოდა, რომ თვეში უკვე ორ წერილს აგზავნიდა. ამ „შეღავათებზე“ ჩვენ ქვემოთ შევხვდებით.

ფანქრით დაწერილ ერთ-ერთ უთარილო წერილში პ. კურცხალია ღელას წერდა, რომ მისჯილი ჰქონდა სამი წელი (1925 წ. აგვისტოდან?) და ატყობინებდა ახალ მისამართს: «Карельская Республика, Попов Остров, Камерпункт, 2-ая рота» სხვა რაიმე ცნობა ამ წერილში არ არის. ეს უნდა იყოს გადასახლებიდან გამოგზავნილი პირველი წერილი.

გადასახლებიდან გამოგზავნილი მისამართების მიხედვით პ. კურცხალიამ რამდენჯერმე გამოიცვალა ადგილსამყოფელი. ჩანს პატიმარი კუნძულიდან კუნძულზე ხშირად გადაჰყავდათ. რით იყო იგი დასაქმებული გადასახლებაში წერილებიდან არ ჩანს. 1926 წ. იანვრიდან 1927 წ. თებერვლის ჩათვლით პ. კურცხალია სოლოვეცკის კუნძულზეა, ხოლო 1927 წ. მაისიდან კუნძულ ანზერზე. 1927 წ. ბოლოდან კი წერილები პოპოვ ოსტროვიდანაა.

1927 წ. 16 დეკემბერს პ. კურცხალია პატიმრობიდან თავისუფლდება. 1927 წ. 21 დეკემბერს იგი უკვე ქართულად დაწერილ ღია ბარათს უგზავნის ღელას ვხიდან – როსტოვიდან: „საყვარელო ღელა! ამა თვის 16-ს ვავთავისუფლდი ტუხალობიდან და ეხლა მივედიარ კავკაზში. იმედია ჩქარა საქართველოში ჩამოსვლის ნებასაც მომცემენ და ვნახავთ ერთმანეთს...“ – იმედოვნებდა პ. კურცხალია, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ახლობლებთან შეხვედრამდე ბევრი დაბრკოლება იყო დასაძლევია...

აქვე უნდა ითქვას, რომ მისჯილი სამი წელი პ. კურცხალიას სრულად არ მოუხდია სოლოვეცკზე. იგი დაპატიმრებიდან ორი წლის და ოთხი თვის

შემდეგ გაუთავისუფლებიათ. თუმცა ეს თავისუფლება მხოლოდ პირობითი ხასიათის იყო.

რატომ გაუშვეს პ. კურცხალია (და სხვა პატიმრებიც) სოლოვეკებიდან ვადაზე ადრე?

საქმე ისაა, რომ სოლოვეკებზე მყოფმა ერთმა მისჯილმა მოახერხა პატიმრობიდან გაქცევა, საზღვარგარეთ გასვლა და იქ სოლოვეკების ბანაკის შესახებ მართალი წიგნის გამოქვეყნება. ეს იყო პირველი ვარდევია „რკინის ფარდისა“ და საბჭოური საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ სინამდვილის მხილება მსოფლიოსათვის. როგორც ჩანს, ამ ბუბლიკაციამ უცხოეთში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გამოხმაურებაც სათანადო ჰქონდა. ამ მხილებას მაქსიმ გორკი რუსული ემიგრანტული პრესის მორიგ პროვოკაციად თვლიდა და მაინც ყოფილ საბჭოთა კავშირში მას სათანადო რეაქცია მოჰქვია. საჭირო იყო მსოფლიოსათვის დაემტკიცებიათ, რომ გაქცეული კაცი ტყუილად. ამიტომ 1926 წ. სოლოვეკების ბანაკში ОГПУ-ს ინიციატივით გადაიღეს პატიმართა ცხოვრების ამსახველი ფილმი. ფილმი გაკეთებული იყო ისე, რომ პატიმრებისადმი დამოკიდებულება „ნორმალურად“ გამოჩენილიყო. ამ ფილმის ფირი 1986 წ. არქივში აღმოაჩინა ისტორიკოსმა და კინოდოკუმენტალისტმა ვიქტორ ლისტოვმა. ფირის საფუძველზე მარინა გოლდოვსკაიამ შექმნა ფილმი „Власть Соловецкая“, რომელიც გაუშვეს კიდევ ეკრანზე. სამწუხაროდ, მე ამ ფილმს არ ვიცი. შესაძლოა შემორჩენილ ფირზე ქართული პატიმრებიც იყვნენ ასახულები? ყოველ შემთხვევაში პ. კურცხალია და სხვა ქართველებიც იმ დროს ჯერ კიდევ სოლოვეკებზე იმყოფებოდნენ. ჩანს, მარტო ფილმი საქმეს ვერ შევლოდა და საჭირო იყო ფილმის მონაცემების შემავრება სხვა გზითაც. ამიტომ გამოიყენეს მაქსიმ გორკის დიდი ავტორიტეტი და იგი სოლოვეკებზე მივლინე-

ბით გაუშვეს. მოვიანებით, 1929 წ. მ. გორკიმ გამოაქვეყნა ნარკვევი „Соловки“, სადაც მათგანთან და გამოეხმაურა 1926 წ. გადაღებულ ფილმს და სცადა უარყო საზღვარგარეთული, როგორც თვითონ უწოდებდა „ემიგრანტულ ვაზეთებში“ დაბეჭდილი ისეთი სტატიები, როგორიც იყო „Бегство из Соловок“ მ. გორკი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ კუნძულებიდან გაქცევა შეუძლებელი იყო, თუმცა ვერც იმას უარყოფდა, რომ კუნძულებიდან მატერიკზე მივლინებაში წასული პატიმრები მაინც ახერხებდნენ ამას.

სოლოვეკებზე მივლინებული მ. გორკი შეზღადა მისჯილებს და აქცენტის სისხლის სამართლის დამნაშავეებზე გადაიტანა, რომლებთანაც, როგორც ცნობილია, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ფრიად ოსტატურად ახერხებდა მაშინდელი ხელისუფლება. მ. გორკიმ აღწერა პატიმრებისათვის საცხოვრებლად განკუთვნილი ვრცელი, ნათელი პაერთა და მზით ხავსე ახლად აგებული (ჩანს სახელდახელოდ, რადგან ადრე პატიმრებს ბერების სენაკებში კეტავდნენ — დ. მ.), ხის ყაზარმები, ქალთა „საერთო საცხოვრებელზე“ კი აზრი გამოთქვა, რომ იგი საერთოდ სრულებითაც არ ჰგავდა საპატიმროს.

მ. გორკიმ აღწერა სოლოვეკების სკოლები, ბიბლიოთეკა, მუზეუმი; ეწვია იქაურ თეატრს, მოისმინა კლასიკური მუსიკა საკმაოდ ნიჭიერი პირის დირიჟორობით. მოისმინა მალაქროფების დონეზე ვილინოზე შესრულებული პ. ვენიავსკისა და ხ. რახმანინოვის ნაწარმოებები; მოისმინა შესანიშნავი მომღერლები და ა. შ. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ გაამკლავნა შემსრულებლის პიროვნება, რადგანაც ისინი მსჯავრდადებულები იყვნენ — ვუკვობ, რომ ყველანი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის!

დააჯერა თუ არა მსოფლიო თავის სიმართლეში ხელისუფლებამ ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ერთი ცხადია — საბ-

ჭოთა მთავრობა იძულებული იყო დათმობებზე წასულიყო, რათა დაეცვა თავისი „ზნობრივი მხარე“ და მოეხდინა შეღებული პრესტიჟის რეაბილიტაცია. პატიმრების მიმართ მართლაც შეიცვალა მკაცრი დამოკიდებულება. ეს ჩანს პ. კურცხალიას წერილებიდანაც: 1926 წ. აპრილიდან აღარაა წერილებზე შემოწმების შტამპები. ცენზურა კმაყოფილდება მხოლოდ ჩვეულებრივი ხელისმოწერით ფანქრით. ამავე დროიდან დართეს პატიმრებს წერილების თვეში ორჯერ გავზავნის ნება. ხოლო შემდგომში ამავე მიზეზით უნდა მომხდარიყო სოლოვეკელი პოლიტპატიმართა ჭედაზე ადრე „განთავისუფლება“. ამ აქტით ხელისუფლებამ სოლოვეკები პოლიტპატიმრებისაგან თითქოს განტვირთა.

სოლოვეკების კუნძულებიდან განთავისუფლებული პ. კურცხალიას უფლება მისცეს ვლადიკავკაზში ეცხოვრა. 1927 წ. 21 დეკემბერს გზიდან გამოგზავნილ ღია ბარათით დედას ატყობინებდა: „მედივარ კაკაეში... რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდება, მაგრამ იქნებ ჩქარა ვიშოვო საშუალო და გამოვეთქვამ მდგომარეობა“.

ვლადიკავკაზში პ. კურცხალია 1927 წ. დეკემბრიდანაა, მაგრამ 1928 წ. 17 მარტით დათარიღებულ წერილზე ადრეული წერილი ვლადიკავკაზიდან ჩვენამდე არ მოღწეულა. ამ წერილიდან კი ირკვევა, რომ საშუალო ჯერ კიდევ ვერ უშოვნია და ახლობლებს აცნობებს ახალ მისამართს: ნიუ ბუანიძის ქ. №49. მოგვიანებით მას კიდევ ორჯერ შეუცვლია მისამართი ვლადიკავკაზში. ჯერ ლერმონტოვის №5, ხოლო შემდგომში ბაზრის შესახვევის №7 სახლში უცხოვრია.

ვლადიკავკაზში ჩასულ პ. კურცხალიას იმედი გაურუვდა, რომ მალე

ინახულებდა ახლობლებს „აქ რომ ჩამოვედი გამომიცხადეს, ერთ კვირას წლის ვადითა ხარო აქო, ახერხდებიან ჩემთვის ღიაში ჯერჯერობით ვოველ შემთხვევაში არ გამომიშვებენ“ — წერდა იგი დედას 1928 წ. 10 აგვისტოს. ამრიგად, სოლოვეკებიდან განთავისუფლებული კაცი კიდევ სამი წლის ვადით მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ მოექცა.

ვლადიკავკაზში პ. კურცხალია თავის ძველ სოლოვეკელ მეგობრებთან — ლევან ვოთუასა და შალვა დადიანთან ერთად იხდიდა სასჯელს.

თავიანთ ნარკვევში „თავგადასაყალიღევან ვოთუასი“ თამარ ვოთუასა და ალექსანდრე ვოთუას მოტანილი აქვთ ვლადიკავკაზში მცხოვრები ქართველის პლატონ ბურდულის, კაცის, რომელმაც შეიფარა სოლოვეკებიდან ჩამოსულები, მოგონება პ. კურცხალიაზე. მისი სიტყვით „პ. კურცხალია უფრო ხანდაზმულად გამოიყურებოდა... განათლებული, ინტელიგენტი კაცი იყო, პროფესიით მასწავლებელი, ამასთან ერთად დიდი პატრიოტი, სასტიკად სძულდა რუსოფილები. მან სავაჭრო დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა...“ სამწუხაროდ, ეს ცნობები პეტრე კურცხალიას შესახებ არაა ზუსტი. 1927—28 წწ. იგი 30 წლის კაცი იყო და ალბათ 21—22 წლის ლევან ვოთუასთან შედარებით მართლაც ხანდაზმულად გამოიყურებოდა. განათლებითაც ეკონომისტი იყო და არა მასწავლებელი (პ. კურცხალიას ახლო ნათესავის ელ. აბაშიძის ცნობით პ. კურცხალიამ ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობა იმ მიზნით დაიწყო, რომ, როგორც ეკონომისტს, შეესაწავლა მუშათა მდგომარეობა და გადაეხედა კ. მარქსის ზოგიერთი დებულებებისათვის).

შთაბეჭდილება, რომ პ. კურცხალია მასწავლებელი იყო, უცნობ ადამიანს შეიძლება მართლაც გასწენოდა, იმის გამო, რომ მას ვლადიკავკაზში კერძო მოსწავლეები აუყვანია მოსამზადებლად. 1928 წ. 10 ივლისს პ. კურცხალია დედას წერდა: „მოსწავლეები მყავდა,



თხომეტ მანეთს ვიღებდი თვეში და ეხლა იხინიც გამოფრთხნენ, აღბათ სიცხეების გამო". მაგრამ შემდეგში მას ისევ აუვანია მოწაფეები: „მე კარგათა ვარ, ახალი მოწაფეები ვიშოვე და ცოტა ხანს არა მიჭირს-რა“, — აცნობებდა იგი ღუდას 1928 წ. 4 დეკემბერს. 1929 წ. 20 თებერვალს კი იწერებოდა: მე კარგად ვარ, მდგომარეობა ამჟამად ცოტა უკეთესი მაქვს, რადგანაც რამდენიმე მოწაფე მყავს და საკვებ ფულს ვშოულობ“. მაგრამ კერძო მოწაფეებისაგან აღებული შემოსავალი არც მუდმივი იყო და არც საკმარისი. ამიტომ დაუწყებია სხვებთან ერთად „ეკატრობა“ გამაგრებელი წყლებით. „... ეხლა წყლით დავიწყე ეკატრობა და ვნახოთ რა გამოვა. მგონი პურის ფულს ვიშოვი“ — აცნობებდა ღუდას. 1929 წ. 8 ივნისს. ამავე წლის 26 ივნისს დაწერილ წერილში კი იწერებოდა: „ეკატრობ წყლით, ყოველ შემთხვევაში იმდენს ვიშოვი, რომ ვალს გავისტუმრებ და საცხოვრებლად მეყოფა...“ მაგრამ მალე იძულებული გამხდარა საქმიანობისათვის თავი დაენებებია: „ცეც-ცივს (იგულისხმება გამაგრებელი წყალი — დ. მ.) დამანებებებს თავი — კერძომ არ უნდა იეკატროსო. მაგრამ მე ყოჩაღად დავასრულე ჩემი საეკატრო მოღვაწეობა, რომ ორ-სამ თვეს არა მიჭირს რა და შემდეგში აღბათ კიდევ რამეს მოვიგონებ“ — წერდა თავის დას 1929 წ. 31 ივლისს.

ძნელი სათქმელია რამდენად გულწრფელი იყო იგი და რამდენად მართალი იყო, რომ მას არ უჭირდა... გადასახლებაიდან გამოგზავნილ არც ერთ წერილში არ ჩანს, რომ იგი უჩიოდეს ან სიცივეს, ან შიმშილს, ან ბუდის უკუღმართობას. ყველა წერილში მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკია იმაზე, რომ ის კარგადაა და რაშიც გულწრფელი იყო, ისაა, რომ მას მართლაც საშინლად აწუხებდა ახლობლების მდგომარეობა...

3. კურცხალიასათვის უკვე აღსანიშნავია ვაგზავნილი წერილებიდან მხოლოდ ერთი — ზასიათის ოთხი ღია ბარათია შემორჩენილი (სოლოვეკებიდან არც ერთი!), მაგრამ არ შეიძლება არ გამოვევთ პატივგორსიდან 3. კურცხალიასათვის ვაგზავნილი იუმორით სავსე ლევან გოთუას ღია ბარათი: „პეტრე ბაბა! ამ ბარათს ვაგზავნი მარსიდგან მივალთ „В траве провалится“. მშვენიერობაა. მოგაკითხა ჩემმა „ბასპორტმა“ (თანმხლებმა პირმა? — დ. მ.) და შენმა დაკარგულმა 2 მან. (რაზედაც პატარა ვ-მ ბევრი იცინა). მოკითხვა ყველას. ლევან. 27 IX. მალე დავბრუნდებით“. დღეს ჩვენთვის მეტნაკლებად ბუნდოანი ბარათი, ცხადია სავსებით გასაგები იყო ერთი ბედის ქვეშ მყოფი ორი მეგობარი მამაკაცისათვის...

როგორც აღვნიშნეთ, სოლოვეკის კუნძულებზე მყოფი პატიმრები, მათ შორის ქართველი „სახელოზობილები“ დაფანტეს და „დიდი სამშობლოს“ სხვადასხვა კუთხეებში განაწილეს. თუ ლევან გოთუა, პეტრე კურცხალია, შალვა დადიანი (და სხვებიც...) ვლადიკავკაზში აღმოჩნდნენ ზედამხედველობის ქვეშ, სხვა სოლოვეკელები უფრო შორეულ და მკაცრ ადგილებში გადაინაწილეს. მაგრამ ძველი მეგობრობა მათ შორის არ გაწყვეტილა, რაზედაც მეტყველებენ 3. კურცხალიასათვის შორეული გადასახლებებიდან მიღებული სამახსოვრო ფოტოები წარწერებით (ეს ფოტოები გადმოგვცა ივანე (ბაჭია) კურცხალიამ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ).

1929 წ. 13 მაისს 3. კურცხალიასათვის თავისი ფოტო გამოუგზავნია ყოფილ სოლოვეკებს კანდო ხუბულავას (რომელიც ცნობილი გახდა ელდარ ნადირაძის პუბლიკაციიდან). ამ ფო-

ტოს ზურგზე კანდო ზებულაქას წაუწერია: „პეტრეს! ერთად განვლილი ჯოჯოხეთის მოხაგონად და ჩემს სახსოვრად კანდოსავან. ნარიმის მხარე წრდილო ციმბირია“. 1930 წ. 3 აპრილს გადაღებულ ფოტოზე კი „სოლოვკელი“ ქართველთან ხილვა ყენიახთან ერთად ორი „უცნობი“ ქართველია გადაღებული – დათიკო ქებაძე და ბუღუ მიქელაძე. ფოტოს ზურგზე ვკითხულობთ: „ჩემს ძმას პეტრეს! ნიშნათ შეურყეველი, სპეტაკი ძმობა-მეგობრობისა და ერთად განვლილი ჭირ-ვარამის მოხაგონებლად გიმღენით ამ ჩვენს სურათს სამეულისას ხილვა ვენია. გადაღებულია 1930 წ. 3. VI სოფ. ნარიმი. ჩრდ. ციმბირი“.

აი კიდევ ერთი ფოტო ლაკონიური წარწერით: „პეტრე გახსოვლე ამბერკი 1930 წ. 25 ივნისი. ქ. ველსკი“. ესაა ცნობილი „სოლოვკელი“ ქართველი ამბერკი ადვიშვილი, კაცი, რომელიც 1924 წ. ვანის ამბოხებას მოთავეობდა.

ვლადიკავკაზში გატარებული სამ წელზე მეტი ხნის შემდეგ 1927–XII–1931. III პ. კურცხალია საქართველოში ბრუნდება. მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირის საინჟინრო-ტექნიკური სექციის წევრის პეტრე ვლადიმერის ძე კურცხალიას საწვევრო წიგნაკში № 28465 ქ. ზესტაფონის ფრომარგანეცის ქარხნის საინჟინრო-ტექნიკურ სექციაში (ИТС) შესვლის თარიღად აღნიშნულია 1931 წელი ე. ი. საქართველოში დაბრუნებულა 1931 წ. წიგნაკი კი შევსებულია 1934 წ.

აქვე გვინდა ნაუვრთოთ მცირე შენიშვნაც: თამარ გოთუასა და ალექსანდრე გოთუას შესანიშნავ ნარკვევში „თავგადასავალი ლევან გოთუასი“ მოთხრობილია ეპიზოდი, როდესაც ლევან გოთუას, იასე ფაქლენიშვილს, პეტრე კურცხალიას და ბესო ვაშაყიძეს უცდიათ სახელმწიფო საზღვრის გადალახვა და უცხოეთში გასვლა. ამ დროს

თითქოს პეტრე კურცხალია მძიმედ დაიჭრა და კოროზში იხრჩობოდა. იქვე მოთხრობილია ისიც, რომ საზღვრის ოთხ დამრღვევთაგან სამი დავატიმრეს, „ხოლო პეტრე კურცხალიაზე ვერა გაიგეს რაო“. სამწუხაროდ, ეს მოთხრობი გამოქვეყნებულია თარიღის მინიშნების გარეშე. დავატიმრების შემდეგ ლევან გოთუა (აღბათ სხეუბიც) გადასახლეს 1931 წ. 24 XII. ლევან გოთუა გადასახლებიდან ავზანის წერილს. პეტრე კურცხალია კი 1930 წ. 30 I და 1931 წ. 18 III ჯერ კიდევ ვლადიკავკაზშია, 1931 წელსავე ბრუნდება საქართველოში და იწყებს სამსახურს ზესტაფონში. ხოლო 1932 წ. 18 V უკვე თბილისში. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ საზღვრის დამრღვევი, მძიმედ დაჭრილი კაცი „ორგანოების“ რისხვას გადარჩენოდა და დაუსჯელი დარჩენილიყო. ნათესაებიდანაც ეს ფაქტი. პ. კურცხალიას ცხოვრებიდან ვერავენ ვაიხსენა...

●

საქართველოში დაბრუნებული პ. კურცხალია მშვიდობიან ცხოვრებას იწყებს. მეგრამ „მშვიდობიანი ხანა“ მიხთვის ხანმოკლე აღმოჩნდა. აუდასახსენებელ 1937-ში მას ისევ აპატიმრებენ.

●

ჩვენს ხელთაა 1937 წ. უკვე თბილისის ციხიდან გამოგზავნილი პატიმარ კურცხალიას ორი პაწაწინა, ფანქრით ნაწერი ბრათი დისადმი: „...მივიღე ყველაფერი 29. V. 37. პეტრე“. და 1937 წ. 5-VI დაწერილი: „მივიღე, ნუ დადიხარ ყოველთვის. არაა ზაჭირო. კარგათ ვარ. პეტრე“.

„კარგად ვარ“ წერდა დასახვრეტად

განწირული, მაგრამ მაინც გაუტეხავი
კაცი. ეს იყო უკანასკნელი ცნობა მისი
არსებობის შესახებ...

მხოლოდ მოგვიანებით მიიღო მისმა

ცხოვრებისაგან დატანჯულმა და უკა-
ტერინემ (ცნუსკომ) ცნობა 1937 წ.
დახურული მშის ცნობის დაბრუნების
შესახებ.

ლიტერატურა

1. თ. გოთუა აღ გოთუა, „თაგვადასა-
ვალი ლევან გოთუასი“, ჟ. „მნათობი“,
№№ 1-6.
2. მ. ბარათაშვილი, „ქართველი უცნო-
ბები“, გაზ. „ერი“, 1991, 24.1.
3. ა. დადიანი, ერთი „უცნობი“ ქართ-
ველი ცნობილია, გაზ. „ერი“ 1991, 31.1.
4. ელ. გიორგაძე, შეფიცულთაგანი, სა-
ქართველოს ერთგული ებგური ივანე
(ვანიჩქა) ყარანგოზიშვილი, გაზ. „ლი-
ტერატურული საქართველო“, 1991,
12. IV.
5. ელ. გიორგაძე, მემბოზის პორტრე-
ტი. ვანის ამბოზების მოთავე ამბერკი
ადგიშვილი, გაზ. „ლიტერატურული
საქართველო“, 1991, 10.V.
6. ლ. იაშვილი, პეტრე კურცხალია, გაზ.
„ლიტერატურული საქართველო“, 1991,
V.VII.
7. დ. გვალაია ქართველები სოლოვეკებზე,
გაზ. „თბილისი“, 1989, 13.X.
8. ელ. ნადირაძე, ქართველი „უცნო-
ბები“, გაზ. „სახალხო განათლება“,
1990, 23.VI.
9. თ. გოთუა, აღ გოთუა, დასახ. ნარკ-
ვევი, ჟურნ. „მნათობი“, 1990, №2, გვ.
20
10. იქვე, 1990, №1, გვ. 110
11. Лев Корнешев, Злые ветры из
прошлого. Газ. «Известия», 1988,
21.XII.
12. М. Горький. По союзу Советов.
Соловки, т. «Наши достижения»,
1929, №№ 5, 6.
13. თ. გოთუა, აღ გოთუა, დასახ. ნა-
რკვევი, № 3, გვ. 120-121

ბორცობის ზეიმი ხანმოკლეა

ცნობილია, რომ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობამ ხელი შეუწყო მითოლოგიურ შეხედულებათა განვითარებას. ადამიანი აკვირდებოდა ბუნების მოვლენებს, რომელთაგან ზოგიერთს ზეციურ ძალებს მიაწერდა. ბუნების იღუპალი, შეუცნობადი და ამოუხსნელი ხასიათი ასაზრდოებდა მის შემოქმედების ფანტაზიას. ასე შეიქმნა მითოლოგია, რომელმაც მეტ-ნაკლებად ყველა ხალხისა და ერის კულტურაში კოვია განვითარება.

ჭინკები, ონოანტრები, დევეები, ალენები ცალკეული ხის ღვთაებები. — აი ქართული მითოლოგიის ვმირები, თავად ხალხმა რომ შექმნა. ამათაგან ზოგი ბორცობა, ზოგი კეთილი, ზოგი ადამიანის სამსახურში დგას, ზოგიც ემტერება მას. ასეა მოთხრობებში „ხაზარულა“ და „ჭინკები“. აქ ვაშლის ხე და მითოლოგიური ჭინკები კეთილსა და ბორცობს განასახიერებენ. განსულიერებული ვაშლის ხე ასაზრდოებს ომით გაჭირვებულ ადამიანებს.

„ხაზარულა“, რომელიც გვიამბობს ხის საოცარ თავგადასავალს, სულ სხვა სამყაროში გადაყვავართ და გვაზიარებს იმ გრძნობას, ადამიანს ვარე სამყაროსთან რომ აკავშირებს.

საქართველოში ხე ადამიანით ყოფილა, შეიძლება დაელაპარაკო მას,

როგორც ცოცხალ ადამიანს („ხეს რომ დაველაპარაკე პირველად, 14 წლისა ვიყავი“.) საქართველოში ოდიდგანვე იყო ხის თაყვანისცემის კულტი და ეს ტრადიცია დღემდე შემორჩენილი ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. ცალკეულ ხეს ადამიანის ვონი და მოქმედება მიეწერება და ამ მითური მოდელის მიხედვით ხის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან არის დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ხაზარული თვითონ ბებერი იყო, 53 — 60 წლისა, თითქმის ბებია დარეჯანის ხნისა, ხაზარულა მარტოოდენ ზე რიდი იყო, ომიანობის დროს ამ ხეს ღამის სიცოცხლის ფუნქცია ჰქონდა ადამიანებისათვის, ამიტომ ის თუ ნაყოფს არ მოიხზამდა, ეს შიმშილმომდგარი ადამიანებისათვის დიდი დარტყმა იქნებოდა. ერთადერთი გზა ხაზარულას ვითომდა დაშინებაა ნაჯახით, რომ შინით მოიხზას ნაყოფი და ხეს თითქოს მართლა ესმის ადამიანის.

„ — რა ქენი — მკითხა ბებიაი — რა ვქენი და შევაშინე, ვერ ხედავ უბედური როგორ კანკალებს — ვუპასუხე ავლებულად და ხაზარულასკენ გავიხედე და სიცილი წამსკდა. ხაზარულა მთელი სხეულით თრთოდა. „და ხაზარულა აყვავილდა, მაგრამ რა აყვავილდა, დაესია ფუტკარი, მაგრამ რა

ეს ხაზარულამ და ფესვების ბაღში გახვეულ ქვევრს მოუჭირა ისე, რომ ზხარი გაუნდა ქურს“. ხაზარულამ შეისრუტა მათობელა და ღვთაებრივი სითხე და უცებ მიხვდა ადამიანისა და საოცარი სითხის საიდუმლოს.. ხაზარულას აღარ უკვირდა, რატომ კოცნიდნენ ადამიანები ერთმანეთს, რატომ ტირილდნენ ჯამებით ხელში, რატომ დასდევდნენ ერთმანეთს, რატომ ნიხუბობდნენ, რატომ იცინოდნენ, რატომ მღეროდნენ ხელიხელგადახვეულნი, რატომ როკავდნენ მის გარშემო, რატომ რეცხავდნენ ასეთი გულმოფხვრებით ჭურებს და რატომ ასხამდნენ ასეთი სასიკეთით შიგ ამ საოცარ სითხეს. მიხვდა ვველაფერს ამას ხაზარულა და თავადაც მიუნდა სიმღერა, სირბილი, ხვევნა, კოცნა, ტირილი და როკვა“, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც ის ხე იყო, ფესვები მიწაში ქონდა გადგმული და მოკლებული იყო ბედნიერებას მაგრამ რა ექნა ხაზარულას, ხე იყო ხაზარულა და არა ადამიანი, ამიტომ ის გააკეთა, რაც შეეძლო. ხაზარულა ისე მოჭრეს, არც ვაუკია ტკივილი, არც ნაჯახის ხმა, არც დარტყმები. ღამაზად მოკვდა ხაზარულა, როგორც ადამიანი. და როცა მისი სხეულიდან გამოდენილი სითხე ადამიანებს ხის სისხლი ევონათ, რაც დაუჯერებელი იყო. შემდეგ კი, როცა გამოირკვა, რომ ეს ღვინო იყო, ბებია დარეჯანი მიხვდა ვველაფერს, ხოლო სიკვდილის წინ ხაზარულამ საოცარი სურათი იხილა: „მისთვის უწვეულო მღვთაშრობაში მყოფს ქვეყნიერება წაქცეული მოუჩვენა და გაუკვირდა. ჯერ ვველაფერი იმ წითელ სითხეს დააბრალა, მერე მის გადანაკერზე ჩამომოხდარი ნაჯახის ტარზე ნიკაბდაყრდნობილი, მობუსული ბიჭი და თავდია ქერთან სპეტაკ თოვლში მუხლებზე დამხობილი, ცაში ხელემაყრობილი შაოხანი დედაპერი რომ დაინახა, მიხვდა ცოცხალი აღარ იყო და ისევე დახუჭა თვალები. დახუჭა სამუდამოდ“.

ასე მოვეითბრო მწერალს ქინკა საოცარი თავგადასავალი. მწერალს უფრო უჭდავად გვიჩვენა სიცოცხლის და სიუხვის ხის მითოსური მოდელები, რაც ადამიანში ადამიანურობის ამბლებების მის გაკეთილშობილებიასა და სულის გასპეტაკებას ემსახურება.

მითოსური ელემენტები სწანს არა მარტო „ხაზარულაში“, არამედ „ჭინკეშიც“. მითოსური მოდელი აქ უფრო ბოლომდე იგრძნობა. ეს არის მეტად საინტერესო მითობობა მწერალი მხატვრული სიზუსტითა და სისრულით ხატავს იმ მითოსურ წარმოდგენებს, რაც ამ ზღაბრის პერსონაჟზე არსებობს ქართულ მეთოლოლოგიაში.

ჭინკა თურმე სამხაირი არსებობს. თითოეული ჭინკა განსხვავდება ფიზიკურად ერთმანეთისაგან. არამარტო ფიზიკურად, აზროვნებითაც კი და „ემშაკობითაც“. მითოსური მოდელები ქართულ ლიტერატურაში გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიასა და ღმინა შენველიასთან. ბაბუა მანაველას ტყვილ-მართალს და მის მეტად საინტერესო თხრობას ძალიან ჰგავს ღმინა შენველიას ბათა ქექიას მონათხრობის ჭინკა. ბაბუა მანაველას თურმე რამდენჯერმე შეხვედრია ჭინკა ბუნებაში და თავისი უღამაზესი ქალიშვილი, პატივი და დიდება შეუთავაზებია, სამაგიეროდ სული მოუთხოვია, რაც წარმოუდგენელია მორწმუნე, კეთილშობილი ადამიანისათვის.

„ვის უბედავ. სული მომიდეო, — დაეჭვილე ერთი და წალდი მიუწვი. ეს იყო უნდა წამესხიპა თავი... და

— გაქრა ის შეჩვენებული. სიპხე ახლტვილმა წალდმა წვივი გადაძისხიპა, ითქრიალა სისხლმა და გადავარდი გულადმა შეწუნებული. ბაბუაშენა მანაველა.. ეხლაც მესმის ყურში იმ უწმინდურის კვილნარევი ზარხარი:

— სულს გაუფრთხილდი, მანაველა მათხოვარო, სულს, ხაღმე არ გაკეპაროსო..“

მეორეჯერ და მესამეჯერ მანაველა



იგივე უარის გამო ცალ თვალსა და მარჯვენა ხელის თითებს დაემშვიდობა. ვკითხულობთ ჩვენ ამ მოთხრობას და დაუჯერებელი გვევრა. თითქოს მართლა არსებობდეს ეს ჭინკები. და თითქოს მართლა მომხდარიყოს ეს ვველაფერი სინამდვილეში. გვევრა ისიც, რომ ავტორ-მოთხრობელს საკუთარი ჭინკა ჰყავს, რომელიც ბიჭს ბაბუა მანაველას ნამდვილ თავგადასხვალს უყვება: მანაველა დაასახინრეს ძმებმა შალიკაშვილებმა, რომელთაგან ერთ-ერთს მანაველამ აკანში დანიშნული ხაცილე წაართვა. ქალმა ბებმაროს ჯურობაზე ნახა მანაველა და ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ. 15 წლის თინათინ ნაკაშიძემ ერთი კვირის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებით გადაუშალა გული თავის მიჯნურს. 14 წიფობისთვის კი გავეა კიდევ თავისი ფეხით. შალიკაშვილებმა ეს არ აპატიეს და დაასახინრეს ისე, როგორც ბაბუა მანაველამ ეს ჭინკებს გადააბრალა. თუმცა მანაველა გადარჩა. სასტიკად იძია შური და მოკლა თავისი დამტანჯველი და ამის შემდეგ ხალხს მისთვის „უკვდავი მანაველა“ შეურქმევიათ. სისხლი აქ ხიყვარულის გულისათვის დაიღვარა და ამ ამბავს ზღაპრად და ლეგენდად უამბობს მრავალჯერ ნაკვეში მოხუცი შეილიშვილა. ჩვენს შეხსიერებაში ნელნელა მკვიდრდება მანაველას გაუტყებელი და ვაჟკაციური, შეუდრეკელი ხასიათი და ჩვენს თვალწინ იბერწება მოხუცის პორტრეტი. „უკვდავ მანაველას“, არ სურს შეილიშვილს შეურყიოს ადამიანების მიმართ რწმენა, ამიტომ აქ ტყუილის კეთილშობილური მიხია აკისრია და იგი ამ არაადამიანურ ტანჯაწამებას ჭინკებს მიაწერს და ჯვარმცემლებად ისინი გამოიყავს და არა შალიკაშვილები ე. ი. დათვის ღელეში, ლაშას ღელეში და სათაფლიას მთაზე შეხვედრილი ჭინკების ამბით მანაველა ძმებმა. შალიკაშვილებმა პარადიგმატირებას ახდენს. მკითხველი ზოგჯერ ერევა თხრობაში, რათა რეა-

ლური ვამიჯუნოს ზღაპრისაგან და ირიბად ნათქვამი მძლავრების განაზროს. ზოგჯერ ერთი მცირე დეტალი ამ მოთხრობაში უფრო მეტყველია, ვიდრე ვრცელი უნაპირო თხრობათითოეული ეპიზოდი ჭინკასთან შეხვედრისას შესაბამისი მხატვრული ოსტატობით არის აღწერილი. განსაკუთრებით მიმზიდველია ტყის ღელეფლის აღწერა:

„ბებმაროს მთაზე შხის ამოსვლა ვინახავს, ბაბუა არ ვინახავს?

ღამეში ღრუბლის იქიდან ხავსე მთვარე, რომ გამოხვდავს, ვინახავს ბაბუა. არ ვინახავს! მინდორში უთვალავი ვარდის კოკორი რომ ერთად გაიშლება და გაიცინებს, ბაბუა არ ვინახავს“.

დამალაპარაკა, მკვრამ რა დამალაპარაკა... ათასი ტარწაქეული დოქიდან აღესა რომ არაკრავდება ერთად მოვისმენია? არ მოვისმენია, ბაბუა. გაზაფხულზე შეღამებისას, რაც გურიში შაშვი, ჩხიკვი და იადონი ერთად რომ აგალობდება მოვისმენია? არ მოვისმენია, ბაბუა! ჰოდა დაღვა ასე, მახინჯი მამის გვერდით სასწაულივით...“

მანაველამ ჯვარცმის გზა გაიარა, მკვრამ ცხოვრებაზე ხელი არ ჩაუქნევია, სულით არ დაცემულა, თავისი გაუტყებელი გულითა და სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილით მხნე, ჯანსაღი იუმორით საოცარ ამბებებს მიაღწია. ამგვარი გაუტყებელი გმირები უხვად მოგვეპოება ქართულ ლიტერატურაში. მაგალითად ჩემს მიერ დასახელებული ბათა ქქია გამოდგება: ამგვარი გმირები ხშირად გვხვდებიან აგრეთვე ხალხურ ნაწარმოებებში, ზღაპრებში. ისინი მედგრად ხელებიან ყოველგვარ წინააღმდეგობებს და სულით არ ეცემიან.

კონტრასტები უფრო იკვეთება, როცა მწერალი მოვეითხრობს იმის შესახებ, რომ ბაბუა მანაველასაგან სამი ჭინკისაგან განსხვავებით, რომელთა სახეებში დუბლირებულია ბოროტი

ძმები შალიკაშვილები. შეილიშვილს დოქიდან მოვევლინა პატარა „სულ ერთი ციციკნა ჭინკა“. იგი აღმოსავლურ ჯიზს ვეავონებს. რახან დოქიდან ძვრება რაღაცით, და რახანაც შექმნილია პაერთით და კვამლისგან, გამჭვირვალეა. მაგრამ ჭინკაზე საყვარელი და პატარაა და დოქიდან განთავისუფლების ფახად უანგარო სამსახურს სთავაზობს ადამიანს.

ამ ჭინკას „ტანთან შედარებით დიდი ცხვირი აქვს, მწიფე პამიდორივით წითელ სახეზე კარტოფილივით აზის. ტანი სულ შიშველია, ვარდისფერია და გამჭვირვალე, ვუცქერ: არც ქალია, არც კაცი. ხელებზე შეიდშვიდი თითი აქვს, ფეხებზე — არ ვიცი ხის პატარა ქოშები აცვია და არ უნანს, ამ ჭინკას ბაბუაჩემი ვერ ხედავს, რადგან ეს ჩემი ჭინკაა, საკუთარი ჭინკა“. და აქ იხსენება კვანძი, გმირის ცნობის მოფარეობა ძლევს ბაბუასგან განსხვავებით, რომელმაც სამუდამოდ დასახინრების მიუხედავად არ დათმო თავისი სული. შეილიშვილი დაუფიქრებლად აძლევს სულს პატარა ჭინკას:

„— მანაველას ბადიშო, მომეცე შენი სული და ვველაფერ შენგან მოვიყვებით.“

ისეთი კეთილი სიცილი აქვს, სულს კი არა, ზორცხაც მიყიდის კაცი. მთვრალია თვითონაც.

— ტყვილა წაიდე, რა ოხრად მინდა — ვეუბნები ენის ბორძიკით. და ჭინკაც უყვება და შიფრავს ბაბუა მანაველას პარადიგმებს; ხოლო შეილიშვილი ისეთ სახეს იღებს, თითქოს ვველაფერი ვერა ბაბუას მონათხრობიდან, შერე შუალამეს რომ გასცილდება (ჩემი ჭინკა უკან მოძვრება დოქში და ჩვენ ვველანი, ჭინკებიან — ბებია-ბაბუიანად, ერთად ვიძინებთ ჩაფერფლილ ბუხრის პირას“.

ასე ბედნიერად მთავრდება ეს მონათხრობა მიუხედავად ბაბუა მანაველას საშინელი ისტორიისა, მკითხველი კარგი განწყობილებით ამთავრებს მონათხრობის კითხვას. სიკეთე უმწიკვლაა ნოდარ ლუშაძის შემოქმედებაში. ბოროტების ხეიმი ხანმოკლეა და სიკეთე ყოველთვის ამარცხებს უკეთურს. აკი ამბობს ქართული სიბრძნე: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

●
თბილისი რუსთაველის ქ. № 25

●
ბალეზონიანი: შთ. რედაქტორის — 99-21-01,
შთ. რედაქტორის მოადგილის 99-01-00, 3/შგ.
მღაენის 99-01-00, და განყოფილებების —
99-01-00.

გადაეცა ასაწყობად 3. 08. 95 წ., ხელმოწერილია დსაბეჭდად 7. 08. 95 წ., ანაწილების ზომა 71/4 X 12, ტალღის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბაძი 16,8. ტირაჟი 700. შეეცეთა 1025. ევრნალ-ვაზუთების გამომცემლობა „საშობლო“. კოსტავას ქ. № 14.

პ 229/1



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

შანო პეტე ლარი და მისი თათარი

76125